ძიება

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

4.1971

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
Отделение общественных наук

თბილისი · 1971 · ТБИЛИСИ

მაცნე

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

4.1971

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), შ. მესხია, გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава *(зам. редактора)*, Р. К. Кикнадзе *(зам. редактора)*, Г. А. Меликишвили *(редактор)*, Ш. А. Месхна, Г. С. Читая, Л. А. Чилашвили.

პასუხისმგებელი მდივანი ე. ვაშაკიძე
Ответственный секретарь **Э. Вашакидзе**

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, № 19
ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 7. IV. 72; შეკვ. № 2651; ანაწყობის ზომა 7×11$^{1}/_{2}$; ქაღალდის ზომა 7×108$^{1}/_{16}$; ნაბეჭდი თაბახი 17,68; საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15,46; უე 00967; ტირაჟი 1500.
ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

წერილები

ი. ჩიქავა, სამამულო ომის წინ საქართველოს სამრეწველო განვითარების დონე . . 7
შ. ნოზაძე, რევოლუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საქართველოს საზოგადოების მოღვაწეობა 20
ლ. შავდია, აგრარული კრიზისის შესახებ რეფორმამდელ ამიერკავკასიაში . 35
თ. ტივაძე, XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან . . 46
ბ. ქანთარია, ერთობლივი შრომის ფორმები მთა ოსეთში 58

დისკუსია და განხილვა

ლ. თუშაბრამიშვილი, ლ. ნებიერიძე, საქართველოს ზოგიერთი „ნეოლითური" ძეგლის დათარიღებისათვის 76

ცნობები და შენიშვნები

რ. ერისთავი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა დიდი სამამულო ომის პერიოდში 85
ბ. ნარმანია, პირველი ქართული პედაგოგიური ჟურნალი 96
ლ. ტარდი, საქართველო-უნგრეთის ურთიერთობათა ისტორიიდან 108
რ. კიკნაძე, ჟამთააღმწერლის თხზულების ერთი ადგილის შევსებისათვის . . 115
ზ. გაბაშვილი, ქართული წყაროების „რომ-გური" 124
ძ. ჩხატარაიშვილი, ქართული ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის ისტორიიდან . 131
ლ. დავლიანიძე, ფაუსტოს ბუზანდის ერთი ცნობის განმარტებისათვის . . . 140
მ. მენაბდე, სოფელ განთიადის ახლად აღმოჩენილი სამარხეული კომპლექსი . . 144

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მ. ჩართოლანი, ეთნოგრაფიული კრებული მთიულეთზე 151
ბ. ყორანაშვილი, რამდენიმე შენიშვნა ვ. ავდიევის წიგნზე „ძველი აღმოსავლეთის ისტორია" 154
ბ. მარგიანი, თ. ბერიაშვილი, საინტერესო გამოკვლევა რუსეთ-ყაზახეთის ურთიერთობის ისტორიიდან 158
ედ. მენაბდე, განა ეს არის მეცნიერული კამათი? 161

ქრონიკა და ინფორმაცია

ნიკოლოზ მახარაძის დაბადების 70 წლისთავი 165
ჯეი ჟორდანიას დაბადების 60 წლისთავი 166
რ. რამიშვილი, ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია 1971 წელს 167
ვ. ითონიშვილი, კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების ექსპედიციები 1971 წელს 170
ლ. ფრუიძე, ქვემო ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 174

საისტორიო მეცნიერების მოღვაწენი

შ. ხანთაძე, ეახუშტი ბაგრატიონი 179
ა. ბარამიძე, ისტორიკოსი სულხან ბარათაშვილი 188

ალ. კალანდაძე, გიორგი ლომთათიძის ხსოვნას . 196

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

И. ЧИКАВА, Уровень промышленного развития Грузии перед Отечественной войной 7
Ш. НОЗАДЗЕ, Деятельность Грузинского общества помощи борцам за революцию 20
Д. ШАВДИЯ, Об аграрном кризисе в дореформенном Закавказье . . 35
Т. ТИВАДЗЕ, Из политической истории Грузии XVII в. 46
М. КАНТАРИА, Формы совместного труда в Горной Осетии . . . 58

ДИСКУССИЯ И ОБСУЖДЕНИЕ

Д. ТУШАБРАМИШВИЛИ, Л. НЕБИЕРИДЗЕ, К датировке некоторых «неолитических» памятников Грузии 76

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Р. ЭРИСТАВИ, Зестафонский завод ферросплавов в период Великой Отечественной войны 85
М. НАРМАНИА, Первый грузинский педагогический журнал . . . 96
Л. ТАРДИ, Из грузино-венгерских связей эпохи Турецкой оккупации . . 108
Р. КИКНАДЗЕ, К восполнению одного места в сочинении грузинского анонимного историка XIV в. 115
В. ГАБАШВИЛИ, «Ром-гур» грузинских источников 124
К. ЧХАТАРАЙШВИЛИ, Из истории грузинской феодальной военной организации 131
Л. ДАВЛИАНИДЗЕ, К толкованию одного сообщения Фавстоса Бузанда . 140
М. МЕНАБДЕ, Новый погребальный комплекс из села Гантиади . . 141

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

М. ЧАРТОЛАНИ, Этнографический сборник о Мтиулети 151
Г. КОРАНАШВИЛИ, Несколько замечаний к книге В. И. Авдиева «История Древнего Востока» 154
Г. МАРГИАНИ, Т. БЕРИАШВИЛИ, Интересное исследование по истории русско-казахских отношений 158
Эд. МЕНАБДЕ, Разве это научная полемика? 161

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

70-летие со дня рождения Н. Махарадзе 165
60-летие со дня рождения Г. Жорданиа 166
Р. РАМИШВИЛИ, Жинвальская археологическая экспедиция в 1971 году 167
В. ИТОНИШВИЛИ, Экспедиции отдела этнографии Кавказа в 1971 году 170
Л. ПРУИДЗЕ, Этнографическая экспедиция в Нижнем Картли . . 174

ДЕЯТЕЛИ ИСТОРИЧЕСКОЙ НАУКИ

Ш. ХАНТАДЗЕ, Вахушти Багратиони 179
А. БАРАМИДЗЕ, Историк Сулхан Бараташвили 188

Ал. КАЛАНДАДЗЕ, Памяти Г. Ломтатидзе 196

წ ე რ ი ლ ე ბ ი

იოსეგ ჩიქავა

სამამულო ომის წინ საქართველოს სამრეწველო განვითარების დონე

პირველ ხუთწლედში საბჭოთა საქართველომ გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯები აგრარულიდან ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად გადაქცევის გზაზე. შექმნა მტკიცე საფუძველი სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

მეორე ხუთწლედში რესპუბლიკამ მიაღწია უდიდეს გამარჯვებებს სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელებით საქართველო წვრილ-გლეხური, ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის ქვეყნიდან გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად. სწრაფად იზრდებოდა მრეწველობა, მისი პროდუქციის ღირებულება პირველი ხუთწლედის ბოლოს — 1932 წელს შეადგენდა 503 მილიონ მანეთს, ხოლო მეორე ხუთწლედის დასასრულს — 1937 წელს — 1 047 მილიონ მანეთს, ე. ი. ორჯერ და უფრო მეტად გადიდდა[1].

ამ პერიოდისათვის მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წილი სახალხო მეურნეობის მთელ პროდუქციაში პირველ ხუთწლედთან შედარებით გაიზარდა 46 პროცენტიდან 75,2 პროცენტამდე[2].

მეორე ხუთწლედში მოპოვებულ წარმატებათა საფუძველზე შესაძლებელი გახდა დიდი ამოცანების დასახვა მესამე ხუთწლედისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. პარტიის ეროვნული პოლიტიკის შესაბამისად საქართველოს მესამე ხუთწლიანი გეგმა, ისე როგორც წინა ხუთწლედები, ითვალისწინებდა მეურნეობისა და კულტურის უფრო სწრაფ განვითარებას, ვიდრე სსრ კავშირში საერთოდ.

მეორე ხუთწლედში საქართველოს სახალხო მეურნეობაში წლიური კაპიტალდაბანდება უდრიდა 516 მილიონ მანეთს, მესამე ხუთწლედში იგი 768 მილიონ მანეთამდე ანუ 50 პროცენტით გაიზარდა.

ხუთწლედში საგრძნობლად დიდდებოდა სამრეწველო პროდუქციის მოცულობა. სახელდობრ, 1942 წელს რესპუბლიკის მსხვილ მრეწველობას დაახლოებით 1,8-ჯერ მეტი მთლიანი პროდუქცია უნდა გამოეშვა 1937 წელთან შედარებით. საკავშირო-რესპუბლიკური, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოთა პროდუქცია იზრდებოდა 79 პროცენტით[3].

---

1 საქართველოს ისტორია, ტ. III, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1960, გვ. 153.

2 ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა“, 1938, № 2, გვ. 11.

3 იქვე, 1940, № 1—2, გვ. 75.

საქართველოს მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, უდიდესი ენთუზიაზმით შეუდგნენ მესამე ხუთწლიანი გეგმით დასახულ ამოცანათა განხორციელებას და მალე სათანადო შედეგებსაც მიაღწიეს.

ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის პირველი ორი წლის შედეგები და პარტიული ორგანიზაციების წინაშე XVIII პარტყრილობის მიერ დასმული ამოცანების განხორციელება შეაჯამა საქართველოს კპ(ბ) XIII ყრილობამ (1940 წ. მარტი). ქართველი ხალხის ცხოვრებაში, 1938 წელი, მესამე ხუთწლედის პირველი წელი ახალი გამარჯვებით აღინიშნა. 1938 წლის განმავლობაში საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური, რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოებმა 885 840 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს, რაც გეგმის 99,2 პროცენტს შეადგენდა.

ამ მხრივ უფრო წარმატებიანი აღმოჩნდა 1939 წელი.

საწარმოო პროგრამა საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში 1939 წელს რესპუბლიკური, საკავშირო-რესპუბლიკური და საკავშირო სამრეწველო სახალხო კომისარიატების საწარმოებმა 102,9 პროცენტით შეასრულეს. გამოშვებულ იქნა 985 316 ათასი მანეთის პროდუქცია"[4].

სამრეწველო სახალხო კომისარიატების საერთო პროდუქცია 1939 წელს 1937 წელთან შედარებით 31,7 პროცენტით გაიზარდა.

მრეწველობის ძირითადი დარგების განვითარებაში შემდეგი სურათი იყო:

მესამე ხუთწლედში, ისე როგორც წინა ხუთწლედებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მძიმე მრეწველობის განვითარებას. ეს დიდად იყო დამოკიდებული სათბობის და ენერგეტიკული ბაზის გაფართოებაზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვანახშირის მოპოვების გადიდებას.

„ტყიბულქვანახშირის" ტრესტმა 1938 წელს ამოიღო 260, 660 ტონა ქვანახშირი, ანუ გეგმის 104,3 პროცენტი. ასევე 1939 წლის გეგმა ტრესტმა მთლიანად შეასრულა და ქვანახშირის ამოღება 1938 წელთან შედარებით 19 პროცენტით გაადიდა[5].

ტყვარჩელში 1938 წელს ამოიღეს 167 080 ტონა ქვანახშირი. 1939 წელი პირველი წელი იყო, როდესაც „ტყვარჩელქვანახშირის" ტრესტმა თავისი საწარმოო გეგმა შეასრულა 107,8 პროცენტით, გეგმით გათვალისწინებული 220 ათასი ტონის ნაცვლად ამოიღეს 237 400 ტონა ქვანახშირი. მესამე ხუთწლედის ბოლოსათვის ტრესტს ყოველწლიურად უნდა მოეცა მილიონი ტონა ქვანახშირი[6].

1939 წელს ქვანახშირის ამოღებამ რესპუბლიკაში სულ 550,6 ათას ტონას მიაღწია[7].

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ და საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1940 წ. 30 ნოემბერს დაამტკიცეს ერთობლივი ღონისძიება საქართველოში ქვანახშირის ახალი მაღაროების მშენებლობის

---

4 საქართველოს კპ(ბ) XIII ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, თბ., 1940. გვ. 18.

5 იქვე, გვ. 19—20.

6 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი (შემდეგში — პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. 8. ს. 10559, ფურც., 15.

7 იქვე, აღწ. 1, ს. 10920, ფურც. 42.

შესახებ, ქვანახშირის მაღაროების მშენებლობის უშუალო ხელმძღვანელობისათვის თბილისში შეიქმნა ტრესტი „საქმაღარომშენი"[8].

ხუთწლედის ორი წლის მანძილზე წარმატებით ვითარდებოდა ენერგეტიკული მეურნეობაც. „საქართველოს სსრ ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრემ 1940 წ. 1 იანვრისათვის 178 000 კილოვატს მიაღწია, ე. ი. ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში 43,5 პროცენტით გაიზარდა.

1938 წელს ელექტროენერგიის გამომუშავება შეადგენდა 496 მილიონ კილოვატსაათს, 1939 წელს — დაახლოებით 700 მილიონ კილოვატსაათს, ამასთან, საქენერგოს სისტემის ელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს 588,1 მილიონი კილოვატსაათი ენერგია. მუშაობის საუკეთესო მაჩვენებლებს იძლეოდა რიონჰესი, რომელმაც 1939 წელს სსრ კავშირის ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის გარდამავალი დროშა მოიპოვა"[9].

საქართველოს ელექტრომეურნეობის გაუმჯობესებისა და მისი მნიშვნელოვანი გაფართოების მიუხედავად, ენერგეტიკული ბაზა მაინც ვერ უზრუნველყოფდა განვითარებად მრეწველობასა და ტრანსპორტს და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებას ელექტროენერგიით. დეფიციტის შესავსებად მიმდინარეობდა ხრამჰესის, სოხუმჰესის და სხვ. უფრო მცირეძალოვან ჰიდროელსადგურთა მშენებლობა.

ნავთობის რესურსების მოპოვების გაუმჯობესების მიზნით 1939 წლის ივლისში მოხდა ტრესტ „საქნავთის" რეორგანიზაცია. „საქნავთი" გამოყოფილ იქნა „აზნეფტდობიჩას" სისტემიდან, როგორც დამოუკიდებელი ტრესტი და უშუალოდ დაექვემდებარა სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატის კავკასიის მთავარ სამმართველოს. ტრესტს 1940 წლისათვის ნავთის სადღეღამისო მოპოვება უნდა აეყვანა 1 000 ტონამდე.

მანგანუმის ამოღებამ 1937 წელს 1650 ათას ტონას მიაღწია. მაგრამ „მანგანტრესტის" არადამაკმაყოფილებელი მუშაობისა და პარტიული ორგანოების მხრივ სუსტი ხელმძღვანელობის შედეგად, ამოღების ეს დონე შემდეგში ვერ იქნა შენარჩუნებული. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა 1938 წელს შესრულდა მხოლოდ 84,4 პროცენტით, 1939 წელს კი — 88,1 პროცენტით.

მანგანუმის მრეწველობის განვითარების საკითხს მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქცია საქართველოს კპ(ბ) XIII ყრილობამ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს დაევალა გაეტარებინა ღონისძიებანი „მანგანტრესტის" მუშაობის ძირეულად გარდაქმნისა და გაუმჯობესებისათვის.

მესამე ხუთწლედის ამოცანათა განხორციელებაში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა მანქანათმშენებლობის განვითარებას. მარტო ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი 1938 წელს აერთიანებდა მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების 10 საწარმოს. აქედან წმინდა მანქანათსაშენი იყო 5 საწარმო, ხოლო ლითონდასამუშავებელი — 4. გარდა ამისა, საქართველოში იყო საკავშირო დაქვემდებარების ს. მ. კიროვის სახელობის დაზგათსაშენი და ბათუმის ჩაის მანქანათსაშენი ქარხნები, აგრეთვე „ცენტრო-

---

8 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, ნაწ. 8, 10681. ფურც. 181—182.

9 საქართველოს კპ (ბ) XIII ყრილობა, სტენოგრაფ. ანგარიში, გვ. 38.

ლიტი“, რომელიც ძირითადად ამზადებდა მანქანათსაშენი ქარხნებისათვის სამანქანო დაზგების სხმულებს.

მანქანათმშენებლობის ძირითად დარგს დაზგათმშენებლობასთან ერთად შეადგენდა სამშენებლო დაზგათმშენებლობა. ს. მ. კიროვის სახ. მექანიკურმა ქარხანამ 1938 წელს პირველად საბჭოთა კავშირში აითვისა და გამოუშვა ქვის საღარავი დაზგა. ამავე წელს დაამზადა ქვის საჭრელი 13 დაზგა, ხოლო 1939 წელს დაიწყო ქვის სახეხი დაზგის ათვისება[10].

საქართველოს აბრეშუმის მანქანათმშენებლობა კონცენტრირებული იყო 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში. 1938 წელს ქარხანამ გამოუშვა 8 170 ათასი მანეთის მთლიანი პროდუქცია (102,1%), რაც 14,9 პროცენტით აღემატებოდა 1937 წელს გამოშვებულ მთლიან პროდუქციას“[11]. დამზადებული მანქანები იგზავნებოდა საბჭოთა კავშირის საფეიქრო კომბინატებისა და გიგანტებისათვის.

1940 წლიდან საბჭოთა კავშირში საფეიქრო მანქანათმშენებლობის სწრაფი განვითარების შედეგად 26 კომისრის სახელობის ქარხანამ საფეიქრო მანქანათა წარმოება შეამცირა და თანდათანობით დაიწყო სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო მშენებლობისათვის ახალი მანქანებისა და მექანიზმების წარმოებაზე გადასვლა[12].

მეღვინეობისთვის საჭირო მანქანებს ამზადებდა ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა. ამავე დანიშნულების მანქანებს ამზადებდა ბათუმის ჩაის მანქანათსაშენი ქარხანაც[13].

ჩაის მრეწველობისათვის მანქანათა წარმოება ძირითადად თავმოყრილი იყო ბათუმის სპეციალურ მანქანათსაშენ ქარხანაში, რომელიც 1936 წელს ამუშავდა. ამასთან თანდათანობით, მაგრამ მცირე მასშტაბით ვითარდებოდა კვების მრეწველობის ზოგიერთი დარგის მანქანათმშენებლობაც.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა ხუთწლედში წარმოდგენილი იყო თბილისის პატარა ქარხნის სახით, რომელიც შეიქმნა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სარემონტო-ტექნიკური სახელოსნოს ბაზაზე. ქარხანამ 1938 წელს გამოუშვა სულ 776 000 მანეთის (გეგმის 103,5%) პროდუქცია, ხოლო მომდევნო წელს კი — 1561 ათასი მანეთისა[14]. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მანქანათმშენებლობის საწარმოებმა 1939 წლის გეგმა 103 პროცენტით შეასრულეს[15].

სამრეწველო პროდუქციის გამოშვების 1939 წლის გეგმა ადგილობრივი მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოებმა 20 დეკემბრისათვის 58,5 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს და გეგმა 101,2 პროცენტით შეასრულეს.

---

10 საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდეგში სცსა), ფ. 2512, აღწ. 1, ს. 121, ფურც. 204-232, ს. 192, ფ. 42.

11 იქვე, ფურც. 76.

12 პარტიული არქივი (თბილისი) ფ. 156, ს. 1—7, ფურც. 7.

13 აჭარის ასსრ სახ. არქივი, ფ. 3.—170, ს. 568.

14 ალ. კ ო ჭ ლ ა ვ ა შ ვ ი ლ ი, მანქანათმშენებლობის ისტორია საბჭოთა საქართველოში 1921—1941 წწ., თბ., 1966, გვ. 692.

15 საქართველოს კპ (ბ) XIII ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 24.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ სამთამადნო მრეწველობის საწარმოები, ბარიტის წარმოების გეგმა შესრულდა 88,6 პროცენტით, გუმბრინის — 67,4, დიატომიტის — 72, ანდეზიტის — 73,5 პროცენტით.

სამშენებლო მასალების მრეწველობამ საერთო საწარმოო პროგრამა 1939 წელს 107,6 პროცენტით შეასრულა. მაგრამ ძირითად სახეებში (აგური, კრამიტი) გეგმა ვერ შესრულდა. დაბალი იყო გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. სამშენებლო მასალების მრეწველობის განვითარება სრულებით ვერ აკმაყოფილებდა მშენებლობის მოთხოვნილებას, განსაკუთრებით სახურავი მასალების დიდი ნაკლებობა იყო.

მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური, ქიმიური და სხვ. მრეწველობის გიგანტურმა განვითარებამ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვების შედეგად საბჭოთა მეტალურგიის წინაშე გადაუდებელ ამოცანად დასახა ფეროშენადნობთა საკუთარი ბაზის შექმნა. თუ ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა პირველად მხოლოდ ფერომანგანუმის შენადნობს იძლეოდა, 1938 წლისათვის ძირითადად მუშაობდა ფეროსილიციუმის (45—75 პროცენტიანი) გამოდნობაზე. მან საბჭოთა კავშირის სხვა ქარხნებს შორის თავისი ხვედრითი წილი ფეროსილიციუმის გამოდნობაში 80 პროცენტამდე გაზარდა. გარდა, ამისა, ქარხანა უშვებდა ისეთ სპეციალურ შენადნობებს, როგორიცაა სილიკომანგანუმი, სილიკოკალციუმი, აგრეთვე, ფერომოლიბდენი და სხვ.

სატყეო მრეწველობა ქვეყანას აძლევდა ავეჯს, სათბობს და სხვა პროდუქციას. 1938 წელს ხე-ტყის დამზადების გეგმა შესრულებულ იქნა 112,1 პროცენტით, ხოლო გამოზიდვის — 106,6 პროცენტით. საერთო გეგმის შესრულებამ შეადგინა 103,1 პროცენტი[16].

ინგურქაღალდკომბინატი საზეიმოდ გაიხსნა 1939 წლის 21 იანვარს. მისი საპროექტო სიმძლავრე წელიწადში 12,5 ათას ტონა ხარისხოვან ქაღალდს შეადგენდა.

სატყეო მრეწველობის საწარმოებმა 1939 წლის გეგმა 108,3 პროცენტით შეასრულეს. კაპიტალურ სამუშაოზე ასიგნებამ შეადგინა 2 116 ათასი მანეთი.

მესამე ხუთწლედის პირველსავე წლებში გადიდდა კვების მრეწველობის მიერ პროდუქციის გამოშვება. 1938 წლის გეგმა 23 დეკემბრისათვის გადაჭარბებით შესრულდა.

1939 წელს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებმა საწარმოო პროგრამა შეასრულეს 107 პროცენტით. გამოშვებულ იქნა 235 მლნ. მანეთის საერთო პროდუქცია. კვების მრეწველობის 35 ჩაის ფაბრიკამ გადაამუშავა და გამოუშვა 10,148 ტონა ბაიხის ჩაი და 2310 ტონა აგურა ჩაი. სამტრესტმა გამოუშვა 631,5 ათასი დეკალიტრი ღვინო და 53,8 ათასი დეკალიტრი კონიაკი.

საკონსერვო ქარხნების საწარმოო პროგრამა შესრულდა 114,3 პროცენტით და გამოუშვეს 24 მილიონამდე ქილა სხვადასხვა კონსერვი.

1939 წელს კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატისაგან გამოყვეს ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატი. ხორცისა და რძის გამოშვების პროგრამა შესრულდა 103,4 პროცენტით.

---

[16]გაზ. „კომუნისტი", 1939 წ. 28 მაისი.

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოებმა 1938 წელს გეგმა შეასრულეს 102,5 პროცენტით, ხოლო 1939 წელს 104,5 პროცენტით, რამაც 1938 წელთან შედარებით მოგვცა პროდუქციის ზრდა 20,5 პროცენტით.

საფეიქრო მრეწველობის სისტემაში შემავალმა აბრეშუმსაქსოვმა, მაუდის და აბრეშუმსახვევმა ფაბრიკებმა 1938 წლის საწარმოო გეგმა 91 პროცენტით შეასრულეს. 1939 წელს ამ საწარმოებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მუშაობა და მიაღწიეს გეგმის 105,2 პროცენტით შესრულებას.

საქართველოს მრეწველობის საერთო მოცულობაში სარეწაო კოოპერაციას დიდი ხვედრითი წონა ჰქონდა. სარეწაო კოოპერაციის პროდუქციას უმთავრესად შეადგენდა ფართო მოხმარების ნაწარმი. სარეწაო კოოპერაციამ 1938 წლის გეგმა შეასრულა 107,4 პროცენტით და 1939 წლის გეგმა კი 131,5 პროცენტით. სულ ერთი წლის განმავლობაში გამოუშვა 353,3 მილიონი მანეთის პროდუქცია.

საქართველოს კპ(ბ) XIII ყრილობამ საჭიროდ ჩათვალა საქართველოს საფეიქრო, მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის და სარეწაო კოოპერაციის პარტიული ორგანიზაციებისა და ხელმძღვანელობის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის ამაღლების, ადგილობრივი ნედლეულისა და წარმოების ნარჩენთა გამოყენების ბაზაზე ფართო მოხმარების საგნების გამოშვების ყოველმხრივ გადიდებისათვის[17].

საქართველოში 1939 წელს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმა საკავშირო-რესპუბლიკური, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოებმა ვადაზე ადრე (20 დეკემბრისათვის) შეასრულეს. წლიური დავალება 5,8 პროცენტის გადამეტებით შეასრულეს. წლიურ დავალებას სარეწაო კოოპერაციამაც მნიშვნელოვნად გადააჭარბა (129,5 პროცენტით) და გეგმა 1 დეკემბრისათვის შეასრულა.

ამრიგად, საქართველოს სსრ მრეწველობის პროდუქცია 1939 წელს 18,6 პროცენტით აღემატებოდა 1938 წლის დონეს, ხოლო სარეწაო კოოპერაციამ 1938 წლის დონესთან შედარებით წლიური გეგმა 39,2 პროცენტის გადამეტებით შეასრულა"[18].

მსხვილი სოციალისტური მრეწველობის საერთო პროდუქცია 1938 წლისათვის 1932 წელთან შედარებით გაიზარდა ორჯერ და უფრო მეტად, ხოლო 1913 წელთან შედარებით 22-ჯერ. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში აგებულ და ძირეულად რეკონსტრუირებულ ფაბრიკა-ქარხნებში მზადდებოდა მრეწველობის პროდუქციის 85 პროცენტი.

თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია სოციალისტურმა მრეწველობამ 1939 წელსაც. კვების მრეწველობის პროდუქცია 1938 წელთან შედარებით გაიზარდა 19,1 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობისა 21,2-ით, საფეიქრო 17-ით, ადგილობრივი მრეწველობის — 12,6-ით, საშენმასალათა 19,8-ით, ხოლო სარეწაო კოოპერაციის პროდუქცია — 41,4 პროცენტით.

1939 წელს საექსპლუატაციოდ გადაეცა მთელი რიგი ახალი საწარმოები: შამპანური ღვინოების საკავშირო მნიშვნელობის კომბინატი, ინგურქალალდ-

---

17 საქართველოს კპ(ბ) XIII ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 445—446.

18 ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", № 1—2, 1940, გვ. 71—75.

კომბინატი, ახმეტის ხე-ტყის საბერხი ქარხანა, თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკა და სხვ[19].

ამრიგად, მესამე ხუთწლედის პირველ წლებში მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წილი სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში მკვეთრად გადიდდა და პირველი ადგილი დაიკავა. 1940 წლისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციის სამ მეოთხედზე მეტს სამრეწველო პროდუქცია წარმოადგენდა.

მესამე ხუთწლედში ინტენსიურად გაფართოვდა საქართველოს სსრ ტრანსპორტის ყველა სახის მუშაობა, გაიზარდა მისი ქსელი, გაუმჯობესდა გზების ზედაპირული ნაგებობა, სრულყოფილი გახდა ექსპლუატაციის მეთოდები.

დიდი მშენებლობა მიმდინარეობდა რკინიგზის საზით. 1939 წელს დაიწყო გორი-ცხინვალის რკინიგზის შტოს გაყვანა, სწარმოებდა შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობა, რომელსაც უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა. მიუხედავად ამისა 1938—1939 წლებში სარკინიგზო მშენებლობის ტემპი არადამაკმაყოფილებელი იყო.

1939 წლის 22 აგვისტოს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ყურადღება გაამახვილა რკინიგზის მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებებზე და დასახა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი[20].

ამიერკავკასიის რკინიგზის ტვირთბრუნვა 1938 წელს უდრიდა 6 მილიარდ 600 მილიონ კილომეტრტონას, 1939 წელს კი 6 841 მლნ. კილომეტრტონას. თავისი არსებობის მრავალი წლის მანძილზე ამიერკავკასიის რკინიგზამ მხოლოდ 1938 წ. პირველ ნახევარში შეასრულა ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმა, ამასთან გაუმჯობესდა გზის ექსპლუატაციის ტექნიკური მაჩვენებლებიც.

ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაობას მაღალი შეფასება მისცა მთავრობამ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რკინიგზის 88 მოწინავე მუშაკი დააჯილდოვა საკავშირო ორდენებითა და მედლებით და ამიერკავკასიის რკინიგზას მიაკუთვნა გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი დროშა.

ასეთი იყო მესამე ხუთწლედის პირველ (1938—1939) წლებში მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარების შედეგები, რომელიც მტკიცე ბაზას წარმოადგენდა საქართველოს სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმით დასახულ ამოცანათა შემდგომი წარმატებით შესრულებისათვის.

მესამე ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანების შესრულება მოითხოვდა შრომის მაღალ ნაყოფიერებას, სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ განვითარებას.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „შრომის ნაყოფიერება, ეს, საბოლოო ანგარიშით ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად“[21]. ითვალისწინებდნენ რა ვ. ი. ლენინის მითითებას, კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ამჯერადაც რიგი ღონისძიებანი გაატარეს შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად.

---

19 გაზ. „კომუნისტი“, 1940 წლის 16 თებერვალი.

20 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1. ნაწ. 8, ს. 10528, ფურც. 16—19.

21 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. ი ხ ნ ე ლ ი ნ ე ბ ი. ტ. 29, გვ. 429.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ, საკ. კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ 1938 წ. 28 დეკემბერს მიიღეს დადგენილება: „შრომის დისციპლინის მოწესრიგების, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ". ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის დოკუმენტი იყო, რომელიც დიდ როლს თამაშობდა სოციალიზმის მშენებლობის შემდგომ წარმატებათა მოპოვებაში[22].

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1938 წ. 27 დეკემბრის ბრძანებულებით დაწესდა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში წარჩინების უმაღლესი ხარისხი — სოციალისტური შრომის გმირის წოდება[23]. ამავე დროს დააწესეს მედლები: „შრომითი მამაცობისათვის" და „შრომითი წარჩინებისათვის".

დიდი მნიშვნელობის ღონისძიება იყო სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წ. მაისის დადგენილება „მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნებში ოსტატის როლის ამაღლების შესახებ"[24].

სოციალისტური მრეწველობის საწარმოთა სწორი ხელმძღვანელობის ამოცანები მოითხოვდნენ წარმოებაში ოსტატის როლის გადაჭრით განმტკიცებას.

1940 წ. 26 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს წარდგინებით გამოსცა ბრძანებულება 8 საათიან სამუშაო დღეზე და შვიდ დღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ.

პარტიისა და მთავრობის ამ ღონისძიებებს, რომელიც საერთაშორისო ვითარების გამწვავებითა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებით იყო ნაკარნახევი, ყველგან შრომითი ენთუზიაზმითა და ახალი მძლავრი საწარმოო აღმავლობით შეხვდნენ.

უხარისხო და არასტანდარტული პროდუქციის გამოშვების წინააღმდეგ იყო მიმართული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 10 ივლისის ბრძანებულება: „სამრეწველო საწარმოთა მიერ ცუდი ხარისხის ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისათვის და სავალდებულო სტანდარტების დაუცველობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ"[25].

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ, რომლის სახითაც შეიქმნა სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის ახალი და უაღრესად მნიშვნელოვანი ბერკეტი.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებათა განუხრელად განხორციელებით, შრომის სწორი ორგანიზაციით, მტკიცე დისციპლინის დამკვიდრებით, საწარმოო გრაფიკის შესრულებით, საწარმოო კონტროლის გაძლიერებით და სტახანოვური მოძრაობის შემდგომი გაშლით საწარმოები შრომის მა-

---

22 გაზ. „პრავდა", 1938 წ. 28 დეკემბერი.
23 გაზ. „კომუნისტი", 1938 წ. 29 დეკემბერი.
24 გაზ. „პრავდა", 1940 წ. 28 მაისი.
25 გაზ. „პრავდა", 1940 წ. 17 აგვისტო.

ღალ ნაყოფიერებას აღწევდნენ და ხელს უწყობდნენ საბჭოთა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად საქართველოში ომამდელ ხუთწლედებში სამრეწველო მშენებლობის ტემპები გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე მთლიანად საბჭოთა კავშირში. მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში მეორე ხუთწლედის მანძილზე კაპიტალური დაბანდებანი, პირველ ხუთწლედთან შედარებით 2,7-ჯერ გაიზარდა, საქართველოში ეს ზრდა თითქმის 3,3-ჯერ მეტი იყო, მათ შორის მრეწველობაში კაპიტალური დაბანდებანი შესაბამისად შეადგენდა 265,3 პროცენტს და 303,4 პროცენტს[26].

მესამე ხუთწლედის სამნახევარი (1938—1941 წ. ივნისი) წლის მანძილზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში თითქმის იმდენივე იყო კაპიტალდაბანდება, რამდენიც მთელ მეორე ხუთწლედში იყო დაბანდებული, მრეწველობის მთლიანმა პროდუქციამ კი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულის 86 პროცენტს მიაღწია. ამავე წლების მანძილზე საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობაში დაბანდდა 2717 მლნ. მანეთი (შესაბამისი ფასებით), რაც მეორე ხუთწლედის მთელ კაპიტალდაბანდებათა 93,4 პროცენტს შეადგენდა[27].

აღნიშნულ კაპიტალდაბანდებათა დაახლოებით ერთი მესამედი ახალ ინდუსტრიულ მშენებლობას მოხმარდა.

კაპიტალდაბანდებამ მრეწველობაში მესამე ხუთწლედის სამ წელიწადში შეადგინა 793,8 მლნ. მანეთი, აქედან მარტო 1940 წელს დაბანდდა 306,9 მლნ. მანეთი[28].

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პროგრამის სწრაფ განხორციელებაზე მიუთითებდა სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა ოდენობის დიდი ზრდა. 1927—28 წლამდე ლიმიტგარეშე დაბანდებისა და კაპიტალური რემონტის ჩათვლით, ფაქტიურ ღირებულებაში მან შეადგინა 136,6 მლნ. მანეთი, პირველხუთწლედში — 786,8 მლნ. მანეთი, მეორე ხუთწლედში — 2581,7 მლნ. მანეთი, ხოლო მესამე ხუთწლედის სამ წელიწადში — 2343,0 მლნ. მანეთი, სულ 1921—1940 წლებში — 5848,1 მლნ. მანეთი. აქედან მარტო მრეწველობაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში — 3,122,5 მლნ. მანეთი[29].

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სწრაფი განხორციელების აშკარა მაჩვენებელს წარმოადგენდა აგრეთვე სამრეწველო პროდუქციის საშუალო წლიური გამოშვების განუხრელი ზრდა. პირველ ხუთწლედში პროდუქციის საშუალო წლიურმა გამოშვებამ შეადგინა 246,5 მლნ. მანეთი, მეორე ხუთწლედში 687,0 მლნ. მანეთი, ხოლო მესამე ხუთწლედის სამ წელიწადში 1 104 მლნ. მანეთი[30].

უაღრესად შინაარსიანი იყო 1940 წელი, ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წელი. ამ წელს მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, საქართველოს მშრომელებმა ბრწყინვალე გამარჯვებებს მიაღწიეს და ძირითადად შეჯამდა მესამე ხუთწლედის შედეგები.

---

26 ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", № 2, 1941, გვ. 130.

27 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1961 წწ., 1961, გვ. 384.

28 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 3, ს. 647. ფურც. 100.

29 იქვე, ფურც. 101.

30 ჟურნ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", № 2, 1941, გვ. 13.

1940 წელს მსხვილი მრეწველობის მიერ გამოშვებულმა საერთო პროდუქციამ შეადგინა 1209,1 მლნ. მანეთი[31]. საკავშირო რესპუბლიკური სამრეწველო სახალხო კომისარიატების საერთო პროდუქციამ — 516,464 ათასი მანეთი[32]. სამრეწველო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის საწარმოთა პროდუქციამ — 151,442 ათასი მანეთი[33], წვრილი მრეწველობის პროდუქციამ — 200,9 მლნ. მანეთი[34].

კაპიტალურმა დაბანდებამ მთელ სახალხო მეურნეობაში 1940 წელს, ლიმიტგარეშე დაბანდებისა და კაპიტალური რემონტის ჩათვლით, შეადგინა 910,9 მლნ. მანეთი[35].

საქართველოს მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 1940 წელს, 1913 წელთან შედარებით, გაიზარდა 10,2-ჯერ, სოფლის მეურნეობის პროდუქცია კი გადიდდა 2,5-ჯერ[36].

განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა ხუთწლედების მანძილზე მსხვილი თანამედროვე მრეწველობა. საქართველოს მსხვილი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1913 წელთან შედარებით 26,9-ჯერ გადიდდა[37].

1940 წელს სსრ კავშირის მსხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია კი დაახლოებით 12-ჯერ აღემატებოდა 1913 წლის დონეს[38]. მაშასადამე, მსხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპები საქართველოში ორჯერ და კიდევ უფრო მეტად სწრაფი იყო, ვიდრე საერთოდ სსრ კავშირში.

წარმოების საშუალებათა წარმოების ხვედრითი წილი რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციაში 1940 წელს შეადგენდა 40,4 პროცენტს[39].

ლითონდამმუშავებელი ქარხნების პროდუქციამ ფულად გამოხატულებაში შეადგინა 151,5 მლნ. მანეთი[40].

ამდენად, ლითონდამმუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წილი, საქართველოს მთელი მსხვილი მრეწველობის პროდუქციაში 1940 წელს 12,5 პროცენტამდე ავიდა.

მიუხედავად მოპოვებული წარმატებებისა, სამრეწველო პროდუქციის გამოშვების 1940 წლის საერთო გეგმა არ განხორციელებულა, თუმცა პროდუქციის მატება 1939 წელთან შედარებით 6,6 პროცენტს შეადგენდა.

ომამდელი ხუთწლედების მანძილზე შეიქმნა მძიმე, მსუბუქი და კვების მრეწველობის მთელი რიგი სრულიად ახალი დარგები, ჩატარდა არსებულ საწარმოთა გაფართოება და არსებითი რეკონსტრუქცია.

ინდუსტრიალიზაციის პროგრამის განხორციელება პირველ ყოვლისა მოითხოვდა ადგილობრივი სათბობი ბაზის შექმნას.

---

31 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, ანაწ. 3, ს. 647, ფურც. 21.

32 იქვე, ფ. 24.

33 იქვე, ფურც. 25.

34 იქვე. ფურც. 26.

35 იქვე, ფურც. 101.

36 Страна Советов за 50 лет. (сб. стат. материалов), М., 1967, გვ. 318.

37 ჟურნ. „ბოლშევიკი", № 2, 1941, გვ. 112.

38 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1946 წწ., თბ., 1947, გვ. 20.

39 საქართველოს კპ(ბ) XIV ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, თბ., გვ. 397.

40 კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენის და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, თბ., 1946, გვ. 4.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებათა შედეგად ქვანახშირის მოპოვება სისტემატურად იზრდებოდა. 1940 წელს მოპოვებულ იქნა 625 ათასი ტონა ქვანახშირი. ტყიბული იძლეოდა საქართველოში ქვანახშირის მოპოვების 61,7 პროცენტს, ტყვარჩელი 38,2 პროცენტს.

ხუთწლედების მანძილზე ჭიათურის მანგანუმის წარმოება გადაიქცა საერთო საკავშირო მნიშვნელობის ერთ-ერთ მოწინავე საწარმოდ. 1940 წელს ჭიათურამ საშობლოს მისცა 1 448,7 ათასი ტონა მანგანუმი.

მაღალხარისხოვანი ფოლადების წარმოების უზრუნველსაყოფად ზესტაფონში იაფი ჰიდროენერგიით მუშაობდა ფეროშენადნობთა ქარხანა, რომელიც ფეროსილიციუმის, ფერომოლიბდენის და სხვ. შენადნობების გამოშვებას ომისწინა წლებში მნიშვნელოვნად გაადიდა.

საქართველოში შეიქმნა ნავთის მრეწველობა. ფართო საძიებელი და გეოლოგიური კვლევითი მუშაობის შედეგად გამოვლინებულ იქნა ნავთობის ბევრი რიგი საბადოები.

ბათუმის ნავთობსახდელი ქარხნები ამუშავებდნენ ბაქოს ნავთობს ექსპორტისა და შიდა მოხმარებისათვის.

საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთელი რიგი ახალი დარგების განვითარება მოითხოვდა მანქანათმშენებელი ბაზის ორგანიზაციას, რაც ხორციელდებოდა, როგორც არსებულის სრული რეკონსტრუქციით, ისე ახალი ლითონდამმუშავებელი ქარხნების მშენებლობით. საქართველოს მანქანათმშენებლობა მეორე და მესამე ხუთწლედებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგად. წარსულში წვრილი საწარმოები გადაიქცნენ საკავშირო მნიშვნელობის მსხვილ მანქანათსაშენ ქარხნებად.

ბარიტის საბადოების (ქუთაისის რაიონი) ბაზაზე 1939 წელს ამუშავდა ქუთაისის ლითოფონის ქარხანა, რომელიც უშვებდა თეთრ საღებავს — ლითოფონს, რასაც ფართოდ იყენებდნენ გემთმშენებლობაში და მრეწველობის სხვა დარგებში.

ფართოდ იყო გამოყენებული საქართველოში არსებული მინერალურ-ლითონური ნედლეულის საბადოები. ორგანიზებულ იქნა მთელი რიგი სამთო საწარმოები, რომლებიც თავისი პროდუქციით ამარაგებდნენ საკავშირო მრეწველობის მნიშვნელოვან დარგებს.

განვითარდნენ კვების მრეწველობის დარგები. ამ პერიოდისათვის რესპუბლიკაში მოიპოვებოდა კვების მრეწველობის ყველა ძირითადი დარგი, რომელთა შორის საკავშირო მნიშვნელობა ჰქონდა: ჩაის, ღვინის, საკონსერვო, თამბაქოს, ეთერზეთოვან მრეწველობას.

კვების მრეწველობის მშენებლობასა და სანედლეულო ბაზის ორგანიზაციაზე სამი ხუთწლედის მანძილზე დაბანდებულ იქნა 381 მლნ. მანეთი.

1940 წელს საქართველოს კვების მრეწველობამ გამოუშვა (1926—27 წლის უცვლელი ფასებით) 360,0 მლნ. მანეთის პროდუქცია. ეს 14,6-ჯერ აღემატებოდა 1927—28 წლებში გამოშვებულ პროდუქციას.

დიდი მუშაობა ჩატარდა მევენახეობის სანედლეულო ბაზის გასაფართოებლად და ღვინოების სამრეწველო დამუშავების ორგანიზაციისათვის. თბილისის შამპანკომბინატი, რომლის პირველი რიგი 1939 წელს ამუშავდა, უშვებდა 4,0 მლნ. ბოთლ საბჭოთა შამპანურს.

კონსერვის წარმოება 1913 წელთან შედარებით 22-ჯერ გადიდდა.

საქართველოს სსრ თამბაქოს ფაბრიკებმა 1940 წელს გამოუშვეს 4632,9 მლნ. ცალი პაპიროსი. ააგეს მთელი რიგი საფერმენტაციო ქარხნები ხარისხოვანი თამბაქოს გადასამუშავებლად.

სამრეწველო საფუძველზე მოეწყო პურის ცხობა. თბილისში ააგეს პურის 2 მექანიზებული ქარხანა. ამასთან მთელ რიგ რაიცენტრებში მოეწყო მექანიზებული პურსაცხობები. თბილისში მოქმედებდა მექანიზებული წისქვილ-კომბინატი მძლავრი ელევატორით.

საქართველოს ეთერზეთოვანმა მრეწველობამ თავისი არსებობის ხანმოკლე დროის განმავლობაში აითვისა ეთეროვანი ზეთის გამოშვება ფართო ასორტიმენტით (დაახლოებით 20 სახის ზეთი). ეთეროვანი ზეთის ძირითადი მომხმარებელი იყო საპარფიუმერიო და კვების მრეწველობა.

საქართველოში შეიქმნა მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მთელი რიგი ტექნიკურად შეიარაღებული დარგები, რომელთა ორგანიზაციაზე 166,6 მლნ. მანეთი დაიხარჯა.

თბილისში აგებულ იქნა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უდიდესი სატრიკოტაჟო კომბინატი.

საქართველოს მსუბუქმა და საფეიქრო მრეწველობამ 1940 წელს 264,8 მლნ. მანეთის პროდუქცია გამოუშვა (1926-27 წლების ფასებით) მარტო მსუბუქმა მრეწველობამ 1939 წელთან შედარებით გამოუშვა 9,1 პროცენტით მეტი პროდუქცია.

1940 წლისათვის 1913 წელთან შედარებით შალეულის ქსოვილის წარმოება გადიდდა 16-ჯერ, აბრეშუმის ქსოვილებისა 88-ჯერ, ფეხსაცმლისა 43-ჯერ[41].

დიდი წარმატებები მოიპოვა ადგილობრივმა მრეწველობამ ფართო მოხმარების საქონლის გადიდებული რაოდენობით გამოშვების საქმეში.

ადგილობრივი სამკურნალო ნედლეულის ბაზაზე საქართველოში შეიქმნა ფარმაკოქიმიური მრეწველობა.

სარეწაო კოოპერაცია, რომელიც სამრეწველო წარმოების სხვადასხვა დარგს მოიცავდა, ვითარდებოდა ფართო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი გაფართოების ხაზით. ხუთწლედების განმავლობაში შექმნილმა საწარმოებმა 1940 წელს გამოუშვეს 291,0 მლნ. მანეთის სხვადასხვა ნაწარმი (1932 წლის ფასებით), ძირითადად ფართო მოხმარების საქონელი.

საქართველოს სსრ მსხვილი მრეწველობის თითქმის ყველა დარგის პროდუქცია შემდგომი თვალსაჩინო მატებით ხასიათდებოდა და 1940 წელს ჩვენი რესპუბლიკის მსხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 33,3 პროცენტით სჭარბობდა 1937 წლის შესადარის მაჩვენებელს. მსხვილი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ასეთი ზრდა არსებითად შრომის მწარმოებლურობის ამაღლების შედეგად იქნა მიღწეული. რაც შეეხება წვრილ მრეწველობას, 1940 წელს მისი მთლიანი პროდუქცია 1937 წელთან შედარებით 45,1 პროცენტით გაიზარდა.

დიდი სამამულო ომის წინაწელს მსხვილი მრეწველობა საბჭოთა საქართველოს მთელი ინდუსტრიული წარმოების საწარმოთა მარტოოდენ 9,4 პრო-

---

41 კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, გვ. 4.

ცენტსა და მთლიანი პროდუქციის 85,9 პროცენტს მოიცავდა. იგი გადამწყვეტ როლს ასრულებდა ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებაში[42].

1937 და 1940 წლების მონაცემებით სსრ კავშირის მთელი მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 45 პროცენტით გაიზარდა[43]. ხოლო საბჭოთა საქართველოს მთელი ინდუსტრიული წარმოების განვითარების შესატყვისი მაჩვენებელი 34,9 პროცენტით გადიდდა. მაშასადამე, მესამე ხუთწლედის ომამდელ წლებში საქართველოს სსრ ინდუსტრიული წარმოების მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპი რამდენადმე ჩამორჩებოდა სსრ კავშირის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ზრდის საშუალო ტემპს. ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, ჩვენი რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკული ბაზის არასაკმაო ზრდა შეადგენდა. ამასთან დაკავშირებით ელექტროსადგურების მშენებლობისა და ელექტროენერგეტიკული ბაზის განვითარების ტემპის გაძლიერება საქართველოს კომპარტიის XIII ყრილობამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დააყენა[44].

ასეთი იყო ის მთავარი შედეგები მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარების დარგში, რომელსაც მიაღწია საბჭოთა საქართველომ სსრ კავშირის დიდი სამამულო ომის წინა პერიოდისათვის.

---

42 საქართველოს სახალხო მეურნეობა 1921—1967 წწ., პ. გუგუშვილის რედაქციით, თბ., 1967, გვ. 430—431.

43 Народное хозяйство СССР в 1958 году, ст. Эжегодник, 1959, გვ. 142.

44 საქართველოს კპ(ბ) XIII ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 446—447.

შოთა ნოზაძე

რევოლუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საქართველოს საზოგადოების მოღვაწეობა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გავლენით მსოფლიოში ფართოდ განვითარდა რევოლუციური მოძრაობა. მთელ რიგ ქვეყნებში ბურჟუაზიას ფეხქვეშ ნიადაგი ეცლება და იგი განწირულია დასაღუპავად. მაგრამ მის დასახმარებლად გამოდიან შეიდემანისა და ნოსკეს ტიპის სოციალ-რეფორმისტები, რომლებიც ღალატობენ მუშათა კლასს. სწორედ სოციალ-რეფორმისტთა გამცემლობამ განაპირობა რევოლუციების დამარცხება გერმანიაში, უნგრეთში, რუმინეთში, ესტონეთში, ლიტვასა და ლატვიაში. ბურჟუაზია ძალაუფლებას ინარჩუნებს, რეაქციის გაერთიანებული ძალები მუშათა კლასის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდნენ. საპატიმროები რევოლუციონერებით აივსო. ბევრი მათგანი იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო და თავი სხვა ქვეყნისათვის შეეფარებინა. კაპიტალის ტყვეობაში მყოფი რევოლუციონერები, აგრეთვე პოლიტიკური ემიგრანტები და მათი ოჯახის წევრები საჭიროებენ როგორც მორალურ, ისე მატერიალურ დახმარებას. ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციის აუცილებელი შექმნა.

ასეთი ორგანიზაცია შეიქმნა სსრ კავშირის „ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების“ წინადადებით და კომინტერნის IV კონგრესის (1922 წ.) გადაწყვეტილებით და ეწოდა „რევოლუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოება („რემედას“). იგი მალე გადაიქცა მძლავრ ორგანიზაციად. 1934 წლისათვის ის თავის რიგებში 71 სექციას და 15 მილიონ წევრს აერთიანებდა. „რემედასის“ სექციებს შორის წამყვანი იყო სსრ კავშირის სექცია, რომელშიც ამ დროს 10 მილიონი წევრი ირიცხებოდა.

„რემედასმა“ თავისი არსებობის 25 წლის მანძილზე (1922—1947 წწ) ფართო და მრავალფეროვანი მუშაობა გასწია. ეხებოდა რა რემედასის მოღვაწეობის მნიშვნელობას, საერთაშორისო პროლეტარიატის ერთ-ერთი გამოჩენილი ლიდერი გ. დიმიტროვი კომინტერნის VII მსოფლიო კონგრესზე (1935 წ. ივლისი) ამბობდა: „იმ მატერიალური და მორალური დახმარებით, რომელსაც რემედასის ორგანიზაციები უწევენ დაპატიმრებულთა და მათ ოჯახებს, პოლიტიკურ ემიგრანტებს, დევნილ რევოლუციონერებს და ანტიფაშისტებს, გადარჩენილია სხვადასხვა ქვეყანაში მუშათა კლასის მრავალი ათასი ყველაზე ძვირფასი მებრძოლის სიცოცხლე, ძალა და ბრძოლის უნარი. ყოველ ჩვენგანს, ვინც კი საპყრობილეში მჯდარა, თვითონ უშუალოდ განუცდია „რემედასის“ მოღვაწეობის უდიდესი მნიშვნელობა. „რემედასმა“ თავისი მოღვაწეობით მოიხვეჭა მრავალი ასეული ათასი პროლეტარის, გლეხო-

ბისა და ინტელიგენციის რევოლუციური ელემენტების სიყვარული და ღრმა მადლობა"[1].

„რემედასის" ამ მრავალმხრივ მოღვაწეობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს ორგანიზაცია.

* * *

„რემედასის" საქართველოს ორგანიზაცია შეიქმნა 1922 წლის ბოლოს. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი სისტემატურ დახმარებას უწევდა პარტიის საოლქო, საქალაქო და სამაზრო კომიტეტებს „რემედასის" უჯრედების შექმნაში, მათი მუშაობის გაუმჯობესებაში და სხვ. იგი ამავე დროს ახორციელებდა საჭირო ღონისძიებებს მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისა და რევოლუციისათვის მებრძოლთა დახმარების გაძლიერებისათვის. ამ ღონისძიებათა შედეგებმა მალე იჩინა თავი. „რემედასის" შექმნის პირველსავე წელს რესპუბლიკის 20 მაზრაში ჩამოყალიბდა მისი 237 უჯრედი, რომლებშიც 57 000 წევრი იყო გაერთიანებული[2]. 1933 წ. 1 იანვრისათვის საქართველოს „რემედასის" 4028 პირველად ორგანიზაციაში 270 461 წევრი ირიცხებოდა[3], ათი წლის შემდეგ, 1943 წელს, დიდი სამამულო ომის მძიმე პერიოდში, როდესაც მნიშვნელოვნად შემცირდა სსრ კავშირის „რემედასის" წევრთა საერთო რაოდენობა, საქართველოს ორგანიზაციებში 396 747 კაცი იყო გაერთიანებული[4]. 1945 წლისათვის კი საქართველოს ორგანიზაციას წევრთა რაოდენობით, უკრაინისა და მოსკოვის შემდეგ, მესამე ადგილი ეკავა[5].

საქართველოს „რემედასი" პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით ფართო სააგიტაციო-პროპაგანდისტულ და ინტერნაციონალურ-აღმზრდელობით მუშაობას ეწეოდა. ეს მუშაობა მიმდინარეობდა როგორც ზეპირი, ისე ბეჭდვითი პროპაგანდის საშუალებით. სისტემატურად იმართებოდა ინტერნაციონალური (გამოჩენილ რევოლუციონერთა — ტელმანის, დიმიტროვისა და სხვ. დაცვის), აგრეთვე კალენდარული (პარიზის კომუნის — 18 მარტი, კანტონის კომუნის — 20 დეკემბერი და სხვ.) კამპანიები, ეწყობოდა სპეციალური რემედასული დღეები, მიტინგები. მაგალითად, 1927—32 წლებში გაიმართა 98 ასეთი კამპანია[6], 9 ახალგაზრდა ამერიკელი ზანგის დასჯის წინააღმდეგ 1931—1934 წლებში გამართულ საპროტესტო მიტინგებზე მიღებულ იქნა 1200 რეზოლუცია[7]. 18 კამპანია მიეძღვნა პარიზის კომუნის, ომის საწინააღმდეგო (1 აგვისტო), ოქტომბრის რევოლუციისა და სხვა ისტორიულ თარიღებს[8], რასაც თან ახლდა კლუ-

---

[1] გ. დიმიტროვი, ფაშიზმის შემოტევა და კომუნისტური ინტერნაციონალის ამოცანები მუშათა კლასის მთლიანობისათვის ბრძოლაში ფაშიზმის წინააღმდეგ, თბ., 1935, გვ. 128—129.

[2] ცენტრალური სახელმწიფო არქივი (თბილისი), (შემდეგში შემოკლებით: ცსა), ფ. 1641, აღწ. 1, საქ. 252, ფურც. 18.

[3] იქვე, საქ. 14, ფურც. 1.

[4] ცენტრალური სახელმწიფო არქივი (მოსკოვი), ფ. 8265, აღწ. I, საქ. 164, ფ. 3.

[5] იქვე, საქ. 177, ფ. 15.

[6] იქვე, საქ. 187, ფ. 11.

[7] ცსა (თბილისი), ფ. 1641, აღწ. 1, საქ. 19, ფურც. 109.

[8] იქვე

ბებსა და წითელ კუთხეებში შესაბამისი გამოფენების მოწყობა, კედლის გაზეთების გამოშვება, მრავალი წერილისა და სტატიის გამოქვეყნება ჟურნალ „რემედასში“, აგრეთვე რესპუბლიკური და ადგილობრივი პრესის ფურცლებზე, მშრომელთა შორის სისტემატურად ლექციების, მოხსენებების და პროპაგანდის სხვა ღონისძიებების ჩატარება.

„რემედასის“ ორგანიზაციების ასეთმა ფართო სააგიტაციო-პროპაგანდისტულმა და ინტერნაციონალური აღზრდისათვის გაწეულმა მუშაობამ განაპირობა კაპიტალის ტყვეებისადმი დახმარებაში რესპუბლიკის მშრომელთა აქტიური მონაწილეობა.

1923 წ. მეორე ნახევარში მდგომარეობა გერმანიაში უკიდურესად გამწვავდა. ეკონომიურმა კრიზისმა უმაღლეს დონეს მიაღწია, უმუშევართა რიცხვმა ნახევარ მილიონს გადააჭარბა, მკვეთრად შემცირდა მუშათა ხელფასი, დიდად გაუარესდა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა, დაიძაბა საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობა საფრანგეთთან.

ასეთ ვითარებაში მსხვილი ბურჟუაზია მოითხოვდა ხელფასის გაუდიდებლად 8-საათიანი სამუშაო დღის გაუქმებას და მის ნაცვლად 10-საათიანი დღის შემოღებას, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების, საკონტროლო კომისიების და მუშათა წითელი რაზმების დაშლას, პროფკავშირების უფლებების შეზღუდვას, რაიხსტაგის დათხოვნას 1924 წლის მარტამდე და დიქტატურული ხელისუფლების დაწესებას. მთავრობამ გარეკა მუშათა რევოლუციური ორგანიზაციები, გადატრიალება მოხდა ბავარიასა და საქსონიაში. დაიწყო ტერორი, დევნას განიცდიდნენ კომუნისტები.

გერმანიის მუშათა კლასი საჭიროებდა როგორც მორალურ, ისე მატერიალურ დახმარებას და ეს დახმარება, უწინარეს ყოვლისა, მათ მიიღეს საბჭოთა კავშირიდან. ამ დახმარებაში თავისი ღირსეული წვლილი შეიტანეს საქართველოს მშრომელებმა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამ პერიოდში თვითონ განიცდიდნენ დიდ სიძნელეებს.

თბილისის მუშებსა და მოსამსახურეებს გერმანიის მუშათა კლასის დახმარების ფონდში შეჰქონდათ სხვადასხვა ნივთები, ერთი დღის ხელფასი. ამ მიზნით კინოთეატრებში გაიმართა კინო-ფილმებისა და სპეციალური სპექტაკლების ჩვენება, მოეწყო კონცერტები. სოხუმელმა მუშებმა გერმანელთა დახმარების ფონდში შეიტანეს ერთი დღის ხელფასი, წარმატებით მოეწყო აგრეთვე შეწირულებათა შეგროვება სოფლად[9]. ასეთივე ღონისძიებები გაიმართა რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და სოფლებშიც. ამის შედეგად, 1924 წ. 1 თებერვლის ცნობებით, ოთხი თვის განმავლობაში გერმანიის პროლეტარიატისა და მათი შვილების დახმარების ფონდში ასი ათას მანეთზე მეტი შეგროვდა, მათ შორის თბილისის მშრომელებმა შეაგროვეს 31 ათას მანეთზე მეტი[10].

ინტერნაციონალურ-აღმზრდელობითი მუშაობა „რემედასმა“ განსაკუთრებით გააძლიერა ესპანეთის ამბებთან დაკავშირებით.

1936 წ. ივლისში ესპანეთში დაიწყო სამხედრო ამბოხება, რაც განხორციელდა ფაშისტური სახელმწიფოების — გერმანიისა და იტალიის დახმარე-

---

9 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი (შემდეგში: პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 1, საქ. 875, ფურც. 54.

10 იქვე, ფ. 17, აღწ. 1, საქ. 292, ფურც. 76.

ბით. ესპანელ რესპუბლიკელებს სოლიდარობა გამოუცხადა პროგრესულმა კაცობრიობამ. 1936 წ. 13 აგვისტოს პარიზში ევროპის კონფერენციაზე შეიქმნა ესპანეთის დამხმარე საერთაშორისო კომიტეტი, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა სსრ კავშირი.

1936 წ. 3 აგვისტოს წითელ მოედანზე 120 ათასი კაცი დაესწრო მიტინგს, რომლის მონაწილეებმა მკაცრად დაგმეს ესპანელი ფაშისტი მეამბოხენი და მათი ხელისშემწყობნი[11]. სსრ კავშირის „რემედასის" ცენტრალურმა კომიტეტმა 5 აგვისტოს გამოაქვეყნა მიმართვა ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელისადმი ესპანელი ხალხის დახმარების ფონდში თანხების შეტანის შესახებ[12]. დაიწყო ესპანელი ბავშვებისა და ქალების დახმარებისათვის სახსრების ნებაყოფლობითი შეგროვება. სულ მოკლე დროში, უკვე 27 ოქტომბრისათვის, აღნიშნულ ფონდში შეევიდა 47 595 318 მანეთი და 31 კაპ. რითაც შეისყიდეს რესპუბლიკური ესპანეთისათვის სურსათი, მედიკამენტები და ტანსაცმელი[13].

სსრ კავშირის რემედასის ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოველთა ინიციატივას ფართოდ გამოეხმაურნენ საქართველოს მშრომელები. ფართოდ გაიშალა ომში დაღუპულთა ოჯახებისა და მებრძოლთა დახმარების ფონდში ნებაყოფლობით შეწირულობათა შეტანა, იმართებოდა კონცერტები, იდგმებოდა სპექტაკლები, უჩვენებდნენ კინო-ფილმებს. რესპუბლიკაში მარტო ორი კვირის განმავლობაში 43 ათას მანეთამდე შეგროვდა. სახსრების შეგროვება შემდეგშიც წარმატებით მიმდინარეობდა[14]. ამასთან, იმ 557 საბჭოთა მოხალისედან, რომლებიც წარმატებით იბრძოდნენ ესპანეთში ინტერნაციონალურ ბრიგადებში[15], იყვნენ ქართველებიც. მათ შორის ბალტიის ფლოტის სახაზო ხომალდის მეთაური ს. რამიშვილი დაინიშნა კარტახენის საზღვაო ბაზის მეთაურის მრჩეველად და ყველაფერს აკეთებდა საბჭოთა კავშირიდან ჩასული ხომალდების, თვითმფრინავების, კატარღების დროულად განტვირთვისა და საჭურველის, სურსათის, საომარი მასალის დაუყოვნებლივ დანიშნულებით გაგზავნისათვის.

* * *

მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა გახდა ინტერნაციონალური კავშირი და შეფობა. „რემედასის" პირველმა საკავშირო თათბირმა (1932 წ. 12 აგვისტო) განსაზღვრა მისი შემდეგი ფორმები და მეთოდები: 1. შეფობა პოლიტიკურ პატიმრებსა და მათი ოჯახის წევრებზე; 2) შეფობა პოლიტიკური პატიმრებისა და კაპიტალის მსხვერპლთა ბავშვებზე, რომლებიც „რემედასის" საბავშვო სახლებში იმყოფებიან; 3) სსრ კავშირში მოწვევა „რემედასის" მოძმე სექციების დელეგაციებისა; 4) მიმოწერა „რემედასის" მოძმე სექციებთან და 5) საერთაშორისო რევოლუციური შეჯიბრებები.

---

[11] газ. „Правда", 4 августа 1936 г.

[12] იქვე, 1936 წლის 5 აგვისტო.

[13] Международная солидарность трудящихся в борьбе с фашизмом, против развязывания второй мировой воины (1933—1937), М., 1961, გვ. 18.

[14] გაზ. „კომუნისტი", 1936 წლის 8 ოქტომბერი.

[15] Истории Великой Отечественной воины Советского Союза (1941—1945), I, М., 1963, გვ. 113.

შეფობის იდეა პირველად ჯერ კიდევ 1923 წ. თებერვალში წამოაყენა ვიატკის (ახლა კიროვი) რემედასის პირველადმა უჯრედმა. მანვე იკისრა შეფობა სამი კაპიტალისტური ქვეყნის საპატიმროებში გამომწყვდეულ რევოლუციონერებზე[16].

შეფობა არ ატარებდა კორესპონდენციების მხოლოდ მიღება-გაგზავნის ხასიათს. წერილს, ვიდრე იგი ადრესატს გაეგზავნებოდა, განიხილავდნენ „რემედასის" წევრთა საერთო კრებაზე, კონფერენციაზე ან ინტერნაციონალურ საღამოებზე. წერილში აღინიშნებოდა საწარმოს წარმატებები, მშრომელთა მატერიალური და კულტურული მდგომარეობა. ამ გზით წერილების განხილვა ინტერნაციონალური აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმა ხდებოდა. 1923—1933 წწ. საბჭოთა კავშირის რემედასელებმა 19594 წერილი გაგზავნეს, ხოლო მიიღეს 208 წერილი[17]. 1932 წელს ისინი შეფობას უწევდნენ პოლიტპატიმართა 267, ხოლო 1936 წელს — 367 საპატიმროს[18]. მიმოწერა მიმდინარეობდა აგრეთვე რემედასის მოძმე ორგანიზაციებთან. 1932 წელს გაიგზავნა 297 ასეთი წერილი, მიღებულ იქნა 61 წერილი[19].

საქართველოს რემედასელებმა მნიშვნელოვანი საშეფო მუშაობა განახორციელეს პოლიტიკურ პატიმრებთან ინტერნაციონალური მიმოწერებით, საშეფო თანხების შეკრებით, ინტერნაციონალური შაბათობების მოწყობით, ინტერნაციონალური, რემედასული ჰექტარების დათესვით. წერილები, რომლებსაც ქართველი რემედასელები უგზავნიდნენ კაპიტალის ტყვეობაში მყოფ რევოლუციონერებს, გამსჭვალულია ღრმა პატრიოტული და ინტერნაციონალური გრძნობით.

ქართველი რემედასელები გაგზავნილ წერილებზე ხშირად იღებდნენ პასუხებს. ეს მუშაობა მეტად რთულ პირობებთან იყო დაკავშირებული, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც რემედასის სექციები არალეგალურად მოქმედებდნენ. მიღებული საპასუხო წერილები იკითხებოდა მშრომელთა კოლექტივებში, ზოგი მათგანი პერიოდულ პრესაშიც ქვეყნდებოდა.

1926 წ. ოქტომბერში რემედასის აჭარის საოლქო კომიტეტმა მიიღო ვენის საპყრობილის პოლიტპატიმართა წერილი, სადაც იტყობინებოდნენ თავიანთ მძიმე მდგომარეობაზე და მტკიცე რწმენით რომ განაგრძობენ შეუპოვარ ბრძოლას[20].

„რემედასის" საქართველოს უჯრედებმა 1928 წ. ბოლოს მიიღეს სამხრეთ სლავიის პოლიტპატიმრების წერილი. ისინი საქართველოს რემედასელებს, მიღებული წერილის პასუხად ატყობინებენ, რომ ქ. ზაგრებმა, რომლის მცხოვრებთა რაოდენობა 13 000 სულს არ აღემატება, 1928 წ. იანვრიდან სექტემბრამდე გაიღო შემდეგი მსხვერპლი: 21 ივლისის დემონსტრაციის დროს მოკლულია 3 კაცი, მძიმედ დაიჭრა 8, ხოლო მსუბუქად — 220. ხუთ კაცს მისჯია პატიმრობა, 152 გასამართლებულია ადმინისტრაციული წესით, 41 გადასახლებულია. ამავე პერიოდში მოაწყვეს 1000 გაჩხრეკვა, პოლიტიკურ დევნილთა რაოდენობა 321 უდრიდა. შემდეგ იტყობინებოდნენ, რომ უახლოეს

16 ცსა (მოსკოვი), ფ. 8265, აღწ. 1, საქ. 187, ფურც. 5.
17 იქვე, ფურც. 14.
18 იქვე.
19 იქვე.
20 ჟურ. „რემედასი", № 10, 1928, გვ. 8.

დღეებში მოეწყობა მათი 5 ამხანაგის პროცესი. „ეს დევნა, — წერდნენ ისინი, — ოდნავადაც ვერ აფერხებს ჩვენს ბრძოლას, პირიქით ჩვენ ვმაგრდებით და თქვენი დახმარება უფრო გვამხნევებს ამ საბედისწერო ბრძოლაში“[21].

მუშაობის ეს ფორმა შემდგომ წლებში კიდევ უფრო გაიზარდა და გაფართოვდა. 1931—34 წლებში საშეფო ციხეების პოლიტპატიმრებს საქართველოდან გაეგზავნა 213 წერილი. 1934 წლისათვის შეფობა ხორციელდება პოლიტპატიმართა 14 საპატიმროზე, მათ შორის 5 საპატიმრო იყო საფრანგეთში, ესპანეთსა და ამერიკაში, სადაც რემედასის სექციები ლეგალურად მუშაობდნენ, 9 საპატიმრო კი საბერძნეთში, ბულგარეთში, ესტონეთში, იტალიაში, ინდოჩინეთსა და ჰოლანდიაშია, სადაც რემედასელები არალეგალურად მოქმედებენ[22]. 1935 წელს წერილები გაეგზავნა საზღვარგარეთის 20 ორგანიზაციას, ამავე წელს 300 წერილი გაეგზავნა უცხოეთში პოლიტპატიმრებს[23]. საქართველოს რემედასელები საშეფო მიმოწერას აწარმოებდნენ აშშ ხარლაპის, საბერძნეთის კავალდას, ესპანეთის მოდელის (მადრიდი), პოლონეთის პლოცკის, კუბის კასტელოს (ჰავანა), არგენტინის ვილო დე ვატის, იტალიის ალვეროს საპატიმროებსა და გერმანიის ჰოჰენშტეინის საკონცენტრაციო ბანაკის პატიმრებთან. მათთან წერილები გაგზავნეს თბილისის გეოლოგიური სამმართველოს, გრიბოედოვის სახელმწიფო თეატრის, ქიმიური კომბინატის, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის, საკავშირო სამედიცინო ინსტიტუტის სოხუმის ექსპერიმენტული ფილიალის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა, ბათუმის რაიონის კალინინის სახელობის, ლანჩხუთის რაიონის აცანის კოლმეურნეობის მშრომელებმა და სხვ. უცხოეთის მოსწავლე-ახალგაზრდობასთან, პოლიტპატიმართა ბავშვებთან მიმოწერა ჰქონდათ თბილისის, ბათუმის და სხვ. ქალაქებისა და რაიონების სკოლების პიონერ-მოსწავლეებს.

ლანჩხუთის რაიონის აცანის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრები სისტემატურად უგზავნიდნენ წერილებს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილ ლიდერებს, კერძოდ კი გერმანიის მუშათა კლასის ბელადს, ფაშისტურ ჯურღმულებში გამომწყვდეულ ერნსტ ტელმანს, რომლის სასარგებლოდაც შეაგროვეს 1936 წელს 1200 მანეთი, 1937 წელს — 1700, ხოლო 1938 წელს 2180 მანეთი[24]. ამავე რაიონის ჩოჩხათის შრომის უბნის კოლმეურნეობა თავის საპატიო წევრს გარდა წერილებისა, უგზავნიდა კოლმეურნეობაში გამომუშავებული შრომადღის საშუალო ღირებულების ფულად თანხას. 1937 წელს მას გადაერიცხა 1200 მანეთი. პოლიტპატიმართა სასარგებლოდ რემედასის ცენტრალურ კომიტეტს გადაერიცხა მუშაობის დამთავრების შემდეგ მოწყობილი შაბათობებიდან შემოსული თანხა საკირე ქარხნიდან 121 მანეთი, ხოლო რემედასელი ჰექტარებიდან შემოსული თანხები — აკეთის (375 მანეთი), შუხუთის (212 მანეთი), ქალაქუბნის (163 მანეთი) და შრომის უბნის (210 მანეთი) კოლმეურნეობებიდან[25]. ეს მუშაო-

---

21 ჟურ. „რემედასი“, № 1, 1929, გვ. 17.
22 ცსა (თბილისი), ფ. 1641, აღწ. I, საქ. 19, ფურ. 96.
23 იქვე, საქ. 30, ფურ. 1—3.
24 იქვე, საქ. 74, ფურ. 28.
25 ჟურ. „რემედასი“, № 4, 1935, გვ. 15.

ბა შემდეგ წლებშიც წარმატებით გრძელდებოდა. კაპიტალის მსხვერპლთათვის საქართველოს რემედასელთა მიერ გაწეული მატერიალური დახმარება 1938 წელს გამოიხატა 220 000 მანეთის რაოდენობით[26].

„რემედასის“ მოღვაწეობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ხელოვნების მუშაკებიც.

1940 წლის 19 ივნისს თბილისში გაიმართა დედაქალაქის ხელოვნების მუშაკთა საერთო საქალაქო კრება. მოხსენების მოსმენის შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა ა. ხორავამ და ა. ვასაძემ, პროფ. ი. ნიკოლაძემ, კომპოზიტორ-დირიჟორმა შ. აზმაიფარაშვილმა და სხვ. რომლებმაც ხაზგასმით აღნიშნეს რევოლუციისათვის მებრძოლთა დახმარების უდიდესი მნიშვნელობა. „მხატვართა კავშირის გალერეაში, — თქვა თავის სიტყვაში პროფ. ი. ნიკოლაძემ, — მოვაწყობ გამოფენას და მთელ შემოსავალს გადავცემ რევოლუციის მებრძოლთა დამხმარე ფონდს. ამასთან, ვკისრულობ შევქმნა რევოლუციის ერთ-ერთი მებრძოლის ქანდაკება“[27].

ხელოვნების მუშაკთა საქალაქო კრებამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, სადაც საქართველოს მწერლებმა და ხელოვნების ოსტატებმა მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა მოწოდების პასუხად ვალდებულება იკისრეს უფრო ფართოდ და აქტიურად ჩაებან რემედასის მუშაობაში, ძმური დახმარების ხელი გაუწოდონ რევოლუციისათვის თავდადებულ მებრძოლებს[28].

ამ მხრივ მისაბაძი გახდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივის მოღვაწეობა. ჯერ კიდევ 1939 წელს თეატრის კოლექტივმა მოწოდებით მიმართა რესპუბლიკის ყველა მსახიობს აქტიური მონაწილეობა მიიღონ რემედასის მუშაობაში, შექმნან რემედასის სპეციალური ფონდი, სადაც ყოველწლიურად გადარიცხავენ ერთი დღის ხელფასს, რემედასის სასარგებლოდ ერთ კონცერტსა და სპექტაკლში მიიღონ მონაწილეობა, შეფობა გაუწიონ საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყნის ერთ-ერთი ციხის პოლიტიკურ პატიმრებს[29]. მოსკოველთა მოწოდების შემდეგ ეს მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერდა. დაიდგა სპექტაკლი „ქეთო და კოტე“ საკონცერტო შესრულებით, რომლის მთელი შემოსავალი რემედასის ფონდში გადაირიცხა. მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურნენ და შესაბამის ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდნენ დ. გამრეკელი, ნ. გოცირიძე, მ. ყვარელაშვილი, ნ. ხარაძე, გერმესაშვილი, ლ. ისეცკი, ლიტვინენკო, მაჩაბელი და სხვ. „მე, როგორც საბჭოთა მსახიობი, — განაცხადა თეატრის სოლისტმა ნ, ხარაძემ, — ყოველთვის ვიმღერებ მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცებისათვის, კაპიტალისტურ ციხეებში გამომწყვდეულთა დასახმარებლად. დე, ჩემი ხმა მისწვდეს მათ სმენას, რომ საქართველოდან გაწვდილმა ხელმა აღამაღლოს მათი ბრძოლისუნარიანობა და განამტკიცოს მათი ნებისყოფა... და როდესაც მათთვის ვმღერი, ვგრძნობ ჩემი ხმის ძლიერებას, მის სილამაზეს და ხავერდოვნებას, რადგან მჯერა, რომ ჩემს სიმღერას თავისებური წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის კავშირურთიერთობის განმტკიცებაში ბურჟუ-

26 გაზ. „კომუნისტი“, 1939 წ. 18 მარტი.
27 ეურ. „რემედასი“. № 4, 1940, გვ. 10—11.
28 ეურ. „რემედასი“, № 6, 1940, გვ. 16.
29 იქვე, № 6, 1939, გვ. 9—10.

აზიული ქვეყნების მუშათა კლასთან, რადგან ვიცი, რომ ჩემს სიმღერაში სოციალიზმის ქვეყნის მიღწევებია ასახული"[30].

ამ მოძრაობაში აქტიურად ჩაებნენ რიგი თვითმოქმედი კოლექტივები. 1940 წელს ლუქსემბურგში ადგილობრივი ძალებით გაიმართა ინტერნაციონალური საღამო-წარმოდგენა, რომლის შემოსავალი (1650 მანეთი) ჩარიცხეს რევოლუციისათვის მებრძოლთა დახმარების ფონდში[31]. ამავე ფონდში ჩაირიცხა 1250 მანეთი, რომელიც შემოვიდა თბილისის შრომის სასახლის რემედასის პირველადი უჯრედის ინიციატივით თვითმოქმედი წრეების, გუნდებისა და ანსამბლების მონაწილეობით გამართული საღამო-კონცერტიდან[32].

საქართველოს მშრომელთა ფართო ინტერნაციონალური კავშირი და რევოლუციისათვის მებრძოლთა მატერიალური და მორალური დახმარება მაღალ შეფასებას იმსახურებდა პოლიტიკური პატიმრებისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეებისაგან. მაგალითად, უნგრეთის მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე, გულითადი მადლობის წერილს სწერს საქართველოს რემედასის ცენტრალურ კომიტეტს და რწმენას გამოთქვამს, რომ საქართველოს რემედასი მომავალშიაც მაღლა ატარებს ინტერნაციონალური სოლიდარობის დროშას, განაგრძობს მორალური და მატერიალური დახმარების აღმოჩენის გაწევას კაპიტალის ტყვეებისადმი[33].

ინტერნაციონალური კავშირის მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენდა რემედასის სექციების დელეგაციების ჩამოსვლები საბჭოთა კავშირში. დელეგაციის წევრები, ეცნობოდნენ რა საბჭოთა ხალხის წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, თავიანთ მოძმეებს მოუთხრობდნენ ამ წარმატებათა შესახებ. ეს კი სერიოზული ლახვარი იყო იმ ცილისწამებათა წინააღმდეგ, რასაც ბურჟუაზიული იდეოლოგები და ემიგრანტები ავრცელებდნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა ცხოვრების შესახებ.

საბჭოთა კავშირში მარტო რემედასის მესამე (1931 წ.) და მეოთხე (1934 წ.) ყრილობებს შორის განვლილ პერიოდში ჩამოვიდა 13 ქვეყნის 15 დელეგაცია[34].

ცოტა უფრო ვრცლად უნდა შევჩერდეთ იმ შთაბეჭდილებებზე, რომლითაც წავიდნენ საქართველოდან ეს დელეგაციები და მათი წევრები.

1927 წ. საქართველოში ერთი კვირა იმყოფებოდა გერმანიისა და საფრანგეთის გაერთიანებული დელეგაცია 7 კაცის შემადგენლობით. დელეგაცია გაეცნო საქართველოს, იყო ზაჰესში, მთელ რიგ წარმოება-დაწესებულებებში და სამშობლოში წასვლის წინ საქართველოს მუშებს, გლეხებს და რემედასის წევრებს გამოუცხადა „უდიდესი ამხანაგური მადლობა" იმისათვის, რომ მათ საშუალება მიეცათ საკუთარი თვალით ენახათ ქართველი ხალხის მუშაობა და უდიდესი მიღწევები. ამასთან ისინი რწმენას გამოთქვამდნენ, რომ ეს წარმა-

30 ჟურ. „რემედასი", № 1, 1940, გვ. 12.
31 იქვე, № 7, 1940, გვ. 16.
32 იქვე, № 10, 1940, გვ. 15.
33 ჟურ. „რემედასი", № 12. 1940, გვ. 1.
34 ცსა (მოსკოვი), ფ. 8265, აღწ. I, საქ. 187, ფ. 14.

ტებები მომავალშიც უდიდეს შედეგებს მიაღწევს. თავიანთ წერილში დელეგაციის წევრები აღნიშნავენ, რომ ისინი დარწმუნდნენ „დასავლეთ-ევროპის სოციალ-დემოკრატების მიერ წარმოებული საზიზღარი ცილისწამების კამპანიის სიყალბეში, რომლის მიზანია მიჩქმალოს ევროპის საზოგადოებრივი აზრის წინაშე ის დიდი პროგრესული ნაბიჯები და საკვირველი მიღწევები, რომლითაც შეუძლია იამაყოს საქართველოს მუშათა კლასს და გლეხკაცობას... რომ ამ გამყიდველთა ხროვას მიზნად აქვს დასახული შეცდომაში შეიყვანონ დასავლეთ ევროპის მშრომელთა მილიონები, რომლებსაც აინტერესებთ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა“. ამასთან ისინი დიდ შეფასებას აძლევენ ჩვენში ნაციონალური საკითხის გადაჭრას, ქალაქისა და სოფლის კავშირს, დიდი კმაყოფილებითა და აღფრთოვანებით აღნიშნავენ საქართველოს რემედასის მუშაობას. „პატარა საქართველოში, — წერდნენ ისინი, — სადაც მოსახლეობა მხოლოდ 3 მილიონამდე აღწევს, რემედასმა შესძლო თავის რიგებში დაეთანხმა 80 000-მდე მუშა და გლეხი. ეს უდიდეს მიღწევად უნდა ითვალოს. ეს ფაქტი მაუწყებელია იმისა, რომ თქვენში ძლიერია პროლეტარული სოლიდარობის დიადი გრძნობა, საერთაშორისო რევოლუციისათვის მებრძოლთა დახმარების იდეა“. დასასრულს დელეგაციის წევრები პირობას აძლევენ ქართველ ხალხს, რომ ისინი დასავლეთის მუშათა კლასს მოუთხრობენ სიმართლეს ამ გასაოცარი მიღწევების შესახებ და თუ ვინმე შეეცდება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოსვლას, ამ ომს გადააქცევენ სამოქალაქო ომად, რათა განადგურდეს ევროპის კაციჭამია ბურჟუაზია, მათი იმპერიალისტური მისწრაფებებით[35].

საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ დელეგაციის წევრებს კავშირი არ გაუწყვეტიათ საქართველოსთან. კერძოდ მათ ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოს რემედასის ცენტრალურ კომიტეტთან.

ამავე წელს საქართველოში იმყოფებოდა საფრანგეთის უპარტიო მუშათა ახალგაზრდობის დელეგაცია, რომელიც მიესალმა საქართველოს მუშათა კლასს, აღფრთოვანება გამოთქვა სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა გამო და ფიცი დადო საქართველოს ხალხების წინაშე, რათა დაარწმუნონ თავიანთი ამხანაგები საქართველოს წარმატებებში და თვალები აუხილონ იმათ, ვისაც ჯერ კიდევ არ სჯერა ეს წარმატებები. ამასთან ასწავლონ თავიანთ ამხანაგებს სოციალიზმის დასამყარებლად ბრძოლის ის მეთოდები, რომლებსაც აქ, საქართველოში ახორციელებენ[36].

1927 წელს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 10 წლისთავის გამო, „რემედასის“ საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა წერილი მიიღო გერმანიიდან. შუა რაინის ოლქის მუშების წარმომადგენლები, რომლებმაც ნახეს სოციალისტური მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში აღფრთოვანებული წერდნენ ამის შესახებ და კმაყოფილებით იგონებდნენ იმ უდიდეს დახმარებას, რომელიც „რემედასმა“ გამოიჩინა გერმანიის პროლეტარიატის მიმართ მისი ბრძოლის მძიმე პირობებში. ამასთან, ისინი ფიცს დებდნენ იბრძოლონ და გაჰყვნენ იმ გზას, რომელიც საბჭოთა ხალხმა გაკაფა, ერთი წუთი-

35 ჟურნ. „რემედასი, № 2, 1927, გვ. 6—7.
36 იქვე, გვ. 7.

თაც არ დაიხიონ უკან და ერთობლივად შეებრძოლონ კაპიტალის ბატონობას, მის თარეშს[37].

პარიზის XIV უბნის „წითელი დახმარების" ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი 1927 წელს იმყოფებოდა სსრ კავშირში. იგი ჩამოვიდა საქართველოში და აქ შვიდი დღის განმავლობაში ეცნობოდა ხალხის ცხოვრებას. საქართველოს გაცნობა კი, როგორც თვითონ წერს, მისთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. ეს იმიტომ, რომ მას უნდოდა თავის თვალით ენახა შეეფერებოდა თუ არა სიმართლეს ის სიტყვები, რომლებსაც ჟორდანია-რამიშვილი და მათი ძმები ავრცელებდნენ პარიზში საქართველოს დაღუპვის, ქართველი ხალხის განადგურების, მისი კულტურის განადგურების, საქართველოში საშინელი რეჟიმის შემოღებისა და სხვათა შესახებ. „მათდა სამწუხაროდ, წერდა იგი — უნდა განვაცხადო, რომ არც ერთი მათი განცხადება სიმართლეს არ შეიცავს. ისინი უსინდისოდ ტყუიან, ისინი სასტიკ დანაშაულს ჩადიან ქართველი ხალხის წინაშე... აუწერელია ის კმაყოფილება, რომელიც მე და ჩემმა ამხანაგებმა განვიცადეთ საქართველოში მცირე ხნის განმავლობაში ყოფნის დროს"[38]. ამასთან, ისინი სიამოვნებით აღნიშნავდნენ კაპიტალის ციხეებში მოქცეულ პოლიტპატიმრებისა და მათი ოჯახების დასახმარებლად რემედასის საქართველოს ორგანიზაციის მიერ გაწეულ მოღვაწეობას. დელეგაციის პარიზში დაბრუნებისთანავე საქართველოს რემედასის ცენტრალურმა კომიტეტმა საფრანგეთიდან შემდეგი წერილი მიიღო: „ძვირფასო ამხანაგებო! ინტერნაციონალური წითელი დახმარების კომიტეტის პარიზის განყოფილება მხურვალე და რევოლუციონურ ძმურ სალამს უძღვნის რემედასის სრულიად საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს. წითელი დახმარების ინტერნაციონალური კომიტეტი უღრმეს მადლობას გიცხადებთ თქვენ პარიზის კომიტეტის დელეგატების... მეგობრული მიღებისა და იმ დახმარებისათვის, რომელიც თქვენ აღმოუჩინეთ მათ თქვენი ქვეყნის დღევანდელი ვითარების გაცნობის საქმეში.

ინტერნაციონალური წითელი დახმარების პარიზის კომიტეტი მხურვალე მადლობას უცხადებს რემედასის საქართველოს ორგანიზაციების ხელმძღვანელობასა და ყველა იმ პატიოსან მშრომელთ, რომლებიც თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობასთან ერთად არ ივიწყებენ შორეულ ქვეყნებში რევოლუციისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ამხანაგებს და აძლიერებენ მათი დახმარების მოღვაწეობას.

ჩვენმა ორგანიზაციამ სიამოვნებით და აღფრთოვანებით მოისმინა ცნობები რემედასის საქართველოს ორგანიზაციების მოღვაწეობის შესახებ. ჭეშმარიტად უდიდესი მადლობის ღირსია საქართველოს მუშათა კლასისა და რევოლუციური გლეხკაცობის თაოსნობა, რომელიც თავის ქვეყნის მშრომელ მასებში ხელს უწყობს ინტერნაციონალურ ერთსულოვნების იდეების გაძლიერებას.

ინტერნაციონალური წითელი დახმარების პარიზის კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს თან მიჰყვეს თქვენს მაგალითს, ის მზად არის შეასრულოს მაქსიმუმი შესაძლებლობისა, რათა ამრიგად პარიზის ორგანიზაციებმა საგრძნობლად გააძლიერონ თავიანთი გავლენა მშრომელ მასებზე და ყოველმხრივი და-

---

[37] ჟურ. „რემედასი", № 2, 1927, გვ. 8.

[38] იქვე, № 1, 1928, გვ. 8—9.

ხმარება აღმოუჩინონ საერთაშორისო თეთრი ტერორისა და კლასიური იუსტიციის მსხვერპლთ. პარიზის განყოფილება"[39].

ქართველი ხალხისა და საქართველოს რემედასელების მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცა ანრი ბარბიუსმა, რომელიც ჯერ კიდევ 1927 წელს გაეცნო რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებას და ჟურნალ „რემედასისათვის" სპეციალურად დაწერილ წერილში „სალამი რემედასს" დიდი აღფრთოვანებით ილაპარაკა იმ უდიდეს მუშაობაზე, რასაც რემედასის ორგანიზაციები ეწევიან რევოლუციისათვის მებრძოლთა დასახმარებლად. „სალამს ვაძლევ, — ამთავრებს ა. ბარბიუსი წერილს, — მეგობრულათ და მადლობით ჩემს ქართველ ამხანაგებს, რომელთაც მოაწყვეს ამ წითელი დახმარების ორგანიზაცია"[40].

1928 წლის 10 ივნისს თბილისში ჩამოვიდნენ ქ. ნიუ-იორკის (აშშ) რემედასის ორგანიზაციის აქტიური წევრები. სტუმრებმა დაახლოებით ერთი კვირა დაჰყვეს თბილისში. დაათვალიერეს მთელი რიგი წარმოება-დაწესებულებები და ღირსშესანიშნავი ადგილები, იყვნენ ზაჰესში. თბილისიდან ამერიკელი სტუმრები მოსკოვს გაემგზავრნენ[41]. 1929 წლის 21 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდა პოლონეთის მუშათა და გლეხთა დელეგაცია. მათ პატივსაცემად გაიმართა დიდი მიტინგი. ხუთი დღის განმავლობაში დელეგაციის წევრები გაეცნენ თბილისისა და გარეუბნის წარმოება-დაწესებულებებს, კოლმეურნეობების მუშაობას, იყვნენ ახალმშენებლობებზე, დაათვალიერეს საბავშვო სახლები, აგრეთვე გამასწორებელი სახლები[42]. 1931 წლის აპრილში ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ ბათუმში იმყოფებოდა გერმანიის მუშათა დელეგაცია, რომლის წევრებმაც მონაწილეობა მიიღეს საზეიმო შეხვედრაში. თბილისში დაესწრნენ საპირველმაისო დემონსტრაციას. მთავრობის ტრიბუნიდან მისმა წევრებმა სიტყვები წარმოთქვეს და მიესალმნენ საქართველოს მშრომელებს[43]. ამავე წლის აგვისტოში თბილისსა და სოხუმში იმყოფებოდა საფრანგეთის მუშათა დელეგაცია 10 კაცის შემადგენლობით. დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ზაჰესი, ნატახტარის მშენებლობა, საბჭოთა მეურნეობები, მუზეუმები, გაეცვნენ მთელი რიგი საწარმოო-დაწესებულებების მუშაობას, ინახულეს საზაფხულო სამხედრო ბანაკი ავჭალაში. ყველგან გაიმართა მიტინგები, მოეწყო აგრეთვე ორი ინტერნაციონალური საღამო, რომლებზეც სიტყვებით გამოვიდნენ დელეგაციის წევრები[44].

1931 წლის ოქტომბერში უნგრეთის წითელი დახმარების კომიტეტის ერთ-ერთი წევრი თბილისის რკინიგზის სარემონტო ქარხნის, ფაბრიკა „მკერავის", ტყავის ქარხნისა და მთელ რიგ სხვა ფაბრიკა-ქარხნებში გამართულ მუშათა მრავალრიცხოვან კრებებზე გამოვიდა მოხსენებით დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში გამეფებული ტერორისა და ფაშიზმის მზარდი საფრთხის შესახებ. რადიოთი გადასცეს მისი სიტყვა, რომლითაც საქართველოს

39 ჟურნ. „რემედასი", № 3, 1928, გვ. 14.
40 იქვე, № 1, 1927, გვ. 5.
41 ჟურნ. „რემედასი", № 5, 1928, გვ. 17.
42 იქვე, № 8, 1929, გვ. 3.
43 იქვე, № 5—6, 1931, გვ. 3—4.
44 იქვე, № 9—10, 1931, გვ. 2.

ყველა რემედასელს მიმართა მოწოდებით გააძლიერონ დახმარება კაპიტალის ტყვეებისადმი[45].

საქართველოში საზღვარგარეთიდან დელეგაციები შემდეგშიც სისტემატურად ჩამოდიოდნენ. 1932 წელს საქართველოში ჩამოვიდნენ დელეგაციები კანადის, ესპანეთის, არგენტინის, ინგლისის, მექსიკის სექციებიდან 38 კაცის რაოდენობით[46]. ისინი გაეცნენ როგორც საქართველოს რემედასის მუშაობას, ისე რესპუბლიკის მშრომელთა მოღვაწეობას სოციალიზმის მშენებლობაში, მათ კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს. მათივე მონაწილეობით მსხვილ საწარმოებში გაიმართა მიტინგები, რომლებმაც კიდევ უფრო განამტკიცა საქართველოს ინტერნაციონალური კავშირი საზღვარგარეთის ქვეყნებთან. ქართველი ხალხის შრომით წარმატებებს და მათ დახმარებას საზღვარგარეთის ქვეყნების რევოლუციონერებისადმი დელეგაციის წევრებმა მაღალი შეფასება მისცეს.

გარდა ოფიციალური დელეგაციებისა, საქართველოში, კერძოდ კი შავი ზღვის ქართულ სანავსადგურო ქალაქებში ფოთსა და ბათუმში ხშირად თავს იყრიდნენ საზღვარგარეთის ქვეყნების მეზღვაურები, რომლებიც რამდენიმე დღით და კვირაობითაც კი რჩებოდნენ აქ. მათთან სათანადო ინტერნაციონალური მუშაობის ჩატარების მიზნით ნავსადგურებთან არსებობდნენ ინტერნაციონალური კლუბები.

ფოთის ნავსადგურის ინტერნაციონალური კლუბი სისტემატურად აწყობდა უცხოეთის მეზღვაურებისთვის მიტინგებს, მოხსენებებს, საუბრებს პროფკავშირული მოძრაობის, კაპიტალის ქვეყნებში საგაფიცვო მოძრაობის, საარჩევნო სისტემის, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის, სსრ კავშირის საგარეო და საშინაო პოლიტიკისა და სხვ. აქტუალურ საკითხებზე. მარტო ერთი წლის (1929) განმავლობაში, კლუბმა მოაწყო 40 მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1200 უცხოელმა, ამასთან, გაიმართა 982 საუბარი და მასში მონაწილეობა მიიღო 3 000-მდე საზღვარგარეთელმა მეზღვაურმა, მათთვის ჩატარდა 17 ექსკურსია, 78 სპორტული საღამო და სხვ.[47]. ნაყოფიერ და ასევე საინტერესო მუშაობას ეწეოდა ბათუმის ნავსადგურის ინტერნაციონალური კლუბიც.

საზღვარგარეთის ორგანიზაციებთან კავშირ-ურთიერთობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას მათთან სოციალისტური შეჯიბრება წარმოადგენდა. იგი ითვალისწინებდა რემედასის ორგანიზაციების განმტკიცებას, ინტერნაციონალურ მიმოწერას, კაპიტალის ტყვეებისადმი დახმარებას და სხვ. მუშაობის ამ ფორმას თან ახლდა მთელი რიგი სიძნელეები, განსაკუთრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შემოწმებაში, მაგრამ ყველა შესაძლებლობისთანავე მუშაობის ეს მხარეც ფართოდ იყო გამოყენებული.

ამ მუშაობაში ფართო მონაწილეობას იღებდა საქართველოს რემედასი. 1932—33 წლებში მან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებები გააფორმა არგენტინის, კანადის, ლიბერიის, ესპანეთის, ურუგვაის, მექსიკის, სალვადორის, ფორმოზის სექციებთან[48]. 1935 წელს სოციალისტური შეჯიბრე-

---

45 ჟურნ. „რემედასი", № 11—12, 1931, გვ. 15.
46 ცსა (თბილისი), 1641, აღწ. I, საქ. 19, ფურც. 96.
47 ჟურნ. „რემედასი, № 5, 1930, გვ. 9—10.
48 ცსა (თბილისი), ფ. 1641, აღწ. I, საქ. 14, ფურც. 5.

ბის ხელშეკრულება დაიდო კუბის წითელი დახმარების სექციასთან[49]. მუშაობის ეს ფორმა შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა. სსრ კავშირის რემედასის ცენტრალური კომიტეტი მიესალმა და მთლიანად დაუჭირა მხარი საქართველოს რემედასის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივას საზღვარგარეთის ორგანიზაციებთან შეჯიბრებების მოწყობის შესახებ[50].

რემედასის მოღვაწეობის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან უბანს პოლიტიკური ემიგრანტებისადმი დახმარება წარმოადგენდა.

საბჭოთა რემედასის ცენტრალურმა კომიტეტმა კარგად მოაწყო პოლიტემიგრანტთა მიღებისა და მათი დახმარების ორგანიზაცია. მათთვის მოსკოვში, ოდესაში, ლენინგრადში, მინსკსა და ხარკოვში სპეციალური სახლებიც კი შექმნა, ხოლო ბავშვებისათვის ივანოვოსა (1933 წ.) და მოსკოვში (1936 წ.) გაიხსნა ინტერნაციონალური სახლები, სადაც ახალგაზრდები ეუფლებოდნენ მშობლიურ ან ერთ-ერთ უცხო ენას. ბევრმა მათგანმა მიიღო აგრეთვე უმაღლესი განათლება, სტუდენტები რემედასის რეგულარულ დახმარებას იღებდნენ.

1923—1947 წწ. განმავლობაში საბჭოთა რემედასის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო 12 ათასი პოლიტემიგრანტი და მათი ოჯახის წევრი[51], რომლებზეც გაწეულმა დახმარებამ 78 000,0 ათას მანეთზე მეტი შეადგინა[52].

1932 წლისათვის საქართველოს „რემედასი" ემსახურებოდა თბილისისა და რესპუბლიკის სხვა რაიონებში მცხოვრებ 20 პოლიტემიგრანტს. მათ გაეწიათ დიდი მატერიალური დახმარება, ყველა ისინი უზრუნველყოფილნი იყვნენ სამუშაოთი, მკურნალობითა და სხვ. საჭირო დახმარებით[53].

დიდი სამამულო ომის წინ საქართველოში იმყოფებოდა პოლიტემიგრანტთა და ყოფილ პოლიტპატიმართა 24 ოჯახი. რუმინეთის პოლიტპატიმართა ერთი ჯგუფი გაიგზავნა საქართველოს ერთ-ერთ რაიონში. იმის გამო, რომ აქ მათ ცხოვრების ნორმალური პირობები არ ჰქონდათ, ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების ჩარევის შემდეგ, ისინი სამუშაოზე გაიგზავნენ თბილისის ცენტროლიტისა და შამპანური ღვინოების ქარხნებში. მათზე გაიცა 32 128 მან. სამკურნალო დახმარება[54]. თბილისში იმყოფებოდნენ აგრეთვე პოლიტიკური ემიგრანტები და ყოფილი პოლიტიკური პატიმრები იტალიიდან, რუმინეთიდან, პოლონეთიდან, ბესარაბიიდან და სხვ. ქვეყნებიდან. რემედასის ცენტრალური კომიტეტის დახმარებით ყველა ისინი სამუშაოზე მოეწყვნენ.

პოლიტემიგრანტები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი საქართველოს „რემედასის" მუშაობასთან. ომის დროს ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ფრონტისა და ზურგის განმტკიცებისათვის მოწყობილ ღონისძიებებში, საუბრებით გამოდიოდნენ ჰოსპიტლებში, ხვდებოდნენ დაჭრილ მებრძოლებს, მონაწილეობდნენ ანტიფაშისტურ საღამოებში და სხვ[55].

---

49 ცსა (თბილისი), ფ. 1641, აღწ. 1, საქ. 30, ფურც. 1—3.
50 იქვე, საქ. 37, ფურც. 124—125.
51 ცსა (მოსკოვი), ფ. 8265, აღწ. I, საქ. 187, ფ. 20.
52 იქვე, ფ. 25.
53 ცსა (თბილისი), ფ. 1641, აღწ. I, საქ. 19, ფურც. 96.
54 ცსა (მოსკოვი), ფ. 8265, აღწ. I, საქ. 241, ფ. 5.
55 იქვე, 124.

საქართველოში იმყოფებოდა ესპანეთის ბევრი ემიგრანტი და ყოფილი პოლიტპატიმარი, მათ შორის ესპანეთის კპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ხოზე დიასი, რომელიც თბილისში გარდაიცვალა 1942 წელს და დასაფლავებულია აქვე, ვერის სასაფლაოზე.

ესპანელ პოლიტემიგრანტთა და მათი ოჯახის წევრები 380 კაცის რაოდენობით საქართველოში მოვიდნენ 1942 წლის აგვისტოში. მეორე ჯგუფი — 80 ახალგაზრდა, რომლებიც ლენინგრადის საბავშვო სახლში იყვნენ, ჩრ. კავკასიიდან მთიანი უღელტეხილებით ფეხით გადმოვიდნენ საქართველოში 1942 წლის სექტემბერში და ყველა ისინი იმავე დღეს 7 სექტემბერს, გაიგზავნენ მახარაძის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში[56], სადაც მოეწყვნენ სამუშაოზე და სასწავლებლებში.

ბევრი პოლიტემიგრანტი, რომელიც სსრ კავშირში იმყოფებოდა, მოხალისედ წავიდა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ საბრძოლველად დიდი სამამულო ომის პერიოდში. 1943 წელს 500 ესპანელი იმყოფებოდა წითელი არმიის რიგებში, 120 ჩეხოსლოვაკელი — ჩეხოსლოვაკიის სამხედრო ნაწილებში, ხოლო პოლონელ პოლიტემიგრანტთა ნაწილი შევიდა პოლონეთის არმიაში, რომელიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა[57]. დაისვა საკითხი ფრონტზე წასული მოხალისე პოლიტიკურ ემიგრანტთა ოჯახებისათვის დახმარების გაძლიერების შესახებ. რემედასის ბევრმა ორგანიზაციამ, — ვკითხულობთ სსრ კავშირის რემედასის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში, — კარგად გაართვა თავი ამ ამოცანას. მათ შორის იყვნენ რემედასის საქართველოს, კრასნოიარსკის, უზბეკეთისა და ნოვოსიბირსკის ორგანიზაციები[58].

იმის მკაფიო მაგალითს, თუ საქართველოს მშრომელები როგორ გულწრფელ და საქმიან დახმარებას უწევდნენ პოლიტიკურ ემიგრანტებს და ყოფილ პოლიტიკურ პატიმრებს, რომლებმაც თავიანთი ემიგრაციის გარკვეული დრო საქართველოში გაატარეს, გვიჩვენებს მათი წერილები, რომლებიც საქართველოში სამშობლოდან ომის შემდგომ გამოგზავნეს.

რუმინეთის ერთ-ერთი ყოფილი პოლიტპატიმარი ომის დამთავრების შემდეგ ბუქარესტიდან გამოგზავნილ წერილში საქართველოს „რემედასის" ცენტრალურ კომიტეტს წერდა:

„ვსარგებლობ რა ბუქარესტში თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის ყოფნით, რუმინეთის რემედასის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც აქ ცნობილია „პატრიოტული დაცვის" კომიტეტად, მოგესალმებათ და მხურვალე მადლობას გიძღვნით იმ დიდი დახმარებისათვის, რომელიც თქვენ გაგვიწიეთ საქართველოში ჩვენი ყოფნის დროს საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის მძიმე დღეებში...

ნება მიბოძეთ ყველას სახელით გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ იმ ადამიანური დახმარებისა და ხელგაწვდისათვის, რომლის შედეგად ჩვენ სიცოცხლე შეგვრჩა და საშუალება მოგვეცა ეს სიცოცხლე ნაყოფიერად გამოგვეყენებია ქვეყნისათვის სასარგებლო საქმეში"[59].

---

56 ცსა (მოსკოვი), ფ. 8265, აღწ. I, საქ. 241, ფ. 165.

57 იქვე, საქ. 164, ფურც. 83.

58 ცსა (თბილისი), ფ. 1641, აღწ. 1, საქ. 204, ფურც. 13—14.

59 ცსა (თბილისი), ფ. 1641, აღწ. 1, საქ. 204, ფურც. 13—14.

ერთ-ერთი პოლიტემიგრანტი პოლონეთიდან, შემდეგში პოლონეთის განმათავისუფლებელ არმიაში მოხალისედ წასული, საქართველოს რემედასის კომიტეტის სახელზე გამოგზავნილ ბარათში წერს:

„სალამი რემედასს, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის საყვარელ კოლექტივს. დიდი ხანია არაფერი მომიწერია თქვენთვის, მაგრამ თქვენი სითბო, ჩემდამი მზრუნველობა არცერთ წუთს არ დაგვიწყებია, არც კარავში, არც მიწურში და არც სამშობლოსათვის ბრძოლის ქარცეცხლში.

საქართველოში ჩამოსვლამდე მე არ ვიცნობდი საბჭოთა კავშირს, არც საბჭოთა ადამიანებს ვიცნობდი თქვენამდე, მაგრამ თქვენმა სათუთმა დამოკიდებულებამ ჩემდამი და ჩემს მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისადმი, თქვენმა არა მარტო მატერიალურმა, არამედ მორალურმა დახმარებამ ჩვენ დაგვანახვა ნამდვილი საბჭოთა ადამიანი მთელი მისი ადამიანური ღირსებებით, მისი მორალური სიმაღლით და საქართველო გახდა ჩვენთვის საბჭოთა კავშირის სიმბოლოთ, თქვენ შეიქენით ჩვენთვის სიმბოლო ნამდვილი საბჭოთა ადამიანისა.

ჩვენ, მე და ჩემი მეუღლე მლისლავი უკვე თავისუფალ პოლონეთში ვართ, ის პოდპოლკოვნიკია, მე კი კაპიტანი.

ნიშნად ჩემი ღრმა მადლობისა საბჭოთა კავშირისადმი, კერძოდ საბჭოთა საქართველოსადმი გთხოვთ ნება დამრთოთ გავხდე საქართველოს რემედასის წევრი და ყოველწლიურად მოგაწოდოთ 100 მან“[60].

ამრიგად, რევოლუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საქართველოს საზოგადოებამ ფართო ორგანიზაციულ, სააგიტაციო-მასობრივი და პროპაგანდისტული მუშაობა ჩაატარა, რითაც აქტიური მონაწილეობა მიიღო მშრომელთა ინტერნაციონალურ და პატრიოტულ აღზრდაში, ხალხთა შორის ინტერნაციონალური კავშირის განმტკიცებაში. ამ მუშაობამ საზღვარგარეთელ რევოლუციონერთა საერთო აღიარება ჰპოვა, მას მაღალი შეფასება მისცა სამამულო ომის პერიოდში უმაღლესმა მთავარსარდალმა ი. ბ. სტალინმა[61].

60 ცსა (თბილისი), ფ. 1641, საქ. 204. ფურც. 14.

61 ცსა (მოსკოვი), ფ. 8265, აღწ. I, საქ. 187, ფურც. 27, ფურც. 31; საქ. 171, ფურც. 28; ცსა (თბილისი), ფ. 1641, აღწ. I, საქ. 12, ფურც. 5, საქ. 14, ფურც. 2, საქ. 283. ფურც. 1—9;

დავით ზავდია

ბრარული კრიზისის შესახებ რეფორმამდელ ამიერკავკასიაში

ბატონყმური სისტემის კრიზისი რუსეთში, დაწყებული ჯერ კიდევ XVIII საუკუნის შუახანებში, XIX საუკუნის 40—50-იანი წლებიდან უფრო ალიერდა. ბატონყმური ურთიერთობის რღვევის პირველ ნიშნებს წარმოადგენდნენ აქა-იქ მიმდინარე ფეოდალურ-ნატურალური ვალდებულებების შეცვლა ფულადით, გლეხობის ქონებრივი დიფერენციაცია, ზოგიერთ ფეოდალურ სოფლებში დაქირავებული მუშახელის გამოყენება და სხვ.

ქალაქად მრეწველობისა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად მოთხოვნილების გადიდება მარცვლეულსა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტზე, მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულზე და ამასთან დაკავშირებით. ბაზარი და საგარეო ვაჭრობის გაფართოება ბიძგს აძლევდა მემამულეებს, [illegible]ოვე შეძლებულ, თავისუფალ გლეხებს გაედიდებინათ ნათესი ფართობი [illegible]ეტი სასაქონლო მარცვლეული და ნედლეული მოეყვანათ. ხოლო „მემამ[illegible]ეთაგან პურის გასაყიდათ წარმოება, რაც განსაკუთრებით განვითარდა [illegible]ბატონყმობის არსებობის უკანასკნელ დროს, უკვე ძველი რეჟიმის დაშლის [illegible]წყებელი იყო“[1].

ბატონყმური ურთიერთობა ძალზე აფერხებდა სოფლის მეურნეობის [illegible] განვითარებას, ახალი მიწების ათვისებას და მასში მანქანა-იარაღების გა[illegible]ენებას, მთლიანად ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებას. [illegible]ბზმი და ბატონყმური ურთიერთობა მთლიანად ხელს უშლიდნენ, სულს [illegible]ეთაედნენ რუსეთისა და განაპირა მხარეების ხალხებს, ძირშივე კლავდნენ [illegible] შემოქმედებით ენერგიასა და ინიციატივას.

[illegible]ემდროინდელი მოწინავე და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები გმობ[illegible]ენ ბატონყმურ ურთიერთობას, ასაბუთებდნენ „საბატონო სამუშაოს“ არა[illegible]საყრელობას და მოითხოვდნენ წარმოების ახალ, პროგრესულ-კაპიტალ[illegible]ტურ სისტემაზე გადაყვანას. 1847 წელს „ზემლედელჩესკაია გაზეტაში“ [illegible]ბეჭდილ სტატიაში, „Охота пуще неволе“ ლიბერალი მემამულე კოშელი[illegible] წერდა: „ავიღოთ საბატონო სამუშაო, მოვა გლეხი რაც შეიძლე[illegible]დაგვიანებით, მიიხედ-მოიხედავს, მერე რაც შეიძლება ხშირად და ხან[illegible]ლივად ხან აქეთ გაიყურება, ხან იქით, მუშაობს რაც შეიძლება ცოტას, [illegible] ხომ საქმის გაკეთება არ უნდა, მას უნდა როგორმე დრო მოკლას... ამ [illegible]ობას შეადარეთ ახალი საარტელო მუშაობა, თუნდაც მუშაობა კარგ მო[illegible]ადრესთან. აქ ყველაფერი დუღს და გადმოდის: მასალის დამზადება-მი[illegible]ებას ვერ ასდიხარ, უფრო ნაკლებს დროს იმუშავებენ, ვიდრე საბატონო

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 207—208.

გლეხი, იმაზე მეტხანს დაისვენებენ. რატომ? იმიტომ, რომ ხალისი ძალადობასა და ტყვეობაზე უკეთესია"[2].

მეფის ერთ-ერთი განათლებული მოხელე ა. ზაბლოცკი-დესიატოვსკი თავის მოხსენებაში „ბატონყმობა რუსეთში", 1841 წელს კონკრეტული ფაქტებით ამტკიცებდა, რომ მეურნეობის ბატონყმური სისტემა მემამულისათვის ფრიად საზარალო, ხოლო გლეხებისათვის კიდევ უფრო მძიმე და აუტანელიაო. ასეთივე აზრს გამოთქვამდნენ საქართველოშიც.

ქართველ მემამულეთა იდეოლოგი დ. ყიფიანი გმობდა მეურნეობის ბატონყმურ სისტემას და უპირატესობას თავისუფალ შრომას ანიჭებდა. „თავისუფალი შრომა, — წერდა ყიფიანი 1863 წელს, — უფრო ნაყოფიერია. მერე ისა, რომ მთელ საზოგადოებაში ყოველი და კერძობით კაცი უნდა იყოს მშრომელი და მშრომელი თავისუფალი და მაშასადამე ნაყოფიერიცაა და თუ საზოგადოებაში ყოველი იმის წევრი ნაყოფიერათ შრომობს, საზოგადოებაც კეთილმდგომარეობაში შევა. საზოგადოების კეთილმდგომარეობასა, კერძოობითი პირების კეთილმდგომარეობაც უნდა მოყვეს თანა. გლეხების თავისუფალ შრომაში დაყენებას ეძლევა დროების დედააზრი"[3].

ნ. ნიკოლაძე თავის შრომაში „მთავრობა და ახალი თაობა", 1866 წელს განმარტავდა, რომ ბატონყმობის გაუქმება ეს იყო „...რუსეთის ხალხის განვითარების აუცილებელი მოთხოვნილება, ხალხი გრძნობდა რა ბატონყმობის მთელ სიმძიმეს, უკვე იწყებდა იმის შეგნებას, რომ აუცილებელი იყო მისი მოსპობა, რაც უნდა დაჯდომოდათ"[4].

წარმოების განვითარების აუცილებლობა სულ უფრო შეუძლებელს ხდიდა ბატონყმური ინსტიტუტის შემდგომ არსებობას, ადამიანები უნდა განთავისუფლებულიყვნენ ბატონყმური ურთიერთობისაგან. „ბატონყმობა, — წერს ვ. ი. ლენინი, — ყველას ერთნაირად ავიწროებდა — ყმა-ბურმისტრსაც, რომელსაც ფული დაეგროვებინა და საამური ცხოვრება უნდოდა, ყაირათიან გლეხსაც, რომელსაც ბატონი სძულდა ბეგარისა, მის მეურნეობაში ჩარევისა და გაცდენისათვის, პროლეტარ—შინაყმასაც და გაღატაკებულ გლეხსაც, რომელსაც დასამონებლად ყიდდნენ ვაჭარზე; მისგან იტანჯებოდა ვაჭარი-მეფაბრიკეც, მუშაც, შინამრეწველიც და ხელოსანიც. ყველა ამ ადამიანთა შორის მხოლოდ ის კავშირი იყო, რომ ყველა ისინი მტრულად უყურებდნენ ბატონყმობას..."[5].

კაპიტალიზმის აღმოცენებამ, ყირიმის ომმა, და გლეხთა „ამბოხებებმა", აიძულეს პირველი მემამულე ალექსანდრე II ზევიდან გაეუქმებინა ბატონყმობა.

ძირითადად იგივე ფაქტორები მოქმედებდნენ საქართველოსა, და ამიერკავკასიაშიც, თუმცა რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებთან შედარებით რეფორმამდელ ამიერკავკასიაში კაპიტალისტური საწარმოები ძალზე ცოტა იყო.

მკვლევართა შორის ჯერ კიდევ არ არსებობს ერთსულოვნება, არ არის შემუშავებული სავსებით ერთიანი აზრი რეფორმამდელი ხანის საქართველოსა და ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის განვითარების დონისა და ხასიათის შე-

---

2 ვ. ა. მოროხოვეცი, 1861 წლის საგლეხო რეფორმა, 1938, გვ. 37.
3 ჟურ. „საქართველოს მოამბე, № 4, 1863, გვ. 110.
4 ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 1, თბ., 1962, გვ. 331.
5 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 349.

სახებ, კერძოდ საგლეხო რეფორმისათვის სათანადო წანამძღვრების არსებობის შესახებ.

ზოგიერთი ისტორიკოსი და ეკონომისტი უარყოფდა და დღესაც უარყოფს, საქართველოსა და ამიერკავკასიაში საგლეხო რეფორმისათვის საჭირო პირობების არსებობას, მაშასადამე ისინი უარყოფენ იმ დროს რევოლუციური სიტუაციის არსებობასაც. მათი აზრით საგლეხო რეფორმა რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან თითქოს მექანიკურად გავრცელდა საქართველოსა და ამიერკავკასიაზე. ცხადია, ასეთი შეხედულება მცდარია. პროფ. ფ. გოგიჩაიშვილი საერთოდ უარყოფდა ბატონყმობის გაუქმებამდე საქართველოს ფეოდალურ ეკონომიკაში მომხდარ ცვლილებებს და აღნიშნავდა, რომ საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარებამდე ქალაქური ცხოვრების, ვაჭრობის და მრეწველობის თითქმის — „ჩანასახებიც" არ არსებობდაო[6].

არსებითად ასეთივე აზრს გამოთქვამდა პროფ. ს. ავალიანიც, რომელიც აღნიშნავდა, რომ რეფორმამდელი ამიერკავკასია მთლიანად ნატურალური მეურნეობის ტიპიურ ფორმას წარმოადგენდაო[7].

ზ. ანჩაბაძე აღიარებს, რომ საქართველოში კაპიტალისტური ელემენტები სოფლის მეურნეობაში მხოლოდ 70-იანი წლებიდან წარმოიშვაო[8].

მკვლევართა დიდი ნაწილი, ჩვენი აზრით, სამართლიანად უარყოფს დასახელებულ ავტორთა შეხედულებებს[9]. პ. რატიანი აკრიტიკებს იმათ, ვინც საქართველოში საგლეხო რეფორმამდე კაპიტალისტური ელემენტების არსებობას უარყოფს. ასეთი შეხედულება მას „უსაფუძვლო შეხედულებად" მიაჩნია[10].

შ. ჩხეტიას აზრით, საქართველოში (აგრეთვე ამიერკავკასიაში), ისე როგორც რუსეთში რეფორმის წინ არსებობდა სოციალ-ეკონომიური პირობები, რომლებმაც განაპირობეს ბატონყმობის გაუქმება[11]. ამ თვალსაზრის იზიარებს გ. ი. მეგრელიშვილი[12].

მაინც რა ძირითადი სოციალ-ეკონომიური ფაქტორები არსებობდნენ საქართველოსა და ამიერკავკასიაში საგლეხო რეფორმის წინ?

რუსეთთან საქართველოსა და ამიერკავკასიის შეერთების შედეგად, XIX საუკუნის 40—50-იანი წლებიდან მხარეში შექმნილმა შედარებით მშვიდობიანმა ცხოვრებამ, სამეურნეო წინსვლამ, მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალაქის მოსახლეობის ზრდამ მოითხოვა ნათესი ფართობის მნიშვნელოვნად გა-

---

6 ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი, მნიშვნელოვანი იუბილე, ჟურ. „მოამბე", 1904, № 11, გვ. 103.

7 С. А. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, т. I, Одесса, 1912, გვ. 179.

8 ზ. ა ნ ჩ ა ბ ა ძ ე, კაპიტალისტური ურთიერთობის გენეზისი საქართველოს მასალების მიხედვით, გვ. 5—6.

9 И. А. Антелава, Э. А. Орджоникидзе, Э. В. Хоштария, К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, 1967, გვ. 4.

10 პ. რ ა ტ ი ა ნ ი, ილია ჭავჭავაძე და გლეხთა განთავისუფლების პრობლემები, თბ., 1963, გვ. 92.

11 შ. ჩ ხ ე ტ ი ა, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950, გვ. XII.

12 Г. И. Мегрелишвили, Грузинская общественно-экономическая второй половины XIX века и начала XX века. Тбилиси, 1960, გვ. 8—49, 257.

დიდება. თუ 1807 წელს თბილისის გუბერნიაში დათესილი იყო სულ 20 134,7 დესეტ. საშემოდგომო და საგაზაფხულო პურეული, 1857 წელს — დათესილ იქნა 79743,7 დესეტ. ე. ი. 3,5-ჯერ უფრო მეტი. ქუთაისის გუბერნიაში (სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის გამოკლებით) 1847 წ. თუ დათესილი იყო სულ 22589,5, 1856 წ. 24658,7 დესეტინა იყო დათესილი. ამის შესაბამისად იზრდებოდა მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალიც. ქუთაისის გუბერნიაში 1847 წ. აღებული იყო 956,436 ჩეტვერტი საშემოდგომო და საგაზაფხულო მარცვლეული, 1849 წ. — 1 097 484 ჩეტვერტი, 1852 წ. — 1 962 590 ჩეტვერტი და 1853 წ. — 2 157 239 ჩეტვერტი მარცვლეული. რაც შეეხება მარცვლეულის საერთო მოსავალს, 1856 წ. 1807 წელთან შედარებით იგი 4-ჯერ გადიდდა და შეადგინა 1 402 309 ჩეტვერტი. მარცვლეულის საერთო მოსავლის გადიდებასთან ერთად დიდდებოდა სასაქონლო მარცვლეულის რაოდენობაც, რომელიც 1845 წ. თბილისის მაზრაში შეადგენდა საერთო მოსავლის 25 პროცენტს, თელავის მაზრაში — 26, ახალციხის მაზრაში — 21, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში საშუალოდ 20,1 პროცენტს. ეს იმ დროს როცა რუსეთში მთელი სასაქონლო მარცვლეულის ხვედრითი წონა 17 პროცენტს არ აღემატებოდა[13]. მარცვლეულის საერთო რაოდენობაში ქუთაისის გუბერნიაში შედიოდა არამარტო პურეული, არამედ სიმინდიც, რომელიც გურიაში, იმერეთში, სამეგრელოსა და აფხაზეთში მოსახლეობის უმნიშვნელოვანეს საკვებ კულტურასთან ერთად იმ დროს საშინაო და საგარეო ვაჭრობის მთავარი საგანიც იყო.

ი. ანთელავას და სხვათა ზემოთ დასახელებულ მონოგრაფიაში აღნიშნულია, რომ საქართველოში მოყვანილი სასაქონლო მარცვლეული ქალაქების მზარდი მოსახლეობის და ჯარის ნაწილების საჭიროების გარდა, უცხოეთის (თურქეთში, ირანში, ირლანდიაში, ჰოლანდიაში) ბაზრებზედაც გაქონდათ ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტი რაოდენობით. მაგალითად, თუ 1847 წ. საზღვარგარეთ გატანილი იყო 320 ათასი ფუთი სიმინდი, 60-იანი წლების დასაწყისში კი ყოველწლიურად გაქონდათ 1 მილიონამდე ფუთი სიმინდი, რომლის ნახევარი სამეგრელოდან და აფხაზეთიდან გადიოდა.

საშინაო და საგარეო ვაჭრობის განვითარებაში მარცვლეულთან ერთად სულ უფრო იზრდებოდა სოფლის მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგების ხვედრითი წონაც, როგორიცაა: მეღვინეობა, მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოობა, მეცხოველეობა და სხვ. ზოგიერთი მათგანის პროდუქცია მზარდი რაოდენობით გადიოდა არა მარტო ადგილობრივ ბაზრებზე, არამედ რუსეთისა და საზღვარგარეთის ბაზრებზედაც კი.

მნიშვნელოვან სამეურნეო გამოცოცხლებას 50-იან წლებიდან ადგილი ჰქონდა აგრეთვე სომხეთსა და აზერბაიჯანშიც, კერძოდ კი შირვანის პროვინციაში. ამას მოწმობს იმავე პროვინციის შემდეგი მონაცემები: თუ 1832 წ. წარმოებული იყო 29 600 ჩეტვერტი ხორბალი და 58250 ჩეტვერტი ბრინჯი, 13 წლის შემდეგ, ე. ი. 1845 წ. იგივე შირვანის პროვინცია აწარმოებდა 500 780 ჩეტვერტ მარცვლეულს, 178 900 ჩეტვერტ ბრინჯს[14].

[13] И. Г. Антелава, Э. А. Орджоникидзе, Э. В. Хоштария, К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, გვ. 5—7, აგრეთვე Сельское хозяйство и аграрные отношения, т. первый. გვ. 29—32. под редакцией П. Гугушвили.

[14] Центральный Государственный исторический архив СССР (შემდეგში ЦГИА, СССР), Ф. Кавказского комитета, ს. 50, ფურც. 118—137.

სასაქონლო მეურნეობის ზრდა სოფლის მეურნეობაში აიძულებდა თავადაზნაურობის ერთ ნაწილს დროის მოთხოვნილების შესაბამისად მსხვილ ფერმერულ კაპიტალისტურ საწყისებზე გადაეყვანა საკუთარი მეურნეობა, სადაც იყენებდნენ დაქირავებულ შრომას, მანქანებს. ასეთი მეურნეობები ჯერ კიდევ რეფორმამდელ პერიოდში გარდაიქმნა ბურჟუაზიულ-ფერმერულ ყაიდაზე და მოხერხდა მეურნეობის რაციონალურ ნიადაგზე დაყენება.

რაციონალურად დაყენებული მეურნეობების მფლობელთა რიცხვს საქართველოში ეკუთვნოდნენ: სოლომონ გურგენიძე, დიმიტრი აფხაზი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ ანდრონიკაშვილი, ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი, მიხეილ ნაკაშიძე, ნიკო ჩიჯავაძე, კონსტანტინე ერისთავი, მიხეილ ერისთავი და სხვები.

შ. ჩხეტია მათ რიცხვს მიაკუთვნებს აგრეთვე ბარონ ნიკოლაის — საჩინოში, ანანოვს — ვარციხეში, დიასამიძეს, ფურცელაძეს, ამილახვარს — ქართლში, დადიანს — სამეგრელოში, აზნაუროვსა და ყორღანოვს — ჩალისთავში, ენფიანჯიანცს — კრწანისში და სხვ. მათ რიცხვს ეკუთვნოდა აგრეთვე აფხაზეთში მსხვილი მემამულე გ. დ. შერვაშიძე, რომლის მამულში ფული და ფულადი მეურნეობა სულ უფრო საპატიო ადგილს იჭერდა ან უკვე დაჭერილიც ჰქონდა. აქ გლეხები ღალას და მიწის იჯარას ნაწილობრივ ფულადი სახით იხდიდნენ, ხოლო სათიბი ადგილების, შეშისა და საშენი ქვის სარგებლობისათვის ფულს იხდიდნენ. შერვაშიძის კუთვნილ მამულში მარტო სოფელ კელასურის ტერიტორიაზე მოვაჭრეებისაგან წლიურად 2 500 მანეთის საბაჟო გადასახადი შემოდიოდა[15].

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად, რასაც ის ამიერკავკასიაში დიდი მონდომებით ახორციელებდა, რეფორმამდელ საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თუმცა მცირე რაოდენობით და მასშტაბით, მაგრამ მაინც არსებობდა რამდენიმე ფაბრიკა-ქარხანა. ასეთი იყო გამბას სახერხი ქარხანა, კასტელის აბრეშუმის ფაბრიკა თბილისში, როზმორდუკის აბრეშუმსახვევი ფაბრიკა ზუგდიდში, დეფურეს ასეთივე ფაბრიკა ქუთაისში და სხვ. „მარტო თბილისის გუბერნიაში 60-იანი წლებისათვის 500-მდე ასეთი ფაბრიკა-ქარხანა მოიპოვებოდა და ამ ფაბრიკა-ქარხნებში 3000-ზე მეტი დაქირავებული მუშა ითვლებოდა“[16].

საქართველოში იმ დროს განვითარებული იყო აგრეთვე ვაჭრობა, აღებმიცემობა, ფულადი მეურნეობა. პროფ. შ. ჩხეტიას ცნობით, მარტო თბილისში საგლეხო რეფორმამდე ოფიციალური მონაცემებით ძირითადი კაპიტალი 3 მილიონ მანეთს აღწევდა, საბრუნავი კაპიტალი კი რამდენჯერმე აღემატებოდა მას. მართალია, რეფორმამდელ პერიოდში სოფლის მეურნეობაში ფერმერულ-კაპიტალისტური მეურნეობები და ქალაქად საფაბრიკო-საქარხნო წარმოებები რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებთან შედარებით მცირე იყო, თანაც ტექნიკურად ძალზე დაბალ დონეზე იდგა, მაგრამ მაინც მ ა თ ი ა რ ს ე ბ ო ბ ა მ ო ა ს წ ა ვ ებ დ ა ი მ ა ს, რ ო მ ჩ ვ ე ნ შ ი რ ე ფ ო რ მ ა მ დ ე ლ პ ე რ ი ო დ შ ი ვ ი თ ა რ დ ე ბ ო დ ა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი წ ა რ მ ო ე ბ ა, რ ო მ ე ლ ი ც თ ა ვ ი ს მ ხ რ ი ვ გ ა ვ ლ ე ნ ა ს ა ხ დ ე ნ-

[15] ЦГИА СССР, ფ. 1087, ანაწ. 1, ს. 29, 1869, გვ. 50.

[16] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, გვ. XLII.

და და აჩქარებდა ფეოდალური ურთიერთობის რღვევას.

ქვეყნის განვითარების ისტორიული ტენდენცია გარდუვალად მოითხოვდა იძულებითი შრომის შეცვლას „თავისუფალი“ შრომით. ასეთი ღონისძიების აუცილებლობა კიდევ უფრო გააძლიერა ყირიმის ომმა, რომლის მსვლელობაში ნათლად გამომჟღავნდა მეფის რუსეთის ეკონომიური ჩამორჩენილობა და შინაგანი სიდამპლე.

ყირიმის ომის დაწყებიდან დამთავრებამდე, დიდ საომარ მოქმედებას ჰქონდა ადგილი ამიერკავკასიაში, თურქეთის მომიჯნავე რაიონებში, ოკუპირებული იყო საქართველოს ტერიტორიის ნაწილიც.

როგორც ცნობილია, ამ ომის დროს გურიამ, სამეგრელომ, აფხაზეთმა და სხვ. პროვინციებმა შემოჭრილი თურქეთის არმიებისაგან დიდი რბევა-აწიოკება განიცადეს. მტრის შემოჭრით შამილმაც ისარგებლა და თავს დაესხა აღმოსავლეთ საქართველოს, ააოხრა თელავისა და სიღნაღის მაზრები. მტერმა დიდძალი საქონელი და დოვლათი გაიტაცა, დაანგრია საცხოვრებელი შენობები და ქვეყანას დიდძალი მატერიალური ზარალი მიაყენა.

1853—1856 წლებში თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხებთან ერთად, ქართველ ხალხსაც არაერთხელ უსახელებია თავი[17].

ყირიმის ომი დიდი მატერიალური ზარალის, მეურნეობის გაჩანაგებისა და ტანჯვის ფასად დაუჯდა მთელი რუსეთის ხალხს, განსაკუთრებით ამიერკავკასიის ოკუპირებულ რაიონებს: გურიას, სამეგრელოს, ახალციხეს, ახალქალაქს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ფრონტისპირა რაიონებს. მათ მეტად დიდი მატერიალური ზარალი და აოხრება განიცადეს მტრისაგან. ყირიმის ომის დაწყებიდან დამთავრებამდე ამიერკავკასიის აღნიშნული რაიონები საომარი მოქმედების კერას წარმოადგენდნენ. მათი მატერიალური ზარალისა და გაპარტახების შესახებ, დაახლოებით წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოყვანილი ცნობები. კავკასიის კორპუსის მთავარსარდლის გენერალ მურავიოვის 1855 წლის 21 სექტემბრის მოხსენებით ბარათში გურიის შესახებ ნათქვამია: „ეს მხარე თურქეთის საზღვრიდან მდინარე სუფსამდე ჰეშმარიტად საცოდავ მდგომარეობაშია: სოფლები დარბეული, გატიალებული და გადამწვარია. მცხოვრები უკიდურესად გაჭირვებულნი და გაღატაკებულნი არიან, ბევრმა ოჯახმა დაჰკარგა მამა, ძმები, დარჩნენ ქვრივები და ობლები. ბევრია დაჭრილნი და დასახიჩრებულნი... გურია მეტის მეტად დაზარალდა. მცხოვრებლებმა მითხრეს რომ ამის შემდეგ მათთვის ერთობ ძნელი იქნება თავიანთი ადრინდელი საცხოვრებელი ბინების აღდგენა“[18].

აღნიშნული ზარალის შესახებ წერდა აგრეთვე ბებუთოვიც თავის 1855 წლის 30 დეკემბრის პატაკში, სადაც აღნიშნავდა, რომ გურიის მოსაზღვრე სოფლების მცხოვრებთ ამ ომის დროს „...დაღუპვიათ თავიანთი ქონება და არ გააჩნიათ შესაძლებლობა დაამუშაონ თავიანთი მინდვრები და ბაღები, რომლებიც მათი არსებობის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს“[19]. ასეთივე

---

[17] ერ. ბურჯულაძე, „ყირიმის ომი და საქართველო“, თბ., 1960, გვ. 527.

[18] Центральный государственный архив октябрьской революции, (შემდეგში: ЦГАОР СССР), ფ. ВИА, ს. 5963, ფურც. 41—69.

[19] АКАК, ტ. XI, გვ. 691, АКАК, ტ. XII, გვ. 330—331.

მდგომარეობაში იმყოფებოდნენ სამეგრელოს, აფხაზეთის, ახალციხის, ახალქალაქისა და სხვა განაპირა რაიონების მოსახლეობაც.

სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე დადიანის მიერ მეფის მთავრობისადმი წარდგენილ მოხსენებაში ნათქვამია, რომ ომერ ფაშას ჯარების შემოჭრის დროს მხოლოდ ზუგდიდის მაზრაში სავსებით აღგვილი და განადგურებული ყოფილა 22 სოფელი, ასე გაუძარცვავთ აგრეთვე სენაკის მაზრა და სხვ.[20]. თურქი დამპყრობლები მათ მიერ ოკუპირებულ სოფლებს ჯერ ძარცვავდნენ, შემდეგ კი წვავდნენ. ადგილობრივი ხელისუფლების გამოანგარიშებით მარტო გურიის მოსახლეობაზე ომით მიყენებული მატერიალური ზარალი 500 მილიონ მანეთს აღემატებოდა. ახალციხის მაზრის მოსახლეობის — 250 ათას მანეთს შეადგენდა, ერევნის მაზრის — 300 ათას მანეთს, ალექსანდრეპოლისა — 200 ათას მანეთს და ა. შ.[21].

ომით დაზარალებული ამიერკავკასიის ღარიბი მოსახლეობის არაერთგზისი ცდა მთავრობისაგან დახმარების მიღებისა, მიყენებული ზარალის ნაწილობრივ ასანაზღაურებლად და გაპარტახებული მეურნეობის აღსადგენად, ამაო გამოდგა. ასეთი დახმარება და პრემიები მთავრობისაგან მხოლოდ „უმაღლეს“ წოდებას ეძლეოდა.

ცარიზმის კოლონიურ-აგრარული პოლიტიკით გამოწვეულ გლეხობის საყოველთაო აღშფოთებას საქართველოსა და ამიერკავკასიაში ყურადღება მიაქცია გამოჩენილმა რუსმა მწერალმა ა. ს. გრიბოედოვმა და თავის წერილში პასკევიჩისადმი 1829 წელს აღნიშნავდა, რომ „ჩვენით (ე. ი. რუსეთის ცარიზმით — დ. შ.) არავინ არ არის კმაყოფილი“[22].

ომის შემდეგ განუკითხავ და უპატრონო მდგომარეობაში მყოფი, ომგადახდილი და ძალზე დაზარალებული ქართველი და ამიერკავკასიელი გლეხების გაჭირვებას მეფის მთავრობისა და მებატონე თავადაზნაურების გაძლიერებული ექსპლუატაციაც ემატებოდა და ამის გამო მდგომარეობა იმდენად მძიმე და აუტანელი გახდა, რომ მეფის მოხელე, სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსი ზემდგომ ორგანოებში გაგზავნილ მიმართვაში იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „...ამ უზომოდ დიდი გადასახადის წყალობით ბევრი ღარიბი ადამიანი ამჟამად უკიდურეს გაღატაკებამდეა მისული“[23].

ამრიგად, ყირიმის ომმა და შემდგომმა ამბებმა დააჩქარეს ის სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისები, რომლებიც საქართველოსა და ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთების შემდეგ რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში საზოგადოების წიაღში მწიფდებოდა. როგორც ფ. ენგელსი წერდა, ყირიმის ომში რუსეთის დამარცხებას მოჰყვა ხალხის „უნახავი გამოფხიზლება“, მან დააჩქარა რუსეთის მობრუნება ახალი სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნებისაკენ[24].

გლეხთა მოძრაობას რუსეთსა და ამიერკავკასიაში ყირიმის ომამდეც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ომის შემდეგ, რეფორმის წინაპერიოდში ცარიზმის კოლონიურ-აგრარული პოლიტიკის, მემამულეთა ძალმომრეობისა და ძარცვა-

---

[20] ЦГИА СССР, ფ. 1268, ანაწ. 3. ს. 99, АКАК, ტ. XI, გვ. 691, ტ. XII, გვ. 5.

[21] ЦГАОР СССР, ფ. ВИА, ს. 5963, ფურც. 82, АКАК, ტ. XII, გვ. 5—6.

[22] ციტირებულია ფ. მახარაძის სტატიიდან, საქართველო XIX საუკუნეში, 1933, გვ. 25.

[23] საქ. სსრ ცსა, ფ. 545, ს. 76, ფურც. 256—258.

[24] К. Маркс и Ф. Энгельс, თხზულებანი, ტ. 22, გვ. 40.

გლეჯვის გაძლიერებასთან დაკავშირებით გლეხობის აღშფოთებაც სულ უფრო ძლიერდებოდა. გლეხები აწყობდნენ გამოსვლებს, აჯანყებებს და იცავდნენ თავიანთ ინტერესებს[25].

1857 წელს აჯანყებას ადგილი ჰქონდა სამეგრელოში, 1858 წელს იმერეთსა და ქართლში ქსნის ხეობაში, 1862 წელს გურიაში.

გლეხთა მოძრაობის გაძლიერება გორის მაზრაში 1857—1861 წლებში ყმა გლეხებისადმი თავადაზნაურთა უხეში დამოკიდებულებით აიხსნებოდა, იქაურ მებატონეებს არ სურდათ ანგარიში გაეწიათ დროის მოთხოვნილებისათვის და გაღატაკებულ ყმა-გლეხებს მომეტებულ ბეგარას ახდევინებდნენ.

შედარებით უფრო ფართო და ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა გლეხთა გამოსვლებს საქართველოში 1861—1865 წლებში: გლეხთა აჯანყებანი ოზურგეთის მაზრაში 1962 წლის მარტში, აგვისტო-სექტემბერში, სენაკის მაზრაში სოფ. თამაკონში 1863 წელს, ზუგდიდის მაზრაში — 1865 წელს[26], ხოლო 1866 წელს ყველაზე მასობრივ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა აფხაზეთში, გუდაუთის უბანში სადაც მემამულეებისა და მთავრობის წინააღმდეგ გლეხთა აჯანყებაში 20000 გლეხი მონაწილეობდა.

გლეხთა გამოსვლებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე, რაჭის, გორის, თბილისის, თელავისა და სიღნაღის მაზრებში. ბატონყმობის გაუქმების წინ ყმა-გლეხთა გამოსვლები ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამასთან ადრინდელი მოძრაობისაგან განსხვავებით გლეხთა ეს გამოსვლები შედარებით უფრო მასობრივი და მწვავე ხასიათისა იყო, თანაც იგი მიმართული იყო არა მარტო მებატონეების, არამედ მთლიანად ცარიზმისა და მისი აგრარული პოლიტიკის წინააღმდეგ.

საქართველოში რეფორმის წინ გლეხთა მოძრაობის გაძლიერებას, ზემოაღნიშნულთან ერთად, ხელი შეუწყო ჩვენში ახალი სულიერი ცხოვრების, დემოკრატიული მიმართულების წარმოშობა-განვითარებამ. ზაქარია ჭიჭინაძე „საქართველოს მოამბეს“ ადარებდა რა „სოვრემენნიკს“, ამბობდა :„საქართველოს მოამბე“ პირდაპირ „სოვრემენნიკს“ მოგვაგონებსო“[27]. „სოვრემენნიკის“ მსგავსად „საქართველოს მოამბე“ გამოდიოდა პირველი რევოლუციური სიტუაციის წლებში, როცა არა მარტო ცენტრალურ ქალაქებში, არამედ პროვინციებშიც მოქმედებდნენ არალეგალური წრეები და ორგანიზაციები, მზადდებოდა აჯანყება და მთელი ამ მოძრაობის ძაფები თავს იყრიდა „სოვრემენნიკში“[28].

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ფართოდ გაჩაღებული რუსული დემოკრატიული მოძრაობის კეთილმყოფელი გავლენით და მასთან მჭიდრო კავშირში, წარმოიშვა და განვითარდა ქართული, სომხური და აზერბაიჯანული

---

25 XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გლეხთა გამოსელები სამეგრელოში, გურიაში, აფხაზეთში, სვანეთში, კახეთში, საერთო-სახალხო პროტესტს გამოხატავდნენ ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ. როგორც ნ. ნიკოლაძე წერდა, მაშინ „კოლოკოლში“ გლეხობის აჯანყების ერთადერთი მიზეზი ბატონყმობა იყო, ხოლო ერთადერთი მიზანი მისი მოსპობა (ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზ. ტ. I, გვ. 19).

26 იხ. Департамент судебных дел главного управл. наместника Кавказского—о безпорядках произведенных в селе Джвари крестьянами против князей Дадиановых, ფ. 9, ს. 2872, 1865, ფურც. 2, 12.

27 ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ილია ჭავჭავაძე, 1897, გვ. 31.

28 ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, „საქართველოს მოამბე“, თბილისი, 1963, გვ. 6.

დემოკრატიული მოძრაობა, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ამიერკავკასიაში რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეურ მომზადებაში.

მკაცრი ცენზურული პირობების მიუხედავათ მოწინავე ქართველი და ამიერკავკასიელი დემოკრატიული ინტელიგენცია მაინც ახერხებდა თავის აზრის გამოთქმას პრესაში.

1859 წლის ნოემბერში ჟურ. „ცისკარში" გამოქვეყნებულ სტატიაში „წინანდელი დროის ბატონყმობა" ავტორი ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი ცდილობდა ბატონყმობა საქართველოში წარმოედგინა, როგორც მამაშვილური დამოკიდებულება. იგი უარყოფდა კლასობრივ ბრძოლას მებატონესა და ყმა-გლეხებს შორის და წერდა: „გლეხი მებატონის პატივცემაში იყო, ვითარცა მამისა და მებატონე სიყვარულს აჩუქებდა გლეხსა, ვითარცა საკუთარ შვილს. ასე და ამგვარად იყვნენ ერთი ერთმანეთში გაერთიანებული მებატონენი გლეხებთან, წრფელის გულით"[29].

მძიმე საცენზურო პირობების მიუხედავად, მოწინავე ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია კრიტიკულად გამოეხმაურა ჯამბაკურ-ორბელიანისა და საერთოდ „მამების" გამოსვლებს.

1858—1860 წლებში ცისკარში დაბეჭდილ მოთხრობაში „სურამის ციხე" დ. ჭონქაძემ მხატვრულ ფორმებში მოგვცა ბატონყმური ურთიერთობის მძაფრი კრიტიკა.

„სურამის ციხემ", რომელმაც მთლიანად გამოააშკარავა ბატონყმური ურთიერთობის მთელი უკეღმართობა, ძალზე ააღელვა და აამხედრა თავადაზნაურობა, რომელიც თავის დროზე, ილიასა და აკაკის მსგავსად დ. ჭონქაძესაც მოსაკლავად არ ზოგავდა.

თავის ლექსებში „გლეხის აღსარება" რომელიც 1863 წ. დაიწერა, ა. წერეთელმა სრულყოფილად გადმოგვცა ყმა-გლეხის მდგომარეობა ბატონყმობის პირობებში.

ილიას ნაწარმოები „კაცია ადამიანი?", რომელიც პირველად 1863 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „საქართველოს მოამბეში" ბატონყმობის წინააღმდეგ საბრალმდებლო აქტს წარმოადგენდა.

1857—1861 წწ. რუსეთში რევოლუციური სიტუაციის არსებობის შესახებ შესანიშნავი აზრები იყო გამოთქმული რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების მიერ.

ა. გერცენი ემყარებოდა რუსეთში რევოლუციისათვის ხელსაყრელ პირობებს და თავის სტატიაში „რუსეთი და პოლონეთი" 1859 წელს წერდა რევოლუციის გარდუვალობის შესახებ, ხოლო ამ პერიოდის უდიდესი დემოკრატი-რევოლუციონერი ნ. გ. ჩერნიშევსკი თავის რწმენას რევოლუციის აუცილებლობის შესახებ ასე გამოხატავდა: „...ჩვენში მალე მოხდება აჯანყება და... მე აუცილებლად მივიღებ მასში მონაწილეობას... ეს აუცილებლად ასე იქნება. ხალხის უკმაყოფილება მთავრობის წინააღმდეგ... სულ უფრო იზრდება. საჭიროა მხოლოდ ერთი ნაპერწკალი, რომ გაჩაღდეს ბრძოლა"[30].

კ. მარქსი და ფ. ენგელსი მაშინდელი რუსეთის მოწინავე წარმომადგენლებთან პირადი შეხვედრებისა, თუ მიწერ-მოწერის დროს, ბატონყმური ურთიერთობის დაღუპვის გარდუვალობას წინასწარმეტყველებდნენ. „ჩემი აზ-

---

[29] ჟურ. „ცისკარი", № 11, 1959, გვ. 237.

[30] Н. Г. Чернышевский, полное собрание сочинений, т. I, გვ. 418—419.

რით, — წერდა კ. მარქსი ფ. ენგელსს 1860 წლის 25 იანვარს, — ამჟამად მსოფლიოში უდიდესი მოვლენებია ერთი მხრით მონების მოძრაობა ამერიკაში... და მეორე მხრივ, — მონების მოძრაობა რუსეთში... ასე დაიწყო „სოციალური“ მოძრაობა დასავლეთსა და აღმოსავლეთში. ცენტრალურ ევროპაში მომავალ კრახთან ერთად ეს გრანდიოზული იქნება“[31].

ვ. ი. ლენინს დიდმნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნდა დემოკრატიული მოძრაობის გამოცოცხლება ევროპაში, მღელვარება პოლონეთში, უკმაყოფილება ფინეთში და პოლიტიკური რეფორმების მოთხოვნა, „კოლოკოლის“ გავრცელება მთელს რუსეთში, ჩერნიშევსკის დემოკრატიული იდეების პროპაგანდა და ამ იდეებზე რევოლუციონერთა აღზრდა, პროკლამაციების გაჩენა, გლეხთა მღელვარება, სტუდენტთა არეულობა და სხვ., რომლებიც წინუსწრებდნენ 1861 წლის საგლეხო რეფორმას. მოყავდა რა აღნიშნული ფაქტები, ლენინი დაასკვნიდა: „ასეთ პირობებში უაღრესად ფრთხილსა და ფხიზელ პოლიტიკოსსაც კი უნდა ეღიარებინა, რომ რევოლუციური აფეთქება სავსებით შესაძლო იყო და გლეხთა აჯანყება მეტად სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა“[32].

ამრიგად, 1. ქვეყნის ეკონომიური განვითარების აუცილებლობა, ყირიმის ომში მეფის რუსეთის დამარცხება და მშრომელი გლეხობის უკიდურესი გაჩანაგება, პლუს პერიოდული მოუსავლიანობა და შიმშილი, შავი ყვავილის ეპიდემია და სიკვდილიანობა ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა ქვეყანაში გლეხობის უკმაყოფილებისა და აჯანყებისათვის, ბატონყმური ურთიერთობის მოსასპობად. ყირიმის ომი და მისი მძიმე შედეგები მობრუნების პუნქტი გახდა რუსი, ქართველი, ამიერკავკასიელი და სხვა ხალხების რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.

2. ყირიმის ომმა სახელი გაუტეხა რუსეთის ცარიზმს და მას მოჰყვა წინათ არნახული გამოფხიზლება, მთელი ქვეყნის მობრუნება ახალი სოციალ-პოლიტიკური ცვლილებებისაკენ.

3. სოციალ-ეკონომიური ცხოვრების რეფორმამდელმა ვითარებამ, ისე როგორც რუსეთში, ჩვენშიც მწვავედ დააყენა დრომოჭმული ბატონყმური ურთიერთობის გაუქმებისა და ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების აუცილებლობის საკითხი; ქართველი გლეხობა რუსეთის გლეხობასთან ერთად გააფთრებით იბრძოდა მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ, მიწისა და დემოკრატიული თავისუფლების მოსაპოვებლად.

4. რუსეთის დემოკრატიული მოძრაობის კეთილმყოფელი გავლენით და მასთან მჭიდრო კავშირში წარმოშობილმა დემოკრატიულმა მოძრაობამ და მისმა მედროშემ — პროგრესულმა ინტელიგენციამ დიდი როლი შეასრულა რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეურ მომზადებაში.

5. 1857—1864 წწ რევოლუციისათვის საქართველოშიც არსებობდა საჭირო ობიექტური პირობები. აღნიშნული წლები აქაც რევოლუციური სიტუაციის კულმინაციურ წერტილს წარმოადგენდნენ.

6. მიუხედავად ხელსაყრელი პირობებისა, XIX საუკუნის 50—60-იანი წლების მიჯნაზე შექმნილი რევოლუციური სიტუაცია რევოლუციაში ვერ გადაიზარდა. იმდროინდელი ერთადერთი რევოლუციური ძალა — გლეხობა.

---

[31] К. Маркс и Ф. Энгельс, сочинение, т. 30, М., 1963, გვ. 4.

[32] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 5, გვ. 35.

სუსტი და არაორგანიზებული აღმოჩნდა. მაშინ მუშათა კლასი რუსეთში მხოლოდ ჩასახვის პროცესში იყო და მას არ შეეძლო ხელმძღვანელობა გაეწია გლეხთა რევოლუციური მოძრაობისათვის, რომლის გარეშე გლეხთა მოძრაობა საერთოდ ვერ გაიმარჯვებს.

XIX საუკუნის II ნახევარში რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული ძალების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას ბატონყმობის გაუქმება წარმოადგენდა. ეს ამოცანა რეფორმის გზით გადაიჭრა. მეფესა და გაბატონებულ კლასებს აქეთკენ უბიძგა „ეკონომიური განვითარების ძალამ, რომელიც კაპიტალიზმის გზაზე აყენებდა რუსეთს... ყირიმის ომმა ცხადყო ბატონყმური რუსეთის სიდამპლე და უძლურება. გლეხთა „ამბოხებებმა“ აიძულა პირველი მემამულე, ალექსანდრე II, ეღიარებინა: „სჯობს გავანთავისუფლოთ ზევიდან, ვიდრე ქვევიდან დაგვამხობდნენო“[33].

33 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 127.

თამარ ტივაძე

XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან

XVI ს. მეორე ნახევრიდან მოყოლებული რუსეთი კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან აქტიურ სავაჭრო-დიპლომატიურ ურთიერთობაში ჩაება. თანდათანობით სულ უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, რომ სწორი პოლიტიკური ორიენტაციისათვის მეზობელი ხალხების საშინაო და საგარეო ცხოვრების ღრმად შესწავლა იყო საჭირო და რუსეთის მთავრობაც აუცილებელი ცნობების მეტი რაოდენობით შეგროვების მიზნით არაფერს არ ზოგავდა. ამიერკავკასიისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში მომხდარი ამბები მოსკოვში მრავალრიცხოვანი მსტოვრების, ადგილებზე მოსყიდული პირების, უცხოელი თუ რუსი ვაჭრებისა და სხვათა მეშვეობით იყრიდა თავს. საჭირო ინფორმაციის შეგროვება ხდებოდა აგრეთვე სამხრეთში (საქართველოში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ირანში და სხვაგან) გაგზავნილი ელჩების საშუალებით, რომლებსაც გამგზავრების წინ მიცემული ინსტრუქციის სავალდებულო საიდუმლო მუხლით კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ურთიერთობისა და მათი პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრების შესწავლა ევალებოდათ. ელჩებიც გზადაგზა და დანიშნულების ადგილზე ჩასვლისთანავე ყველა ხერხს მიმართავდნენ მიცემული დავალების პირნათლად შესრულებისათვის: ქრთამავდნენ ადგილობრივ მოხელეებს, უახლოვდებოდნენ იქ მყოფ ქრისტიან (განსაკუთრებით რუს) ტყვეებს, სომეხ ვაჭრებსა და ბერძენ ხელოსნებს, რომლებიც საკმაოდ ბევრს მოგზაურობდნენ და ბევრის მომსწრე-მნახველები იყვნენ. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ სამშობლოში დაბრუნებისას ელჩების მიერ სათანადო ორგანოებში წარდგენილი საანგარიშო მოხსენებები დიპლომატიური საქმიანობის აღწერასთან ერთად ხშირად ამა თუ იმ ქვეყნის შესახებ საინტერესო ცნობებსაც მოიცავენ. რა თქმა უნდა, ინფორმატორების სიჭრელე თავისებურ უარყოფით დაღს ასვამდა რუსი დიპლომატების მიერ შეგროვებული ცნობების ხარისხს და ეს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული კვლევის წარმოების დროს.

ქალაქ მოსკოვის უძველესი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივის (ЦГАДА) № 110 ფონდში („რუსეთის ურთიერთობა საქართველოსთან") თავმოყრილი რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ამსახველი მასალის უმრავლესობა დღეისათვის გამოქვეყნებულია (განსაკუთრებით ეს ითქმის XVI საუკუნესა და XVII საუკუნის პირველ ნახევარზე) და ამდენად მათში დაცული, საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით საინტერესო, ფაქტები მკვლევართათვის ცნობილია.

სამწუხაროდ იგივეს ვერ ვიტყვით იმავე არქივში არსებულ სხვა ფონდებზე, რომლებიც არანაკლებ საინტერესო, და ზოგჯერ იშვიათ, მასალას შე-

იცავენ საქართველოს ფეოდალური სამეფო-სამთავროების შიდა პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების შესახებ.

წინამდებარე ნაშრომში მკითხველთა ყურადღება გვინდა გავამახვილოთ მხოლოდ იმ ცნობებზე, რომლებიც XVII ს. მეორე ნახევარში საქართველოს შესახებ შეაგროვეს ირანში გაგზავნილმა რუსმა დიპლომატებმა: შიკრიკმა ივანე ხვოსტოვმა (1662 წ.), ელჩებმა: თევდორე მილოსლავსკიმ და თევდორე ნარბეკოვმა (1662—1664 წწ.) და თარჯიმანმა კონსტანტინე ქრისტეფოროვმა (1676 წ.).

აღნიშნული პირების მიერ ირანში ყოფნისას საქართველოს შესახებ შეკრებილი ცნობები მეტისმეტად საყურადღებო და საინტერესოა. მათ ფონზე ზოგიერთი დღემდე ჩვენთვის ცნობილი ისტორიული ფაქტი სრულიად ახლებურად შუქდება, ზოგი კი უფრო ზუსტდება და დასტურდება. ამდენად, იმედი გვაქვს, რომ ქვევით მოყვანილი მასალა დააინტერესებს საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შემსწავლელ მკვლევარებს და გარკვეულ სამსახურს გაუწევს მათ.

როგორც ცნობილია, XVII ს-ს 50-იან წლებში ურთიერთობა რუსეთის ცენტრალიზებულ სახელმწიფოსა და ირანს შორის მეტისმეტად დაიძაბა. დაწერილებით ამ გართულების შესახებ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ არც რუსეთსა და არც ირანს არ აწყობდა მდგომარეობის შემდგომი გამწვავება და თითქმის მთელი ათი წლის განმავლობაში (1653—1662 წწ.) ორივე მხარე ძველი კეთილმეზობლური[1] ურთიერთობისა და ვაჭრობის აღდგენას ცდილობდა. მაგრამ, ვინაიდან არც ერთ მხარეს არ სურდა პრინციპულ დათმობებზე წასულიყო, მოლაპარაკება მეტად მძიმედ მიმდინარეობდა. იმისათვის, რათა დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა საბოლოოდ მოგვარებულიყო, რუსეთის ხელისუფლებამ 1662 წელს თავად მილოსლავსკისა და ნარბეკოვის მეთაურობით ირანში დიდი ელჩობის გაგზავნა გადაწყვიტა. სანამ ელჩები მოემზადებოდნენ, 1662 წ. 28 აპრილს მოსკოვიდან ისფაჰანში სპეციალური შიკრიკი, აზნაური ივანე ხვოსტოვი გაიგზავნა, რომელსაც შაჰისათვის რუსეთიდან დიდი ელჩობის მომავალი ჩასვლის ამბის შეტყობინება ევალებოდა[2].

ივანე ხვოსტოვის მისია მარტო აღნიშნულით არ ამოიწურებოდა. მას საიდუმლოდ უნდა შეეკრიბა ცნობები საქართველოში შექმნილი ვითარებისა და თეიმურაზის მდგომარეობის შესახებ, შესაძლებლობის შემთხვევაში კი მასან შაჰისაგან ფარულად კავშირიც უნდა დაემყარებინა: „...ივანეს კი ყიზილბაშეთში ყოფნისას ევალება საიდუმლოდ შეიტყოს ქართველი თეიმურაზ ბატონი ახლა შაჰთან არის თუ არა და რა ყოფაში ჰყავთ იგი, შაჰისაგან მის საქართველოში გაშვებას ფიქრობენ თუ არა, ანდა რისთვის უბრძანა შაჰმა მისი

---

1 თ. ბოცვაძე არ გვეთანხმება რუსეთ-ირანის ურთიერთობის მიმართ სიტყვა — კეთილმეზობლური — ხმარებაში და გვირჩევს, რომ უკიდურეს შემთხვევაში ბრჭყალებში მაინც ჩასვათ იგი (იხ. თ. ბ ო ც ვ ა ძ ე, „საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVIII სს.)“, თბილისი, 1968, გვ. 62). რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მთელი რიგი ლების მანძილზე (1588—1605, 1614—40-იანი წლები, 1662 წლიდან XVII საუკუნის დასასრულამდე), რუსეთსა და ირანს, დღევანდელი გაგებითაც კი, სავსებით მშვიდობიანი სამეზობლო დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთში, ამიტომ, აღნიშნული სიტყვის ბრჭყალებში ჩასმა ზედმეტად მიგვაჩნია.

2 ЦГАДА, ф. 77, 1662, საქ. № 2, ფურ. 1—15.

თავისთან მიყვანა და მის, თეიმურაზის, ადგილზე საქართველოში, მფლობელად ვინმე ხომ არაა გაგზავნილი და თუ გაგზავნილია — ვინ არის"[3].

23 აგვისტოს ივანე ხვოსტოვი უკვე ისფაჰანში იყო, ხოლო იმავე წლის 5 ოქტომბერს უკან გამობრუნდა[4]. სამეფო კარის დავალება მან შეასრულა, მოსკოვში საქართველოს შესახებ შეგროვებული ცნობები და თეიმურაზ მეფის წერილი ჩაიტანა. სამწუხაროდ, აღნიშნულ წერილს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ. მისი ძირითადი შინაარსი რუსეთის მეფის მხრიდან თეიმურაზთან მიწერილ საპასუხო წერილშია შემონახული. ირკვევა, რომ კახეთის მეფე თავის ირანში წასვლას და შაჰთან გამოცხადებას ვახტანგ მეხუთის ძალმომრეობას აბრალებდა, ტყვეობაში გაჭირვებულ ცხოვრებას აღწერდა და ალექსი მიხეილის ძეს ევედრებოდა უცხო ქვეყანაში შეხიზნულ ერეკლე ბატონიშვილს დაეხმარეო[5].

წერილის გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხვოსტოვმა თავისი მოგზაურობის ანგარიში წარუდგინა საგარეო საქმეთა პრიკაზის მოხელეებს. სწორედ ამ ანგარიშშია შემონახული ცნობები საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური ცხოვრების შესახებ.

„... შემახაში ქართველები, თბილის ქალაქელი ვაჭრები, იეაშკო მურატოვი და გარკა გავრილოვი ამბობდნენ საქართველოს მეფის თეიმურაზისა და უფლისწულ ნიკოლოზის შესახებ: საქართველოს მეფე თეიმურაზი გასულ 129 (1661 — თ. ტ.) წელს შაჰთან დაბარებით მივიდა, თაეისი სურვილით და არა ძალით, და შაჰმაც იგი დიდი პატივით მიიღო, ხელი მოჰკიდა და უთხრა მამის ადგილზე მყაეხარო (ხანდაზმულობის გამო). ახლა კი თეიმურაზ მეფე შაჰისაგან თავის საქართველოს მიწაწყალზე გაშვებას ითხოვს, შაჰი კი ყოველმხრივ ცდილობს დაიყოლიოს, რომ მასთან ნებაყოფლობით დარჩეს. გაუშვებს თუ არა შაჰი მას, ეს მათ უკვე აღარ იციან.

უფლისწული ნიკოლოზინ კი თუშეთშია და შაჰი მას განუწყვეტლივ იწვევს თავისთან და ელჩებსაც უგზავნის თუშეთში, უფლისწული კი შაჰს ეუბნება და უთვლის, რომ პაპამისი თეიმურაზ მეფე მისცეს მას, ხოლო თუ არ მისცემს, მაშინ უფლისწულს შაჰთან ომი უნდა...

და აგვისტოს მეხუთე დღეს, სოფელ მენში, ივანე ქართველი მეფის თეიმურაზის კაცს, თავად გრიგოლ მამუკოვს შეხვდა. ქართველმა თავადმა გრიგოლ მამუკოვმა ივანეს უთხრა, რომ გაგზავნა იგი შაჰმა ქართველ უფლისწულ ნიკოლოზთან საჩუქრებით, ოქროქსოვილი ხალათითა და ორი ცხენით და უფლისწულს თავისთან ჩასვლა უბრძანა, რათა მასთან შეხვედრილიყო, ხოლო როგორც კი უფლისწული შაჰთან მივა შაჰი მას (უფლისწულს — თ. ტ.) ძალით გაამაჰმადიანებს...

აგვისტოს ოცდამეცხრე დღეს ივანეს ქართველი მეფის თეიმურაზის არქიმანდრიტი გერმანე ეუბნებოდა: თხუთმეტი თვე იქნება მას აქეთ, რაც ქართველი მეფე თეიმურაზი იმერეთიდან შაჰთან სათხოვნელად თვითონ ჩამოვიდა. მისი, თეიმურაზის ადგილზე შაჰმა კენჯის (განჯის — თ. ტ.) მურტაზა ყული ხანს უბრძანა ყოფნა. ახლა ქართველი მეფე თეიმურაზი შაჰს განუწყვეტლივ თავის საქართველოში გაშვებას სთხოვს. შაჰი კი ეუბნება, ჩემთან ოშრეფში წამოდი, ოშრეფიდან აუცილებლად გაგისტუმრებო; გაუშვებს თუ არა ეს მან (გრიგოლმა — თ. ტ.) არ იცის. საკვებს თეიმურაზს და მის ხალხს ყოველ დღე 100 მანეთს აძლევენ, ხალხი კი მასთან 100 კაცია (ყველა წოდებისა ერთად).

ქართველმავე არქიმანდრიტმა გერმანემ ივანეს უთხრა: თეიმურაზ მეფისათვის ცნობილი გახდა, რომ თბილისის ხანმა შანაუსმა საქართველოს ბაშიჩინის (იმერეთის — თ. ტ.) და და-

---

[3] ЦГАДА, წიგ. 14, ფურ. 72, 73.

[4] იქვე, ფ. 77, 1662, საქ. № 2.

[5] იქვე, ფ. 77, წიგ. 14, ფურ. 384.

[6] ნიკოლოზ დავითის ძე ანუ ერეკლე ბატონიშვილი, თეიმურაზის შვილიშვილი.

დიანის მიწები გაანადგურა და სახანოებზე თავისი ცოლის ძმა[7] დასვა და ოსმალეთის სულთანმა თბილისის ხანს შიკრიკი გამოუგზავნა და შემოუთვალა: რატომ აოხრებ საქართველოს მიწა-წყალსაო. ეს ამბავი თბილისის ხანმა შაჰს შიკრიკით არ შეატყობინა. ქართველმა ეელისწულმა ნიკოლოზმა კი ახლა შაჰთან გამოგზავნა: თუ პაპაჩემს, მეფე თეიმურაზს არ გამოუშვებ, მე დიდ ხელმწიფესთან წავალ [დახმარების] სათხოვნელადო. მეფე თეიმურაზს კი ახლა დიდ ხელმწიფესთან მოსკოვში შენთან ერთად წერილის გაგზავნა სურს ...

ოქტომბრის პირველ დღეს ქართველი მეფის თეიმურაზის არქიმანდრიტმა გერმანემ ივანეს წერილი მოუტანა და უთხრა: თეიმურაზ მეფემ გამომგზავნა და დამავალა ეს წერილი ფარულად გადმომეცა შენთვის, შენ კი ეს წერილი დიდ ხელმწიფეს უნდა წაუღოო"[8].

ივანე ხვოსტოვი მოსკოვამდე არ იყო მისული, რომ ირანისაკენ მიმავალ დიდ ელჩებს შეხვდა გზაზე[9]. როგორც უკვე ზევით იყო აღნიშნული ამ ელჩობის მთავარი მიზანი ირანთან საბოლოოდ ურთიერთობის აღდგენა იყო. ამ დავალების პარალელურად თეოდორე მილოსლავსკისა და თეოდორე ნარბეკოვს, ხვოსტოვისდაგვარად, თეიმურაზისა და ერეკლე ბატონიშვილის ხელ-იღბალი უნდა დაეზუსტებინათ და შესაძლებლობის ფარგლებში ირანის მთავრობის წინაშე საქართველოს უნდა გამოქომაგებოდნენ. ამის გარდა, ელჩებს ფარულად უნდა დაეზვერათ: „...რას ამბობენ შაჰის დაახლოებული პირები ივერიისა და საქართველოს შესახებ, აპირებენ თუ არა მის დაპყრობას და ხომ არ ნადგურდება ივერია და საქართველო შაჰის ბრძანებით, ამ ყველაფრის შესახებ დაწვრილებით გაიგონ თავისთვის"[10].

მიცემული დავალების შესრულება ელჩებმა შემახაშივე დაიწყეს და საკმაოდ მნიშვნელოვანი ცნობებიც შეაგროვეს საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ. ერთ-ერთ წერილში, რომელიც ელჩებმა 1663 წელს შემახიდან მოსკოვში გაგზავნეს, ვკითხულობთ:

„ხელმწიფესა და დიდ მთავარს, ალექსი მიხეილის ძეს, სრულიად დიდი, მცირე და თეთრი რუსეთის თვითმპყრობელს, შენი ყმები, ფედკა მილოსლავსკი, ფედკა ნარბეკოვი, ვასკა უშაკოვი თავს გიკრავენ. ხელმწიფეო, გასულ, 170 (1662 — თ. ტ.) წელს, ჩვენ, შენს ყმებს, საელჩო პრიკაზიდან დიაკ დიმიტრი შუბინის ხელმოწერით, მოგვცეს [ნაკაზი, რომელშიაც] წერია: გვევალება ჩვენ, შენს ყმებს, ყიზილბაშეთში მგზავრობისას გაეიკითხოთ ქართველი უფლისწულის ნიკოლოზ დავითის ძის შესახებ: ჩავიდა თუ არა იგი თავის საქართველოს მიწაწყალზე, და სად არის ახლა იგი, საქართველოს ფლობს თუ არა და ვინ არის ახლა იმერეთში მეფედ, ხოლო ყიზილბაშეთში ყოფნისას საიდუმლოდ გაეიგოთ ქართველი თეიმურაზ მეფე ახლა შაჰთანაა თუ არა და რა პირობითა ჰყავს იგი შაჰს, როგორ ფიქრობენ: გაუშვებენ მას საქართველოში თუ არა და რისთვის ბრძანა შაჰმა მისი საქართველოდან თავისთან მიყვანა, და თეიმურაზის ადგილზე საქართველოში მფლობელად ვინმე ხომ არ გაუშვა.

და ამა, 172 (1663 — თ. ტ.) წლის, ხელმწიფეო, ნოემბრის 30 დღეს[11], შემახაში ჩვენთან, შენს ყმებთან, მოვიდა ქართველი აბრამ ივანოვი, რომელიც მოსკოვში ქართველ უფლისწულს ნიკოლოზ დავითის ძეს მერიქიფედ ედგა, ახლა იგი შაჰის ქვეშევრდომობაშია და შემახაში გადასახადს იხდის. ასე გვითხრა ჩვენ, შენს ყმებს: როგორც კი უფლისწუ-

---

[7] ხვოსტოვის შეცდომაა. იგულისხმება ვამეყ დადიანის მიერ სამეგრელოს სამთავროს ხელში ჩაგდება და იმერეთში არჩილის გამეფება.

[8] ЦГАДА, ფ. 77, 1662, საქ. № 2, ფურ. 16—23, 39.

[9] იქვე, წიგ. 14, ფურ. 251.

[10] იქვე, 1662, საქ. № 1, ფურ. 292; 1662, საქ. № 3, ფურ. 307.

[11] როგორც წესი, ყველგან წელთაღრიცხვა სექტემბრის კალენდრით არის ნაწარმოები, ამის გამოც, თუ ისტორიული ფაქტი IX—XII თვეებშია მომხდარი სამყაროს დასაბამიდან ნაწარმოებ წელს აკლდება 5509 (სხვა შემთხვევებში უნდა გამოაკლდეს 5508).

ლი მოსკოვიდან წამოვიდა და მთებში მოვიდა და საქართველოში გადასვლა მოინდომა, მიტროპოლიტმა გრიგოლმა და ბოიარინმა შერმაზან ურუსოვმა უღალატეს და უკანასკნელი ქართული ქალაქებით და ხალხიანად შაჰს მიუდგნენ. ახლა, ხელმწიფეე მთელ ქართულ მიწა-წყალს შაჰი დაეპატრონა და ქალაქებში მისი, შაჰის, ხანები და სულთნები არიან, უფლისწული კი ნიკოლოზ დავითის ძე დედით, მიტროპოლიტსა და ბოიარებს გაშორდა და ამჟამად თუშეთის მიწა-წყალზე ცხოვრობს და ამ მიწა-წყლის ხალხი ყველაფერში მას ემორჩილება. იმ თუშეთის მეომარი ხალხი რვა ათასამდე გროვდება. მეორე მიწა-წყალი, ხელმწიფეე, დედო, რომელიც თუშეთს ესაზღვრება, უფლისწულსვე მიემხრო. მათთან კი, ხელმწიფეე, მეომარი ხალხი ათი ათასამდე გროვდება. შაჰმა უფლისწულთან ოთხჯერ გამოგზავნა, რათა უფლისწული მასთან, შაჰთან მისულიყო, უფლისწული კი შაჰთან არ წავიდა. ქართველთა მეფე თეიმურაზ დავითის ძე კი, ხელმწიფეე, მოსკოვიდან როგორც კი მივიდა იმერეთში, იგი, მეფე, თბილისის შაჰნაეზ ხანმა დაიჭირა თავისთან სამ თვემდე. ამასობაში მაცნედ შიკრიკი გაგზავნა შაჰთან, შაჰმა კი მისი (თეიმურაზის — თ. ტ.) თავისთან გაგზავნა ბრძანა. იგი, მეფე თეიმურაზი, ხელმწიფეე, ისფაჰანში ორ წლამდე ცხოვრობდა და ამბობენ, რომ მოწამლეს.

თებერვლის მესამე დღეს, ხელმწიფეე, იგივე აბრამი მოვიდა ჩვენთან, შენს ყმებთან, და თქვა: შემახაში ჩამოვიდა ქართველი უფლისწულისაგან კაცი, სათარ ტარასოვი, შემახიის ხანთან წერილითა და საჩუქრებით რათა მან, ხანმა, მისი კაცი, სათარი, შემახიდან შაჰთან გაუშვას წერილით. ამ სათარმა აბრამს უთხრა: თუშეთისა და საქართველოს მიწა-წყლის ახლოს საზღვრად რომ არის მუსლიმანური მუცალ მურზას მიწა, იქ ოცდაათიათასამდე მეომარი გროვდება. აი, იმ მუცალ მურზას ქალიშვილის (სახელი არ იცის), ცოლად თხოვნა გადაწყვიტა უფლისწულმა ნიკოლოზ დაეითის ძემ იმისათვის, რომ იგი, მუცალ მურზა, თავისი მეომრებით დაეხმაროს უფლისწულ ნიკოლოზ დავითის ძეს საქართველოს გაწმენდაში. და იმ მუცალ მურზას უნდოდა თავისი ქალის მოყვანა უფლისწულთან, რათა მოენათლა და ქორწილი ახლა, აღდგომის შემდეგ უნდა იყოს, ხოლო, როგორც კი უფლისწული დაქორწინდება, ამის შემდეგ მუცალ მურზას სურს შენთან, დიდ ხელმწიფესთან, თავისი ელჩები გამოგზავნოს. და გადმომცა მე, შენს ყმას, ფედოტკა მილოსლავსკის, მან აბრამმა, ქართველი უფლისწულის ქართულად დაწერილი წერილი და მითხრა, რომ ის წერილი მას ატარ ტარასოვმა მისცა და სთხოვა ჩემთვის, შენი ყმისათვის, გადმოეცა. წერილში კი, ხელმწიფეე, რომელიც ჩემთან, შენს ყმასთან, მოიწერა, წერია, რომ მე, შენმა ყმამ, შაჰს მისთვის, უფლისწულისათვის საქართველოს მიწაწყალი გამოვთხოვო იმიტომ, რომ საქართველო მართლმადიდებლურ ქრისტიანულ სარწმუნოებას მისდევს და უფლის ეკლესიები და წმინდა ნაწილები მუსლიმანებს არ დარჩეთ. და მე, შენმა ყმამ, ქართველ უფლისწულს ნიკოლოზ დავითის ძეს მივწერე, რომ როგორც კი ღმერთი ინებებს და ჩვენ, შენი ყმები, ისფაჰანს ვიქნებით და შაჰის უახლოეს პირებთან წარვდგებით, ამის შესახებ ვილაპარაკებთ.

ბევრი შემახელი, ხელმწიფეე, ამბობს, რომ ქართველმა უფლისწულმა შაჰთან იმისათვის გაგზავნა [შიკრიკი], რომ შაჰმა მას შეუნდოს და შაჰმაც მას თავისთან ყოფნა უბრძანაო"[12].

---

12 ЦГАДА, ფ. 77, წიგ. 14, ფურ. 408—410; 1662, საქ. № 7, ფურ. 578—581; მილოსლავსკის მიერ ერეკლე ბატონიშვილთან მიწერილი საპასუხო წერილი 1664 წლის 20 თებერვლითაა დათარიღებული: „დიდი ხელმწიფის, მეფისა და დიდი მთავრის ალექსი მიხეილის ძის, სრულიად დიდი, მცირე და თეთრი რუსეთის თვითმპყრობლის, მისი მეფური უდიდებულესობის ქვეშევრდომს ქართველ უფლისწულს ნიკოლოზ დავითის ძეს მისივე მეფური უდიდებულესობის დიდი და სრულუფლებიანი ელჩი, ოკოლნიჩი და ნოვოტორჟსკის ნაცვალი თეოდორე იაკობის ძე მილოსლავსკი თავს გიკრავს. ამა, 172 წლის თებერვლის ... დღეს იწერებოდი შენ ჩემთან შენი კაცის ატარ ტარასოვის ხელით, რომ მე შაჰისაგან შენთვის, უფლისწულისათვის საქართველოს მიწა-წყალი გამომეთხოვა, ვინაიდან საქართველო მართლმადიდებლურ ქრისტიანულ რჯულს ატარებს და ღვთის ეკლესიები და წმინდა ნაწილები ურჯულოებს არ ერგოთ. და ჩვენ როგორც კი ღვთის წყალობით ისფაჰანში ვიქნებით შაჰის უახლოეს პირებთან საუბრის დროს ამაზე ვილაპარაკებთ. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ შენ, უფლისწული ნიკოლოზ დავითის ძე ქალის თხოვნას აპირებ, მაგრამ რომელი მფლობელის შვილი მოგყავს, შენმა ხალხმა ზუსტად ვერ გვითხრა. შენ ამისა და სხვა ყველა ჩვეულებრივი საქმისა და შენი დედის დედოფალ ელენეს შესახებ ჩემთან ყველაფერი დაწერილებით

შემახში ყოფნისასვე ელჩებმა შეიტყვეს ერეკლე ბატონიშვილისა და ვახტანგ მეხუთის შებრძოლებებზეც:

„...ჩვენვე, შენს ყმებს, — წერდნენ ელჩები, — გვამცნობდნენ ქართველებიც, ყიზილბაშებიცა და ყუმუხებიც, რომ ივერიის და საქართველოს მიწა-წყალს, ხელმწიფევ, მრავალი წლის მანძილზე ფლობს შაჰი და ქალაქებში მისი, შაჰის ხანები და სულთნები არიან და ახლა, ხელმწიფევ, თუშეთიდან საქართველოში, თბილის ქალაქთან შაჰნავაზ-ხანის წინააღმდეგ წამოვიდა ქართველი უფლისწული თუშებთან და დიდოელებთან ერთად და დიდი ბრძოლა იყო შაჰნავაზ-ხანთან. ვინ ვინ დაამარცხა — მათ არ იციან. ხმა დადის, ხელმწიფევ, რომ შაჰნავაზ-ხანი ქართველმა უფლისწულმა ნიკოლოზ დავითის ძემ დაამარცხა და ბევი ვაჟი ბრძოლაში თვალში დაიკრა, ხოლო შაჰნავაზ-ხანი ბრძოლის მერე თუშეთში წავიდა მცირერიცხოვანი ხალხით, უფლისწული კი ბრძოლის შემდეგ უკან, თუშეთშივე გაბრუნდა და წმინდა გიორგის მონასტერში დადგა“[13].

დიდი ელჩი თევდორე მილოსლავსკი ირანში გარდაიცვალა. მეორე ელჩმა ნარბეკოვმა და დიაკმა უშაკოვმა ბოლომდე მიიყვანეს დაკისრებული საქმე, ეახლნენ შაჰს და სათანადო მოლაპარაკება აწარმოეს. მოსკოვში დაბრუნებისას მათ თავისი მუშაობის ანგარიში წარადგინეს, სადაც კიდევ ერთ საინტერესო ცნობასა ვხვდებით:

„...ჩვენ, შენი ყმები, შაჰს წესისამებრ მივესალმეთ და შაჰმა გვიბრძანა მარჯვენა მხარეს, ოთხი მახლობელი სამი ადამიანის გვერდით სკამებზე ჩამოვმსხდარიყავით. შებინდებისას შაჰის კარვის წინ ასამდე მოჭრილი, ძელზე ჩამოცმული ადამიანის თავი ჩაატარეს. ასე ოქვეს, თითქოს თბილისის შაჰნავაზ-ხანმა ქართველი უფლისწულის ხალხი და თუშები დაამარცხა როდესაც ისინი საქართველოს მიწა-წყალს მოადგნენო და ის მოჭრილი თავები შაჰმან გამოგზავნა საცნობებლადო. ხოლო როდესაც ჩვენ, შენი ყმები, ხელმწიფევ, შაჰისაგან შინ წავედით ჩვენმა ხალხმა, ხელმწიფევ, შენს ყმებს, ჩვენ, გვითხრა: როდესაც ძელზე ჩამოცმული ის თავები შაჰის კარვის წინ გაატარეს, მათ ახლოს გაიარეს და კარავთან მიაყუჩეს და ისინი (ელჩების მსახურები — თ. ტ.) ხედავდნენ, რომ ყველა მოჭრილი თავი კი არ გაუტარებიათ, ჩამოცმული კიდევ ბევრი იყოო...“[14].

რუსეთის მთავრობა შიკრიკებისა და ელჩების პარალელურად საჭირო ცნობებს ასტრახანისა და თერგის ვოევოდებისაგანაც იღებდა, რომელთაც ინფორმაციის შეგროვების საკუთარი სისტემა და მეთოდი გააჩნდათ. ჩვენ ილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ იმ წერილს, რომელიც მილოსლავსკია და ნარბეკოვის ელჩობის მასალებშია დაცული.

„ხელმწიფეს და დიდ მთავარს ალექსი მიხეილის ძეს სრულიად დიდი, მცირე და თეთრი რუსეთის თვითმპყრობელს შენი ყმები სავკა კოზლოვსკი, ანდრიუშკო ალექსანდროვი თავს დაკრავენ. დიდო ხელმწიფევ, ამა, 172 (1663) წლის 19 ნოემბერს შენს, დიდი ხელმწიფის, ბრიკაზო სახლში, გამოგზავნა ჩვენთან, შენს ყმებთან, ავარელმა ტურლეე ალეხან მურზამ ვარელიევ ალბეკ მურზას უზდენის, იუსუპის ხელით, მუსლიმანურად ნაწერი წერილი, მის წერილში კი, დიდო ხელმწიფევ, წერია: ქართველი თეიმურაზ მეფის შვილს[15] ყიზილბაშთა

ენდა მოიწერო, რათა ჩვენი დიდი ხელმწიფისათვის, მისი მეფური უდიდებულესობისათვის შენი მდგომარეობის შესახებ ცნობილი იყოს...“ (ЦГАДА, ფ. 77, 1664. საქ. № 3, ფურ. 44).

[13] ЦГАДА. ფ. 77, წიგ. 14, ფურ. 524.

[14] იქვე, ფურ. 505.

[15] შეცდომაა. ლაპარაკია ალბათ ვახტანგ V-ის შვილზე, არჩილზე.

შაჰმა წყალობა უყო, ხოლო თეიმურაზ მეფის რომელ შვილს, რა ჰქვია მას და რა უწყალობა ყიზილბაშთა შაჰმა ეს, დიდო ხელმწიფევ, მის, ტურლეე ალეხან მურზას წერილში სახელ-დობრ არა წერია.

თებერვლის 11 დღეს კი, დიდო ხელმწიფევ, შენს, დიდი ხელმწიფის, საპრიკაზო სახლ-ში, ჩვენ, შენს ყმებს, ასტრახანის ფერისცვალების მონასტრის გლეხმა მიკიტა თეედორეს შვილმა სეევრგინმა გვითხრა: გაემგზავრა იგი თერგიდან თარღუში, სურხაი შამხალის სამ-ფლობელოში სავაჭროდ და თარღუში მან თარღუელ ტინატკა აჩინასაგან და მისი ამხანაგე-ბისაგან შეიტყო, რომ ...ყიზილბაშთა შაჰს, აბასს, საქართველოსა და თუშეთზე გალაშქრებ-სურს და თარღუში თარღუელ სურხაი შამხალთან და ყველა ყუმუხელ მფლობელთან გამოგ-ზავნა [შესატყობინებლად], რომ იგი სურხაი შამხალი და ყუმუხელი მფლობელები საქართ-ველოსა და თუშების წინააღმდეგ საბრძოლველად წავიდნენ. სურხაი შამხალსა და ყუმუხელ მფლობელებს და მათ უზდენებს, რომლებიც შაჰ აბასისაგან ჯამაგირს იღებენ, წასვლა სურთ, ხოლო იმათ, ვინც შაჰ აბასისაგან ჯამაგირს არ იღებენ, წასვლა არ უნდათ...“[16].

საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად არანაკლებ საინტე-რესოა 1676 წელს მოსკოვიდან ირანში გაგზავნილი რუსი თარჯიმნის კონს-ტანტინე ქრისტეფოროვის ანგარიში, რომელშიც განსაკუთრებით საყურად-ღებო ცნობებია დაცული ერეკლე ბატონიშვილისა და ვახტანგ V-ის ურთიერ-თობების შესახებ

ვახტანგ V XVII ს-ის 60—70-იანი წწ. საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტულ ფიგურას წარმოადგენდა. მთელი თავისი 18-წლიანი მეფობის პერიოდი მან საქართველოს ცალკეული კუთხეების გაერთიანებისათვის ბრძო-ლას მოახმარა. როგორც სამართლიანად მიუთითებდა ნ. ბერძენიშვილი: „...შაჰნავაზმა ირანის შემწეობით საქართველოს სათავადოებისა და სამეფოე-ბის შემომტკიცებაც კი განიზრახა. ამ მიზანს ემსახურებოდა მისი ბრძოლა ერისთავთა წინააღმდეგ, ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში და თავისი შვილის, არჩილის გამეფება ჯერ იმერეთში, ხოლო შემდეგ კახეთში. ყო-ველივე ეს აძლიერებდა თვით ვახტანგ V-საც, რაც ირანის შაჰს, ცხადია, მა-ინცდამაინც არ მოსწონდა“[17].

მას შემდეგ, რაც იმერეთის შემომტკიცების ცდა მარცხით დამთავრდა (როგორც ცნობილია, იმერეთში არჩილის გამეფებას ირან-ოსმალეთის ურ-თიერთობების გართულება მოჰყვა), ვახტანგმა არჩილი ირანს გაგზავნა, სა-დაც იგი გამაჰმადიანდა და კახეთის ტახტი მიიღო. ამიერიდან ვახტანგ V-ის მთელი ყურადღება იქითკენ იყო მიმართული, რომ აღმოსავლეთ საქართვე-ლოში მტკიცედ მოეკიდა ფეხი, მაგრამ ამის განხორციელება არც ისეთი იო-ლი საქმე იყო. 1660—1664 წწ. ვახტანგს დიდი ბრძოლა მოუხდა კახეთის სა-მეფოს კანონიერ მემკვიდრე ერეკლე ბატონიშვილთან, რომელიც თუშეთში იდგა და მამაპაპისეული სამფლობელოების დაბრუნებას ცდილობდა. მარ-თალია, მაშინ ვახტანგმა შეძლო ერეკლეს გაძევება, მაგრამ 1674 წლიდან ქართლ-კახეთის სამეფოთა ერთიანობა ისევ საშიშროების წინაშე დადგა. ერეკლე ბატონიშვილი კვლავ დაბრუნდა რუსეთიდან და ამჯერად მისი მიზ-ნების განხორციელება უფრო რეალური მოჩანდა. ამ ხანებში საქართველო-

---

16 ЦГАДА, ფ. 77, წიგ. 14, ფურ. 396, 397; 1662, საქ. № 1, ფურ. 504, 505, 512—514.

17 ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, (უძველესი დროიდან XIX ს. და-სასრულამდე), დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 305.

ში მეტად ორიგინალური პოლიტიკური სიტუაცია დაისახა: კახეთის მეფემ, არჩილმა ერეკლე მოიწვია და ტახტის დათმობა აღუთქვა. თვით არჩილი, როგორც ჩანს, იმერეთის სამეფო ტახტის დაბრუნებას იმედოვნებდა. მაგრამ მისი იმერეთში განმტკიცების ცდები მარცხით დასრულდა.

აი, სწორედ ეს გართულებული საშინაო ვითარებაა აღწერილი ერეკლე I-ისა და რუსი თარჯიმნის კონსტანტინე ქრისტეფოროვის საუბრის ჩანაწერში, რომელიც ქრისტეფოროვმა მოსკოვში დაბრუნებისთანავე წარადგინა საელჩო პრიკაზში:

„...როგორც კი სუფრას მიუსხდნენ უფლისწულმა მას, კონსტანტინეს უამბო: როცა იგი თავის სიძესთან, დის ქმართან, შაჰნაზარ-ხანთან, შაჰნავაზ-ხანის ვაჟთან, რომელიც მის, უფლისწულის, მამულსა ფლობდა [მივიდა], მან, (არჩილმა — თ. ტ.) იგი (ერეკლე — თ. ტ.) დიდი პატივითა და სიყვარულით მიიღო||შაჰთან მისი გაშვება კი არ უნდოდა. ასევე არ ურჩევდნენ მას შაჰთან წასვლას კახეთის კათალიკოსი და დიდებულებიც. მას, მის სიძეს, შაჰნაზარ-ხანს, სურდა, შაჰთან მიეწერა და ეთხოვა, რომ შაჰს მისთვის უფლისწულისათვის, მამისეული მიწა მიეცა, ხოლო მისთვის, შაჰნაზარ-ხანისათვის, მისი მამის, შაჰნავაზ-ხანის ადგილსამყოფელი, ქართლის მიწა-წყალი, ამის გამო შაჰნავაზ-ხანი გამწყრალი იყო თავის ვაჟზე, შაჰნაზარ-ხანზე და მასზე, უფლისწულზე აუგად ფიქრობდა.

იმ დროს შაჰის უდიდებულესობისაგან მასთან, უფლისწულთან, სომეხი გრიგოლ ლუსიკოვი და შემახის მეჰმანდარი რიზა-ხან-ბეგი ჩამოვიდნენ და მას შაჰისაგან ტანსაცმელი, ||ხმალ-ხანჯალი და შეკაზმული ცხენი მოართვეს. წერილში ეწერა, რომ მას, უფლისწულს, ყოველ-კარი ეკვები მოეშორებინა თავიდან და შაჰთან წასულიყო, ხოლო შაჰი იფიცებოდა, რომ თავის სარწმუნოებას არ დააძალებდა.

ისინი კი, კახეთის კათალიკოსი და კახეთის სხვა თავკაცები, ძველებურად არ ურჩევდნენ შაჰთან წასვლას, უნდოდათ ყველას მიეწერა შაჰთან და მორჩილად ეთხოვნათ, რომ მას მოეღო მოწყალება და მამის სამფლობელო, კახეთის მიწა-წყალი მისთვის მიეცა.

იმავე დროს უფლისწულმა გაიგო, რომ შაჰნავაზ-ხანს ასეთი რამ ედო გულში: როცა შაჰის ელჩები გრიგოლ ლუსიკოვი და რიზა-ხან-ბეგი||წავიდოდნენ უფლისწულის გარეშე, შაჰთან მიეწერა, რომ თითქოს უფლისწული მტრული განზრახვით იყო საქართველოში ჩამოსული, რის გამოც მასთან, შაჰის უდიდებულესობასთან, წასვლა არ უნდოდა და გადაწყვეტილი ჰქონდა ძალით დაეპყრო შაჰის უდიდებულესობის მიწა-წყალი, თანაც თითქოს მას ბევრი რუსი ჰყავდა თან.

მან კი უფლისწულმა კათალიკოსსა და სხვებს ასეთი რამ უთხრა: თუ კი ისინი უშლიან და არ ურჩევენ შაჰთან წასვლას, მაშინ მათ თავისი ხელით დაწერილი წერილი მისცენ. რომ იმ შემთხვევაში. თუ შაჰი მის მტერს, შაჰნავაზს, უბრძანებს უფლისწულის დაჭერას და თავისთან გაგზავნას, მათ, კათალიკოსმა და დიდებულებმა, თავს უნდა იდონ მისი გამოსარჩლება და არ გასცენ იგი. ასეთი წერილის მიცემა კი მათ არ მოისურვეს. ამის მერე უფლისწული მიხვდა, რომ შაჰთან წაუსვლელობა არ მოუტანდა მას სიკეთეს; ამიტომ ახსნა ღმერთი და შაჰის უდიდებულესობასთან გაემგზავრა.||

შაჰნავაზ-ხანი კი გამწყრალი იყო თავის ვაჟზე, შაჰნაზარ-ხანზე: რაზე გაუშვა ჩემი დასტურის გარეშე უფლისწული შაჰთანაო. და შაჰნაზარ-ხანი თავისი მამის შიშით იმერეთში გადახვეწა. შაჰნავაზ-ხანი კი შაჰთან იწერებოდა, თითქოს მისი შვილი უფლისწულის ჩაგონებით წაიდა იმერეთში, რათა შაჰს კახეთის მიწა-წყალი მისთვის, უფლისწულისათვის, მიეცა. მაგრამ შაჰმა გაიგო, რომ ყოველივე ეს სიცრუე იყო.

შაჰი მანამდეც ბევრსა სწერდა შაჰნავაზ-ხანს, ||რომ იგი მასთან ჩამოსულიყო, მაგრამ იგი არ ჩამოვიდა, ხოლო როცა კი უფლისწული შაჰთან მივიდა, შაჰნავაზ-ხანმა შაჰის უდიდებულესობასთან მოიწერა, რომ ჩამოსვლა მინდაო და ახლა შაჰის ბრძანებით მასთან მოემგზავრება ყველა მოხელეთა და ქართლის მიწა-წყლის დიდებულებით...“[18].

მოყვანილ დოკუმენტში, როგორც ვხედავთ, საკმაოდ საინტერესო ფაქტებია გადმოცემული. მათ ჩვენ ქართულ წყაროებშიც ვხვდებით, მაგრამ იქ

[18] ЦГАДА, ფ. 77, წიგ. 20, ფურ. 35—39.

ისინი სხვადასხვა მიზეზებითაა ახსნილი. მაგალითად, შაჰნავაზის ძეთა იმერეთში გადასვლას ვახუშტი ბაგრატიონი და ფარსადან გორგიჯანიძე მცირე განსხვავებით ასე წარმოგვიდგენენ: მეფის მტრის, შიხალი-ხანის ჩაგონებით ახალციხის ფაშამ შეაგულიანა ვახტანგის .ძე ლუარსაბი იმერეთის ტახტი დაეჭირა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერაფერი გააწყო; მის კვალს მიჰყვა არჩილიც, რომელიც დიდი ხანია ოცნებობდა იმერეთის ტახტზე ხელმეორედ ასვლას. ვახტანგ მეხუთე ბევრს ეცადა, მაგრამ შვილები ვერ დააბრუნა უკან და იძულებული გახდა ირანის შაჰისათვის ეცნობებინა ყველაფერი, რათა მას არ დაბრალებოდა ღალატი[19].

დ. კაჭარავამ გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ვახტანგ V-მ არამც თუ ფარული თანხმობა მისცა შვილებს იმერეთში გადასვლაზე, არამედ კიდეც აფინანსებდა მათ[20]. ჩვენ ვეთანხმებით ამ აზრს და ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებასაც, რომ იმერეთში „გარბიან“ არა გიორგი ან ლევან ბატონიშვილები, არამედ მაინცდამაინც ლუარსაბი, რომელიც რაჭის ერისთავის შოშიტას სიძე იყო და დახმარების იმედი ჰქონდა, და არჩილი, რომელიც მანამდე უკვე იყო იმერეთში მეფედ და გარკვეული მომხრეები ჰყავდა.

ირანის მთავრობას, რომელსაც კარგა ხანია რაც აღარ მოსწონდა ვახტანგ V-ის დამოკიდებულება, არ შეეძლო დაეჯერებინა მისი უდანაშაულობისა და ერთგულებისათვის. შაჰის მოთმინების ფიალა აავსო კიდევ ერთმა გარემოებამ: ერეკლე I რუსეთში იტყობინებოდა, რომ ქართლის მეფემ სხვა ურჩობასთან ერთად საკუთარი ფულის მოჭრაც დაიწყო, რითაც საბოლოოდ მოთმინებიდან გამოიყვანა ირანის შაჰი[21].

დ. კაჭარავა ეყრდნობა პროფ. დ. კაპანაძის მოსაზრებას თბილისში თურქეთის სულთან მეჰმედ IV-ის სახელით მონეტის მოჭრის შესახებ და ასკვნის, რომ ვახტანგ V-მ დაინახა რა, რომ რუსეთი ირანის წინააღმდეგ მოკავშირედ არ გამოადგებოდა, გადაწყვიტა ოსმალეთს დაახლოვებოდა, აღიარა სულთნის უზენაესობა და ამის დასადასტურებლად მეჰმედ IV-ის სახელით მონეტაც კი მოუჭრიაო[22].

ცოტა ქვევით ავტორს მეორე საბუთიც მოჰყავს, რომლის მიხედვითაც შაჰს ვახტანგისათვის უბრძანებია: რაც კი ხაზინაში შემოსავალი გაქვს გამოგზავნეო, მაგრამ ვახტანგი არ დამორჩილებია ამ ბრძანებას[23].

---

19 ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება 1469—1800-მდე, თბ., 1913. გვ. 84. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, „საისტორიო მოამბე“, II, თბ., 1925, გვ. 274.

20 დ. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, ვახტანგ მეხუთის საგარეო პოლიტიკის საკითხისათვის, კრებული „საქართველოს სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, I, თბ., 1970, გვ. 145.

21 იქვე, გვ. 143 „...великий шах пришел в Казбин, чтобы отправиться в Гурцию (Грузию) по многим причинам и непостоянству Шах-Навас Хана, который вычеканил собственную монету“ (დამოწმებულია: Переписка на иностранных языках грузинских царей с русскими государями, СПб., 1861, გვ. 99).

22 დ. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, დასახ. შრომა, გვ. 145.

23 იქვე, გვ. 144, „А перед приездом де царевича в тушинскую землю писал шах к Шенавасу хану, чтоб с денежного двора, что под его владением в грузинской земле всякие доходы присылал к нему, шаху. И он Шенавас хан в том ему учинился непослушен“ (დამოწმებულია: ЦГАДА, ф. 110, 1673, საქ. № 1. ფურ. 191).

ამ საბუთის საფუძველზე დ. კაჭარავა ასკვნის: „...ირკვევა, რომ ვახტანგ მეხუთე ირანის შაჰს აღარ აძლევს ზარაფხანის შემოსავალს. შაჰმა მოითხოვა მისი განახლება, მაგრამ მეფისაგან მტკიცე უარი მიიღო, ყოველივე ამას გამოუწვევია შაჰის განრისხება“[24].

როგორც ცნობილია, დ. კაპანაძის მოსაზრება თბილისში თურქული მონეტების მოჭრის შესახებ არ დადასტურდა. ამრიგად, ზემოთ მოყვანილი დოკუმენტები, რომლებიც თავისთავად სინამდვილეს შეესაბამება, არ გამოდგება ვახტანგ მეხუთის მიერ სიცოცხლის ბოლო წლებში თურქულ ორიენტაციაზე დადგომის დასასაბუთებლად.

ფაქტი იმის შესახებ, რომ ვახტანგ მეხუთესა და ირანის მთავრობას შორის ურთიერთობის გამწვავების ერთ-ერთი მიზეზი ვერცხლის გამოდნობა თუ საკუთარი ფულის მოჭრა იყო, დასტურდება თანამედროვეთა მონაცემებით. 1673 წელს მოსკოვში ჩასულ ირანელ დიდვაჭარს გრიგოლ ლუსიკოვს (რომელიც იმჯერად ელჩის მოვალეობასაც ასრულებდა) ევალებოდა დაერწმუნებინა ერეკლე ბატონიშვილი, რომ ირანში მისი ჩასვლისა და კახეთის ტახტის მიღებისათვის ხელსაყრელი მომენტი იყო დამდგარი: შაჰნავაზი ძალიან „გაამდიდრა და შაჰს ეურჩებაო“ („обогател и шаху чинитца непослушен“)[25]. კონსტანტინე ქრისტეფოროვის მიერ ირანში 1676 წელს შეგროვებული ცნობები უფრო ნათელ სურათს იძლევა. თავის ანგარიშში იგი ერთგან წერს:

„იენისის პირველ დღეს (იგულისხმება 1677 წელი — თ. ტ.) შემახაში საქართველოდან ბერძენი, სახელად ნიკოლოზი, ჩამოვიდა და მასთან, კონსტანტინესთან მივიდა. კონსტანტინემ კი მას სხვადასხვა ამბები გამოკითხა. მან ნიკოლოზმა, თქვა: როგორც კი შაჰნავაზ-ხანი ქალაქ სოვში[26] გარდაიცვალა, ჯერ კიდევ თბილისში ამბავი არ იყო ჩამოსული, რომ ქართველი კათალიკოსი დომენტი ბაგრატიონი, შაჰნავაზ-ხანის ღვიძლი ძმა[27], იმავე დღეს გარდაიცვალა. შაჰნავაზის უფროსი ვაჟი შაჰნაზარ-ხანი, ანუ ლევანი[28], ნიკოლოზ ბატონიშვილის სძე[29], ქართლში ჩამოვიდა და მთელი ქართლის დიდებულებმა მის წინაშე მუხლი მოიყარეს და ყველას სურს, რომ იგი მათთან ხანად იყოს. მან ამის შესახებ შაჰთან თავისი მეჯრიკი გაგზავნა და განკარგულებას ელოდება.

იმავე ნიკოლოზმა თქვა: გასულ, 184 (1676) წელს შაჰნავაზ-ხანს რომელიღაც თუშმა, წარჩინებულთაგან, სახელად ალკანმა, რომელიც მასთან, შაჰნავაზ-ხანთან, მიდიოდა ხოლმე და საჩუქრებს იღებდა მისგან, უთხრა, რომ ჩერქეზეთში, ერთ ადგილას, მთებში ვერცხლის მადანია ბევრიო და შაჰნავაზმა თავისი ხალხი გაგზავნა მის, ალკანის, ხალხთან ერთად და იმ ადგილიდან ცოტა მიწა მოიტანეს და მადნის მცოდნე ბერძენ აბრამს აჩვენეს და საუკეთესო აღმოჩნდა. ამის შემდეგ, შაჰნავაზ-ხანმა მასთან, ალკანთან, ერთად ის მადნის მცოდნე ბერძენი აბრამი გაგზავნა, თან თავკაცი და 60 მეთოფე გააყოლა, რომ ის მადანი გამოეღოთ და იქ ვერცხლი გამოედნოთ. ჩერქეზებმა კი ისინი აბლოსაც არ მიუშვეს, ამბობდნენ: ჩვენ შაჰნავაზ-ხანისა არ გვეშინია და არ გავუშვებთ, რომ აქ ვერცხლი გამოადნოს იმიტომ, რომ როგორც კი რუსთხელმწიფე გაიგებს ჩვენ ყველას გაგვაღატაკებსო. თუ შაჰნავაზ-ხანს მადანი სჭირდება ჩვენგან იყიდოს და თავისთან გამოადნოს, აქ კი არ გავუშვებთო და ასე დაბრუნდნენ უკან.

---

24 დ. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, დასახ. შრომა, გვ. 144.

25 Армяно-русские отношения в XVII веке, сбор. док., Ереван, 1953, გვ. 80.

26 უნდა იყოს „სავეში“.

27 დომენტი კათალიკოსი ვახტანგის ბიძაშვილი იყო და არა ძმა, იხ. ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. შრომა, გვ. 79; ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება XVIII ს. დამდ., თბილისი, 1940, გვ. 209.

28 შაჰნაზარ ხანი არჩილს ერქვა და არა ლევან ბატონიშვილს.

29 ნიკოლოზ ბატონიშვილი ანუ ერეკლე პირველი.

მერე შაჰნაზაზმა მათთან მცირე საჩუქრები კინდიაკები და ფარჩეული გაგზავნა და მისცეს მას იქ მიწიდან ათასი კაცსაპალნე, იმიტომ, რომ იმ ადგილებში საქონლით გაელა არ შეიძლება. იმ მიწიდან მარტო 10 ბათმანი გამოდნა და ბევრი ტყვია და ვერცხლი გამოვიდა. ზუსტად რამდენი იყო რიცხვი მან, ნიკოლოზმა, არ იცის იმიტომ, რომ ფარულად აღნობდნენ. მარტო ის იცის, რომ აბრამი იმ მადანს ძალზე აქებდა და ამბობდა: მარტო ერთი წელი რომ ვიმუშაო უამრავ სიმდიდრეს ამოვიღებო, დანარჩენი მიწა მთაში დატოვეს, სოფელ კურჩლივანში, თბილის ქალაქიდან ორი დღის სავალზე და დღესაც შაჰნავაზის ბეჭდით არის დალუქული იმიტომ, რომ შაჰნაზაზ ხანს არ ეცალა იმ მიწის სადნობად.

იმ მადნის მცოდნე აბრამი, მისი მოწაფე და მესამე მეევრცხლე, რომლებიც იქ იყვნენ და მადანი ამოიღეს, თბილისში ცოტა ხნის ცხოვრების შემდეგ სამივე ერთ კვირაში დაიხოცა. ამბობენ, რომ იმ ადგილიდან, საიდანაც ის მადანი ამოიღეს, თერგამდე ოთხი დღის სავალიაო"[30].

მართალია, კონსტანტინე ქრისტეფოროვის ინფორმატორი, ბერძენი ნიკოლოზი, ზოგიერთ ცნობას არასწორად იძლევა (მაგ., შაჰნაზარ-ხანი ლევანიაო და დომენტი კოთალიკოსი ვახტანგ V-ის ღვიძლი ძმაო) მაგრამ მის მიერ რუსი თარჯიმნისათვის მიწოდებული ფაქტები ნამდვილი უნდა იყოს[31]. ამის დასასაბუთებლად ერთ ცნობას მოვიყვანთ.

1646 წელს კახეთის მეფე თეიმურაზი მოსკოვის მეფეს თავისი ელჩის გრიგოლ ჩოლოყაშვილის (რუსული წყაროების მიხედვით შახლიკუჩიევის) ხელით გატანებული წერილით ატყობინებდა: „...და ჩვენსავე, დიდო ხელმწიფეო, ქართულ სახელმწიფოში, ვერცხლის მადანი აღმოჩნდა, და შენ, ხელმწიფეო, ინებე [და] ბრძანე გამოგზავნა მადნის მცოდნეთა და ვერცხლის ოსტატთა [რომლებიც მას] დაამუშავებენ, ხაზინა კი ღვთისა და შენი, დიდი ხელმწიფისაა. თ ერ გ ი დ ან კ ი ის მ ა დ ა ნ ი ა ხ ლ ო ს ა ა, მ ხ ო ლ ო დ ო თ ხ ი დ ღ ი ს ს ა ვ ა ლ ი ა"[32] (ხაზი ჩვენია — თ. ტ.).

თუ თეიმურაზ პირველი და მისი წინაპრები ერიდებოდნენ ირანის შაჰებთან შეტაკებას და საბადოს დამუშავებას არ აწარმოებდნენ, ვახტანგ მეხუთემ გაბედა და საბადოს გამოკვლევა აწარმოვა, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა, რამდენიც არ ეცადა ქართლის მეფემ, საიდუმლოდ ვერ მოახერხა ამ პროცესის ჩატარება. ირანში გაუგეს და კატეგორიულად მოსთხოვეს ანგარიში.

ვახტანგმა შაჰის კარამდე ვერ ჩააღწია. ქართული წყაროების მიხედვით იგი 1675 წელს ხოშკარს გარდაიცვალა[33]. კონსტანტინე ქრისტეფოროვის ჩა-

---

30 ЦГАДА, ფ. 77, წიგ. 20, ფურ. 66—68.

31 ვერცხლისა და ოქროს საბადოების ჩრდილო კავკასიაში არსებობის შესახებ რუსეთის მთავრობამ 20-იან წლებშიაც იცოდა. მათი ადგილმდებარეობა, ამ საკითხზე არსებულ წყაროებში, თერგიდან ექვსი დღის სავალით განისაზღვრებოდა. ძირითადი მასალა ჩრდილო კავკასიაში ვერცხლის საბადოს არსებობის თაობაზე დაცულია საკავშირო აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ლენინგრადის ფილიალის ხელნაწერთა განყოფილების გამელის კოლექციაში, პუბლიკაცია იხ. კრებულში: Кабардино-русские отношения в XVI—XVIII вв., I, М., 1957, გვ. 111—127.

32 „Да в нашем же государь Грузинском государстве объявилася руда серебрянная и тебе бы государю пожаловать велеть прислать рудознатцев и серебрянных мастеров, кому делать; вся казна божия да твоя, государева, а от Терка та руда блиско, только в четырех днищах", (ЦГАДА, ფ. 110, 1647, საქ. № 1). ტექსტის ქართული თარგმანი შესრულებულია ისტ. მეცნ. კანდიტატის ო. გ. ჟეჟუნაძის მიერ.

33 ვ ა ხ უ შ ტ ი, დასახ. შრომა, გვ. 380; ფ ა რ ს ა დ ა ნ გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ისტორია... გვ. 275.

ნაწერების მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია უფრო დავაკონკრეტოთ ეს თარიღი.

როდესაც ქრისტეფოროვი ერეკლესთან სადილად იყო მიპატიჟებული (1676 წ. 14 სექტემბერს), ქართველი ბატონიშვილისაგან გაიგო, რომ შაჰნავაზი საქართველოდან შაჰთან გამომგზავრებულიყო[34]. იგივე ქრისტეფოროვი აღწერს რა შაჰთან თავის გამოსათხოვარ აუდიენციას (1676 წ. 23 ნოემბრამდე, დოკუმენტში ზუსტი თარიღი მითითებული არ არის) მიუთითებს: „...როდესაც იგი, კონსტანტინე, შაჰთან გამოსათხოვებლად იყო[35], იმ დროს [შაჰი] თავის სასახლის ბაღში იმყოფებოდა. მასთან მაშინ ყველა მახლობელი ადამიანი იყო ისევე, როგორც წინათ, ქართველი უფლისწულიც, უზბეკი აბდულ აზინ ხანის წარგზავნილი ქელბალი ხანი და ქართლის მიწა-წყლის გარდაცვლილი შაჰნავაზ-ხანის ახლობლები, რომლებიც ჩამოსულიყვნენ შაჰნავაზ-ხანის საჩუქრებით“[36].

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ვახტანგ V გარდაცვლილა 1676 წ. შემოდგომაზე (სექტემბერ-ნოემბერში).

როგორც ვხედავთ, რუსი დიპლომატების მიერ ნანახი და გაგონილი ამბები (ცხადია, აუცილებელი ანალიზის და შემოწმების შემდეგ), საშუალებას იძლევა შევავსოთ და დავაზუსტოთ საქართველოს ისტორიის ზოგიერთი ფაქტი.

---

[34] ЦГАДА, ფ. 77. წიგ. 20, ფურ. 39 „...и по указу де щахова величества ныне идет к шаху со всеми чиновными и с началными людми карталинской земли“.

[35] უნდა აღვნიშნოთ, რომ ქრისტეფოროვის მოხსენება, ისევე როგორც სხვები, კანცელარიაში იქნა გადამუშავებული და ამიტომ არის, რომ თხრობა მესამე პირში მიმდინარეობს.

[36] ЦГАДА, ფ. 77, წიგ. 20 ფურ. 50 —51. „...а ка к он, Костянтин на отпуске был у шаха, в то время был в садах во своих же полатах, а при нем в то время сидели вси ближние ево люди по прежнему, и грузинской || царевичь да узбекского Абдул Азин Хана посланник Келбали-хан да Карталинской земли умершего Шах Наваз-хана ближние люди, что в то время были на приезде с Шахнаваз-хановыми подарками“.

ფედია ქანთარია

ერთობლივი შრომის ფორმები მთა ოსეთში

ოსეთის მთიან ხეობებში სამიწათმოქმედო, საველე თუ სხვა შრომატევადი სამუშაო ხშირად შეერთებული ძალებით სრულდებოდა. XIX ს-ის ბოლო წლებისა და XX ს-ის დასაწყისის საველე ეთნოგრაფიული მასალა უხვად შეიცავს ამ რიგის მონაცემებს. ერთობლივი სამუშაოები ტარდებოდა წინასწარ შემუშავებული სისტემის მიხედვით. შრომის ამგვარი ორგანიზაციის შესწავლას, პრაქტიკულ მნიშვნელობასთან ერთად, უსათუოდ თეორიული მნიშვნელობაც აქვს. იგი ერთი მხრივ, მოცემული ხალხის მეურნეობის განვითარების დონეს განსაზღვრავს, მეორე მხრივ კი, საზოგადოების ურთიერთობის შესწავლის, და ამდენად, სოციალური დამოკიდებულების გარკვეული მხარის გამოკვლევის შესაძლებლობას იძლევა.

ოსეთის ცალკეულ ხეობებში არსებულ სოციალურ ურთიერთობათა განვითარების განსხვავებული დონე, არაერთგვაროვანი ეკონომიური ბაზა და მრავალფეროვანი გეოგრაფიული გარემო, შეერთებული შრომის საკმაოდ მრავალი ვარიანტების არსებობას განაპირობებდა. მიუხედავად ამ სხვაობისა ოსეთის მთიანი ნაწილისათვის (გათვალისწინებულია როგორც ჩრდილო, ასევე სამხრეთ ოსეთის მთიანეთის მასალა) ზოგადი იყო ის, რომ ხვნისა თუ მემინდვრეობასთან დაკავშირებული სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს მიმართავდნენ გამწევი ძალის, იარაღებისა და მუშა ხელის დროებით გაერთიანებას. ასეთი ორგანიზაციის გარეშე ხშირ შემთხვევაში შეუძლებელი ხდებოდა მარტივი სამუშაოების შესრულებაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთ შრომატევად სამუშაოებზე, როგორიცაა ახოს აღება, ტერასების მოწყობა და სხვ.

ცნობილია, ამგვარი გაერთიანებანი დგებოდა მსოფლიო მასშტაბით ისტორიის მსვლელობის მთელ მანძილზე სამეურნეო თუ სხვა საქმიანობასთან დაკავშირებით. საზოგადოდ, შრომითი გაერთიანების აღმოცენებას გვაროვნულ საზოგადოებას უკავშირებენ. განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხთა ყოფაში დამოწმებული კოოპერაციის სახეობანი შეისწავლეს ზიბერმა[1], კუნოვმა[2], ხარუზინმა[3], შჩერბინამ[4], ტიხონიცკაიამ[5] და სხვა მრავალმა ავტორმა. ადრეული პერიოდის მკვლევართა მიერ სამართლიანად იყო აღნიშ-

---

[1] Н. Зибер. Очерки первобытной экономической культуры, М., 1937.

[2] Г. Кунов, Всеобщая история хозяйства, М.-Л,, 1929.

[3] Н. Харузин, Этнография, СПб., 1903.

[4] Ф. Щербина, Общинный быт и землевладение Кавказских горцев, Северный вестник, 1868.

[5] Н. Тихоницкая, Сельскохозяйственная толока, Советская Этнография, 1934, № 1, 4.

ნული, რომ პირველყოფილი თემური საზოგადოების კვდომასთან ერთად არამც თუ არ ისპობა მის წიაღში წარმოქმნილი კოოპერაცია, არამედ განაგრძობს არსებობას შემდგომ საზოგადოებრივ ფორმაციებში. მაგრამ ამ ავტორებმა ვერ დაინახეს, რომ შრომის ჩვენთვის საინტერესო სახემ თავის მხრივ, განვითარების საკმაოდ რთული გზა განვლო. ზოგმა მკვლევარმა (მაგ. შჩერბინა[6]) შრომითი გაერთიანება ერთხელ და სამუდამოდ შექმნილ მუდმივ კატეგორიად წარმოიდგინა. ერთობლივი შრომის ფორმებში მომხდარ ცვლილებებზე თავის დროზე წერდა ალ. რობაქიძე და შენიშნავდა, რომ როდესაც სისხლის ნათესაობაზე აღმოცენებული თემი იცვლება მეზობლურ-ტერიტორიალურ პრინციპზე წარმოქმნილი სასოფლო თემით, მაშინ შრომის ადრე არსებულ ფორმებში ახალი ტენდენციები მეღავნდება[7].

მარქსმა სათანადო ყურადღება მიაქცია შრომის ამ თავისებურ და მეტად საინტერესო ორგანიზაციას და მოგვცა მისი კლასიკური განსაზღვრება[8]. მარქსმა ერთმანეთისაგან განასხვავა კოოპერაციის ორი ფორმა: ა) მარტივი კოოპერაცია და ბ) რთული, კაპიტალისტური კოოპერაცია[9]. შრომითი გაერთიანების თითოეულმა ფორმამ განვითარების რთული და ხანგრძლივი გზა განვლო, და ამდენად იგი დღესაც საკმაოდ დიდი მეცნიერული ინტერესების შემცველია. დასმული საკითხის მართებულად გაშუქებისათვის, ბუნებრივია, არამცირედი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ყოფაში შემორჩენილი მასალის ზუსტ ფიქსაციას.

ჩვენი ინტერესები ამჯერად, მემინდვრეობასთან დაკავშირებული ერთობლივი შრომის ფორმების ხალხური ორგანიზაციის საკითხებით ისაზღვრება. კონკრეტულ ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით, რომელიც ერთი მხრივ, ქსნისა, დიდი და პატარა ლიახვის სათავეებში, ხოლო მეორე მხრივ, ჩრდილო ოსეთის ქურთათისა და ურუხის ხეობებში მცხოვრებ ოსთა შორის იქნა მოპოვებული, განვიხილავთ: 1. ურთიერთ დახმარების მარტივ, შემთხვევით აღმოცენებულ ფორმებს; 2. საგანგებოდ ორგანიზებულ დახმარების თავისებურ სახეს, ოსურად ე. წ. ზიუს და 3. ერთობლივი ხვნის წესებს.

შრომის ორგანიზაციის უმარტივეს ფორმად ოსეთში უნდა იქნას მიჩნეული ქვრივ-ობლებისა თუ გაჭირვებული ოჯახებისათვის დასახმარებლად დროებით შემდგარი ამხანაგობა. იგი იქმნებოდა სეზონურად რაიმე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს. ქურთათის ხეობაში დახმარების ეს ფორმა баххуыскодтой//æнхос სახელწოდებით არის ცნობილი, ურუხის ხეობაში მას æнхосзенон//æнхос ან корон ეწოდება. ვ. აბაევს თავის ლექსიკონში მოჰყავს æнхуs ფორმა, რომელსაც აიგივებს æххуs-თან და იძლევა ასეთ განმარტებას: æхх$_0$уs/æпхus „помощь“[10]. სამხრეთ ოსეთის ხეობებშიც ტერმინი ანხოს არის გავრცელებული, მაგრამ მის პარალელურად იხმარება აგრეთვე хæстæг და оцхари. თუმცა აქვე უნდა განვმარტოთ, რომ ოცხარი დახმარების რამდენადმე განსხვავებული ფორმაა. იგი ქართული ოჩხარის ანალოგიური

---

[6] Ф. Щербина, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

[7] ალ. რობაქიძე, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, თბილისი, 1941, გვ. 10.

[8] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1930, გვ. 38.

[9] იქვე, გვ. 243.

[10] В. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, т. I, М.-Л., 1958, გვ. 225.

ჩანს და როგორც ეტყობა ქართული სინამდვილიდან უნდა იყოს შეთვისებული სამხრეთში მცხოვრები ოსების მიერ. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის გარემოება, რომ ჩრდილო ოსეთის არც ერთ ხეობაში ოჩხარის მსგავსი ინსტიტუტი არ მოწმდება.

ანხოს, პირობითად ასე ვუწოდებთ მთელი ოსეთისათვის დახმარების ამ მარტივ ფორმას, შემდეგნაირად დგებოდა: ხვნის, მკის, თიბვისა თუ სხვა სამუშაოების დროს შეიყრებოდა რამდენიმე მეურნე თავისი მუშა საქონლითა და სხვა შრომის იარაღებით, რათა ქვრივ-ობლებისა თუ მუშახელს მოკლებული ოჯახებისათვის შეესრულებინა საჭირო სამუშაო. ქურთათის ხეობაში ჩაწერილი მასალის მიხედვით, მაგალითად, ხვნის დროს სოფელი ყველა გაჭირვებულს საერთო ძალით უხნავდა მიწას. ამ საქმეს სოფლის ერთ-ერთი გავლენიანი უხუცესი უკეთებდა ორგანიზაციას. ეს პირი საერთო პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა და მის გადაწყვეტილებას ყველა ემორჩილებოდა. წინა საღამოს, სოფლის თავყრილობაზე — ნიხასზე გამოტანილი დადგენილების თანახმად, რომელიმე უქმე დღეს, როდესაც საკუთარ კარმიდამოში იკრძალებოდა მუშაობა, შეყრიდა ეს უხუცესი 5—6 მხვნელს. თუ ამ მხვნელებს ჰქონდათ სამყოფი ინვენტარი და მუშა საქონელიც ჰყავდათ, მაშინ თავისივე შრომის იარაღებით მუშაობდნენ, თუ არა და ხარებსა და სახვნელს სხვა ოჯახებს „შეაწერდნენ". გამოჰყავდათ საჭირო რაოდენობით მეხრეებიც. მთელი სამუშაო ძალისა და მუშახელის თავმოყრის შემდეგ, უხუცესი აკომპლექტებდა ხვნისათვის საჭირო ძალებს და ანაწილებდა მოსახვნელ ნაკვეთებს. ოსეთის მთიანი ნაწილი განსაკუთრებული მცირემიწიანობითაა ცნობილი, ამიტომ, ერთ დღიურზე ნაკლები თუ არა, მეტი სახნავი თითქმის არავის ჰქონდა, ისე რომ დახმარებისათვის შეყრილი მხვნელები ერთ დღეში ათავებდნენ მთელ სამუშაოს. უხუცესი ამოწმებდა მუშაობის ხარისხს და მის ტემპებს, უზრუნველყოფდა თესვის საქმესაც. ამგვარი დახმარება ყოველგვარი გასამრჯელოსა და სამაგიერო დახმარების გარეშე ხდებოდა. არც გამასპინძლებას თხოულობდნენ მომხმარეები, ვინაიდან ითვალისწინებდნენ ოჯახის მძიმე ეკონომიურ პირობებს. უფრო მეტიც, ზოგჯერ მომუშავეებს ამხანაგობის რომელიმე წევრი მასპინძლობდა ან მხვნელები შეერთებული ძალებით პურდებოდნენ, რომელიც სამუშაოს დამთავრების შემდეგ საერთო ლხინად იქცეოდა და მასში იმ ოჯახის წევრებიც იღებდნენ მონაწილეობას, რომელსაც ეხმარებოდნენ.

დაახლოებით ასეთივე ხასიათს ატარებდა ანხოსი ურუხის ხეობაში; ხოლო სამხრეთ ოსეთში, კერძოდ ლიახვის ხეობაში მცხოვრებ ოსებში მოქმედებდა დახმარების ნათესაური პრინციპი — ქვრივ-ობლებსა თუ გაჭირვებულებს მთელი სოფელი კი არა, მხოლოდ ნათესავები შველოდნენ. დახმარების ამ ფორმას სამხრეთ ოსეთში — хæстæг — ეწოდებოდა. მისი ქართული შესატყვისია — ახლო, ახლობელი, ჩემიანი. ეს სახელწოდება განსხვავებით ანხოს-ისაგან, ამ ფორმით, როგორც ჩანს, იმიტომ დამკვიდრდა, რომ სწორედ ახლობლები, ნათესავები იყვნენ ვალდებული მხარში ამოდგომოდნენ ერთურთს და არა მეზობლები. სამხრეთ ოსეთში მეზობლურ დახმარებაზე უფრო მეტად რომ ნათესაური არსებობდა, ეს ფაქტი ზ. ვანეევსაც აქვს დამოწმებული[11]. ამ შემთხვევაში, ეტყობა კიდევ ინარჩუნებს ძალას სისხლის

[11] З. Ванеев, Из истории родового быта в Юго-Осетии, Тб., 1955, გვ. 31.

ნათესაობის პრინციპზე დამყარებული ერთობა, რომლის სიმტკიცეს ჯერ-ჯერობით ვერ არღვევს ტერიტორიული მეზობლობის საფუძველზე შექმნილი გაერთიანება. ამდენად, დახმარების ეს ვარიანტი, ალბათ საზოგადოების განვითარების უფრო ადრეული პროდუქტია. მ. კოსვენი თვლის, რომ ნათესაური ურთიერთდახმარება თემობრივი წყობილების (годовой строй) რღვევის პერიოდის ამბავია, ვინაიდან პირველყოფილ-კომუნისტური წყობილების დროს ძალაშია საწარმოო-მომხმარებლობითი ერთობა. და ამ ურთიერთობის რღვევის შედეგად, როდესაც თავს იჩენს ქონებრივი დიფერენციაცია, აღმოცენდება ურთიერთდახმარების ფორმები. დახმარება ნათესაური ურთიერთობის საფარველქვეშ, ავტორის აზრით, ყოველთვის ატარებს თემობრივი წყობილების რღვევის დაღს და ფაქტიურად, უანგარო დახმარების ნაცვლად მდიდრების მიერ ღარიბების ექსპლუატაციის საშუალებას წარმოადგენს[12]. ამგვარი ინტერპრეტაცია კონკრეტულად აღებული დახმარების ერთი სახისათვის აბსოლუტურად სწორი და მისაღებია, მაგრამ მის ჩარჩოებში შეუძლებელი ხდება ყველა ვარიანტისა თუ სახესხვაობის მოქცევა. თუ კოსვენისეულ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ გაურკვეველი დარჩება საკითხი იმის შესახებ, რომელ კატეგორიას ან საზოგადოების განვითარების რომელი ფორმაციის პროდუქტად შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთდახმარება კოლექტიური ნადირობისა თუ თევზჭერის დროს, ურთიერთდახმარების ფორმა ერთნაირი შეძლების მეურნეებისა ან მატყლის ნაწარმის დასამზადებლად ქალების მიერ მოწყობილი დახმარებანი და სხვა მრავალი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მთლიანობაში დახმარებისა და შრომის კოლექტიურ ფორმებზე მსჯელობა არ შეიძლება, რადგან ამ ფორმათა ვარიანტების სიმრავლე, თანამედროვე ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიაც კი, კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა საფეხურის წარმონაქმნად უნდა მივიჩნიოთ, რაც მოცემული საზოგადოების და ამ ინსტიტუტების განვითარების მაუწყებელია.

შრომითი დახმარების — ანხოს-ის შესატყვისია ყაბარდოული დაღოპ||თამიჟენ. ეს ფორმა აუცილებელ ურთიერთდახმარებას არ ვარაუდობდა. ეხმარებოდნენ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. იმავე ყაბარდოში იცოდნენ გაჭირვებულებისათვის მოსავლის 1/10 ნაწილის გამოყოფა, რასაც საჯით ეწოდებოდა. ოსეთში ამ ფორმის სრულ ანალოგიას ვერ ვხედებით, მოსავლით დახმარება კი ზოგ შემთხვევაში აქაც ყოფილა პრაქტიკაში.

ხვნის დროს შედგენილი შრომითი გაერთიანების ფორმებში თვალნათლივ მეღავნდება ამ ორგანიზაციის სტრუქტურა, მისი განვითარების მიმართულება და ტენდენციები. ვ. ი. ლენინი — გლეხურ მეურნეობაში წარმოქმნილ შრომით გაერთიანებას მეტად საინტერესო მოვლენად თვლიდა როგორც ეკონომიური, ასევე საყოფაცხოვრებო თვალსაზრისითაც[13]. ლენინი საშუალო ჯგუფს აკუთვნებს გლეხთა იმ კატეგორიას, რომლებსაც მცირე რაოდენობით ჰყავთ მუშა საქონელი და ამიტომ იძულებულნი არიან შრომითი გაერთიანების საშუალებით დაამუშაონ მიწის ნაკვეთი. „ამ ჯგუფს ეკუთვნიან ის მეურნე მიწათმოქმედნი, რომელნიც მარტოოდენ თავიანთი საკუთარი ნათესის შემოსავლით ცხოვრობენ; ამ ნათესის ოდენობა თითქმის უდრის ადგილობ-

[12] М. Косвен, Из истории родового строя в Юго-Осетии, Советская Этнография, 1936, № 2, გვ. 17—18.

[13] ვ. ი. ლენინი, ახალი სამეურნეო მოძრაობა გლეხთა ცხოვრებაში, თხზულებები, ტ. I. გამოც. IV. გვ. 54.

რივი გლეხობის საშუალო ნათესს (ანდა რამდენადმე უფრო ნაკლებია) და ძლივს აკმაყოფილებს ოჯახის აუცილებელ მოთხოვნილებებს. მაგრამ ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის ნაკლებობა და მისი არათანაბარი განაწილება სიმტკიცეს ართმევს ამ ჯგუფის გლეხთა მეურნეობას, მერყეევადს ხდის მას, განსაკუთრებით მაღალი ჯგუფის მიერ დაბალი და საშუალო ჯგუფების განდევნის გაძლიერებული ტენდენციების გამო"[14].

შრომით გაერთიანებაში შედიოდა ღარიბი და უღარიბესი გლეხობა. მათ შესახებ ჰ. გუგუშვილი წერს: „მართალია ღარიბ და უღარიბეს გლეხს უკეთუ იგი გუთნეულში, როგორც „არტელში" არ იქნებოდა მიღებული წევრად, როგორც მეხარე, სულ მოუხვნელი დარჩებოდა თავისი მიწა, რადგან ცხადია, ვერ შეძლებდა გუთნეულის დაქირავებას, ანდა შეძლებდა ისევ მხოლოდ საკუთარი ხელფასის ხარჯზე, რაც მას პირველ შემთხვევაზე უარესს მდგომარეობაში აყენებდა. გასაგებია, რომ მეხრე, ამიტომ იძულებული იყო გუთნეულში, როგორც „არტელში", „ამხანაგობაში" მიეღო მონაწილეობა"[15].

ხვნის დროს შექმნილ შრომით გაერთიანებას ოსეთისათვის ზოგადად შეიძლება „ცადის" ვუწოდოთ. ურუხის ხეობაში გაერთიანებისათვის იხმარებოდა სახელწოდებანი: цæдыс და æмцæдыс, რაც საერთოდ შეამხანაგებას ნიშნავს. იმავე მნიშვნელობით შეგვხვდა æмбалцæдыс. ვ. აბაევის ლექსიკონში წარმოდგენილია ტერმინები æmbal/anbal და ასეა თარგმნილი—„товарищ", „спутник"[16].

ა. მაგომეტოვს საერთოდ მთელი ოსეთისათვის მოჰყავს სახელწოდებანი цадис, цадисамбал, галамбал, რაც ამავე ავტორის მიხედვით ნიშნავს—союз в упряжке, товарищ по упряжке, товарищ по быку[17]. ბ. კალოევი амцадис ან галамбал-ს იძლევა[18]. ჩვენ დავამოწმეთ სახელწოდება иумæхуымаканонца-ც, რაც სიტყვა-სიტყვით შეერთებული ძალებით ხვნას ნიშნავს. ეს უკანასკნელი, როგორც ვხედავთ, აღწერილობითი ხასიათის ტერმინია.

ქურთათის ხეობაში ცადას შესატყვისია цæдыш//цæдышкодтой, იხმარება აგრეთვე, цæдышæмбал ან მხოლოდ æмбал, иумææмбалта. ამბალ ამხანაგს ნიშნავს. იუმამბალთა—ამხანაგობას გულისხმობს. არსებობს შედგენილი სახელიც иумæбаххуысканын—შეერთებული ძალებით ხვნა.

სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ოსთა შორის გარდა სუფთა ქართული სახელებისა (მოდგამი, ნაცვალგარდობა, დაძახილი), გვხვდება აგრეთვე ოსური ცადის და ცადიშბაქოტამ—ურთიერთდახმარება ხვნის დროს. გ. თედეევის განმარტებით ცადის უღელში თანამონაწილეს ნიშნავს. სამხრეთ ოსეთში იხმარება აგრეთვე галцæдыс—ხარების გაერთიანება ან цæдæмбал წყვილი ხარის ამხანაგობა[19]. თვით გაერთიანების პროცესი აღინიშნება აღწე-

---

[14] ვ. ი. ლენინი, ახალი სამეურნეო მოძრაობა გლეხთა ცხოვრებაში, თხზულებანი, ტ. I, გამოც. IV, გვ. 58.

[15] ჰ. გუგუშვილი, გუთნეულის ეკონომიური ორგანიზაცია. საქ. მეცნ. აკად. მოამბე ტ. V, 1944, № 3, გვ. 334.

[16] В. Абаев, Историко-этимологический словарь, გვ. 135.

[17] А. Магометов, Общественный и семейный быт осетин (XVIII—XIX вв.) Орджоникидзе, 1970, გვ. 179.

[18] Б. Калоев, Ссетины, М., 1967, გვ. 71.

[19] Г. Тедеев, Термины связанные со вспашкой, Известия ЮОНИИ, вып. XVI, Цхинвали, 1969, გვ. 150.

რილობითი ტერმინით цæдисканын ან цæдæмбалкæнын, რაც სიტყვა-სიტყვით გაერთიანების შექმნას გულისხმობს. ა. შიფნერს შრომითი გაერთიანების ზემოდასახელებული ფორმისათვის მოჰყავს ტერმინი —цæдисæмбал[20]. და განმარტავს მას ერთ უღელში მონაწილეებად. გ. თედეევის აზრით შიფნერის ეს განმარტება არც თუ მთლად სწორია, რადგან სიტყვა ცადის ეკუთვნის გაერთიანებაში შემავალ არა საქონელს, არამედ ადამიანებს — მუშა ძალას. შეამხანაგების ამგვარ წესს æмгуысинканын-საც უწოდებენ, რაც სიტყვა-სიტყვით თანამშრომლობას ნიშნავს. მ. კოვალევსკისაც აქვს ეს უკანასკნელი სახელები დადგენილი ანგუსტე ანგოსინას ფორმით. მას სახელები ამცადის და გალამბალიც აქვს დადგენილი და გახსნილი აქვს მათი შინაარსობრივი მხარე[21].

ჩვენი მასალებით ხვნის დროს შემდგარი მუშახელისა და გამწევი ძალის დროებითი გაერთიანება მთა ოსეთში შემდეგნაირად გამოიყურებოდა: მიწა როგორც ცნობილია, ხის ძუვურით მუშავდებოდა ოსეთის მთიან ნაწილში. ამ იარაღს ერთი უღელი გამწევი ძალა ჭირდებოდა. თავისთავად ეს არ იყო ძნელი გასამართავი სახვნელი. ძუვური თითქმის ყველა ოჯახს საკუთარი ჰქონდა და უღელი ხარიც არც თუ ისე ძნელი საშოვნი იყო. მაგრამ განსაკუთრებული ხელმოკლეობისა და რაც მთავარია, სათიბ-საძოვრების სიმცირის გამო, ოჯახს წყვილი ხარის დამოუკიდებლად რჩენაც კი უჭირდა. ამიტომ, ასეთი ოჯახები იძულებულნი იყვნენ შეერთებული ძალებით ეწარმოებინათ ხვნა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თვით ხვნის პროცესიც მეტად მძიმე და ძნელი იყო დაქუცმაცებული ნაკვეთების არსებობისა და თავისებური ბუნებრივი პირობების გამო. ამდენად, საქონლის თუ სახვნელის უქონლობასთან ერთად, ხვნის დროს შეამხანაგებულად მუშაობის აუცილებლობას განსაკუთრებული ტოპოგრაფიული პირობებიც იწვევდა.

ხვნის დაწყებამდე რამდენიმე ოჯახი შეთანხმდებოდა, რომ ერთად დაემუშავებინათ მთელი სახნავი მიწები. იმისათვის, რათა ამხანაგობის ყოველი წევრისა თუ კომპონენტის შრომითი მონაწილეობა მეტ-ნაკლები სიზუსტით ყოფილიყო ანაზღაურებული, შემუშავებული იყო ფასების გარკვეული ნომენკლატურა. სახვნელი იარაღი — ძუვური თითქმის ყველა მეურნეს თვით შეეძლო გაეკეთებინა. ამიტომ იგი არც თუ იმდენად ძვირად ფასობდა, მაგრამ ძუვურს სახნისი რკინისა უკეთდებოდა, რომელსაც მჭედელი აკეთებდა. სახნისი საკმაოდ ძვირი ღირდა, ამის გამო ზოგს სახვნელი უსახსნისოდ ჰქონდა, ამიტომ სახნისი ხშირად დამოუკიდებლად შედიოდა გაერთიანებაში და მასზე ცალკე ხდებოდა ალოების განაწილება. სახნისი სახვნელის ხის ნაწილებზე უფრო ძვირად ფასობდა და ერთი ბონცაუ-შრომადღე ეკუთვნოდა. ერთი ხარით შესულს ერთი დღის ხვნა ერგებოდა, უღელი ხარის პატრონს — ორი დღე. მხვნელის ნაკვეთის დასამუშავებლად კიდევ დამატებითი დღე იყო გამოყოფილი. ხარი უფრო ძვირად ფასობდა, ვიდრე ადამიანის შრომა. მეხრეებსაც ნახევარ ბონცაუს აძლევდნენ. ა. მაგომეტოვის შრომაშიც ანალოგიური ფაქტებია დადგენილი[22]. ზ. ვანეევსაც მსგავსი მასალა მოჰყავს სამხრეთ ოსეთი-

[20] А. Шифнер, Осетинские тексты, СПб., 1868, გვ. 63.

[21] М. Ковалевский, Современный обычай и древний закон, М., 1886, გვ. 205.

[22] А. Магометов, Культура и быт осетинского народа, Орджоникидзе, 1968, გვ. 67.

სათვის[23]. დაახლოებით ასეთივე ფაქტებს განიხილავენ სხვა ავტორებიც. მხოლოდ კ. ხეთაგუროვი იძლევა რამდენადმე განსხვავებულ სურათს. იგი წერს: „მხოლოდ თითო ხარის მეპატრონე ოსები მუშაობის დროს ერთიანდებიან ამხანაგობებად — ცადისამბალ. მუშა საქონელს მოკლებულნი კი უღელი ხარის ქირას ანაზღაურებენ სახვნელით მარხილით, ან რაიმე პირადი შრომით. თუმცა წინად წესად ყოფილა სხვისი მუშა საქონლისა და სამეურნეო იარაღების უსასყიდლოდ ხმარებაც[24]. ე. ი. ერთია, როდესაც ტოლი ძალების მეპატრონენი ამხანაგდებიან, მეორე, ნაკლები ძალის პატრონი პირადი შრომით ათანაბრებს მის მონაწილეობას კოპერატივში, ასეთივე წესს გულისხმობს კოვალევსკი ანგუსტ||ანგოსინას ქვეშ[25], და მესამე ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე სარგებლობენ სხვისი იარაღებითა და მუშა საქონლით. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა ეპასუხება და ზოგ შემთხვევაში ავსებს კიდეც ხეთაგუროვის მონაცემებს. მაგ., ურუხის ხეობის ტაფანდიგორის საზოგადოების სოფ. ვაკაცში ასეთი მასალა ჩავიწერეთ: მიწა ძუვურით იხვნებოდა — გადმოგვცემს მთხრობელი* აიდარუკ კამბულატის ძე ხადაევი — ყოველ ოჯახს არ ჰქონდა საკმაო მუშა ძალა და აწყობდა შეამხანაგებას — ცადის. ამხანაგობის წევრებს ვისაც რა გააჩნდა, ის შეჰქონდა შეამხანაგებაში. ნორმები დადგენილი არ იყო, ვისაც რამდენი მიწა ჰქონდა, იმდენს უხნავდა ამხანაგობა. ანალოგიური მაგალითი შეგვხვდა სოფ. ზემო ნარში. იყო საქონლისა თუ იარაღის თხოვების შემთხვევებიც. თხოვების აგვარ წესს სოფ. კამათაში ჩაწერილი მასალით ქორონ ერქვა.

ამხანაგობის ასეთივე ფორმა დადგინდა ყარაუგომის საზოგადოების სოფ. ძინაგაში. ადგილობრივი მკვიდრნი ამგვარ არანორმირებულ შეამხანაგებას ამბალცადეს||ცადეს უწოდებენ.

აღნიშნული მასალის განხილვისას ორი სხვადასხვა მოსაზრება იჩენს თავს: 1. შეიძლება თუ არა ერთობლივი შრომის ეს უკანასკნელი სახეობანი უფრო მარტივად და ზემოაღწერილ ნორმირებულ ფორმის წინამორბედად, მის წინა საფეხურად ვაღიაროთ; ანდა 2. ვინაიდან ერთსა და იმავე საზოგადოებაში მოქმედებს ორივე წესი, ნორმირებულ საწყისებზე შემდგარი ამხანაგობა და არანორმირებულიც, იქნებ პირველი გაბატონებული წესია, ხოლო სხვა დანარჩენი სახეობანი წესის გამონაკლის შემთხვევებად შეიძლება ჩაითვალოს. ამასთან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ისიც, რომ ეს უკანასკნელი ვარიანტები ბევრად უფრო იშვიათად გვხვდება. მაგრამ თუ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს განვითარების სხვადასხვა სტადიისათვის მახასიათებელი მომენტების თანაარსებობასთან[26], მაშინ პირველი მოსაზრება იმარჯვებს, მხოლოდ საჭიროებს, აუცილებლად, მოცემული საზოგადოების სოციალური ორგანიზაციის ზედმიწევნით გამოკვლევას.

ქურთათის ხეობაში შრომის მარტივი, რეგლამენტაციის გარეშე შექმნილი გაერთიანება მხოლოდ ორ სოფელში ურიკაუსა და ქადატში დადგინდა. ურიკაუში შეერთებული ხვნისათვის აღწერილობითი ტერმინი **иумабакошкотам** გამოიყენებოდა, რაც სიტყვა-სიტყვით ერთად ხვნას ნიშნავს.

---

[23] З. Ванеев, Из истории родового быта в Юго-Осетии, Тб., 1955, გვ. 31.

[24] Коста Хетагуров, Быт горских осетин, Сталинир, 1939, გვ. 20.

[25] М. Ковалевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 205.

[26] ალ. რობაქიძე, შრომის ორგანიზაციის ფორმები, გვ. 10.

ამხანაგობის ყოველ წევრს იმდენ მიწას უხნავენ, რამდენიც ჭირდება. მკაცრი ნორმირება არც ამ სოფელში არსებობს, მაგრამ ურუხის ხეობაში დადგენილ ფორმისაგან განსხვავებით, ქურთათის ხეობის დასახელებულ სოფლებში ამხანაგობაში აუცილებელი იყო თანაბარი ძალებით მონაწილეობა.

ხვნის დროს შრომის ამგვარი ორგანიზაციის დადგენა კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მცხოვრებ ოსებს შორისაც შესაძლებელი გახდა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მსგავსი გაერთიანებანი დგებოდა მხოლოდ იმ რაიონებში, სადაც მარტივი სახვნელით — ძუვურით მუშავდებოდა მიწა. სამხრეთელი ოსებიც შეამხანაგების ამ ფორმას ცადისს უწოდებდნენ. იგი თავისი შინაარსით უფრო ქურთათის ხეობაში დადგენილ მასალას უახლოვდება. სოფ. ზემო ზღუბირში (დიდი ლიახვი) თითო ხარის მეპატრონენი ერთიანდებოდნენ. სახვნელის თხოვებაც უსასყიდლოდ იცოდნენ. ასევე იყო სოფ. ედისშიაც (მაღრანდვალეთი).

ერთობლივი შრომის კიდევ რამდენადმე განსხვავებული ვარიანტი დავამოწმეთ ჩრდილო ოსეთის იმავე ხეობებში. ეს გაერთიანებანი ასევე ცადის ან ცადიშ-ად იწოდება და ერთი შეხედვით თითქმის არაფრით განსხვავდება ზემოაღწერილი სახეობებისაგან. მაგრამ ნაკლებშესამჩნევი განსხვავება მაინც არის, და თუ ზემოაღწერილ შემთხვევებს ერთობლივი შრომის მარტივ სახეობად მივიჩნევთ, მაშინ ქვემოწარმოდგენილი მონაცემები გარდამავალ რგოლად წარმოდგება შრომის ორგანიზაციის მარტივ ფორმებსა და რთულ ორგანიზაციას შორის.

განვიხილოთ ეს მასალა: ქურთათის ხეობის სოფ. ხიდიკუში. ანდოევი კარტყოს მონათხრობით, შეერთებული ძალით ხვნის დროს სახვნელი ანგარიშში არ შედიოდა. ყოველი მონაწილე თანაბრად იყოფდა მიწას. თუ სხვადასხვა ზომის ნაკვეთები იყო მოსახვნელი და ერთი მონაწილე მეტს მოხნავდა, ის ვალდებული იყო თავის ამხანაგისათვის მკაში, შეშის ჩამოზიდვის ან სხვა სამუშაოების დროს ეთხოვებინა ცხენი ან პირადად დახმარებოდა. ეს მასალა სავსებით იმეორებს ხეთაგუროვის მიერ ფიქსირებულ ერთ-ერთ ვარიანტს.

იგივე ქურთათის ხეობა. სოფ. ბორზიყაუ. აქ ჩაწერილი მასალით, ყველა ოჯახს არ ჰყავდა ხვნისათვის საჭირო სამყოფი მუშა საქონელი და ხშირად არც სახვნელი გააჩნდა. ამიტომ ხვნის დროს რამდენიმე ოჯახი ერთიანდებოდა, რასაც ცადიშ ეწოდებოდა. თუ გაერთიანებაში ტოლი ძალები შეჰყავდათ, მაშინ ყველა წევრს თანაბრად უხნავდნენ მიწას. მაგრამ თუ ვინმე ზედმეტს მოხნავდა, იგი ან უნდა გამასპინძლებოდა ამხანაგობის დანარჩენ წევრებს ან სხვა სამუშაოში დახმარებოდა მათ. ხვნის თანამიმდევრობას აწესებდნენ ამინდის მიხედვით. თუ ცუდი ამინდი იყო, ყველა მონაწილეს რიგ-რიგობით თითო დღეს უხნავდნენ. ხოლო კარგ ამინდში ჯერ ერთს მოუხნავდნენ მისთვის საჭირო მთელ ნაკვეთს, მერე მეორეს და ასე ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ხნავდა ის, ვინც მარჯვედ იცოდა ხვნა. მისი შრომის ანაზღაურება ცალკე არ ხდებოდა. ვისი ნაკვეთიც იხვნებოდა ის კვებავდა გაერთიანების წევრებს.

სოფ. ლასი. დულაევი ვანოს გადმოცემული მასალის მიხედვით — თუ ტოლი ძალები (თითო ხარი და ერთი სახნისი) იყო გაერთიანებაში, ამხანაგობა სამ ჰექტარს ხნავდა და თითოეული თითო ჰექტარს იღებდა. ძუვურიც ხარს უტოლდებოდა ღირებულებით. ამ საერთო ნაკვეთების მოხვნის შემდეგ აუცილებელი ჯერის ხვნა იწყებოდა, რომელიც ერთ კვირას გრძელდებოდა.

თუ ორგანიზაციის რომელიმე წევრს კიდევ დარჩებოდა მოუხვნელი ნაკვეთი, უკვე თავისი ხარჯით უნდა დაექირავებინა სახვნელი. ერთი დღით დაქირავებული გამართული სახვნელი სამი მანეთი ღირდა. გამოყოფილი მხვნელი ამხანაგობას არ ჰყავდა, ყველა თანატოლი იყო და მორიგეობით ხნავდა თითოეული თავის ნაკვეთს, მაგრამ თუ რომელიმე წევრი უფრო ხნიერი იყო, მაშინ ის ხნავდა ყველასათვის. ხვნა, საერთოდ, საპატიო საქმედ ითვლებოდა.

გვინდა აქვე განვიხილოთ დიგორული მასალა. გაერთიანების რომელიმე წევრს თუ დანარჩენებთან შედარებით მეტი ფართობი ჰქონდა დასამუშავებელი, მას მოსავლის აღების შემდეგ განსხვავება ნატურით უნდა გადაეხადა ამხანაგობის დანარჩენი წევრებისათვის. ამ შემთხვევაში იანგარიშებოდა რამდენი დღიური — ბონქუშტ იმუშავა გუთნეულმა, რაც ღირდა ერთი დღიურის მუშაობა მას უფარდებდნენ მარცვლეულის ღირებულებას. აღებულ განსხვავებას ამხანაგები თანაბრად ინაწილებდნენ. როდესაც ვინმეს ნაკლები სამუშაო ძალა შეჰყავდა ამხანაგობაში, მაშინ დამატებით მეხრედ უნდა ემუშავა მას ან სხვა რაიმე სამუშაო შეესრულებინა.

ამგვარად, მთელი ზემოთ განხილული მასალა შემდეგი თანმიმდევრობით ლაგდება: 1. მარტივი, კონკრეტულ შემთხვევაში აღმოცენებული დახმარების ფორმები. ეს კოლექტიური შრომის საწყისს ფორმად გვესახება. გარკვეული კოლექტივი შრომობს ყოველგვარი გასამრჯელოსა და ანაზღაურების გარეშე ერთი ოჯახის სასარგებლოდ; 2. შეამხანაგება ხვნის დროს შრომითი მონაწილეობისა და ანაზღაურების არანორმირებული პრინციპით. ამ შემთხვევაში თითოეულ წევრს გაერთიანებაში შეაქვს იმდენი სამუშაო ძალა, რამდენი შესაძლებლობაც მას გააჩნია, მაგრამ მიუხედავად ამისა გაერთიანება მას მთელ მისთვის საჭირო მიწას უმუშავებს. ეს ფორმა მსგავსია მესხეთში გავრცელებული მოდგამობის წესისა[22], შეამხანაგების ამგვარივე ფორმა ვერმიშევმა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში დაადგინა[28]. ალ. რობაქიძეს მოდგამის ეს ვარიანტები ყველაზე არქაულ ფორმებად მიაჩნია, ვინაიდან ქონებრივ უთანასწორობას ჯერ არ მოუხდენია გავლენა ალოების განაწილებაზე. მოდგამით ხვნა ამ შემთხვევაში ფაქტიური მოთხოვნილებების მიხედვით სწარმოებს და არა მოდგამის წევრთა მონაწილეობის პროპორციულად[29]. ავტორი თვლის, რომ ეს ფორმა წარმოადგენს მოდგამის ინსტიტუტის განვითარების იმ პირველად საფეხურს, რომელიც დიდი ოჯახის რღვევის შედეგადაა წარმოქმნილი, მაგრამ ამ საფეხურიდან ჯერ კიდევ შორს არაა წასული[30]. 3. ამხანაგობაში ტოლი ძალებით მონაწილეობის აუცილებელი პირობაა. ამ შემთხვევაში გაერთიანების ყოველი წევრი თანაბარი ძალებით თანამშრომლობს, მაგრამ ხვნის ნორმა ჯერ კიდევ მკაცრად არ არის დადგენილი, ყველას უხნავენ იმდენს, რამდენიც მას ჭირდება. 4. ნორმირებული, რეგლამენტირებული ხვნის სისტემა. ამხანაგობაში შემავალი ყოველი მონაწილის შრომის საფასური ზუსტად და მკაცრად არის განსაზღვრული. გვინდა ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი სქემა მხოლოდ იმ შემთხ-

---

[27] А. Хаханов, Месхи, Э. О., к. X, М., 1891, გვ. 25.

[28] Х. Вермишев, Экономический бит гос. крестьян в Ахалцихском и Ахалкалакском уездах Тифлисской губернии, МИЭБГКЗК, т. III, ч. II, Тбил., 1886, გვ. 151.

[29] ალ. რობაქიძე, მოდგამი როგორც ექსპლოატაციის ერთი ფორმა, გვ. 408.

[30] იქვე, გვ. 409.

ვევაში იქნება მართებული, თუ დამტკიცდება ზემოჩამოთვლილი ფორმების თანმიმდევრული განვითარების რეალური შესაძლებლობა. და თუ ეს დასაბუთებულად ჩაითვლება მაშინ კიდევ ერთი საკითხი დაისმის ჩვენს წინაშე: რამ გამოიწვია განვითარების ერთსა და იმავე საფეხურზე მდგომ საზოგადოებაში ერთობლივი შრომის სხვადასხვა ფორმების თანაარსებობა. იქნებ ანაზღაურების ნორმირებულ სისტემაზე დაფუძნებული შრომის ორგანიზაციის წინამორბედმა ფორმებმა გადმონაშთების სახით შემოინახეს თავი მომდევნო საზოგადოებრივ ფორმაციაში და ტრადიციისა თუ ძველი წეს-ჩვეულებების სახით განაგრძობდნენ არსებობას უფრო განვითარებული ფორმის პარალელურად.

გარდა ძუვურისა, როგორც ცნობილია, ოსეთში მიწა ორხელა — ქსნური მთის გუთნით მუშავდებოდა. ამ იარაღს ოსები გუთონს უწოდებენ. გუთონი იხმარებოდა სამხრეთ ოსეთის ხეობების მთის ძირა ზოლში და ჩრდილო ოსეთის დაბლობ რაიონებში. ვინაიდან გუთონი ძუვურთან შედარებით უფრო რთული იარაღი იყო, რომელსაც სხვა რომ არაფერი, მეტი გამწევი ძალა ჭირდებოდა. ამიტომ გუთონის გარშემო შექმნილი დროებითი გაერთიანება სულ სხვა ხასიათისა იყო. განვიხილოთ ეს მასალა. ერთ გუთონს სამი უღელი მაინც ჭირდებოდა. ჰქონდა რკინის სახნისი, რკინისავე საკვეთელი, ჭირდებოდა ღვედები. ცხადია, ამგვარი რთული იარაღის დამოუკიდებლად გამართვა საკმაოდ ძნელი იყო და ამიტომ ერთი გუთონის გარშემო 5—6 ოჯახი მაინც უნდა შეამხანაგებულიყო. ამ შემთხვევაში ზუსტად იყო განსაზღვრული გუთნეულში შემავალი ყოველი კომპონენტის ღირებულება. შრომის ანაზღაურების ისევე როგორც მიწის საზომი ერთეული დღიური იყო, რომელსაც ჩრდილო ოსეთის ხეობებში ბონცაუ, ბონქუშტ ეწოდებოდა. სამხრეთელი ოსები კი ამ ტერმინების პარალელურად ქართულ ალოსაც ხმარობდნენ. ჩრდილო ოსეთის ხეობებში ერთ გამართულ გუთონს გუთონირ ეწოდებოდა. სამხრეთით კი მომეტებულად ქართული ტერმინი გუთნეული იყო გავრცელებული. სამხრეთ ოსეთში ალოები შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

გუთნის დედას — ორი ალო	ტყავის ღვედს — ერთი ალო
გუთონს — ერთი ალო	სახნისს — ორი ალო
უღელ ხარს — ორი ალო	საკვეთელს — ერთი ალო
მეხრეს — თითო ალო	

ს უ ლ — 16 ალო

თუ მთელ თავობას ჩააყენებდნენ, რაც იმას გულისხმობდა, რომ გუთნეულში შემავალი ყოველი მონაწილე დაწესებული სრული ნორმის შესაბამისად მიიღებდა ალოებს, მაშინ მთელი გუთნეულის გასასტუმრებლად ხვნას 15—16 დღეს მაინც მოუნდებოდნენ, თუ დრო დარჩებოდათ კიდევ ნახევარ თავობას „ამოიყვანდნენ". ეხლა უკვე ნახევარი ალო იწერებოდა თითოეულზე ისე, რომ მთელი გუთნეული 25 დღემდე გრძელდებოდა.

ალ. ჯობაქიძემ ქსნის ხეობაში სხვადასხვა ხანგრძლივობის მოდგამი დაადგინა. აქედან, თავობას სახელწოდებით ცნობილი მოდგამი 40—42 დღეს გრძელდებოდა[31]. ჩვენი მასალებით კი, როგორც აღნიშნული გვქონდა, თავობა 25 დღეში თავდებოდა. 16 დღე სავალდებულო ჯერით ხვნა ეს მთელი თა-

[31]ალ. ჯ ო ბ ა ქ ი ძ ე, მოდგამი როგორც ექსპლოატაციის ერთი ფორმა, გვ. 408.

ვობა იყო და პლუს თავობის ნახევრის ამოყვანა, რომლის დროსაც ალოები ნახევრდებოდა. ე. ი. თუ მთელი თავობა 16 დღე იყო, მისი ნახევარი 7—8 დღე იქნებოდა. ამას კიდევ გუთნის დედის გათრეულას თუ დავუმატებთ, სწორედ 25 დღე გამოვა.

გუთნის დედა გუთნის პატრონი იყო. გუთნის დედა ქადებს გამოაცხობდა, ლუდს და არაყს გამოხდიდა, ლობიოს მოხარშავდა და ამხანაგობის წევრებს სუფრას გაუშლიდა. თან კვერცხებს გამოიტანდა და ხარებს რქებზე დაახლიდა. იმავე დღეს გუთნის დედა გათრეულას გაიტანდა თავის მამულში. ეს ურიგო იყო, რის შემდეგაც რიგით ხვნა იწყებოდა.

ჩრდილო ოსეთის ხეობებში განსხვავებული ვითარებაა. მაღალმთიან რაიონებში ძუვურის გარდა სხვა იარაღის ხმარება შეუძლებელი იყო. მაგრამ XIX ს. დასასრულს უფრო ზუსტად, კავკასიაში საგლეხო და მიწის რეფორმის ჩატარების შემდეგ, ხეობებში მცხოვრებმა მცირე მიწიანმა თუ უმიწო გლეხებმა მასობრივად იწყეს დაბლობ რაიონებში მიწის იჯარით აღება. ამ გარემოებას სიმინდის კულტურის ფართო გავრცელებამაც შეუწყო ხელი კავკასიაში. აღნიშნულ პერიოდამდე სიმინდი აქა-იქ თუ მოჰყავდათ და სტატისტიკურ აღწერილობებსა თუ ოფიციალურ საბუთებში სიმინდი ბაღჩოვან კულტურად ითვლებოდა. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისისათვის სიმინდის სათესი ფართობი დიდი ტემპით გაიზარდა. ამ კულტურამ მალე პირველი ადგილი დაიკავა სხვა სათეს კულტურებს შორის. მაგრამ სიმინდი სითბოს მოყვარული კულტურაა და იგი მაღალმთიან რაიონებში ვერ ხარობს, ვერ ასწრებს დამწიფებას. ამიტომ, მთიულს რომ სიმინდი ჰქონოდა, ეს უნივერსალური მარცვლეული, რომელიც ერთნაირად ვარგოდა ადამიანისა და საქონლის საკვებად, მას დაბლობ რაიონებში იჯარით აღებულ მიწებზე უნდა დაეთესა იგი. სიმინდის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა „ვლადიკავკაზროსტოვის „რკინიგზის გაყვანის შემდეგ, როცა კავკასიიდან იწყეს სიმინდის გატანა რუსეთის სპირტსახდელ ქარხნებში.

ამგვარად, სიმინდისათვის საჭირო იყო დაბლობში მიწების დამუშავება. იქ კი მაღალმთიან ხეობებში ხმარებული ძუვური აღარ ვარგოდა. დაბლობის მძიმე, შავმიწა ნიადაგებისათვის საჭირო გახდა ოსურად „გუთონის“ სახელწოდებით ცნობილი სახვნელის გამოყენება, რომელიც ქართული ორხელის ტიპის იარაღს წარმოადგენდა. გუთონი ზოგჯერ ხეობებში მცხოვრებ მთიელებს ჰქონდათ საგანგებოდ, დაბლობი მიწების მოსახნავად.

იჯარით მიწის აღებისა და მისი დამუშავების უკეთესი ორგანიზაციის მიზნით, სამი-ოთხი მეზობელი ან მოკეთე ოჯახი შეერთდებოდა და ერთად აიღებდა დაბლობში მიწას. ეს ოჯახები ერთ გაერთიანებას ჰქმნიდნენ, რომელსაც ცადა||ამ̇ცადეს, ამგუთონ ეწოდებოდა. ამხანაგობის წასვლას დაბლობში სახნავად Сæлса ერქვა, რაც მთხრობელთა განმარტებით, საერთოდ, სალაშქროდ წასვლას ნიშნავს. როგორც წესი, მხვნელებს მთიდან ბარში მიჰქონდათ სახვნელი და ხარებსაც იქიდან მოერეკებოდნენ. თუ ყოველ მოწილეს უღელი ხარი შეჰყავდა ამხანაგობაში, მაშინ ამხანაგობა თითოეულს ტოლ ნაკვეთს უხნავდა. გუთნის პატრონსაც ერთი უღელი ხარის წილი ერგებოდა. წილს ურუხის ხეობაში ххæй ან гутонххæй ერქვა, დღიურს კი бонцаухума ეწოდებოდა. თანაბარი ძალებით შემდგარი ამხანაგობა, ამგვარად, იჯარით აღებულ მთელ მიწას ერთად ხნავდა, რადგან ეს ერთეული, რო-

გორც წესი, ერთნაირი ზომის ნაკვეთებს იღებდა და ყოველგვარი სირთულეებისა და კონფლიქტების გარეშე ადგენდა ,ყოველი მოწილის ნორმას. ასევე ,ითვე წესი არსებულა მოზდოკში მცხოვრებ ოსებს შორისაც — კალოევის მასალით მოდგამში გაერთიანებული ოჯახები, ჩვეულებრივად ერთ საერთო ნაკვეთს იღებდნენ, რომელიც მოხვნის შემდეგ კენჭის ყრით ნაწილდებოდა[32]. სხვადასხვა ძალებით შემდგარ ამხანაგობას ნაკვეთებიც სხვადასხვა ზომის ჰქონდა დასამუშავებელი, მაშინ ალოების განაწილება არც თუ ისე მარტივად ხდებოდა. ასეთ შემთხვევაში ძალების გაერთმნიშვნელიანება იყო საჭირო, რაც შემდეგში გამოიხატებოდა: ყველაზე მცირე ძალით მონაწილეს ნორმას უდებდნენ საფუძვლად ანაზღაურების სისტემას. თავდაპირველად ამხანაგობის ყოველ წევრს ამ უმცირეს ნორმას მოუხნავდნენ, ამის შემდეგ უკვე ხდებოდა ფაქტიური მონაწილეობის მიხედვით ხვნა. თუ მცირე ძალის პატრონს კიდევ მოუნდებოდა მეორე ჯერის ხვნის დროს წილის მიღება, მას მეხრედ უნდა ემუშავა ან საფასური გადაეხადა, ნატურით თუ ფულით. ზოგ შემთხვევაში გუთონისათვის ცალკე არ იხვნებოდა, მაგრამ მუშაობის პროცესში ეს იარაღი თუ გატყდებოდა ან რაიმე დაუზიანდებოდა, ამხანაგობის ყველა წევრს შეერთებული ძალებით უნდა ეზღო იგი. როცა გუთონს ადგილზე ქირაობდნენ, გუთონის პატრონისთვისაც ერთი ჰექტარი უნდა მოეხნათ ან ფულზე მოურიგდებოდნენ და შესაფერ თანხას გადაიხდიდნენ. ზოგჯერ გუთონის ნაცვლად რკინის ფაბრიკული გუთანითაც ხნავდნენ დაბლობში მიწას. აქ გავრცელებული იყო საკის № 10 რკინის გუთანი. ამ გუთანში სამი უღელი იბმებოდა. ქურთათში ჩაწერილი მასალით ერთი ჰექტარის მოსახნავად რკინის გუთანს 5 მანეთად ქირაობდნენ ადგილზე. ტოლი ძალებით შემდგარი გაერთიანება ადვილად ანაწილებდა გადასახდელ თანხას, მაგრამ არატოლძალოვან ამხანაგობაში ხშირად ხდებოდა გაუგებრობა — ზოგი თავს დაზარალებულად თვლიდა. ასეთი „დაზარალებული“ ხვნა-თესვის დამთავრებისა და მშობლიურ სოფელში დაბრუნების შემდეგ, ნიხასზე განაცხადებდა თავის პრეტენზიას, ნიხასის თავყრილობა მოვალე იყო გარკვეულიყო შექმნილ სიტუაციაში და ორივე მხარის უფლებების დაცვით მოერიგებინა მომჩივანი მხარეები. ნიხასის გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოდ ითვლებოდა. ნიხასის ჩარევა შეამხანაგების წევრთა მორიგების საქმეში, გვიანი დროის ამბავი უნდა იყოს. სახელდობრ ალბათ, მაშინდელი, როდესაც დაბლობში დაიწყეს მიწების დამუშავება. ადრე ამხანაგობაში წარმოქმნილ ყოველ კონფლიქტს შიგვე აწესრიგებდნენ და მარტივი, ძუვურის გარშემო შექმნილ გაერთიანების პირობებში არც იყო მოსალოდნელი რაიმე სერიოზული ხასიათის უთანხმოების გაჩენა. გუთონთან დაკავშირებით, შედარებით რთულ საწყისებზე შექმნილ გაერთიანებაში, სადაც უკვე ფულადი ანაზღაურება ფიგურირებს, ცხადია, უფრო დასაშვები იყო კონფლიქტები, რომელსაც უკვე ვეღარ ართმევდა მოცემული ორგანიზაცია თავს და ნიხასის მსჯელობის საგნად აქცევდა მას.

ამხანაგობის წევრები ერთად ცხოვრობდნენ საგანგებოდ აგებულ ქოხებში, რომელსაც ოსონგა ეწოდება დიგორულ დიალექტზე. ერთად იკვებებოდნენ სოფლიდან წაღებული საერთო მარაგით. ხვნა-თესვის დამთავრების შემდეგ კი დამოუკიდებლად უვლიდა ყოველი თავის ყანას.

---

[32] Б. Калоев, Из истории Моздока и моздокских осетин.-изв. СОНИИ, т. XXV, 1966.

ხვნის გარდა საერთო ძალებით მემინდვრეობასთან დაკავშირებული შემდეგი სამუშაოები ტარდებოდა მკა, ლეწვა, მოკარვება, ახოს აღება, ტერასების მოწყობა.

მკა ძირითადად ქალების საქმიანობად იქცა ოსეთში, რადგან მკის დროს მამაკაცები, როგორც წესი სათიბად იყვნენ წასული და მოსავლის ასაღებად მარტო ქალები რჩებოდნენ. მკა მთაში საშური საქმეა. მარცვლეული გვიან მწიფდება, თოვლი კი ადრე იწყებს მოსვლას. ამის გამო, ხშირად, ერთი უბნის ქალები, უფრო ზუსტად, მომიჯნავე ყანის მეპატრონეები საერთო ძალებით იღებდნენ მოსავალს. ჩვენი მასალებით, ამ შემთხვევაში შრომის არავითარი რეგლამენტაცია არ არსებობდა. ერთი ნაკვეთის მომკას რომ დაამთავრებდნენ, მეორე ნაკვეთზე გადადიოდნენ და ასე შემდეგ. ერთ სეზონზე ერთი და იგივე ქალი ხშირად რამდენიმე გაერთიანებაში ღებულობდა მონაწილეობას იმის მიხედვით, თუ რამდენ ადგილას ჰქონდა ასაღები მოსავალი. მცირე მიწიანობისა და არახელსაყრელი რელიეფის გამო, საყანე ადგილები უმეტეს წილად ხომ სხვადასხვა ადგილას ჰქონდა დაქუცმაცებული ოჯახს. მკის დროს შრომა ამგვარად ნაწილდებოდა: ვის მოსავალსაც იღებდნენ ის უკეთებდა ორგანიზაციას მკას მოცემულ ნაკვეთში. მომხმარე ქალები მკიდნენ, მოზრდილი ბავშვები და პატარძლები კი ძნებს კრავდნენ და ზვინებს აწყობდნენ. ამგვარი სამუშაოს დროს თუ კი ოჯახს შეძლება ჰქონდა უმასპინძლდებოდა დახმარების მონაწილეებს, თუ არა ყველას მოჰქონდა მშრალი საჭმელი — პური, ყველი და სხვ. მისთანანი და ერთად ნაყრდებოდნენ.

შრომის ეს კოლექტიური გაერთიანება მარტივ ურთიერთდახმარების ფორმად გვესახება, რადგან იგი დგება ყოველგვარი წინასწარი შეთანხმებისა თუ მოლაპარაკების გარეშე, არ არის რეგლამენტირებული შრომითი მონაწილეობა, ვისაც რამდენი აქვს მოსამკელი, იმდენს უმკიან და არც გამასპინძლებაა სავალდებულო. მორალური აუცილებლობაა მხოლოდ სამაგიერო დახმარება.

ხშირ შემთხვევაში მკის პარალელურად მარცვლეული ილეწებოდა. ლეწვის დროსაც არა იშვიათი იყო ოსეთის ხეობებში კოლექტიური შრომის შემთხვევები. მაგრამ აქ უკვე განსხვავებული მდგომარეობა იქმნებოდა. შრომის ორგანიზაციის ეს ფორმა კალოს მდებარეობასა და მისი გამართვის სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოებაც, რომ ყოველ ოჯახს როდი შეეძლო დამოუკიდებლად კალოს გაწყობა. იყვნენ კალოიანი და უკალოო ოჯახები. კალო, მისი საკუთრებისა თუ გამართვა-გამოყენების წესები ცალკე გაშუქებას მოითხოვს და ამჯერად მასზე არ შეეჩერდებით, მხოლოდ კოლექტიური შრომის გამოყენების თვალსაზრისით თუ მივუდგებით ხსენებულ საკითხს, შეგვიძლია ზოგადად აღვნიშნოთ, რომ უკალოო ოჯახები თავის განაყარ პატრონიმიაში შემავალ მონათესავე ოჯახებს თხოვდნენ გაელეწათ მოსავალი მათ კალოზე. ასეთი ოჯახები ყოველგვარ გასამრჯელოსა თუ შრომითი ანაზღაურების გარეშე სარგებლობდნენ კალოთი და უფრო მეტიც, მეპატრონე საქონელსაც კი მიაშველებდა ხოლმე მათ. სხვისი კალოთი სარგებლობის წესი და მასთან დაკავშირებული ურთიერთდახმარების ფორმა, როგორც მასალებიდან ჩანს შედარებით ახალი დროის ამბავი უნდა იყოს, სახელდობრ იგი აშკარად პატრონიმიის დაშლის შემდეგ გაჩნდა, მაგრამ პატრონიმიული კავშირები და აქედან გამომდინარე ნათესაური ურთიერთვალდებულებანი ჯერ კიდევ იმდენად მტკიცედ არის შე-

მორჩენილი, რომ ერთი მხრივ უკალოო ოჯახი სწორედ თავის განაყარ ნათესავს თხოვს დახმარებას და ეს უკანასკნელიც ამ ნათესაური ურთიერთობის გათვალისწინებით ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ეხმარება მთხოვნელს. მაგრამ ოსეთის იმავე ხეობებში არსებობს სხვა შემთხვევებიც: კერძოდ, ურუხის ხეობის მთელ რიგ სოფლებში ჩაწერილი მასალის მიხედვით უკალოო ოჯახი ნებისმიერ მეზობელს თხოვს კალოს. ამ შემთხვევაში უკვე კალოთი აკრგებლობისათვის სავალდებულოა ნატურით თუ ფულით გასამრჯელოს გადახდა და მუშა საქონლის უქონლობის შემთხვევაში უკვე მისი ქირით თხოვება ხდება. ეს ფორმა პატრონიმიის რღვევის და ნათესაური კავშირების შესუსტების კიდევ უფრო ღრმად წასული პროცესის მაჩვენებელია. იგი წინა ფორმასთან შედარებით კიდევ უფრო ახალი ამბავია, კერძოდ, ალბათ საგლეხო და მიწის რეფორმის შემდგომი პერიოდის პროდუქტია, როდესაც კავკასიაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა ტენდენციებმა იჩინეს თავი.

ქალების საქმიანობა იყო აგრეთვე ყანების მოკარვება. გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიული თავისებურებების წყალობით ყოველ წელიწადს და ზოგჯერ წელიწადში რამდენჯერმეც კი აუცილებელი იყო საყანე ადგილის ქვა-ღორღისაგან გასუფთავება. ეს იყო საკმაოდ შრომატევადი და მომქანცველი სამუშაო, რომელიც ძირითადად ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალების ან პატარძლების მოვალეობად იქცა. მომიჯნავე ყანების მეპატრონე ქალები შეიკრიბებოდნენ და შერთებული ძალებით რიგ-რიგობით ასუფთავებდნენ ყანებს ქვა-ღორღისაგან. ამ გაერთიანებას ორი მიზანი ჰქონდა. ერთი, ეს მომქანცველი სამუშაო ცოტა ხალისიანი გაეხადა და მეორე შემთხვევაში თუ მეზობელი ყანა არ იყო გაწმენდილი. აზრი ეკარგებოდა საკუთარი ნაკვეთის გაწმენდას და ამდენად თითოეული საყანის პატრონი დაინტერესებული იყო მეტნაკლებად სუფთა ყოფილიყო მის საზღვარზე მდებარე ნაკვეთები. შრომის ეს კოლექტიური ფორმაც დგებოდა ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე, შრომა არ იყო რეგლამენტირებული.

ახოს აღება და ტერასების მოწყობა სულ სხვა კატეგორიის სამუშაოებს განეკუთვნება. ეს არის მძიმე, შედარებით ფართო მასშტაბის სამუშაოები რომელიც დიდი რაოდენობით მუშა ხელს საჭიროებდა. ამ შემთხვევაშიც ხდებოდა ურთიერთდახმარება, მაგრამ იგი ზემოგანხილული ფორმებისაგან სრულიად განსხვავებული იყო და მასზე ცალკე გვექნება მსჯელობა.

გარდა ურთიერთდახმარებისა თუ კოლექტიური შრომის ზემოთ განხილული ტიპებისა, ჩვენს მიერ შესწავლილ რაიონებში საყოველთაოდ იყო გავრცელებული დახმარების ერთი მეტად თავისებური სახე, რომელიც საყოველთაოდ იზიუს სახელწოდებით არის ცნობილი მთელს ოსეთში. ზიუ ეს არის ურთიერთდახმარების ფორმა უსათუოდ წინასწარ მოწვევით მხოლოდ გამასპინძლების საფასურად. ოსეთზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში ზიუ ხშირად ურთიერთდახმარების ზოგადაღმნიშვნელ ტერმინად არის მიჩნეული და ამ ცნების ქვეშაა მოქცეული დახმარების ყველა ფორმა განურჩევლად. ჩვენ ვთვლით, რომ ეს არ არის სწორი, რადგან ზიუ კოლექტიური შრომის ერთი კონკრეტული სახეა და მისი სახელის ზოგადად გავრცელება ან მით უფრო ოსეთში მოქმედ ყველა ინსტიტუტის ზიუდ მონათვლა მიუღებელია. მაგ., ჩურსინი წერდა: Одным из пережитков первобытного коммунизма, связанных с родовым стоем, является обычай взаимопомощи,

довольно широко практикующийся у осетин. Обычай этот носит название зиу[33]. და შემდეგ აგრძელებს: „Обычай зиу применяется при следующих работах: пахота, когда организуется так называемый „составной плуг“, кошение сена и жатва хлеба?...“ და ჩამოთვლილია სხვა სამუშაოები, რომლის დროსაც დგებოდა ზიუ. ჩვენი აზრით. სახვნელის გარშემო შემდგარი შრომითი გაერთიანების ზიუდ ჩათვლა ყოვლად შეუძლებელია, რადგან ზიუ ურთიერთდახმარების ფორმაა ს

თუ საერთოდ სააღმშენებლო მასალების დამზადების და ადგილზე მოზიდვასთან დაკავშირებით, ეწყობოდა სახლის გადახურვისა და ლესვის დროს. განსაკუთრებით მასობრივ ხასიათს ზიუ სახლის გადახურვისას იღებდა. ამ შემთხვევაში მთელი სოფელი და ზოგჯერ მეზობელი სოფლებიდანაც იკრიბებოდა ხალხი. ზიუს მომწყობი წინა დღეს გამოაცხადებდა, რომ ხვალ სახლს ხურავს და ყველა მოვალედ თვლიდა თავს მისულიყო მეორე დილით ადრე და ამ სამუშაოში მოხმარებოდა. მასპინძელი თავის მხრივ ადრეევე იწყებდა ამ დღისათვის მზადებას, ლუდს და არაყს გამოხდიდა, საკლავს დაკლავდა უსათუოდ, რომ სათანადოდ დახვედროდა დამხმარეებს. შუადღეს ასაუზმებდა, საღამოს კი სამუშაოს დამთავრების შემდეგ დიდი სუფრა იშლებოდა. თუ ამინდი ხელს უწყობდა ეზოში, თუ არა და შენობაში.

სახლის გალესვასთან დაკავშირებით მოწყობილ ზიუში ძირითადად ქალები და ახალგაზრდები მონაწილეობდნენ. მამაკაცები ამ ზიუში ნაკლებად მიდიოდნენ. ეს ალბათ იმიტომ, რომ სახლის გალესვა მაინც ახალი დროის მოვლენაა და როგორც ჩანს მამაკაცები ამიტომ ზოგჯერ ზედმეტ სამუშაოდაც მიიჩნევდნენ ამ საქმეს, და არც ზიუში ღებულობდნენ მონაწილეობას. ქალები და ახალგაზრდები კი ხალისით მიდიოდნენ სახლის გალესვასთან დაკავშირებით მოწყობილ ზიუში. აქ იმართებოდა შეჯიბრი კარგ მომუშავეებს შორის. შეჯიბრში გამარჯვებულს მუშაობის დამთავრების შემდეგ დიდ ხაბიზგინს მიართმევდნენ, რომელიც ყველითა და კვერცხებით იყო დატენილი. ნამცხვარს სპეციალურად ამ მიზნისათვის აცხობდა დიასახლისი. ახალგაზრდობა ხალისით მუშაობდა, ისმოდა სიმღერები, სიცილ-ხარხარი. საღამოს ტრადიციული სუფრა იშლებოდა. ლუდი და არაყი განუსაზღვრელი უნდა ყოფილიყო, აუცილებლად საკლავი იკვლებოდა; გარდა ამისა, ათასგვარი ნამცხვარი თუ ხაჭაპურები და სხვა მრავალი რამ მზადდებოდა ამ სუფრისათვის. თუ რომელიმე ოჯახი გამასპინძლების დროს სიძუნწეს გამოიჩენდა და ჩვეული სიუხვით არ გაშლიდა სუფრას მას გაკილავდნენ, შეიძლება პირდაპირ არაფერი ეთქვათ, მაგრამ გამუდმებული მასხრად აგდების საგნად ხდებოდა ეს ოჯახი. სხვა დროს თუ კიდევ მოიწვევდა იგივე ოჯახი ზიუს, თანასოფლელები უკვე უხალისოდ მიდიოდნენ. ძუნწ მასპინძელს კენტის ან ცალამბუტს უწოდებდნენ დიგორის სოფ. კამათაში. უხვ მასპინძელს პირიქით ქება-დიდებას შეასხამდნენ და მის მიერ მოწვეულ ზიუში ყოველთვის ხალისით მიდიოდნენ. ზიუში მუშაობის დროს, როგორც წესი, ყოველთვის ხდებოდა უკვე გასულ ზიუში მასპინძლობის შეფასება ნახევრად ხუმრობის ტონში ამასხრებდნენ მასპინძელს და ამით, მთხრობელთა თქმით, აფრთხილებდნენ იმ ოჯახს, სადაც მუშაობდნენ რომ მათაც ასეთი ხვედრი ერგებოდათ ცუდი მასპინძლობისათვის. ოჯახის პატრონები ცდილობდნენ არ გაკილულიყო მათი ოჯახი და სასმელ-საჭმელს არ იშურებდნენ. ზიუ როგორც წესი, ერთ დღეში მთავრდებოდა. იშვიათად მეორე დღესაც გრძელდებოდა მუშაობა, რაიმე საქმის საბოლოოდ დამთავრების მიზნით. წელიწადში ორჯერ თუ მოაწყობდა ერთი და იგივე ოჯახი ზიუს, უფრო მეტად უხერხემლო იყო. დაახლოებით ასეთივე სურათი დგინდება სხვა სამუშაოების დროს გამართულ ზიუსთან დაკავშირებით. მხოლოდ ერთია აღსანიშნავი, იმავე დიგორში მაგ., ასეთი მასალაც შეგვხვდა, ითვალისწინებდნენ რა იმ გარემოებას, რომ ზიუს მოწყობა მაინც დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ახლო ნათესავები, გარდა იმისა, რომ უშუა-

ლო შრომით მონაწილეობას იღებდნენ, სურსათითაც ეხმარებოდნენ ერთმანეთს. მოჰქონდათ ყველი, კვერცხი, ფრინველი, ლუდი და არაყი.

ზიუ როგორც წესი კვირა-ორშაბათს ეწყობოდა, ვინაიდან ამ დღეებში საკუთარი სამუშაოს გაკეთება არ შეიძლებოდა, ცოდვად ითვლებოდა. თუ სოფელში ვინმე გარდაიცვლებოდა ზიუს ვერავინ მოიწვევდა, მთელი სოფელი ვალდებულად თვლიდა თავს მიცვალებულის ოჯახში ეტრიალა.

ამგვარად, ზიუ იყო ურთიერთდახმარების ისეთი ფორმა, რომელიც ეწყობოდა უსათუოდ ოჯახის პატრონის წინასწარი მოწვევით — დაძახილით აუცილებელი გამასპინძლებისა და სამაგიეროდ სხვის ზიუში მონაწილეობის საფასურად.

როგორც დავრწმუნდით, დახმარების ეს ფორმა დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ, ყოველ ოჯახს როდი შეეძლო ზიუს მოწვევა, თანაც ისეთი მასშტაბის სამუშაოები, რომელიც ზიუს დახმარებას საჭიროებდა, არც თუ იმდენი ჰქონდა ნაკლებად შეძლებულ ოჯახს, ამდენად ზიუ დროთა განმავლობაში იქცა შეძლებული ფენების პრივილეგიად. ეს გადანაცვლება განსაკუთრებით რელიეფურად გამოიკვეთა საგლეხო და მიწის რეფორმის შემდეგ, რამაც ხელი შეუწყო კულაკური და შეძლებული ფენების გამოყოფას საერთო მასიდან. ეს უკანასკნელი თავის მხრივ, აძლიერებდა კაპიტალისტური ტენდენციების გაღრმავებას სოფლად. ზიუს მოწყობას, როგორც აღვნიშნეთ, შეგნებულად ერიდებოდა ღარიბი გლეხი. მას ერჩია პირდაპირ დახმარება ეთხოვა თანასოფლელებისათვის ან დაექირავებინა კიდეც მუშა ხელი. ესეც კი უფრო იაფი უჯდებოდა, ვიდრე ზიუ. მაგრამ შეძლებული ოჯახი დიდი მასშტაბის სამუშაოების გამო ისევ ტრადიციული ზიუს მოწყობას ამჯობინებდა, რადგან მუშახელი ბევრი გროვდებოდა და ერთი კარგი გამასპინძლების საფასურად საკმაოდ დიდ საქმეს აკეთებდა. დიგორის სოფ. ოდოლაში ჩაწერილი მასალა ჩვენი დებულების აშკარა ილუსტრირებაა: ტამბიევ ხურსინამ მთავრობისაგან იჯარით აიღო კალუხადაგში ხიდის აშენების უფლება. ტამბიევმა დიდი ზიუ მოიწვია. დონიფარსიდანაც კი მოვიდა ხალხი. მთელი დღე და მეორე დღის ნახევარი გამალებით მუშაობდნენ და კარგი მაგარი ხიდი გამართეს კალუხადაგში. საინტერესოა თვით მთხრობელი როგორ განმარტავს ამ ფაქტს, იგი აღნიშნავს: „ტამბიევმა ერთი ხარი დაკლა და ამით ააშენა ხიდი, სახელმწიფოსაგან კი კარგი სარგებლობა მიიღო, რადგან დიდი ფული გადაუხადეს მას ამ ხიდის აშენებაში“.

ამგვარად, ზიუ უბრალო ურთიერდახმარების თავდაპირველი ფორმიდან გადაიქცა შეძლებული ფენების პრივილეგიად. მაგრამ ძველი ადათ-წესებისა და ტრადიციების ჯერ კიდევ ძლიერი გავლენის წყალობით იგი არ ქცეულა აშკარა ექსპლუატაციის საშუალებად, რადგან ფორმალურად ღარიბ და უღარიბეს გლეხსაც შეეძლო ბოლოს და ბოლოს ზიუს მოწვევა, რომელშიც იმავე შეძლებულ თუ კულაკურ გლეხსაც უნდა მიეღო თანაბარ უფლებების საფუძველზე შრომითი მონაწილეობა. და თუ ეს ასე ხდებოდა ზოგჯერ, მაშინ გამოდიოდა, რომ ღარიბი უწევდა მდიდარს ექსპლუატაციას, რაც თანამედროვე გაგების ნორმებში არ თავსდება.

მთელი აქ განხილული მასალა შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს: მთა ოსეთში მოქმედებდა შრომითი გაერთიანების სამი ერთი-მეორისაგან განსხვავებული სახე. ამ გაერთიანებების ორგანიზაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ ყველაზე მარტივი და შეიძლება ად-

რეულიც თავისი წარმოშობით იყო სტიქიურად აღმოცენებული ურთიერთდახმარების ფორმები, რომელსაც მთელი ოსეთის მთიანი ნაწილისათვის პირობითად ანხოს ვუწოდებთ. მარქსიზმის კლასიკოსების განსაზღვრის თანახმად ეს არის მარტივი არტელური გაერთიანება. ამგვარ გაერთიანებას ნამდვილად დახმარება უდევს საფუძვლად, ყოველგვარი გასამრჯელოსა და ანაზღაურების გარეშე. მეორე ფორმა ცადისად ცნობილი, ძირითადად ხვნასთან დაკავშირებით შედგენილი გაერთიანებაა, ესეც არტელური წარმონაქმნია, მაგრამ თავის წინამორბედ ფორმასთან შედარებით მას საფუძვლად უდევს უფრო რთული ორგანიზაცია, რაც შრომითი მონაწილეობის ანაზღაურების გარკვეული სისტემის არსებობაში ვლინდება. დაბოლოს ზიუ შრომითი დახმარების მესამე ფორმაა, რომელიც ეწყობოდა ყოველგვარი შრომატევადი სამუშაოების დროს აუცილებლად ოჯახის პატრონის წინასწარი მოწვევით სავალდებულო გამასპინძლებისა და სამაგიეროდ სხვის ზიუში მონაწილეობის საფასურად.

აქ წარმოდგენილ მასალაში ნათლად ჩანს ის ცვლილებები, რომელსაც განიცდის შრომითი ორგანიზაციის თითოეული სახე დროთა განმავლობაში, ეს ცვლილებები, ჩვენი აზრით, საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების დონეს შეესაბამებოდა.

დისკუსია და განხილვა

დავით თუშაბრამიშვილი, ლამარა ნებიერიძე

საქართველოს ზოგიერთი „ნეოლითური“ ძეგლის დათარიღებისათვის

ქართულ არქეოლოგიურ ლიტერატურაში დიდი ხანია დამკვიდრებულია აზრი, რომ თეთრამიწა და გამოქვაბულ საგვარჯილეს II კულტურული ფენა ნეოლითური ეპოქის ძეგლებია[1]. მაგრამ ქუთაისისა და საქართველოს სახ. მუზეუმების ქვის ხანის ფონდებში დაცული თეთრამიწის (კოლ. № 1—34, 9—53) მასალის და საგვარჯილეს (კოლ. № 14—54 და 1—55) კოლექციის დეტალურმა გაცნობამ, აგრეთვე ენეოლითური-ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებში (სამელე კლდე, შულავერი, მეშოკო, სკალა და სხვ.) მოპოვებულმა მასალამ დაგვარწმუნა, რომ ზემოთ დასახელებული „ნეოლითური“ — ძეგლები (მხედველობაში გვაქვს გამოქვეყნებული — ნეოლითურად ცნობილი მასალის დიდი ნაწილი) — ახალიქვის ხანას არ მიეკუთვნებიან[2].

ამ დებულების დასამტკიცებლად ჩვენ პირველყოვლისა შევეხებით საგვარჯილეს, როგორც სტრატიფიცირებულ ძეგლს. არქეოლოგი ნინო ბერძენიშვილი, თავის ერთ-ერთ ნაშრომში, სადაც იხილავს ძეგლის სტრატიგრაფიას და იძლევა მასალის მოკლე დახასიათებას, აღნიშნავს, რომ ნეოლითური ფენა, უძრავი სახით, მხოლოდ მღვიმის შესასვლელთან არის შემონახული, სადაც მისი სიმძლავრე 3 მეტრს აღწევს. აღნიშნული ფენის ზედა ჰორიზონტი ენეოლითური დროის მასალის შემცველი ყოფილა. რაც შეეხება ფერდობზე მოპოვებულ მასალას, იგი ჩარეცხილია გამოქვაბულიდან[3]. ი. გძელიშვილი, რომელმაც გეოლოგიური თვალსაზრისით შეისწავლა საგვარჯილე,

---

1 ნ. კილაძე (ბერძენიშვილი), ახალიქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან, მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 29.1951; მისივე; მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი საგვარჯილე, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIV, № 9, 1953.

ა. აფაქიძე, ნ. ბერძენიშვილი, გ. გობეჯიშვილი, ალ. კალანდაძე, ო. ჯაფარიძე, ნ. ხოშტარია, საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 1959.

2 დ. თუშაბრამიშვილი, შუა კავკასიონის სამხრეთი კალთების პალეოლითური ექსპედიციის ყვირილას რაზმის მიერ 1959 წელს ჩატარებული საველე სამუშაოების შედეგები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1959 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1960, А. А. Формазов, Каменный век и энеолит Прикубанья, 1965, М., გვ. 135, 146; Л. Д. Небиеридзе, О датировке некоторых неолитических „памятников Грузии, Всесоюзная научная сессия, посвященная итогам полевых археологическим исследованиям, 1966, Краткое содержание докладов, Кишинев, 1967.

3 ნ. კილაძე (ბერძენიშვილი), მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე“, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIV, № 9, 1953, გვ. 563—566.

აღნიშნავდა, რომ ნეოლითური დროის ფენა ხელშეუხებლად მხოლოდ მღვიმის წინა ფართობზე აღმოჩნდა და ზოგიც, ნაფლეთ-ნაფლეთ, თვით მღვიმეში[4]. როგორც ვხედავთ, საგვარჯილეში ნეოლითური ფენა უძრავი სახით მხოლოდ გამოქვაბულის მცირე ფართობზეა შემონახული, ამიტომ მასალის განხილვისას ჩვენ ნაწილობრივ შევეხებით მხოლოდ იმ იარაღებს, რომელიც ნეოლითურ უძრავი ფენიდან მომდინარეობენ, ხოლო უფრო დეტალურად განვიხილავთ იმ კომპლექსს, რომელიც ძეგლის გამთხრელს ნეოლითურად მიაჩნიან[5].

როგორც საგვარჯილეს გეოლოგიური ჭრილიდან ჩანს, 1—13 ნიშნულები გამოქვაბულის შიდა ფართობზე მოდის, ე. ი. ემთხვევა ნეოლითური ხელუხლებელი ფენის გავრცელების არეს. აღნიშნულ ნიშნულებში, სხვადასხვა სიღრმეზე, მოპოვებულია „ნეოლითური“ ხანის მრავალი ნაშთი. ასე მაგალითად: II თხრილში, 4—8 ნიშნულებში[6], 1, 75 მ სიღრმეზე აღმოჩენილია კაჟის ისრისპირები (კოლ. 1—55—721); მე-9—10 ნიშნულებში, 1,55—1,80 მ სიღრმეზე — ქვის სამაჯურის ნატეხები (კოლ. 14—34—166, 247); მე-11 ნიშნულში, 1,30 მ სიღრმეზე აღმოჩნდა თიხის სამაჯურის ნატეხი (კოლ. 1—55—800); მე-9—11 ნიშნულებში,—1,70 მ, სიღრმე—ქვის ცული (კოლ. 14 — 54 — 211);

„საქართველოს არქეოლოგიის“ მე-3 პარაგრაფს, რომელიც დაწერილია არქეოლოგ ნინო ბერძენიშვილის მიერ, თან დართული აქვს „ნეოლითური“ მასალის ტაბულა (№ VI). აღნიშნულ ტაბულაზე გამოსახული ქალის კანდაკება (სურ. 2, კოლ. 1—55—452), ქვის სამაჯური (სურ. 3, კოლ. 1—55—679) და ძვლის ნემსი (სურ. 6. კოლ. 1—55—537) შესაბამისად ნაპოვნია 1,00 მ, 1,40 მ, 1,50 მ სიღრმეებზე. მუზეუმის საინვენტარო წიგნიდან კი ირკვევა, რომ II თხრილში, მე-12 ნიშნულში, 1,60 მ სიღრმეზე აღმოჩენილია ბრინჯაოს თუ სპილენძის ღერო (კოლ. 1—55—814). ცხადია, რომ არც ქანდაკებას, არც სამაჯურს, არც ძვლის ნემსს და საერთოდ 4—13 ნიშნულებში 1,60—1,70 მ სიღრმეზე (თუ უფრო ღრმად არა) მოპოვებულ მასალებს არაფერი აქვთ საერთო ახალიქვის ხანის ეპოქასთან. რაც შეეხება აღნიშნული ნიშნულების ქვედა ჰორიზონტებში მოპოვებულ ინვენტარს, ისინი (ქვის სათლელები, სატეხები, სხვადასხვა სახის ისრისპირები და სამაჯურები) არაფრით არ განსხვავდებიან ზედა ჰორიზონტებში მოპოვებული მასალებისაგან. ამიტომ, აღნიშნული ნაკეთობანიც ნეოლითის ეპოქას არ უნდა მიეკუთვნებოდეს.

„საქართველოს არქეოლოგიის“ VI ტაბულაზე გამოსახული სათლელი იარაღი (სურ. 4, კოლ. 1—55—599) აღმოჩენილია 29-ე ნიშნულში, ე. ი. არა in situ ფენაში, 2,80 მ სიღრმეზე, ხოლო საკიდი (ტაბ. VI, სურ. 8, კოლ. 1—55—713) — 1,90 მ სიღრმეზე. ამავე ნიშნულში 2,20—3,00 სიღრმეზე ნაპოვნია თიხისა და ქვის სამაჯურები, ბოლოამოღარული ისრისპირი, ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღები და, რაც მთავარია, 2,25 მ სიღრმეზე — ლითონის ნემსი (კოლ. 1—55—755). ქვის ცული (ტაბ. VI, სურ. 9, კოლ. 1—55—

---

4 ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, „საგვარჯილეს“ სტრატიგრაფიისათვის, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIV, № 9, 1953, გვ. 573.

5 ნ. კ ი ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი „მრავალფენიანი...“, სურ. 3; საქართველოს არქეოლოგია, ტაბ. VI და ტექსტი.

6 ნიშნულების ნუმერაცია და თანამიმდევრობა აღებულია საქ. სახ. მუზეუმის ქვის ხანის ფონდის საგვარჯილის მასალის საინვენტარო დავთრიდან.

488) აღმოჩენილია 32-ე ნიშნულში 1,60 მ სიღრმეზე, 33-ე ნიშნულში 1,900 სიღრმეზე კი ნაპოვნია ლითონის ნივთის ნატეხი (კოლ. 1—55—811).

რაც შეეხება ტაბულაზე გამოსახულ თოხისნაირ რქის იარაღს (სურ. 1 კოლ. 1—55—535) და ანკესს (სურ. 10, კოლ. 1—55—594), არ შევეხებით, ვინაიდან ზუსტი ცნობები აღმოჩენის ვითარების შესახებ არ გვაქვს. ასევე არ შევეხებით გვერდქიმიან კაჟის ისრისპირს (სურ. 12, კოლ. 1—55—650), რადგან იგი ღია სადგომზე, გამოქვაბულის მახლობლად მდებარე ბორცვზეა ნაპოვნი გათხრების დროს. არ შევეხებით აგრეთვე ანატკეცზე დამზადებულ ორ ისრისწვერს (ტაბ. XI, სურ. 7,11, კოლ. 1—55—672, 673) და ძვლის ჭვილთს (ტაბ. VI; სურ. 5, კოლ. 1—55—677), ვინაიდან აღნიშნული ნივთები საინვენტარო დავთრის მიხედვით აღმოჩენილია მე-14 ნიშნულში, 325—3, მ სიღრმეზე „ეპიპალეოლითურ“ ფენაში.

ასევე ნეოლითური არ არის ნ. კილაძის (ბერძენიშვილი) მეორე ნაშრომში მოტანილი იარაღები[7]. შევეხებით მხოლოდ რქისაგან ნაკეთებ თოხისნაირ იარაღებს. მე-3 სურათზე ნაჩვენები თოხისნაირი პირველი იარაღი (კოლ. 1—55—536) აღმოჩენილია 25—26-ე ნიშნულების 2,50 მ სიღრმეზე, 22—23-ე ნიშნულების 2,20—2,60 მ სიღრმეზე კი ნაპოვნია ბრინჯაოსა თუ სპილენძისაგან ნაკეთები ორი პატარა ანკესი (კოლ. 1—55—807, 809). ნახატის თოხისნაირი მესამე იარაღი მე-10 ნიშნულის 1,80 მ სიღრმიდანაა, მე-12 ნიშნულში 1,60 მ სიღრმეზე კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაპოვნია ლითონის ღერო (კოლ. 1—55—814).

ზემომოყვანილი სტრატიგრაფიული მონაცემების ანალიზიდან ირკვევა, რომ „ნეოლითური“ მასალის დონეზე და უფრო ქვემოთ ლითონის ნივთებია ნაპოვნი.

ამგვარად, საგვარჯილეში მოპოვებული ნეოლითურად ცნობილი მასალის 90%-ზე მეტი სინამდვილეში გაცილებით ახალგაზრდაა და გვიანი ენეოლითური ხანით (შესაძლოა ადრეული ბრინჯაოს ეპოქითაც) უნდა დათარიღდეს.

სტრატიგრაფიის საფუძველზე მიღებულ დასკვნებს ასაბუთებს საგვარჯილეს და თეთრამიწის კომპლექსების ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური ანალიზიც.

შევეხოთ საგვარჯილესა და თეთრამიწის „ნეოლითური“ კოლექციების დამახასიათებელ ნიშნებს, მათ შემადგენელ ელემენტებს და შევადაროთ ისინი დასავლეთ ამიერკავკასიისა და წინა აზიის ნეოლითურ და ენეოლითურ ძეგლებს:

1. თეთრამიწისა და საგვარჯილეს კომპლექსებს მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმის ჩასართები არ ახასიათებს. აღნიშნული ელემენტები კი, ერთ-ერთი მთავარი ნიშანია დასავლეთ ამიერკავკასიაში დღემდე ცნობილი ნეოლითური ძეგლებისა, გეომეტრიული მიკროლითები განაგრძობს არსებობას ზოგიერთ ადრე ენეოლითურ ძეგლებშიც (სამელე კლდე, დარკვეთი, მეშოკო). მიკროლითური ტექნიკის დაცემა, გეომეტრიული ფორმის ჩასართების გაქრობა და რიყის ქვის იარაღების სიჭარბე ახასიათებს ლითონის ხანის ძეგლებს (მღვიმე ოჩაჟნი, ახშთირის გვიანი ენეოლითური ფენა, მოლ-

---

7 ნ. კილაძე (ბერძენიშვილი), მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი საგვარჯილე, სურ. 3.

დოვკა, კაზაჩი, ბროდი, აქეკა, პლასტუნკა, ბატარეიკა (სოჭის რ-ნი) ოჩამჩირის სადგომი.

2. თეთრამიწისა და საგვარჯილეს იარაღების დიდი ნაწილი დამზადებულია ანატკეცებზე, მაშინ როდესაც დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ ძეგლებში მათი უმრავლესობა თხელ და ვიწრო სწორწახნაგა ლამელებზეა ჩამოყალიბებული.

3. თეთრამიწისა და საგვარჯილეს კოლექციებს საჭრისები არ ახასიათებს, ნეოლითურ ძეგლებში კი საჭრისების სიუხვე იქცევს ყურადღებას.

4. აღსანიშნავია თეთრამიწაზე ისრისპირების სიმრავლე (34 ცალი). ეს ფაქტი თავისთავად საინტერესოა, რადგან არც ერთ ნეოლითურ ძეგლზე არა გვაქვს ისრისპირების სიჭარბე. მათი მაქსიმალური რაოდენობა კომპლექსში ოთხს არ აღემატება. ისრისპირების დიდი რაოდენობა კი სწორედ ლითონის ხანის კომპლექსებისათვისაა დამახასიათებელი. საყურადღებოა ის, რომ თეთრამიწის ისრისპირებს შორის არ არის ლამელაზე დამზადებული, ცალმხრივდამუშავებული, მცირე ზომის ისრისპირები, რომლებიც გვხვდება გვიანი ნეოლითის კოლექციებში. თეთრამიწის ყველა ისრისპირი ანატკეცზე ან კაჟის მთლიან გულ-გულაზეა ჩამოყალიბებული და ორმხრივდამუშავებულია. აღსანიშნავია ფუძეამოღარული ისრისპირი, რაც ჯერჯერობით არც ერთი ნეოლითური კომპლექსიდან არაა ცნობილი. ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანის ძეგლებში კი ისინი ხშირად გვხვდება. თეთრამიწის ფოთლისებური შუბისპირები ანალოგებს პოულობენ დაბლაგომის მასალებში. ლ. სოლოვიოვი დიდ მსგავსებას პოულობს თეთრამიწისა და ვორონცოვის მღვიმის ისრისპირებს შორის[8]. თეთრამიწისა და ლითონის ხანის ძეგლების ისრისპირების მსგავსებას ხედავს აგრეთვე ბ. პიოტროვსკი[9].

5. თეთრამიწისა და საგვარჯილეს კომპლექსებში აღსანიშნავია რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალებული იარაღების სიმრავლე. თუმცა ისინი თავისი ფორმით განსხვავდებიან ნეოლითურისაგან. რიყის ქვის იარაღებში წამყვანი ადგილი უჭირავს ტრაპეციისა ან სამკუთხედის განივკვეთის მქონე, მომაღლო სატეხ-სათლელებს, ხოლო ცულების რაოდენობა შედარებით ნაკლებია. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ ძეგლებში კი, პირიქით, წამყვანი ადგილი ცულებს ეკუთვნის. საგვარჯილეზე და თეთრამიწაზე მოპოვებული რიყისქვისაგან დამზადებული იარაღების ძალიან დიდი ნაწილი ცალპირლესილია და არა ორმხრივლესილი-ამობურცული, ე. ი. არა ისეთი, როგორიც დას. ამიერკავკასიის ნეოლითური კულტურისათვისაა დამახასიათებელი. უნდა აღინიშნოს, რომ ცალპირლესილი ცულები მრავლადაა ენეოლითისა და ადრეული ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებში (სამელე კლდე, სამერცხლე კლდე, ახშთირი, ვორონცოვის მღვიმე), ხოლო რაც შეეხება ნეოლითურ ძეგლებს, აქ ისინი მხოლოდ ჩასახვის პროცესშია. ლ. სოლოვიოვი მსგავსებას ხედავს ვორონცოვისა და საგვარჯილეს მღვიმეების ცულებს შორის[10].

---

[8] Л. Н. Соловьев, Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья в эпоху неолита и бронзы—Стоянки Воронцовской пещеры, Труды Абхазского ин-та языка, литературы и истории, т. XXIX, Сухуми, 1958, გვ. 139

[9] Б. Б. Пиотровский, Археология Закавказья, 1949, Л., გვ. 28.

[10] Л. Н. Соловьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 140.

6. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ სადგომებზე ჯერჯერობით არაა ცნობილი ე. წ. „სოჭი-ადლერის“ ტიპის თოხები, რომლებიც დამახასიათებელია ამავე ტერიტორიის ლითონის ხანის ძეგლებისათვის. მსგავსი თოხები ნაპოვნია მდ. მზიმთაზე ახშთირის მახლობლად, მოლდოვკასა და კაზაჩი ბროდში, ს. ბარანოვკაში და ს. ხეივანში, ადლერის რაიონში (ბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობასა და ფრუნზეს სახელობის საბჭოთა მეურნეობასთან), სოჭის მახლობლად — აჟეკასთან, პლასტუნკასთან და ბატარეიკაზე[11], ოჩამჩირის სადგომზე[12].

აღნიშნული ფორმის თოხები ცნობილია წინა აზიის ძეგლებიდან სიალკ[13], ხასუნა[14], სუზი[15], ჰემდეთ-ნასრი[16]. თეთრამიწაზე ნაპოვნი თოხების ზოგიერთი ეგზემპლარი ახლოსაა აღნიშნულ იარაღებთან[17].

საგვარჯილეში ნაპოვნი რქის თოხისნაირი იარაღების მსგავსი აღმოჩენილია სამელე კლდის ენეოლითურ ფენაში და ქვაცხელების ადრებრინჯაოს ნამოსახლარზე[18].

7. თეთრამიწაზე და საგვარჯილეში ნაპოვნია მოგრძო ფორმის ხელსაფქვავები, ნეოლითში კი იყენებდნენ ოთხკუთხა ან მომრგვალო ფორმის ბუნებრივ ბრტყელ ქვებს შუაში ღრმულით (ოდიში, ანასეული II, გურიანთა). მოგრძო მოყვანილობის ხელსაფქვავები გვხვდება კავკასიის ლითონის ხანის ძეგლებში (ახშთირი, ვორონცოვის მღვიმე, ოჩამჩირის ნამოსახლარი, აგუბეკოვის ნამოსახლარი, შომუ-თეფე, თოირა-თეფე, ქიულ-თეფე I, ქვაცხელა, ხიზანაანთ გორა და სხვები).

8. კაჟის დაკბილული, ორმხრივდამუშავებული ნამგლისპირები თეთრამიწისა და საგვარჯილეს მასალების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რომლის მსგავსი ჯერჯერობით არაა ცნობილი ამიერკავკასიის, წინა და შუა აზიის ნეოლითური ძეგლებიდან. ნეოლითის ხანაში მათ მაგივრობას ეწევა სწორწახნაგა ლამელები ან ლამელის განივი ნატეხები. ორმხრივდამუშავებული ნამგლისპირები არ ახასიათებს არც ამიერკავკასიისა და წინა აზიის ადრე-სამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებსაც (წოფი, შულავერი, შომუ-თეფე, თოირა-თეფე, განლი-თეფე, ხასუნა, სიალკ-I...). კაჟის დაკბილული ნამგლისპირები გვხვდება „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ძეგლებში.

9. თეთრამიწასა და საგვარჯილეს ახასიათებს კვირისთავები, რაც დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითური ძეგლებიდან არაა ცნობილი. კვირისთავები არ გვხვდება არც სამხრეთის ნეოლითურ კომპლექსებში. ამიერკავკასიასა

---

[11] В. И. Марковин, Р. М. Мунчаев, О двух типах Каменных орудий Северного Кавказа: КСИА, АНСССР, 1912, № 84.

[12] Л. И. Соловьев, Энеолитическое селище у Очамчирского порта в Абхазии. Сб. „Материалы по истории Абхазии“, Груз. Абх. ННИ Груз. ФАН, вып. 15, Сухуми, 1939.

[13] R. Ch.rshman, Fouilles de sialk prés de Kashan, I, Paris, 1938, ტაბ. LVII, 9.

[14] Seton Lloyd, Fuad Safar, Tell Hassuna, INES, IV, 4, Chicago, 1945, ნახ. 19—20.

[15] I. de Morgan, La Préhistoire orientall, III, Paris, 1927, ნახ. 89, 103—104.

[16] E. Mackay, Report on Excavations at Iemdet Nasr, Iraq, „Field Museun of Natural History, Antropolog , Memoirs“, I, 3, 1931, ტაბ. LXXV, 10.

[17] ნ. კილაძე (ბერძენიშვილი), ახალიქის ხნის ძეგლები თეთრამიწიდან, ტაბ. VII, ნახ. 1.

[18] ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი ურბნისი, I, თბ., 1962, გვ. 37—38.

და წინა აზიაში ისინი ლითონის ხანაში ჩნდება, (ახშთირი, ვორონცოვის მღვიმე, ოჩამჩირე, მერსინი, ამუკი).

10. აღსანიშნავია კიდევ ერთი საინტერესო ელემენტი ამ კომპლექსებისა. ესაა ქვის სამაჯურები. თეთრამიწაზე ისინი მერგელისაგანაა დამზადებული, ხოლო საგვარჯილეში — ქვისა და თიხისაგან. სამაჯურები არაა ცნობილი ამიერკავკასიისა და წინა აზიის ნეოლითური ძეგლებიდან. მათი გაჩენა ლითონის ხანას ემთხვევა. თეთრამიწის მსგავსი სამაჯურები აღმოჩენილია მღვიმე ოჩაჟნიში[19], ნალჩიკის სამაროვანზე[20], მეშოკოს, სკალას და ვესიოლის ნამოსახლარებზე, კამენნომოსტკოეს ზედა ფენაში, სტანიცა ტულსკაიაში (კრასნოდარის მხარე), რომლებსაც ა. ფორმოზოვი ენეოლითის ეპოქით ათარიღებს[21]. საგვარჯილეს თიხის სამაჯურები დამზადების ტექნიკით, ფაქტურით და გამოწვით ახლოს დგანან საგვარჯილეს „ნეოლითური" სამარხის კერამიკასთან. ქვის სამაჯურები, ოღონდ განსხვავებული ტიპის, ნაპოვნია დარკვეთის ენეოლითურ ფენაში და საჩხერეში, ადრეული ბრინჯაოს ხანის სამარხებში[22]. აღნიშნული ძეგლებიდან არც ერთი არ ეკუთვნის ნეოლითს. ისინი ლითონის ხანის სხვადასხვა საფეხურს განეკუთვნება. მსგავსი მდგომარეობაა წინა აზიაში, ქვის სამაჯურები აქ ნეოლითის შემდგომ საფეხურზე ჩნდება. ეჭვი შეეპარება ქვის სამაჯურებისა და თეთრამიწის დანარჩენი მასალის ერთობლიობაში თვით ნ. კილაძეს[23] (ბერძენიშვილი), მიუხედავად იმისა, რომ იმავე ნაშრომის 241 გვერდზე საწინააღმდეგოს აღნიშნავს. მაგრამ, როგორც ჩანს, საბოლოოდ მას მაინც მიაჩნდა, რომ ქვისა და თიხის სამაჯურები ნეოლითური ეპოქისათვისაა ღამახასიათებელი[24].

თეთრამიწისა და საგვარჯილეს „ნეოლითური" ფენის დიდი მსგავსება მეშოკოს (ქვედა ფენა), სკალას, ნალჩიკის სამაროვნისა და ვორონცოვის მღვიმის მასალებთან აღნიშნულია ლიტერატურაში[25].

თეთრამიწისა და საგვარჯილეს (II ფენა) კომპლექსების მასალის ანალიზიდან ჩანს, რომ დასავლეთ ამიერკავკასიის გვიანი ნეოლითის ძეგლები ქრონოლოგიურად მათ წინ უსწრებს. თეთრამიწაზე და საგვარჯილეში უკვე გვაქვს კარგად განვითარებული სოლისებური და გახვრეტილი ცულები, კაჟის დაკბილული ნამგლისპირები, კვირისთავები, მოგრძო ხელსაფქვავები, სამაჯურები, ყურიანი და პირგადაშლილი სხვადასხვა ფორმის თიხის ჭურჭელი, ე. ი. ყველა ის ნიშანი, რაც დამახასიათებელია ლითონის ხანის ძეგლებისათვის. თუ ყოველივე ამას დავუმატებთ იმასაც, რომ საგვარჯილეში აღნიშნული მასალის დონეზე და უფრო ქვემოთაც ნაპოვნია ლითონის ნივთები, მაშინ კიდევ უფ-

---

[19] Л. И. Соловьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 141.

[20] А. П. Круглов, Б. Б. Пиотровский, Г. В. Подгаецкий, დასახ. ნაშრომი, ტაბ. V, VII.

[21] А. А. Формозов, Каменный век и энеолит Прикубанья, Москва, 1965, გვ. 83.

[22] საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ფონდების კოლექცია 9—11—12; 10—61—69, 70.

[23] ნ. კილაძე (ბერძენიშვილი), ახალქალაქის ხანის ძეგლები... გვ. 260—261.

[24] საქართველოს არქეოლოგია, გვ. 58, აგრეთვე ტაბ. VI, სურ. 3.

[25] Л. Н. Соловьев, Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья в эпоху неолита и бронзы—Стоянки Воронцовской пещеры, Труды Абхазского ин-та яз-ка, литературы и истории, т. XXIV, Сухуми, გვ. 139.

А. П. Круглов, Б. Б. Пиотровский и Г. В. Подгаецкий, Могильник в Нальчике МИА, № 3, 1941, М., გვ. 114.

რო ცხადი ხდება, რომ აღნიშნულ ძეგლებს ნეოლითს ვერ მივაკუთვნებთ. მათი სახით საქმე გვაქვს ლითონის ხანის ძეგლებთან.

თეთრამიწის მასალებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი მოპოვებულია მიწის ზედაპირის საკმაოდ დიდ ფართობზე, ნ. კილაძე (ბერძენიშვილი(მაინც ერთ პერიოდს აკუთვნებს. იგი აღნიშნავს: „მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაშთები გორაკის სხვადასხვა ადგილებში და დიდ ფართობზეა შეგროვილი, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი ქვის ხანის ერთ დანაყოფს მიეკუთვნება[26]. რაც სინამდვილეს არ შეეფერება, ვინაიდან, აქ სხვადასხვა ეპოქის მასალებია ერთმანეთში არეული. თუ ვიმსჯელებთ საქ. სახ. მუზეუმში დაცულ (კოლ. 1—34 და 9—53) და ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოქვეყნებული მასალებით[27], შეიძლება გამოიყოს სხვადასხვა პერიოდის სამი კომპლექსი:

1. მუსტიერული, წარმოდგენილია სამი ნივთით.

ა) წვეტანა, ნაკეთები მოყავისფრო კაჟის ლევალუას ტიპის ნუკლეუსიდან ჩამომტვრეულ სამკუთხა მოყვანილობის ანატკეცზე, რომლის დარტყმის სიბრტყე შესწორებულია (კოლ. 1—34—31).

ბ) ლევალუას ტიპის მონაცრისფრო კაჟის ლამელისებური ანატკეცი, რომლის დარტყმის სიბრტყე შესწორებულია ნუკლეუსზე (კოლ. 1—34—30). ორივე ნივთი დაფარულია ღრმა პატინით.

გ) მონაცრისფრო კაჟისგან ნაკეთები ორივე გვერდდამუშავებული წვეტანისებური იარაღი (კოლ. 1—34—28), პატინა არა აქვს.

II. გვიანი ენეოლითური კომპლექსი. ჩვენი აზრით ამ კომპლექსში უნდა გაერთიანდეს საქ. სახ. მუზეუმის ქვის ხანის ფონდში დაცული ისრისპირები (კოლ. 1—34—1—6, 9; კოლ. 9—53—1), ნ. კილაძის (ბერძენიშვილის) მიერ გამოქვეყნებული ისრისპირები (ტაბ. IX—X), ყველა ტიპის სამაჯური, რიყის ქვებისაგან დამზადებული გახეხილ-გაპრიალებული იარაღები და სხვ. მართალია ზოგიერთი ისრისპირი (ტაბ. IX — სურ. 1) და ქვის რამდენიმე ნაკეთობა (ტაბ. VII, სურ. 2, 3) უფრო არქაული იერისაა, მაგრამ მთლიან კომპლექსთან ერთად ერთი პერიოდისა ჩანს.

აღნიშნული კომპლექსის გვიანობაზე მიუთითებს ამ კომპლექსის მასალების ზემოთ მოყვანილი ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური ანალიზი.

თეთრამიწის აღნიშნული კომპლექსი უნდა დათარიღდეს ენეოლითური ეპოქის დასასრულით. მიუხედავად იმისა, რომ საგვარჯილეს შესატყვის მასალებთან შედარებით თეთრამიწის კომპლექსი რამდენადმე არქაულად გამოიყურება, მაინც მათ ბევრი რამ აქვთ საერთო როგორც სამკაულებისა და იარაღების ტიპებში, ისე დამუშავების ტექნიკაში.

III. ადრეულ ბრინჯაოს უნდა ეკუთვნოდეს საქ. სახ. მუზეუმში დაცული ისრისპირები (კოლ. 1—34—12—13), ნამგლის ჩასართი და ხელსაფქვავი (ნ. ბერძენიშვილის დასახ. ნაშრომი. ტაბ. VIII, სურ. 4). ასეთი განვითარებული ფორმის ისრისპირები, ნამგლისპირები და ხელსაფქვავის ქვები საქართველოს არც ერთი ნეოლითური სადგომიდან არ არის ცნობილი. მსგავსი მასალა დამახასიათებელია და კარგადაცაა წარმოდგენილი ადრეული ბრინჯაოს ეპოქის ნამოსახლარებში (ქვაცხელა, ხიზანაანთ გორა და სხვა).

---

26 ნ. კილაძე (ბერძენიშვილი), ახალიქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან, გვ. 241.

27 ნ. კილაძე (ბერძენიშვილი), დასახ. ნაშრომები.

მასალის მოყვანილი ანალიზი ცხადჰყოფს, რომ აღნიშნული კოლექციის მთავარი და ძირითადი ნაწილი ენეოლით-ადრებრინჯაოს განეკუთვნება. სწორედ ამის გამო არაერთმა არქეოლოგმა (პიოტროვსკი, ფორმოზოვი, სოლოვიოვი) აღნიშნა თეთრამიწისა და საგვარჯილეს (გამოქვეყნებული „ნეოლითური" ფენა) დიდი მსგავსება ადრე ლითონის ხანის ძეგლებთან — მეშოკო, სკალა, ნალჩიკის სამაროვანი, ვორონცოვის მღვიმის მასალები.

რაც შეეხება თეთრამიწას საერთოდ, იგი მრავალფენიანი ძეგლია. გამოქვეყნებული და ნეოლითით დათარიღებული კომპლექსი კი მოიცავს ამ ძეგლის სხვადასხვა ფენებიდან მომდინარე მასალებს, როგორც ჩანს ეს ბორცვი სამოსახლოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო გამოყენებული (მუსტიედან — ანტიკურ ხანამდე). ცხადია ასეთ ვითარებაში არ უნდა გამოირიცხოს აქ ნეოლითური ფენისა თუ მისი ელფერის მასალის პოვნა. თუმცა სადღეისოდ გამოქვეყნებული მასალებიდან იგი ჯერჯერობით არ ჩანს. როდესაც ჩვენ უარყოფთ თეთრამიწისა და საგვარჯილეს ნეოლითურ თარიღს, ცხადია, ვგულისხმობთ თეთრამიწისა და საგვარჯილეს გამოქვეყნებულ, ნეოლითით დათარიღებულ კოლექციებს და მუზეუმში დაცულ მასალებს[28].

Д. М. ТУШАБРАМИШВИЛИ, Л. Д. НЕБИЕРИДЗЕ

О ДАТИРОВКЕ НЕКОТОРЫХ «НЕОЛИТИЧЕСКИХ» ПАМЯТНИКОВ ГРУЗИИ

Резюме

В археологической литературе Грузии давно укоренилось мнение, что Тетрамица и II слой Сагварджиле относятся к неолитическому времени.

Но тщательное изучение материалов из Тетрамица и Сагварджиле, хранящихся в музеях Грузии, а также сопоставление их с памятниками энеолита и бронзы (Самеле клде, Шулавери, Мешоко, Скала и др.), убеждают в том, что их ни в какой мере нельзя отнести к неолиту.

Анализ стратиграфических данных II слоя Сагварджиле устанавливает следующее: так называемый неолитический слой (толщина 3 м) распространялся на незначительной площади у входа пещеры. По инвентарным записьям Музея Грузии, весь «неолитический» материал найден на глубине от 1,00 м до 3,00 м. (Кремневые наконечники, стрел, обломки каменных и глиняных браслетов, каменные полированные орудия-топоры, тесла и др.).

В тоже время на глубине 1,60 м найден металлический стержень, на глубине 1,90 м — обломок металлического предмета, на глубине 2,25 м. — металлическая игла, а на глубине 2,10—2,60 м найдены 2 металлических рыболовных крючка. Выясняется, что на уровне «неолитического» инвентаря и даже глубже найдены металлические предметы.

Ясно, что более 90% «неолитического» материала, найденного в пещере Сагварджиле в самом деле гораздо моложе неолита и надо отнести к эпохе металла.

Данные стратиграфического анализа подтверждаются и типологическим анализом материалов Сагварджиле и Тетрамица.

---

28 სტატია დაწერილია 1965 წელს, გარკვეული მიზეზების გამო დღემდე ვერ მოხერხდა მისი გამოქვეყნება.

Анализ материалов Сагварджиле и Тетрамица, а также сравнение их с памятниками неолита и энеолита Зап. Закавказья и Передней Азии установил следующее:

1. Комплексы Тетрамица и II слоя Сагварджиле характеризуются отсутствием микролитической техники и геометрических микролитов. А эти элементы являются наиболее характерной чертой известных до сих пор неолитических памятников западного Закавказья.

Вырождение микролитической техники, исчезновение геометрических орудий являются признаком памятников эпохи металла (Очажный грот, Ахштырь-Молдавка, Казачьий брод, Пластунка, Батарейка и др.).

2. Неолитические памятники характеризуются обилием резцов чего нет в комплексах Тетрамица и Сагварджиле.

3. В коллекции Тетрамица наблюдается преобладание наконечников стрел, что особенно характерно для памятников эпохи, металла. Кроме того все наконечники сформированы на отщепах с двусторонней обработкой, встречаются также наконечники поздних форм. Наконечник Копья аналогичен Даблагомским.

4. В комплексах Тетрамица и Сагварджиле преобладают долота трапециевидного и треугольного сечения, что характерно для памятников периода металла (Самеле-Клде, Самерцхле-Клде и др.). Количество топоров, по сравнению с неолитическими памятниками, значительно снижается.

5. Некоторые экземпляры мотыг с Тетрамица аналогичны мотыгам т. н. «Сочи-Адлеровского» типа—эпохи раннего металла, (Молдовка, Казачьий брод, Очамчире).

6. Найденные на Тетрамица и в Сагварджиле продолговатые зернотерки характерны для эпохи раннего металла (Ахштырь, Агубеково). Подобных зернотерок нет в неолитических памятниках зап. Закавказья.

7. Для Тетрамица и Сагварджиле характерны двусторонне обработанные зубчатые вкладыши серпов, чего нет ни в закавказских, переднеазиатских и среднеазиатских неолитических памятниках.

8. В комплексах Тетрамица и Сагварджиле встречаются каменные пряслица, характерные для памятников раннего металла Закавказья и Передней Азии (Ахштырь, Воронцовская пещера, Очамчире, Самеле-Клде).

9. Каменные браслеты из Тетрамица и Сагварджиле схожи с браслетами памятников раннего металла (Даркветский навес, Очажный грот, Нальчикский могильник, Мешоко, Скала, Веселый, верхний слой Каменомостской пещеры, станица Тульская, Сачхерский могильник). Ни на одном из неолитических памятников Закавказья и Передней Азии нет каменных браслетов.

Сходство комплексов Тетрамица и II слоя Сагварджиле с комплексами Мешоко, Скала, Нальчикского могильника и Воронцовской пещеры отмечено в литературе (А. А. Формозов, Л. Н. Соловьев).

Анализируя комплексы Тетрамица и II слоя Сагварджиле, ясно, что памятники позднего неолита хронологически опережают их. В материалах Тетрамица и Сагварджиле уже имеются хорошо развитые клинообразные и просверленные топоры, кремневые вкладыши серпов, пряслица, продолговатые зернотерки, каменные браслеты, керамические сосуды с ушком, и если добавить что во II слое Сагварджиле найдены предметы, изготовленные из меди, то ясно, что эти памятники никак нельзя отнести к неолиту, они явно принадлежат эпохе раннего металла.

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ ᲤᲔᲠᲝᲨᲔᲜᲐᲓᲜᲝᲑᲗᲐ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ

ოცდათვრამეტი წელია რაც მწყობრში ჩადგა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა. არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაიწერა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ისტორიაში ქართველ ფერომდნობელთა შესახებ. ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის დაწყებამდე, როდესაც ჩვენი ქვეყანა ომის საშიშროების წინაშე დადგა, ძალღონეს არ იშურებდნენ ქართველი ფერომდნობელები რათა გაეზარდათ შრომის ნაყოფიერება, ქვეყნისათვის მიეცათ საჭირო მაღალხარისხოვანი ფეროშენადნობი.

1940 წლის ივლისის თვეში საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, საკავშირო პროფესიული საბჭოს თხოვნის საფუძველზე მიიღო დადგენილება 8 საათიან სამუშაო დღეზე და შვიდდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ. ამავე დადგენილებით აიკრძალა დაწესებულებიდან თუ საწარმოოდან მუშათა თვითნებური წასვლა. დიდი პასუხისმგებლობით გამოეხმაურა ქართველი მშრომელები ამ დადგენილებას. დიდი ამოცანა დაეკისრა ზესტაფონელ მეტალურგებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმ დროისათვის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა ერთ-ერთი იყო საბჭოთა კავშირში, რომელიც მრავალფეროვან პროდუქციას უშვებდა. საბჭოთა მთავრობა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დიდ ზრუნვას იჩენდა ქართველ მეტალურგთა კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში. იგი კიდევ უფრო გაძლიერდა მის შემდეგ, რაც 1940 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს სახკომსაბჭომ და კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება რესპუბლიკაში საფაბრიკო-საქარხნო სკოლების გახსნის შესახებ[1].

წარმატებით დაამთავრეს მესამე ხუთწლედი ზესტაფონელმა მეტალურგებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1940 წელი, როდესაც ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ აითვისა სპეციალური შენადნობი, რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და თავდაცვის განმტკიცების საქმეში. აღნიშნული ფეროშენადნობი აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენდა მაღალხარისხოვანი ფოლადის წარმოებაში.

1941 წელს დიდი სამამულო ომის დაწყების შემდეგ, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა ისე როგორც სსრ კავშირის მთელი მრეწველობა გადა-

---

[1] История индустриализации Грузинской ССР, (Сб. док.), Тб., 1968, გვ. 739—741.

ყვანილ იქნა სამხედრო ყაიდაზე. ქარხანა შეუდგა ისეთ ფეროშენადნობთა გამოშვებას, რომელიც უზრუნველყოფდა ჩვენი ქვეყნის სიმტკიცეს და ზრდიდა ბრძოლისუნარიანობას.

დიდი სამამულო ომის დაწყების შემდეგ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პარტიულმა ბიურომ ახლებურად მოაწყო თავის მუშაობა. სხდომებზე ხშირად იხილავდნენ საწარმოო საკითხებს. პარტიული კომიტეტისა და დირექციის მასობრივ პოლიტიკური მუშაობა იქეთ იყო მიმართული, რომ ქარხნის კოლექტივს დროზე შეესრულებია სახელმწიფო დავალება. დიდი ყურადღება ექცეოდა პოლიტიკურ აგიტაციას. გამოყვეს აგიტატორები, რომლებიც ყოველდღიურად ატარებდნენ აგიტაციას ქარხანაში. მუშებს აცნობდნენ საბჭოთა კავშირის საინფორმაციო ბიუროს ცნობებს. ფრონტელ მებრძოლთა თავგადასავალს და სხვ.

ქარხნის კოლექტივი თავდადებულად იბრძოდა პროდუქციის გამოშვების გეგმების შესასრულებლად ყველა ბრიგადაში, ყველა საამქროში, ყოველ ცვლაში. ამ საქმეში ქარხნის წარმატებას ხელს უწყობდა სტახანოველთა რიგების ზრდა. ყოველივე ამის შედეგად გეგმები სრულდებოდა ხარისხოვნად, სორტიმენტის მიხედვით დაწესებული სტანდარტისა და თვითღირებულების დაცვით. ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის დაწყების წინ ქარხანაში შემოღებულ იქნა სადღეღამისო გრაფიკი. ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი შრომა გასწია აღნიშნული ღონისძიების ცხოვრებაში გატარებისათვის. ამის შედეგად შესაძლებელი გახდა ყოველთვიურ დავალებათა შესრულება. ქარხნის პარტბიუროს რეკომენდაციით შემოღებულ იქნა საამქროთა უფროსების ყოველდღიური ოპერატიული თათბირი, რამაც განაპირობა ახალი წარმატებები.

დიდი სამამულო ომის დროს, საბჭოთა კავშირის მოწინავე მუშების ინიციატივით, შემოღებულ იქნა წესი, რომელიც გულისხმობდა, რომ თითოეულ მუშას დღეში შეესრულებინა ორი ნორმა. ეს წამოწყება ცნობილი გახდა ორასოვანთა მოძრაობის სახელით. ამ მოძრაობაში ზესტაფონელი მეტალურგებიც ჩაებნენ. 1941 წ. სექტემბრისათვის ქარხანაში 50-დე ორასოვანი მუშაობდა და როდესაც ომის პირველ თვეებში ქარხანას მუშახელი მოაკლდა, მათი რიგები ორასოვნებმა შეავსეს. ისინი არა მარტო ორასი პროცენტით ასრულებდნენ ყოველდღიურ დავალებებს, არამედ ხშირად სამ ნორმასაც კი ასრულებდნენ. ომის პერიოდში განსაკუთრებით სახელი გაითქვა მოლიბდენის საამქრომ, რომელსაც ინჟინერი ქალი ნეოლინა ქათამაძე ხელმძღვანელობდა.

ზესტაფონის მეტალურგიულმა ქარხანამ 1941 წ. მეორე ნახევარში შენადნობთა ხარისხის გაუმჯობესებით ქვეყანას რამდენიმე ასეული ათასი მანეთის მოგება მისცა. მარტო აგვისტოს თვეში წინა წელთან შედარებით ქარხნის პროდუქციის თვითღირებულება 12%-ით შემცირდა[2].

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეტალურგებმა ომის დაწყების პირველი წლის რვა თვის განმავლობაში დაზოგეს ორ მილიონამდე კილოვატი საათი ელექტროენერგია.

არნახული ძალით გამოვლინდა ქარხნის მეტალურგთა შემოქმედებითი ენერგია. ხარატმა მ. ციმბალმა ისე მოაწყო თავისი დაზგა, რომ ოთხ საათში გააკეთა ის საქმე, რომელსაც წინათ ათი დღის შრომა და სპეციალური დანა-

---

[2] გაზ. „კომუნისტი", 1941 წლის 2 ოქტომბერი.

დგარი ესაჭიროებოდა. ეს თითქმის ფრონტელთა გმირობის შესადარი საქმე იყო. ასეთივე შრომითი გმირობა ჩაიდინა ქარხნის მექანიკური საამქროს ხარატმა, ორასოვანთა წევრმა ივ. კაპანაძემ, რომელიც ორ დაზგაზე მუშაობდა და დავალებას 200—250%-ით ასრულებდა. შორს გაითქვეს სახელი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის გამომგონებლებმა და რაციონალიზატორებმა. 1941 წლის ივლისის თვეში განხორციელდა ინჟინერ გ. სიორიძის წინადადება, რომლის შედეგადაც ქარხანამ 88 900 მან. დანაზოგი მიიღო.

ქარხნის კოლექტივი ფრონტს არა მარტო მაღალხარისხოვანი შენადნობით ამარაგებდა, არამედ მატერიალურადაც ეხმარებოდა.

1941 წ. ოქტომბრის თვეში ქარხნის კოლექტივმა ფრონტელთათვის შეაგროვა 90 წყვილი თექის ჩექმა, 41 ცალი პირსახოცი, ოცი თბილი სვიტერი და სხვა[3].

ზესტაფონის მეტალურგიული ქარხანა, გადავიდა რა საომარ ყაიდაზე, მკვეთრად გააუმჯობესა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. 1941 წლის ოქტომბრისათვის ქარხანამ შეასრულა ნატურალური და მთლიანი პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. ამ დროს ქარხნის № 5 ელექტროღუმელის ბრიგადამ ცხრა კაცის შემადგენლობით, რომელსაც ნ. გოგლიჩიძე ხელმძღვანელობდა 20%-ით მეტი პროდუქცია გამოუშვა, მაშინ როდესაც ომამდე ამ საქმის შესრულებას ამავე დროში 12 კაცი სჭირდებოდა[4]. ფართო გასაქანი მიეცა ქარხნის რაციონალიზატორ-გამომგონებელთა წინადადებებს. მარტო 1941 წლის განმავლობაში ქარხანაში დაინერგა 35 რაციონალიზატორული წინადადება[5].

ამრიგად, სამამულო ომის პირველი წელი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დიდი შრომითი აღმავლობით აღინიშნა. 1941 წელს ქარხანამ წლიური გეგმა 130,8%-ით შეასრულა. 1941 წელს პირველად საბჭოთა კავშირში, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ აითვისა მეტალური მანგანუმის ელექტროლიტური წარმოების წესი. მიღებულ შენადნობს იყენებდნენ მაღალხარისხოვანი სპეციალური საჯავშნო ფოლადის წარმოებაში[6].

აღნიშნული შენადნობის ათვისებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის საბჭოთა პრემიის ლაურეატს. რ. აგლაძეს, სწორედ მისი დაუღალავი შრომის შედეგად შემუშავებულმა ელექტროლიტურმა მეთოდმა შეცვალა მანგანუმის მიღების ალუმინ-თერმული მეთოდი.

დაიწყო 1942 წელი, კვლავ გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა კავკასიიდან ვიდრე ბალტიის ზღვამდე, თავდადებით შრომობდნენ ქართველი მეტალურგები, დღე და ღამე იღვწოდნენ უმაღლესი ხარისხის შენადნობთა გამოშვებისათვის, მთელი დატვირთვით მუშაობდა ქარხნის მოლიბდენის საამქრო. ქარხანამ 1942 წლის იანვრის გეგმა 200%-ით შეასრულა. შემცირდა გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება.

1942 წელს ზესტაფონელმა მეტალურგებმა, წითელი არმიის XXIV წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება გააჩაღეს, რითაც შრო-

---

3 გაზ. „კომუნისტი", 1941 წლის 19 ოქტომბერი.

4 იქვე, 1941 წლის 16 ნოემბერი.

5 საქ. სსრ ცსა ზესტაფონის ფილიალი, ფ. 115, აღწ. 11, საქ. 302.

6 საქართველოს ისტორია, ტ. III, თბ., 1960, გვ. 207.

მის ნაყოფიერება 25%-ით გაიზარდა. კიდევ უფრო მაღალ დონეზე ავიდა ქარხნის მეტალურგთა შემოქმედებითი ძიება. ინჟინერ მეტალურგებმა ჩიკაშუამ და ლომთაძემ გააუმჯობესეს დნობის ტექნიკა, გაადიდეს სადნობი ღუმელების წარმადობა, ამან კი ათი ათასობით მანეთის მოგება მისცა ქარხანას. ამავე 1942 წელს ქარხნის № 4 საამქროს უფროსმა, შემდგომში სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ინჟ. გ. სიორიძემ წამოაყენა წინადადება, რომელიც ნახშირღელის ქალცედონის საბადოში გასარეცხი (გამამდიდრებელი) მოწყობილობის დადგმას ითვალისწინებდა. ამ წინადადების განხორციელებას, ის სარგებლობა მოჰქონდა, რომ მიიღებდნენ გასუფთავებულ ქალცედონს, რომელიც გააუმჯობესებდა შენადნობის ხარისხს.

ზესტაფონელი მეტალურგები ჩაბმული იყვნენ სრულიად საკავშირო მეტალურგთა სოცშეჯიბრში. 1942 წლის გაზაფხულზე, სპეციალურ დავალებათა სანიმუშო შესრულებისათვის ზესტაფონელი ფერომდნობელები 40 000 მანეთით დააჯილდოვეს[7]. დიდი ყურადღება ექცეოდა ქარხანაში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებას. 1942 წელს ფერომოლიბდენის საამქროში, მოლიბდენის გამოდნობისას, კაზმში შეურიეს მაღალხარისხოვანი მანგანუმ-პეროქსიდი, ამან გამოიწვია წიდის გათხიერება და დნობის პროცესის დაჩქარება, მიიღეს გაცილებით სუფთა შენადნობი, შემცირდა ლითონის დანაკარგი, აგრეთვე მოლიბდენის დნობის დროს კაზმიდან გამოირიცხა ალუმინი. აღნიშნული ღონისძიების შედეგად ქარხანამ თვეში 200 000 მანეთის ეკონომია მიიღო. 1942 წელს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, ჩატარდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური პროცესი, სახელდობრ, მოლიბდენის დანაკარგების შემცირების მიზნით კონცენტრატში რკინის ხენჯის (რკინის ჟანგეული) შერევა დაიწყეს, რითაც ძალზე შემცირდა მოლიბდენის აორთქლება. ეს კი მოლიბდენის ჟანგბადის რკინასთან შეერთებამ გამოიწვია. ზემოთ აღნიშნული პროცესის შედეგად ქარხანამ 250 000 მან. ეკონომია მიიღო.

ზესტაფონის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტისა და დირექციის დაუღალავი შრომის შედეგად ქარხნის სადნობი კერები ისე მოეწყო, რომ დღეში ერთი დნობის ნაცვლად ორ სამ დნობას ასრულებდნენ, რამაც საერთო წარმატება 80%-ით გაზარდა.

ზესტაფონელ მეტალურგთა დაუღალავმა შემოქმედებითმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. 1942 წლის ივნისში ქარხანამ აითვისა ელექტროღუმელების საკონტაქტო კაბელის დამზადების ტექნიკა. აღნიშნული კაბელები საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებიდან შემოჰქონდათ. როგორც ცნობილია, იმ დროს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი ოკუპირებული იყო, ამდენად გასაგებია თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქარხნისათვის საჭირო დეტალების ადგილზე დამზადებას.

1942 წლის აგვისტოს თვეში, ქარხნის სტახანოველთა შეკრებაზე განიხილეს საკითხი საკავშირო შეჯიბრებაზე ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შესახებ. აღნიშნულ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელა ზესტაფონის მეტალურგიული ქარხნის მანგანუმის საამქრომ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ინჟ. შ. თედო-

---

7 გაზ. „კომუნისტი", 1942 წლის 13 მაისი.

ზაშვილი. ეს საამქრო 1942 წელს ყოველთვიურ დავალებას 115%-ით ასრულებდა.

ზემოაღნიშნულმა მანგანუმის საამქრომ 1942 წელს საომარ ყაიდაზე გადასვლისა და მუყაითი მუშაობისათვის, ქარხნის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა. ქარხნის სტახანოველთა შეკრებაზე ინჟ. შ. თედოზაშვილმა განაცხადა, რომ „ჩვენ ამ დროშას არავის დაუთმობთ და ქვეყანას მივცემთ მეტს და მაღალხარისხოვან ლითონს"[8].

სასახელო იყო ქარხნის მეტალურგთა შრომითი ენთუზიაზმი ამ მეტად რთულ და დაძაბულ პერიოდში. ისინი შრომითი გმირობის მაგალითებს აჩენებდნენ. ქარხანა ივსებოდა მეტალურგთა ახალი რეზერვებით. პარტიის რიგებში შედიოდნენ ახალგაზრდები.

მეტალურგებს მხარში ამოუდგა ქარხნის შეიარაღებული დაცვა. დაცვის პირადმა შემადგენლობამ 1942 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ჭიათურის მანგანუმის ტრესტის შეიარაღებული დაცვის პირადი შემადგენლობა[9]. ომის პერიოდში ძალზე ჭირდა სათბობი ნედლეულის მოპოვება, ამიტომ საჭირო იყო რაც შეიძლება მისი რაციონალურად გამოყენება. იყო შემთხვევა, როდესაც „გლავსპეცსტალი" საგანგებო მითითებას აძლევდა ზესტაფონის მეტალურგიულ ქარხანას, რომ კოკსი მომჭირნეობით გამოეყენებინათ[10]. ზესტაფონელი მეტალურგები არა მარტო კოქსის ეკონომიას ეწეოდნენ, არამედ 1942 წლის მეორე ნახევრისათვის მანგანუმის საამქრომ დაზოგა 93000 კილოვატსაათი ელექტროენერგია, დიდძალი მანგანუმი, სილიკომანგანუმი და კირქვა. არ ცხრებოდა ქარხნის რაციონალიზატორ-გამომგონებელთა შემოქმედებითი მუშაობა; აღნიშნული წლის დასასრულისათვის ქარხანაში დაინერგა 34 რაციონალური წინადადება და გამოგონება[11].

ყოველ ღირსშესანიშნავ თარიღს ზესტაფონელი მეტალურგები დიდი შრომითი აღმავლობით ხვდებოდნენ, სახელოვანი წითელი არმიის XXV წლისთავს ქართველი მეტალურგები ღირსეულად შეხვდნენ, იმდროინდელი ქარხნის საერთო წარმატებათა შორის აღსანიშნავია № 4 საამქროს მიღწევები, რომელსაც ხელმძღვანელობდა რ. აგლაძე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საბჭოთა კავშირში პირველად ზესტაფონელმა მეტალურგებმა აითვისეს სპეციალური შენადნობი, რომელმაც კიდევ უფრო გაზარდა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. 1943 წელს ქარხანამ აღნიშნული შენადნობის მასობრივი გამოშვება დაიწყო. საამქრო რომელიც ამ სპეციალურ შენადნობს უშვებდა ყოველდღიურ დავალებას 110—115%-ით ასრულებდა. ამ დიდ მუშაობასთან ერთად ფეროშენადნობთა ქარხანაში ერთი დღითაც არ შეწყვეტილა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით 1943 წელს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მეცნიერ-სპეციალისტთა ახალი ჯგუფი მიავლინეს[12].

მაქსიმალურად იყენებდნენ ადგილობრივ რესურსებს ზესტაფონელი მეტალურგები. შემოტანილი დეფიციტური ნედლეული შეცვალა ადგილობ-

---

8 გაზ. „კომუნისტი", 1942 წლის 22 აგვისტო.

9 საქ. სსრ ცსა-ს ზესტაფონის ფილიალი, ფ. 115, აღწ. 11, საქმე 336, ფ. 1.

10 ЦГАНХ СССР, ფ. 8875, აღწ. 39, შესან. ეთეული 29.

11 საქ. სსრ ცსა, ზესტაფონის ფილიალი, ფ. 115, აღწ. II, საქ. 226.

12 იქვე, საქ. 355.

რივმა მასალამ. მაგალითად, წინათ თუ ადგილობრივი ქალცედონის მხოლოდ 30% ხმარდებოდა ელექტროდნობას, 1943 წლიდან ქარხანა მთლიანად აჯამეთის ქალცედონის მოხმარებაზე გადავიდა. ასევე, ნორმალური აღმდგენლების (კოქსი და კოქსიკი) დიდმა დეფიციტურობამ ზესტაფონელი მეტალურგები აიძულა გადასულიყვნენ ტყიბულის ქვანახშირის გამოყენებაზე, ანდა ნავთობის კოქსზე. ქარხნის კოლექტივმა ეს პრობლემა დადებითად გადაჭრა.

ზესტაფონის მეტალურგიულ ქარხანაში ომამდე ელექტროდები სსრკ სხვადასხვა რაიონებიდან შემოჰქონდათ. ომმა რა თქმა უნდა მათი შემოტანა შეაფერხა. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა ელექტროდების დამზადების ტექნიკაც აითვისა. აღსანიშნავია, რომ ამ საქმის შესწავლის მიზნით, ზესტაფონიდან ბაქოში მივლინებულ იქნა ქარხნის ტექ. განყოფილების ინჟინერი შ. ფხაკაძე. უნდა ითქვას, რომ ელექტროდების ათვისების საქმეში ზესტაფონელ მეტალურგებს ქმედითი დახმარება აღმოუჩინა მოძმე აზერბაიჯანის რესპუბლიკამ[13].

იმისათვის, რომ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მუშაობა არ შეფერხებულიყო (ელექტროღუმელების ნაწილების მოძველების გამო) მეტალურგთა კოლექტივმა გადაწყვიტა ადგილზე დაემზადებინა საჭირო ნაწილები. ეს ამოცანა დროულად და დადებითად გადაწყდა. მოკლე დროში ქარხანამ შეძლო ადგილზე დაემზადებინა ელექტროღუმელის ყველა დეტალი, ხარისხიანად და იაფად.

სამამულო ომის პერიოდში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მამაკაცებთან მხარდამხარ მრავალი ქალი მუშაობდა. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ინჟინერ ნეოლინა ქათამაძის შრომითი საქმიანობა, რომლის ცვლა გეგმას მუდამ 140%-ით ასრულებდა. ასევე ქების ღირსია ცვლის უფროსი ეთერ უნგიაძე და ქიმიკოსი თამარ არაბიძე და სხვანი.

დიდი სამამულო ომის დროს საქვეყნოდ გაითქვეს სახელი ქართველმა მეცნიერ-მეტალურგებმა. მანგანუმის ელექტროლიზური მეთოდის მიღების წარმატებით დამთავრების გამო 1943 წელს მაღალი ჯილდო — სტალინური პრემია მიენიჭა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 4 საამქროს ხელმძღვანელს პროფ. რაფიელ აგლაძეს. მას მუშაობა მოუხდა ომის მძიმე პერიოდში, ხანგრძლივი ლაბორატორიული ცდების შედეგად, მან მიიღო პირველად საბჭოთა კავშირში მაღალხარისხოვანი შენადნობი. ამასთან დაკავშირებით სსრკ მთავრობის თავმჯდომარე ი. ბ. სტალინი წერდა რაფიელ აგლაძეს: „მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა რაფიელ ილიას ძევ, საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებზე თქვენი ზრუნვისათვის“[14]. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ახალი შენადნობის ათვისებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ძლიერ შემოქმედებით კოლექტივს. 1943 წელს ასევე სახელმწიფო პრემია დაიმსახურა № 4 საამქროს უფროსმა, ინჟინერმა გიორგი იასონის ძე სიორიძემ.

1943 წელს პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და საბჭოთა კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატმა, შეაჯამა რა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, ივლისის თვეში, სხვა საწარმოთა შორის გამარჯვებულად სცნო ზესტაფონის ფეროშენადნობთა

---

13 საქ. სსრ ცსა, ზესტაფონის ფილიალი, ფ. 115, აღწ. II, საქ. 353, ფ. 4, 8, 11.

14 გაზ. „კომუნისტი“. 1943 წლის 18 მაისი.

ქარხანა. ჟიურის დადგენილებით ქარხანას გადაეცა საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა[15].

სამამულო ომის დროს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის წარმატებას ხელი შეუწყო ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების უანგარო დახმარებამ; როგორც აღვნიშნეთ ქარხანას ელექტროდების დამზადებაში აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკა ეხმარებოდა, ხოლო სომხეთის რესპუბლიკის გეოლოგიურმა სამმართველომ 1943 წლის აგვისტოს თვიდან სომხეთშივე ჩაატარა დაზვერვითი სამუშაოები, კვარციტის ნედლეულის მადნეულზე (კვარციტი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას ესაჭიროებოდა ფეროსილიციუმის წარმოებისათვის).

1943 წელს სსრ კავშირის მოწინავე ქარხნების, ურალისა და ციმბირის მეტალურგებმა შეამოწმეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, გადაწყვიტეს, რომ სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში ვალდებულება აეღოთ, რათა წლიური გეგმა ვადამდე შეესრულებინათ, ქვეყნისათვის რაც შეიძლება მეტი პროდუქცია მიეცათ. შეჯიბრში ჩაებნენ: მაგნიტოგორსკის კომბინატი, კუზნეცკის, მაკეევსკისა და ენაკიევოს მეტალურგიული და კოქსქიმიური ქარხნები.

შრომითი ენთუზიაზმით შეხვდნენ ზესტაფონელი მეტალურგები აღნიშნულ თაოსნობას. ისინი დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXVI წლისთავს სახელოვანი მაჩვენებლებით შეხვდნენ. ზესტაფონელმა მეტალურგებმა, 99%-იანი მეტალური ელექტროლიზური მანგანუმის მიღების გამო, 1943 წელს საბჭოთა კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის მადლობა და ჯილდო დაიმსახურეს. ქარხნის 16 მეტალურგს გადაეცა ნიშნები: „სსრკ შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის სოციალისტური შეჯიბრის ფრიადოსანი“, ხოლო ქარხნის დირექტორს და მთავარ ინჟინერს შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატმა გამოუცხადა მადლობა[16].

ზესტაფონელი მეტალურგები დიდ დახმარებას უწევდნენ ახლად განთავისუფლებულ ტერიტორიაზე არსებულ მეტალურგიულ ქარხნებს, მათი აღდგენისა და განვითარების მიზნით, 1943 წელს ქართველმა მეტალურგებმა ვალდებულება აიღეს, რომ დახმარება გაეწიათ ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივისათვის, სადნობი ღუმელების აღდგენაში. ამასთან დაკავშირებით იქ მიავლინეს ათი გამოცდილი მეტალურგი.

ომის დროს განსაკუთრებით თავი ისახელეს ქართველმა მუშა-მეტალურგებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა: (დავით ჩიკაშუამ, ბარონ ლომთათიძემ, შალვა მიქაშავიძემ, ირაკლი ლორთქიფანიძემ და სხვებმა).

ზესტაფონელი მეტალურგები არა მარტო ზურგში იჩენდნენ გმირობას, არამედ ფრონტზედაც ღირსეულად იბრძოდნენ. სამაგალითოა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ყოფილი მეტალურგის კომკავშირელ დავით სერგის ძე მერკვილაძის სახელი; იგი ომის დროს მეთაურობდა მზვერავთა ჯგუფს და არაერთი საგმირო საქმე ჩაიდინა, რისთვისაც საბჭოთა კავშირის

15 გაზ. „კომუნისტი“, 1943 წლის 16 აგვისტო.

16 ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის შრომის განყოფილების არქივი: „Учета награжденных по Зестафонскому ферросплавному заводу“.

მთავრობამ მამაცობისა და სამშობლოს ერთგულებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა.

1943 წელს ზესტაფონის ქარხანამ გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, დაზოგა ათეულ ტონობით ნედლეული და თვითღირებულების შემცირებით სამშობლოს ათასობით მანეთის მოგება მისცა. 1943 წლის 6 ივნისიდან 30 დეკემბრამდე ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დაინერგა 26 რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონება[17].

1944 წელს ფრონტზე დიდი გარდატეხა მოხდა, საბჭოთა არმიამ მთელი რიგი დამარცხებები აგემა ფაშისტური გერმანიის არმიებს. მტერი თანდათან ტოვებდა საბჭოთა ტერიტორიას. კვლავ აღდგა მრავალი საბჭოთა საწარმო.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა კოქსის ნაკლებობას განიცდიდა. ეს მდგომარეობა კი დონბასის განთავისუფლების დღიდან გამოსწორდა. ახლად აღდგენილმა დონბასის საწარმომ ზესტაფონის ქარხანას დახმარება გაუწია, 1944 წელს მარტის თვეში დონბასელებმა ზესტაფონში გამოგზავნეს 35 ვაგონი კოქსი. ამასთან დაკავშირებით ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დიდი მიტინგი მოეწყო[18]. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეტალურგები ენერგიულად ეხმარებოდნენ მონათესავე დარგის ქარხნებსაც. 1944 წელს მათ დახმარება გაუწიეს ლიპეცკის ფეროშენადნობთა ქარხანას. ზესტაფონელებმა ლიპეცკის ქარხნისათვის დაამზადეს სადნობი ღუმელების ელექტროდების დამჭერი მოწყობილობა — 30 საკონტროლო ყბა. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშები სერიოზულ დახმარებას უწევდნენ აქტიუბინსკის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივს; ამ ქარხანას გაეგზავნა დიდძალი ელექტროდები. სადნობი ღუმელების მოწყობილობას და სხვადასხვა დანადგარებს ამზადებდნენ ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნისათვის, რომელთანაც ომამდე სოცშეჯიბრში იყვნენ ჩაბმულები.

ქარხნის მეტალურგთა შემოქმედებითი ინიციატივა ისე არასოდეს გაშლილა, როგორც ომის დროს. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეტალურგები საბჭოთა არმიის ყოველ გამარჯვებებს დიდძალი ლითონის გამოდნობითა და ახალი შემოქმედებითი ძიებით უპასუხებდნენ. ხორციელდებოდა მრავალი ნოვატორული წინადადება. 1944 წელს სახელმწიფო პრემიის ლაურიატის გ. სიორიძის წინადადებით მოეწყო სპეციალური დაზგა, რომელიც კათოდებზე ლითონს მექანიზირებული წესით აშრობდა. ამით განთავისუფლდა მუშახელი და რამდენჯერმე დაჩქარდა წარმოების პროცესი. ამ მეთოდმა 40000 მან. მოგება მისცა ქარხანას.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეტალურგები, ადმინისტრაცია და პარტიული კომიტეტი ყოველთვის იმის ცდაში იყვნენ, რომ გაეღიდებინათ შრომის ნაყოფიერება. განსაკუთრებით ომის პერიოდში, მუშახელის ნაკლებობის დროს. ეს კი ჩვენი საბჭოთა ეკონომიური პოლიტიკის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი იყო.

1944 წელს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეტალურგებმა პარტბიუროს თაოსნობით ჩამოაყალიბეს წრე, რომელშიც გაერთიანდა ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივი. წრე სწავლობდა წარმოების ეკონომიკის საკი-

---

17 საქ. სსრ ცსა, ზესტაფონის ფილიალი, ფ. 115, აღწ. II, საქ. 355.

18 გაზ. „კომუნისტი“, 1944 წლის 1 მარტი.

ოხებს. ეცნობოდნენ წარმოების დაგეგმვას, მომჭირნეობას, ტექნოლოგიას, თვითღირებულების ელემენტებს, შრომისნაყოფიერების ზრდის წყაროებს და სხვა.

აქტიურ შრომას ეწეოდა ქარხნის კომკავშირის ორგანიზაცია. დიდი სამამულო ომის დროს კომკავშირლები არამარტო ფრონტზე იყვნენ მოწინავენი, ზურგშიაც არანაკლები შრომითი გმირობა ჩაიდინეს. წარმატებით ეუფლებოდნენ მეტალურგიის რთულ და საინტერესო ხელობას. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სადნობი საამქროს პირველი ღუმელი კომკავშირული იყო. ამ ღუმელით იწყება საამქროს ისტორიაც, 1944 წელს 11 წელი შესრულდა სადნობი საამქროს პირველ ღუმელს, იმის შემდეგ, რაც პირველი შენადნობი მიიღეს. საგულისხმოა, რომ ხსენებული ღუმელი კომკავშირლებმა ააშენეს. 1944 წელს სადნობი საამქროს პირველ ღუმელზე კომკავშირული ფრონტული ბრიგადა მუშაობდა. ბრიგადას სახელმოხვეჭილი მდნობელი დავით ქარქაშაძე ხელმძღვანელობდა. ქარხნის კომკავშირული ბრიგადები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. დისციპლინა, უშრეტი ენერგია, საქმისადმი ერთგულება და სიყვარული, აი რა იყო კომკავშირული ბრიგადებისათვის დამახასიათებელი. 1944 წლისათვის ქარხანაში ითვლებოდა 16 კომკავშირულ-ფრონტული ბრიგადა. 360 კომკავშირელი იცავდა ქარხნის ღირსებას.

პროდუქციის გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების ნიადაგზე, კვლავ ისახელა თავი საქვეყნოდ ცნობილმა № 4 საამქრომ. ასე მაგალითად, 1944 წელს საამქრომ 1 100 000 მანეთის სოციალისტური დაგროვება მოგვცა[19]. მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისა და გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრკ შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატმა 1944 წელს, ასი საპატიო სიგელი გადასცა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეტალურგებს. ამავე წელს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააჯილდოვა ქარხნის 69 კაცი მედლით „კავკასიის დაცვისათვის“[20].

ქართველ ფერომდნობელებს ღრმად ჰქონდათ შეგნებული, რომ მეტი ლითონი ნიშნავდა მეტ ტანკს, მეტ თვითმფრინავს, ხოლო რაც მეტი იარაღით მომარაგდება საბჭოთა არმია, მით უფრო მოახლოვდებოდა ჩვენი ჯარების საბოლოო გამარჯვება. ქარხანამ სასახელოდ დაამთავრა 1944 წელი. დაისახა მომავალი წლის პერსპექტივები. მთავრობამ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას ჯერ კიდევ 1944 წელს გამოუყო 1945 წლისათვის საჭირო ძირითადი და დამხმარე მასალების ფონდი.

1944 წ. დეკემბერში, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატმა დააჯილდოვა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი ი. კეკელიძე და მთავარი ინჟინერი ვლ. მელაძე[21].

დადგა გადამწყვეტი წელი ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებისა, ფრონტისადმი დახმარების მეტად სასარგებლო ტრადიცია არ დარღვეულა, ენერგიას არ იშურებდნენ ქართველი მეტალურგები, დროზე და გადაჭარბებით ას-

---

19 გაზ. „კომუნისტი“, 1944 წლის 13 სექტემბერი.

20 ზესტაფონის ფეროშენადნობის შრომის გაპყოფილების იგნი: „Учет награжденных по Зестафонскому ферросплавному заводу“.

21 ЦГАНХ СССР. ო. 8877. ალ. II. შრომ. ერთეული I, ფ. 7.

რულებდნენ ყოველგვარ სპეციალურ დავალებას, სამხედრო მრეწველობის უზრუნველსაყოფად.

სსრ კავშირის სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის დავალების წარმატებით შესრულებისა და ახალი მაღალხარისხოვანი მეტალის ათვისების წარმატებით განხორციელების გამო, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, 1945 წლის 31 მარტს, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის 42 მეტალურგი დაჯილდოვა ორდენებითა და მედლებით[22]. განსაკუთრებით თავი ისახელა ქარხნის სადნობმა საამქრომ. მასვე მიეკუთვნა პირველი ადგილი და გადაეცა პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს და შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა, მასვე მიენიჭა საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეროშენადნობთა საამქროს სახელწოდება. ამავე წელს მაისის თვეში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრშიც გამარჯვებული გამოვიდა. სადნობმა საამქრომ მიიღო პირველი პრემია და შეინარჩუნა გარდამავალი წითელი დროშა და სსრკ საუკეთესო ფეროშენადნობთა საამქროს წოდება. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექცია, პარტიული კომიტეტი, უაღრესად საქმიან ურთიერთობაში იმყოფებოდა საქართველოს კპ(ბ) ზესტაფონის რაიკომთან. ერთობლივად განიხილავდნენ ქარხნის პარტიულ და სამეურნეო საკითხებს.

განთავისუფლდა რა საბჭოთა კავშირის ტერიტორია გერმანელ დამპყრობელთაგან, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ კვლავ აღადგინა ურთიერთობა ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ სამრეწველო ცენტრებთან. 1945 წელს ზესტაფონში ჩამოვიდნენ დომბასელი მუშები, დელეგაციამ დაათვალიერა ფეროშენადნობთა ქარხანა, გულდასმით გაეცნო საამქროების მუშაობას. დელეგაციის წევრებზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ელექტროლიტური მანქანების საამქრომ, რომელიც სსრ კავშირში პირველად ზესტაფონელმა მეტალურგებმა შექმნეს.

ქარხნის დირექცია და პარტიული კომიტეტი დიდი მზრუნველობით ეკიდებოდნენ ქარხანაში დაბრუნებულ ომის ინვალიდებს. ქარხნის დირექციის 1945 წლის სექტემბრის ბრძანებით ჩამოყალიბდა ომის ინვალიდთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი წრეები, ინვალიდები დასაქმებულ იქნენ შესაფერისი პროფილით, უზრუნველყვეს საცხოვრებელი ბინებით, სპეცტანსაცმლით და ა. შ.[23].

ჩვენს რესპუბლიკაში სამრეწველო ობიექტებზე კვალიფიციური კადრების გადიდებისა და უახლესი ტექნიკის ათვისების მიზნით, 1945 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ჩამოყალიბდა ლითონისა და სამთო საქმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც გადაეცა ქიმიის ინსტიტუტთან არსებული მეტალურგიის განყოფილება (ლაბორატორია). ინსტიტუტმა საქმიანი კავშირი დაამყარა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანასთან. ქარხნის შემოქმედებითი კოლექტივი ინსტიტუტის მუშაკებთან ერთად ცდებისა და ანალიზების სერიებს ატარებდნენ მაღალხარისხოვანი შენადნობის მისაღებად.

---

22 ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის შრომის განყოფილების წიგნი: „Учет награжденных по Зестафонскому ферросплавному заводу“.

23 საქ. სსრ ცსა, ზესტაფონის ფილიალი, ფ. 115, აღწ. II, საქ. 388, ფ. 3.

1945 წლის კარგი მუშაობისათვის 1946 წ. იანვრის თვეში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსები და ადმინისტრაციული პერსონალი, სულ 56 კაცი, დააჯილდოვეს ფულადი პრემიით[24].

ამრიგად, საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის იდეურ-პოლიტიკური და სამეურნეო ორგანიზაციული მოღვაწეობის შედეგად ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ დიდი წვლილი შეიტანა მტერზე გამარჯვების საქმეში.

---

24 საქ. სსრ ცსა, ზესტაფონის ფილიალი, ფ. 115, აღწ. 11, საქმე 416, ფ. 263.

მირიან ნარეანია

პირველი ქართული პედაგოგიური ჟურნალი

პირველი ქართული პედაგოგიური ჟურნალის დაარსება და გამოცემა დაკავშირებულია ქართული საბავშვო ჟურნალის „ნობათის“ გამოსვლასთან. ამ ჟურნალის სანიმუშო ნომერი“ 1883 წლის ბოლოს (დეკემბერში) გამოვიდა, „როგორც ყრმათათვის საკითხავი ყოველთვიური სურათებიანი ჟურნალი. პედაგოგიური განყოფილების დამატებით მშობელთა და აღმზრდელთათვის“. სწორედ ეს „პედაგოგიური დამატება“ ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში ცნობილია, როგორც პირველი პედაგოგიური ჟურნალი[1].

საგულისხმოა, რომ დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ჟურნალ „ნობათს“ და მის პედაგოგიურ დამატებას: ჯერ მხოლოდ ორი ნომერი იყო გამოსული, რომ 1884 წლის დამდეგს გაზეთ „დროებაში“ მან ორი მოზრდილი წერილი (4 ფელეტონად) გამოაქვეყნა[2].

ლიტერატურაში არ არსებობს ერთიანი აზრი ჟურნალ „ნობათის“ სანიმუშო ნომრის გამოცემის თარიღის თაობაზე. სადავოა მისი პედაგოგიური დამატების გამოცემის თარიღიც, სხვა ფაქტებზე, რომ არაფერი ვთქვათ, სანიმუშო ნომრის „პედაგოგიური დამატების“ პირველსავე გვერდზე მისი რედაქტორ-გამომცემელის ა. ღულაძის სარედაქციო წერილი „მკითხველს“ წლის დაუსახელებლად დათარიღებულია „30 გიორგობისთვით“ (ახალი სტილით 13 დეკემბერი), სანიმუშო ნომერი რომ 1883 წლის დეკემბერში გამოცემულა, ამას ამტკიცებს ი. გოგებაშვილის წერილები ჟურნალ „ნობათის“ შესახებ, რომლებიც დაიბეჭდა 1884 წლის დამდეგს. პირველ წერილში განხილულია სანიმუშო ნომერი, ხოლო მეორე წერილში ლაპარაკია ნობათის იანვრის ნომერზე, ცხადია, ორივე ნომერი 1884 წლის იანვარში ვერ გამოვიდოდა.

ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ თავისი არსებობის მანძილზე (1883—1885 წლებში) „ნობათის“ 18 ნომერი და მისი 14 პედაგოგიური დამატება გამოვიდა.

ჟურნალი „ნობათი“ გ. ბაქრაძის ცნობით, 1883 წელს ერთხელ გამოვიდა და მას ეწოდება „სანიმუშო ნომერი“, 1884 წელს გამოვიდა შემდეგი ნომრები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8—9, 10—11—12, ხოლო 1885 წელს — 1, 2, 3—4—5

---

1 გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, 1947; ი. ბ ო ც ვ ა ძ ე, ქართული ჟურნალისტიკა, 1947; ს. ს ი გ უ ა, პირველი ქართული პერიოდული პედაგოგიური ორგანოები (ჟურ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, № 4, 1958; „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“. ნაკ. II, 1877—1892, თბ., 1941.

2 გაზ. „დროება“, 1884, №№ 7, 12, 13, 41.

ე. ი. 1883 წელს გამოვიდა ერთი ნომერი, 1884 წელს — 12 ნომერი 7 წიგნად, 1885 წელს — 5 ნომერი 3 წიგნად.

რაც შეეხება ჟურნალის „პედაგოგიურ დამატებას", რომელიც მშობელთა და აღმზრდელთათვის იყო გათვალისწინებული, მისი გამოცემა რეგულარულად ვერ ხერხდებოდა, ამიტომ ბუნებრივია, დამატებათა რაოდენობა არ ემთხვევა ჟურნალის ნომერთა რაოდენობას. თუ ჟურნალთან ერთად მისი „პედაგოგიური დამატებაც" მზად იყო, ისინი ერთად გამოდიოდნენ, თუ არა და ჟურნალი დამატების გარეშე გამოდიოდა. სულ გამოვიდა დამატების რვა ნომერი, კერძოდ 1883 წელს სანიმუშო ნომერს მოჰყვა მისი პედაგოგიური დამატება, 1884 წელს გამოვიდა დამატების ექვსი ნომერი, ხოლო 1885 წელს — ერთი ნომერი.

1884 წლის „ნობათის" კოლოფონი მოიცავს მის შვიდ, ხოლო დამატების ექვს ნომერს. კერძოდ არ არის დამატების მე-3 ნომერი. დამატების პაგინაცია სანიმუშო ნომრიდან დაწყებული პირდაპირ გრძელდება 1-დან 126 გვერდამდე ისე, რომ გვერდები არ აკლია. პაგინაციის ასეთ პირობებში არ არის მე-3 ნომერი. აქედან ცხადია, „ნობათის" მე-3 ნომერს დამატება არ ჰქონია. ამას ადასტურებს ისიც, რომ 1884 წლის „ნობათის" კოლოფონს დართული აქვს ამავე წლის ყველა ნომრის სარჩევი დამატებითურთ. დამატების სარჩევში დასახელებული სტატიები ზუსტად ემთხვევა ექვს ნომერში გამოქვეყნებულ სტატიებს.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე 1885 წლის „ნობათის" კოლოფონშიც. იგი მოიცავს „პედაგოგიური დამატების" მხოლოდ მე-2 ნომერს, ამ წელს დამატების მხოლოდ მე-2 ნომრის გამოცემას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ „ნობათის" სხვა ნომრების სარჩევში არაა მითითებული დამატება, მაშინ როცა მე-2 ნომრის სარჩევში დამატება მითითებულია შინაარსითურთ. გარდა ამისა, მე-3—4—5 ნომრების სარჩევის ბოლოს წერია, რომ „ამ წიგნისათვის გამზადებული დამატება ვერ იბეჭდება". ამის მსგავსი განცხადებაა გაკეთებული პირველი ნომრის სარჩევის ბოლოშიც: „ნობათის" დამატებას ეხლა ვერ ვბეჭდავთ; სამაგიეროდ, შემდეგ წიგნში გამოვა ორკეცად". მაგრამ ერთგვარ გაუგებრობას იწვევს ის ფაქტი, რომ „პედაგოგიური დამატების" მეორე ნომრის პაგინაცია იწყება მე-9 გვერდით, ე. ი. გამოსულა პირველი ნომერიც რვა გვერდის მოცულობით.

კითხვა იბადება: მაშ, რაღას ნიშნავს რედაქციის ზემოთ მოტანილი განცხადება, რომ „ნობათის" დამატებას ახლა ვერ ვბეჭდავთო?

საქმე შემდეგშია: 1885 წლის „ნობათის" პირველ ნომერს მართლაც დართული აქვს რვაგვერდიანი უბრალო „დამატება" და არა „პედაგოგიური დამატება", როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე. ამ დამატების ყველა რვა გვერდი ეთმობა მხოლოდ და მხოლოდ განცხადებებს ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის შესახებ, და ცხადია, იგი არაა „პედაგოგიური დამატება", ამდენად, უნდა დავასკვნათ, რომ „პედაგოგიური დამატების" ნომერთა რაოდენობა არ ემთხვევა არც ჟურნალის გამოსულ ნომერთა რაოდენობას, არც „დამატებათა" რაოდენობას. ამრიგად, სულ გამოვიდა „პედაგოგიური დამატება" 1883 წელს ერთი ნომერი — ჟურნალის სანიმუშო ნომრის დამატება, 1884 წელს — დამატების 6 ნომერი, ხოლო 1885 წელს — პირველი ნომრის უბრალო დამატება „განცხადებისათვის", ე. ი. სულ 8 ნომერი.

ჟურნალ „ნობათს“ დამატებითურთ არსებობის მთელ მანძილზე რედაქტორობდა სახელოსნო სკოლის მასწავლებელი ანდრია ღულაძე. „ნობათის“ დაარსების ისტორია და ამ კეთილშობილ ეროვნულ საქმეში ანდრია ღულაძის ღვაწლი საკმარისადაა გაშუქებული პროფ. ი. ბოცვაძის ნაშრომში.

„ნობათის პედაგოგიური დამატების“ თანამშრომელთა რაოდენობა ძალზე განსაზღვრული იყო. იმდროინდელ ქართველ ინტელიგენციას კარგად ჰქონდა შეგნებული პედაგოგიური ჟურნალის საჭიროება და მხარსაც უჭერდა მისი დაარსების ინიციატივას. ამის გამო ძნელად ასახსნელია ჟურნალის თანამშრომელთა რიცხობრივი სიმცირის ფაქტი. ეს მით უფრო საკვირველი სდება, როცა ვეცნობით თანამშრომელთა მოზიდვისათვის რედაქტორის მიერ გაწეულ ზრუნვას. სანიმუშო ნომრის პედაგოგიური დამატების სარედაქციო წერილში ა. ღულაძე იმედით აღსავსე მოწოდებით მიმართავს ამ საქმით დაინტერესებულ მოღვაწეებს. „ყმაწვილი — ჩვენი ძალაა, ღონე და დიდება. ის არის ჩვენი მომავალი, მისით დაგვრჩება სახელი და კეთილი ხსენება. დარწმუნებული ვართ, რომ მისდამი სიყვარული საზოგადოთ გამოიწვევს ჩვენს ჟურნალში ლიტერატურის ასპარეზზე ცნობილთა პირთა ყურადღებას. იმედი გვაქვს, რომ ისინი განუზიარებენ „ნობათ“-ს თავიანთი ნიჭის ნაყოფსა. არა საკლებ მონაწილეობის მიღებას გვპირდება აგრეთვე ახალგაზრდობაც“[3].

ეს იმედი გამართლდა, მაგრამ ძირითადი განყოფილების მიმართ. მასში თანამშრომლობდნენ ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, რ. ერისთავი, ეკ. გაბაშვილი, ს. მგალობლიშვილი, ალ. მირიანაშვილი, ა. ციხელი და სხვები. იგივე არ ითქმის „ნობათის პედაგოგიურ დამატებაზე“. აქ სულ რამდენიმე კაცი თანამშრომლობდა, კერძოდ: ა. წერეთელი, ა. ღულაძე, ალ. მირიანაშვილი, „წყალტუბოელი“ (გ. იოსელიანი) და სხვები. „დამატების“ ყველა ნომერში მოთავსებული 27 წერილიდან ერთის ავტორია აკაკი, ა. ღულაძის ხელმოწერით დაბეჭდილა ხუთი წერილი, „წყალტუბოელისა“ (გ. იოსელიანი) — რვა, ალ. მირიანაშვილისა — ერთი და ა. შ. არის აგრეთვე უავტორო წერილებიც, უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი რედაქტორს უნდა ეკუთვნოდეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ნობათისა“ და მისი პედაგოგიური დამატების პირველი ორი ნომრის გარჩევა მოცემული აქვს იაკობ გოგებაშვილს თავის წერილში „ნობათში“, რომელიც გამოქვეყნდა 1884 წელს გაზეთ „დროებაში“ და შესულია მის თხზულებათა II ტომში. აქ, ი. გოგებაშვილი ძირითადად ეხება თვით „ნობათში“ გამოქვეყნებულ მასალას და ჩვეული პირუთვნელობით ხაზს უსვამს ამ ნაწარმოებთა მხატვრულ-პედაგოგიურ ღირსება-ნაკლოვანებებს. იაკობი თავის წერილში უმნიშვნელო ადგილს უთმობს პედაგოგიურ დამატებებში გამოქვეყნებულ მასალებს, მაგრამ საერთოდ უნდა ითქვას, რომ მას მოსწონს ჟურნალის იდეა ე. წ. „სამაგალითო გაკვეთილების“ დაბეჭდვისა. იაკობის აზრით, „სამაგალითო გაკვეთილების ბეჭდვა ჟურნალში მეტად მოსაწონი აზრია და არა ერთს სახალხო მასწავლებელს დააყენებს გონიერს გზაზედ საგნების სწავლებაში, თუ ეს გაკვეთილები სრულად თუ არა, ნახევრობით მაინც მართლა სამაგალითონი იქნებიან“[4]. იგი ასაბუთებს, რომ „დამატებაში“ გამოქვეყნებული პირველი გაკვეთილი, ვერ ამართლებს დანიშნულებას. არც სხვა პედაგოგიური წერილებია, მისი აზ-

---

[3] „ნობათის პედაგოგიური დამატება“, „მკითხველს“, 1883, № 1, გვ. 2.

[4] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 23.

რით, უნაკლო. ჟურნალის 1884 წლის იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ საინიმუშო გაკვეთილს იგი ძირითადში იწონებს, მაგრამ მის ნაკლსაც არ ფარავს. საერთოდ, ი. გოგებაშვილი თავის შენიშვნებში ძალზე დიდ პედაგოგიურ ტაქტს იჩენს. ეს ბუნებრივია, რადგან იგი ფრთხილი იყო ამ ახლად დაბადებული ჟურნალის მიმართ, რადგან მისი დაარსება მნიშვნელოვან ეროვნულ საქმედ მიაჩნდა და მასზე დიდ იმედებს ამყარებდა.

შემდგომში იაკობი აღარ შეხებია ჟურნალ „ნობათს". ამიტომ ძნელია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ მისი პოზიციების შესახებ ამ ჟურნალის შემდგომ ნომრებში გამოქვეყნებულ მასალებსა და განსაკუთრებით პედაგოგიური ხასიათის თხზულებებზე.

ქვემოთ შევეცდებით ჟურნალ „ნობათის" პედაგოგიური დამატების ყველა ნომრის ანალიზის საფუძველზე ცხადვყოთ ამ ჟურნალის როლი და ადგილი ქართული პედაგოგიკური განათლების ისტორიაში.

ჟურნალის მიზანი და მისი კონკრეტული ამოცანები განსაზღვრულია „პედაგოგიური დამატების" პირველივე სანიმუშო ნომრის სარედაქციო წერილში, სადაც ნათქვამია: „საჭიროა დაარსდეს ცოცხალი კავშირი ოჯახსა და სკოლას შორის ახალგაზრდობის აღსაზრდელად და იმის დასაყენებლად საუკეთესო გზაზე ცხოვრებაში. ამის თანახმად მეორე განყოფილებაში (ე. ი. „პედაგოგიურ დამატებაში" — **მ. ნ.**) იქნება დაბეჭდილი სტატიები, რომელნიც შეეხებიან კაცობრიობის აღზრდის ისტორიას, იქნება აღწერილი სათითაოთ ყოველის განათლებულის ხალხის აღზრდა, მის მიერ მომკილის წესით, დასაბამიდან იმის განათლებისა ჩვენს დრომდე, რუსეთის აღზრდის ისტორია. ჩვენის ქვეყნის ახალგაზრდობის აღზრდა, თუ როგორი ყოფილა იგი, ან რა მიმართულება ჰქონია ძველსა და ახალს დროს; აღწერა ჩვენის ახლანდელის შვილებისა, იმათი მდგომარეობის შესწავლა, აღწერა ჩვენთვის ყმაწვილების გამოზრდისა ოჯახში, თუ როგორი ყოფილა იგი ძველს დროში, ან ახლა რანაირი აღზრდა ეძლევათ ჩვენს ყმაწვილებს თითოეულ სახლობაში, აღწერა ნაკლულევანებისა, რაიცა მოსდევს ჩვენს თანდართულ აღზრდას, როგორც ოჯახში, ისე სკოლაში; შესწავლა ყმაწვილების ბუნებისა და მასზედ გავლენა გარემო ბუნებისა და კაცისა, ოჯახისა და საზოგადოებისა: ყმაწვილის პიროვნების შექმნა ამ ზემოხსენებულის გარემოების ზემოქმედებით, სხვათა შორის ამავე განყოფილებაში ჩვენ დაბეჭდავთ ნიმუშებს სამაგალითო გაკვეთილებისას"[5].

რედაქციის მიერ ჟურნალის წინაშე დასახული ეს მიზანი და ამოცანები საკმაოდ ფართოა. იგი მოიცავს პედაგოგიკის თეორიის თითქმის ყველა ძირითად პრობლემას, საოჯახო და სასკოლო აღზრდა-განათლების, მეთოდიკის და პედაგოგიკის ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებს. ბუნებრივია, რომ იმდროინდელ პირობებში, ჟურნალი ვერ მოახერხებდა ასე ფართო პრობლემატიკის დაძლევას. იგი არათუ ვერ გადაჭრიდა ყველა პრობლემას, არამედ ზოგიერთი მათგანის უბრალო გაშუქებასაც ვერ მოახერხებდა. მიუხედავად ამისა, დასაბუთებას არ საჭიროებს ჟურნალის რედაქციის, კერძოდ, მისი რედაქტორის მიერ ჟურნალის წინაშე დასახული ფართო შინაარსის ამოცანების მეცნიერული ღირებულება. თავისი პრობლემატიკით ჟურნალი ცდილობდა გათანაბრებოდა იმდროინდელ რუსულ და ევროპულ პედაგოგიურ პრესას.

---

[5] „ნობათის პედაგოგიური დამატება", „მკითხველს", 1883, № 1, გვ. 1—2.

საყურადღებოა რედაქციის მიერ ჟურნალის წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრისათვის დროული და საჭირო ზრუნვა. რედაქცია გრძნობდა ყველა სირთულეს და მოუწოდებდა ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებს ჟურნალში აქტიური თანამშრომლობისაკენ. „ამ მიზნის ასრულებისათვის, — მითითებულია ღულაძის ამ სარედაქციო წერილში, — „ნობათი“ ეცდება შეასაბამოს ორივე მხარე, როგორც შინაგანი, ისე გარეგანი, და ამასთანავე, არ გადასცდეს სიმართლეს და ბუნებით სინამდვილეს, იქონიოს სახეში მარტო ის საუკეთესო მიმართულება, რომელიც მუდამ დედა-ბოძად უნდა ჰქონდეს ყოველსავე ბეჯითს აღზრდას. „ნობათის“ გარემიმართულებას ჩვენის მხრით ექნება მიქცეული ეგოდენათ დიდი ყურადღება, რაოდენათაც მის შინაარსსა, რადგან მხოლოდ მარტო შინაგან და გარეგან თვისებებს შორის დადგენილს ჰარმონიას შეუძლია აღზარდოს მთელი ადამიანი“[6].

ამ პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის ზრუნვას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ჟურნალის რედაქტორი პირველივე ნომერში თხოვნით მიმართავს მკითხველს, მშობლებსა და მასწავლებლებს, „აცნობონ ხოლმე მას ყოველივე თავიანთი შენიშვნების შესახებ ამ ჟურნალში დაბეჭდილი სტატიებისა, რადგან ეს ცნობები დიდათ საჭიროა ჟურნალის წარმატებისათვის“.

მართალია, ხანმოკლე არსებობის მანძილზე, ჟურნალში არ იქნა გაცემული პასუხი პროგრამით დასახულ ბევრ საკითხზე, მაგრამ მის ფურცლებზე გაშუქებულია საკითხთა ფართო წრე, მათი მეცნიერული თვალსაზრისით განხილვა ჟურნალს წარმოგვიდგენს თავისდროისათვის მოწინავე მეცნიერულ-დემოკრატიულ ორგანოდ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ნობათის პედაგოგიური დამატებით“ ქართულ დემოკრატიულ პედაგოგიურ ჟურნალისტიკას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა.

ჟურნალის რედაქციის მიერ დასახული მრავალი პრობლემიდან მის ფურცლებზე განსაკუთრებული გაშუქება პოვა ისეთმა საკითხებმა, როგორიცაა: აღზრდის სოციალური ბუნება, აღზრდის როლი ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაში, აღზრდის მიზანი და ამოცანები, ფიზიკური აღზრდა, ზნეობა და ზნეობრივი აღზრდა, მისი მიზანი, ამოცანები, შინაარსი და მეთოდები, ბავშვის ასაკობრივი და ბუნებრივი (ინდივიდუალური) თავისებურებების შესწავლა და სხვ.

ცნობილია, რომ აღზრდის თეორიის მეცნიერულ პრინციპებზე დაფუძნებაში უაღრესად დიდი როლი შეასრულა აღზრდის სოციალური ბუნების გახსნამ. ბიოლოგიური სამყაროდან აღზრდის პროცესის გამოთიშვა და მისი, როგორც სოციალური პროცესის მეცნიერული დასაბუთება ნამდვილი რევოლუცია იყო. უაღრესად საინტერესოა, რომ პედაგოგიკის ეს ძირეული პრობლემა დაისვა სწორედ „ნობათის პედაგოგიური დამატების“ ფურცლებზე. საკმარისია აღინიშნოს, რომ სპეციალურად ამ პრობლემისადმია მიძღვნილი 1884 წლის პირველ ნომერში „წყალტუბოელის“ ფსევდონიმით მოთავსებული გ. იოსელიანის სტატია „ადამიანის აღზრდის საჭიროება და სიძნელე“.

ამ სტატიაში, მართალია, ერთი ტერმინით — აღზრდითაა აღნიშნული ცხოველთა სამეფოსა და ადამიანთა საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები.

---

6 „ნობათის პედაგოგიური დამატება“, „მკითხველს“, 1883, № 1, გვ. 2.

მაგრამ მათ შორის პრინციპული სხვაობაა დანახული. ავტორი ასაბუთებს, რომ ცხოველთა სამეფოში ეს პროცესი ინსტინქტების მეშვეობით მიმდინარეობს, რომ ცხოველს თავისი შვილის „აღზრდისათვის" „სწავლით არ შეუძენია" არაფერი, რომ ცხოველთა შორის ადგილი არა აქვს გამორჩევით ზრუნვას და ყველაფერი ინსტინქტების საფუძველზე მიმდინარეობს. ბავშვის ადამიანად გადაქცევისათვის კი, ავტორის სამართლიანი მტკიცებით, საჭიროა აღზრდა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ცოდნის გზითაა შესაძლებელი.

იმის დასადასტურებლად, რომ ავტორი აშკარად ხედავს ცხოველისა და ადამიანის განვითარების სრულ განსხვავებულობას და რომ აღზრდა სწორედ ადამიანთა საზოგადოებისათვისაა დამახასიათებელი, მოვიყვანთ სათანადო ადგილებს ამ სტატიიდან: „საქმე ის არის, რომ ცხოველისა და ადამიანის ბუნებასა და აღზრდას შუა დიდი განსხვავებაა. ცხოველისათვის ბუნებას მიუცია ერთი ისეთი გრძნობა (ინსტინქტი), რომ ის ძნელად თუ შესცდება, როგორც სხვა თავის მოქმედებაში, ისე შვილების აღზრდაში (აქ უბრალოდ ტერმინის აღრევაა, რასაც საკმაოდ დიდხანს ჰქონდა ადგილი — **მ. ნ.**), თუმცა მას სწავლით არ შეუძენია ეს ხელოვნება... ადამიანი კი სულ სხვანაირი არსებაა. როგორც თავისუფალსა და გონიერს არსებას (ავტორისათვის ცხოველი ბუნების მონაა — **მ. ნ.**), მას შეუძლია აღზარდოსა და გაწვრთნას თავისი შვილები, სხვა და სხვა მიზეზების ზეგავლენით, როგორც კარგა, ისე უკუღმართად და თითქმის ბუნების მოთხოვნილების წინააღმდეგათაც... ცხოველი ისე ჩნდება, რომ შეუძლია მოუვლელად იცოცხლოს და აღიზარდოს, ადამიანი კი როცა იბადება, ყოვლად სუსტი, უსუსური და ნაზია, და, თუ დიდებისაგან მოვლასა და პატრონობას მოკლებულია, უთუოდ რამდენიმე ხნის შემდეგ მოკვდება. აი ამიტომაც ადამიანის აღზრდაზე უძნელესი საქმე არა არის რა ქვეყანაზე (ხაზი ავტორისაა — **მ. ნ.**). მაშასადამე, ფრიად საჭიროა, როგორც მშობლისათვის, ისე ყველასათვის, ვინც კი ადამიანის აღზრდას კისრულობს, ზედმიწევნით იცოდეს ის, მაინც, რაც დღემდის გამოკვლეულია და რასაც მიმხვდარა კაცობრიობა ამ ძნელი საქმის — ყმაწვილის აღზრდის — შესახებ"[7].

ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ ავტორი აღიარებს აღზრდის საზოგადოებრივ ხასიათს, იგი ხაზს უსვამს იმას, რომ აღზრდა უძნელესი საქმეა და, რაც განსაკუთრებით დასაფასებელია, ავტორი მიდის მომავალი თაობის მომზადებისათვის მოსახლეობის პედაგოგიური განათლების აუცილებლობის აღიარებამდე. მას არ მოსწონს იმდროინდელი საზოგადოების პედაგოგიური განათლების დონე და ამოცანად აყენებს ხალხში აღზრდის შესახებ ცოდნის გავრცელებას. არ შეიძლება ჟურნალის ამ პოზიციას არ მიეცეს უაღრესად დადებითი შეფასება, რადგან მოსახლეობის პედაგოგიური ცოდნით აღჭურვა დღესაც ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად ითვლება არა მარტო ჩვენში, არამედ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში.

პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში დღემდე აზრთა დიდი სხვადასხვაობაა პიროვნების ფორმირებისას აღზრდის როლის გაგებაში. აქ არა მხოლოდ ერთმანეთისაგან განსხვავებულ, არამედ სრულიად საპირისპირო მეცნიერულ მიმდინარეობებს ვხვდებით. ერთია, რომელიც ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ მნიშვნელობას თანდაყოლილ იდეებს, მემკვიდრულ თავისე-

[7] „ნობათის პედაგოგიური დამატება", 1884, № 1, გვ. 17—18.

ბურებებს თუ სხვა ენდოგენურ ფაქტორებს აკუთვნებს; მეორე — აღზრდის ყოვლისშემძლეობის თეორია, რომელიც უარყოფს ყოველგვარი თანდაყოლილის განსაკუთრებულობას და გადამწყვეტ მნიშვნელობას, ახლადდაბადებული ბავშვის ზრდადამთავრებულ ადამიანად გადაქცევაში, აღზრდას ანიჭებს.

პიროვნების ფორმირების ფაქტორების ეს პრობლემა უყურადღებოდ არ დარჩენიათ ჟურნალის თანამშრომლებს და მის ფურცლებზე საკმაო ადგილი დაუთმეს მას. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ზემოთ განხილული წერილი და იმავე ავტორის სტატია „ზრუნვა ადამიანზე დაბადებამდის, ადამიანის დაბადების დროს".

პირველყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აღნიშნული წერილების ავტორი „წყალტუბოელი" (გ. იოსელიანი) უარყოფს ყოველგვარ თანდაყოლილ იდეას, ცოდნას, და ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაში წამყვან როლს აღზრდას აკუთვნებს, იგი სავსებით დამაჯერებლად და ცხადად ასაბუთებს თავის ამ პოზიციას: „ახლად დაბადებული ადამიანი, — წერს „წყალტუბოელი", — წარმოადგენს ისეთ არსებას, რომელმაც სრულიად არაფერი არა იცის რა არც გარეშე ქვეყნიერებაზე, და არც თავის თავზე, მაგრამ ამასთანავე ის არის ისეთი არსება, რომელსაც შეუძლია შემდეგ გაიცნოს და შეისწავლოს ყველაფერი"[8].

აქვე, უაღრესად დიდ ინტერესს იწვევს ავტორის მეცნიერული დასაბუთება ადამიანის ბიოლოგიურ შესაძლებლობათა და მონაცემთა თანდაყოლილობის შესახებ. ბავშვის თანდაყოლილი ბიოლოგიური მონაცემები მიაჩნია მას სწორედ ცოდნის შეძენის და, საერთოდ, ადამიანად გადაქცევის, მისი პიროვნების ჩამოყალიბების ერთ-ერთ ფაქტორად. „ბავშვის არსება არის ხორცშესხმული და აღჭურვილია ხუთი გარეგანი გრძნობით; მხედველობით, მსმენელობით, შეხებით, ყნოსვით და გემოვნებით, რომლის საშუალებითაც მას შეუძლია გაიცნოს ყოველი საგანი და მისი თვისებანი, უკეთუ ადამიანს დაბადებიდანვე არა ჰქონოდა მინიჭებული ის ძალები, — აგრძელებს ავტორი მეცნიერული დამაჯერებლობით, — რომელიც საჭიროა სწავლის შეძენისათვის, მაშინ მისი გახსნა, აღზრდა და განვითარება სწავლა-განათლებაში, უეჭველად, შეუძლებელი იქნებოდა და უამისოდ ვერც კაცობრიობა მიაღწევდა იმ წარმატებამდის, რომელშიაც ეხლა იმყოფება"[9].

იმ დროისათვის გასაოცარი სიზუსტით მსჯელობს ავტორი. იგი ბავშვის ადამიანად გადაქცევის ერთ-ერთ აუცილებელ წანამძღვრად მის თანდაყოლილ ფსიქო-ფიზიოლოგიურ მონაცემებს აცხადებს. მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ იგი არსად არ მსჯელობს ბავშვთა შორის ამ მონაცემების განსხვავებულობაზე, რომელიც თითქოს რაღაც მემკვიდრეობით იყოს განპირობებული და სხვადასხვა ბავშვის სხვადასხვაგვარ ადამიანად ჩამოყალიბების პირობას წარმოადგენდეს. არა, იგი ამ მონაცემებს ბავშვის ცხოველთა სამეფოსაგან გამომყოფ, საერთოდ ადამიანად გადაქცევის პირობად აცხადებს.

კიდევ უფრო მეცნიერულად გამართულ ხასიათს აძლევს ამ წერილს „წყალტუბოელის" მიერ ბავშვის ფსიქო-ფიზიოლოგიური მონაცემების ჩამოყალი-

---

8 „ნობათის პედაგოგიური დამატება", „წყალტუბოელი", „ზრუნვა ადამიანის დაბადებამდის, ადამიანის დაბადების დროს", 1884, № 2. გვ. 35.

9 იქვე.

ბებასა და საერთოდ მისი პიროვნების ფორმირებაში აღზრდის წამყვანი როლის დასაბუთება. „პატარა ადამიანი დაბადების დროს ისეთ სულიერ-ხორციელ არსებას შეადგენს, რომელსაც შეუძლია საკვირველად გაიხსნას და განვითარდეს, როგორც სულიერი თავის მხრით, ისე ხორციელით და შეიქმნას სრული ბედნიერი. მხოლოდ ამისათვის აუცილებლად საჭიროა მისთვის აღზრდა. აღზრდასა და ვარჯიშობას ითხოვს როგორც სულიერი მისი ბუნება, ისე ხორციელი“[10]. ან კიდევ, მეტად სიზუსტით განსაზღვრავს იგი აღზრდის როლს, როცა წერს: „აღზრდაზეა სრულებით დამოკიდებული ადამიანის ბედნიერება და უბედურება, სიკეთე და უკეთურობა, მარგებლობა და ურგებლობა“[11].

თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ჟურნალში უყურადღებოდ არაა დატოვებული გარემოს როლის საკითხი, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ მასში მოკლედ, მაგრამ ფორმალურად სწორადაა გადაწყვეტილი პედაგოგიკის თეორიის ეს პირველხარისხოვანი პრობლემა, რაც დიდმნიშვნელოვანი ფაქტია XIX საუკუნის 80-იანი წლების საქართველოს სინამდვილეში.

„წყალტუბოელის“ წერილებში ზოგადპედაგოგიკურ პრობლემათაგან დაყენებული და გაშუქებულია აგრეთვე აღზრდის მიზნის და მისგან გამომდინარე ფიზიკური აღზრდის საკითხები. აღზრდის სხვა შემადგენელ ნაწილებს ამ წერილებში იგი არ განიხილავს. ამ წერილებიდან ჩანს, რომ ავტორი იცნობს კლასიკურ პედაგოგიკურ მემკვიდრეობას და მის პოზიციებზე დგას. კერძოდ, ეს არის „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულის“, „სხეულისა და სულის მთლიანობის“ ძველი კლასიკური გაგება, რომელიც საფუძვლად დაედო ჰარმონიულად ჩამოყალიბებული ადამიანის აღზრდის იდეის ჩამოყალიბებაგანვითარებას. ანტიკური ეპოქის ეს დებულებები თითქმის ყოველთვის მეორდებოდა მომდევნო საუკუნეებსა და XIX საუკუნის პედაგოგიკურ აზროვნებაშიც. მართალია, ეს სხვადასხვა ვარიანტებით ხდებოდა, მაგრამ ჰარმონიული აღზრდის იდეის შესახებ პედაგოგიკის თითქმის არცერთ კლასიკოსს გვერდი არ აუვლია ამ დებულებებისათვის და გამოუყენებია იგი საკუთარი აზრის ჭეშმარიტების დასასაბუთებლად. ამგვარსავე პოზიციებზე დგას ჩვენი პირველი ქართული პედაგოგიური ჟურნალი „ნობათის პედაგოგიური დამატებაც“.

პირველ რიგში აღსანიშნავია ავტორის მიერ ადამიანში „სულისა და ხორცის“, „სულისა და ხორციელის“ აუცილებელი კავშირის, მათი მთლიანობის დასაბუთება. აქედან გამომდინარე მოითხოვს იგი „სრული აღზრდის“ მიზნით მათი ერთნაირად ჩამოყალიბებისათვის თანაბარ ზრუნვას. ადამიანი რომ „სრული არსება გახდეს“, წყალტუბოელს“ აუცილებლად მიაჩნია „აღზრდა სხეულისა და აღზრდა სულისა“. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ჟურნალში სულის აღზრდად გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდა იგულისხმება, მაშინ ნათელი გახდება, რომ მის ფურცლებზე ჰარმონიული ანუ თანამედროვე გამოთქმით ყოველმხრივი (თუმცა მათი შინაარსობრივი გაგება სხვადასხვაგვარია) აღზრდის ცნებით გაგებულია გონებრივი, ფიზიკური, ზნე-

---

10 „ნობათის პედაგოგიური დამატება“, „წყალტუბოელი“; ზრუნვა ადამიანის დაბადებამდის, ადამიანის დაბადების დროს“, 1884, № 2, გვ. 35.

11 „ნობათის პედაგოგიური დამატება“, „წყალტუბოელი“, „ადამიანის აღზრდის საჭიროება და სიძნელე“, 1884, № 1, გვ. 17.

ობრივი და ესთეტიკური აღზრდა, მათ შორის არსებული მტკიცე კავშირი. ამის დასადასტურებლად მოვიტანოთ ერთი ამონაწერი: „სული და ხორცი ადამიანისა ისე მჭიდროდ შეკავშირებულია ერთმანეთთან, რომ ერთის მათგანის უმეორესოდ გახსნა და აღზრდა სრულ აღზრდად ვერ ჩაითვლება და თითქმის შეუძლებელიც არის. ძველი მეცნიერები ამბობდენ, რომ საღი და ძლიერი სული მხოლოდ საღსა და ძლიერ სულში იმყოფებაო, და მართალიც არის. აქედან ნათლად ჩანს, რომ ადამიანისათვის საჭიროა ორგვარი აღზრდა. (ხაზი ავტორისაა, — **მ. ნ.**) აღზრდა სხეულისა და აღზრდა სულისა; უამისოდ შეუძლებელია იმედი გვქონდეს, რომ ადამიანი ბედნიერი და სრული არსება გახდეს“[12].

აღზრდის ამ ოთხი შემადგენელი ნაწილიდან ჟურნალში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ფიზიკურ და ზნეობრივ აღზრდაზე.

სულისა და სხეულის მთლიანობიდან ჟურნალის ფურცლებზე კანონზომიერადაა გამოყვანილი ფიზიკური აღზრდის დიდი მნიშვნელობა. ფიზიკური აღზრდისათვის ასეთი მნიშვნელობის მინიჭება ჟურნალში უნდა აიხსნას იმით, რომ ადამიანის ფიზიკური მდგომარეობა მიჩნეულია საერთოდ სულიერ შესაძლებლობათა განხორციელების აუცილებელ პირობად. და აქ, ჟურნალთან საკამათო არაფერი გვაქვს. მაგრამ, მეორე მხრივ, ჟურნალში „საღი სხეული“, როგორც უკვე აღვნიშნავდით, „საღი სულის“ აუცილებელ პირობადაა მიღებული. ჟურნალი უყოყმანოდ ღებულობს ამ ძველ დებულებას, რითაც, ცხადია, მეცნიერული პოზიციებიდან იხრება. ყოველთვის სწორი არაა დებულება, „რომ მხოლოდ საღ სხეულში იმყოფება საღი სული...“.

ჟურნალის პოზიცია ფიზიკური აღზრდის მნიშვნელობის ზოგად გაგებაში ნათლად ჩანს 1884 წლის მე-4 ნომერში მოთავსებულ სტატიაში „ფიზიკური გაზრდა“. „მხოლოდ საღ სხეულში იმყოფება საღი სული. ადამიანი უძლური სხეულით უძლურია სულითაც, და ამიტომაც არა თუ მთელი სხეულის, ერთი რომელიმე მისი ნაწილის ნაკლოვანებასა და უძლურობასაც კი დიდი გავლენა აქვს მისი სულის მდგომარეობაზე. ვინ არ იცის, მაგ., რა დიდ უბედურებას შეადგენს ადამიანის სულიერი გახსნისათვის, თუ ის ან ბრმაა, ან ყრუ, ან მუნჯი, და სხვა. აი, ამ მიზეზისა გამო გონივრულ ფიზიკურ აღზრდას ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისათვის“.

ფიზიკური აღზრდის საკითხისადმი დიდი მნიშვნელობის მინიჭების დამადასტურებელია ისიც, რომ დასახელებულ წერილს გარდა 1884 წლის ჟურნალის შემდგომ სამ ნომერში მოთავსებულია ფიზიკური აღზრდისადმი სპეციალურად მიძღვნილი წერილები „წყალტუბოელის“ ავტორობით, რომლებიც გაერთიანებულია რუბრიკით — „ფიზიკური აღზრდა“; ეს წერილებია: „სისუფთავე და მისი მნიშვნელობა ადამიანისათვის. სამოსელი“ (№ 5—6), „მოსვენება ანუ ძილი და მოძრაობა. მათი მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის“ (№ 7—8—9), „ადამიანის გარეგანი გრძნობები; მათი მნიშვნელობა, მოვლა და აღზრდა“ (№ 10—11—12).

ზნეობრივი აღზრდის საკითხები ჟურნალ „ნობათის პედაგოგიურ დამატებაში“ წარმოდგენილია ზნეობის გაგების და მისი შინაარსის პოზიციებიდან, და აქედან გამომდინარე, ზნეობრივი აღზრდის მეთოდების დახასიათებით გაშუქებულია თვით ზნეობრივი აღზრდის ზოგიერთი საკითხი. ამ მხრივ ყვე-

---

12 „ნობათის პედაგოგიური დამატება“, 1884, № 2, გვ. 35—36.

ლაზე უფრო საინტერესოა ამ საკითხისადმი სპეციალურად მიძღვნილი წერილი ჟურნალის რედაქტორის ანდრია ღულაძისა „ზნეობრივი წესიერების დაცვა სკოლებში“, რომელიც დაბეჭდილია 1884 წლის მე-5—6 ნომრებში.

ანდრია ღულაძე, როგორც მასწავლებელი, ცდილობს ზნეობისა და ზნეობრივი აღზრდის საკითხები განიხილოს მოსწავლის ზნეობრივი ქცევის მნიშვნელობისა და შინაარსის ფონზე.

ამდენად, ჟურნალში ზნეობისა და ზნეობრივი აღზრდის საკითხები ცალმხრივადაა გაგებული. მართალია, მოსწავლის ზნეობრივი აღზრდა საერთოდ ზნეობრივი აღზრდის ცენტრალური ნაწილია და სკოლაც ზნეობრივი აღზრდის წამყვანი დაწესებულებაა, მაგრამ ეს საკითხის მაინც ერთი მხარეა. ამასთანავე შეუძლებელია მოსწავლის ზნეობრივი ქცევის და ამ ქცევის აღზრდის სწორად და სრულად გაგება საერთოდ მორალის არსისა და შინაარსის მეცნიერული გაგების გარეშე. ჟურნალში კი მორალის ზოგად გაგებაზე არაფერია ნათქვამი და ზნეობრივი ქცევა, შეიძლება ითქვას, სკოლის კედლებშია მოქცეული.

მიუხედავად ამისა, ჟურნალმა დიდი საქმე გააკეთა. ქართულ პედაგოგიურ პრესაში პირველად მან ჩაუყარა საფუძველი ზნეობრივი აღზრდის საკითხების განხილვას, რაც დასრულებული სახით რევოლუციამდელი ქართული პედაგოგიური პრესის გვირგვინის — ჟურნალ „განათლების“ ფურცლებზე ჩამოყალიბდა.

ანდრია ღულაძემ თავის წერილში სკოლის წარმატების „უმთავრეს პირობად... მოსწავლეთა ზნეობითი წესიერება“ აღიარა. მართალია, იგი აქამდე მეცნიერულ-პედაგოგიური დასაბუთების გარეშე პრაქტიკულ-პედაგოგიური ალღოთი მივიდა, მაგრამ პრინციპში სწორი დებულება წამოაყენა.

სკოლის წარმატებაში მოსწავლეთა ზნეობრივი ქცევის დიდი მნიშვნელობის აღიარების საფუძველზე განიხილავს ა. ღულაძე ზნეობრივი ქცევის არსსა და შინაარსს. იგი ზნეობრივი ქცევის გაგებისათვის მსჯელობას უარყოფითი გზით იწყებს. „ბევრი ფიქრობს, რომ სკოლაში წესიერება მაშინ არის, თუ იქ სიჩუმეა, სიმშვიდეა, ასე რომ იყოს, შეცდომილება იქნებოდა“[13]. მაინც რა შეცდომაა აქ? საქმე ის არის, რომ წერილის ავტორის მიხედვით „სიჩუმე და სიწყნარე“ ან სხვა ამის მსგავსი „წესიერებანი“ შეიძლება მიღწეულ იქნეს შიშისა, იძულებისა, „მორჩილებისა“, და „გამგონობის“ შედეგად, ეს კი ზნეობრივ წესიერებად არ შეიძლება ჩაითვალოს. ა. ღულაძე გულისტკივილით აღნიშნავს: „ჩვენში, რომ დავაკვირდეთ, დავინახავთ, რომ ყმაწვილის ნება დამორჩილებულია“.

აქედან ცხადია, რომ ზნეობრივ ქცევად არ ჩაითვლება ის ქცევა, რომელიც იძულების გზით, სურვილის საწინააღმდეგოდ ხორციელდება, თუმცა იგი ფორმალურად შეიძლება აკმაყოფილებდეს საზოგადოების მიერ შემუშავებულ ქცევის მორალურ ნორმებს. მაშ, რაში მდგომარეობს, ავტორის მიხედვით, ზნეობრივი ქცევის არსი? ეს ის ქცევაა, რომელიც აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნებს, მაგრამ რომელიც შემუშავდა ბავშვში არა იძულებით, არამედ თავისუფალი აღზრდის მეშვეობით, შეგნებულობის საფუძველზე. ავტორის აზრით, ამ გზით შემუშავებული ქცევა პიროვნების ნება-სურვილის გამომხატველია და შეგნების საფუძველზე ხორციელდება. ეს მიაჩნია მას

13 „ნობათის პედაგოგიური დამატება“, 1884, № 5—6, გვ. 60.

ზნეობრივი ქცევის აუცილებელ პირობად. „მორჩილება და გამგონობა“ მაშინ შეიძლება „წესიერ ქცევად“ ჩაითვალოს, „თუ ეს ორი თვისება თავისუფალი აღზრდის შედეგია“. ამ საფუძველზე იგი იძლევა ზნეობრივი ქცევის თაეისებურ გაგებას: „ზნეობითი წესიერების მიზანს უნდა შეადგენდეს ისა, რომ შემუშავდეს მოსწავლეთა ბუნებაში ზნეობრივი ჩვევები, გონიერი დამორჩილება წესებისა და, უმთავრესად, შემუშავდეს მათში მტკიცე ხასიათები, მიმდევარი იმ პრინციპებისა, რომელსაც ადამიანი ჭეშმარიტებად ცნობს და თავის ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ ირჩევს“[14].

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ა. ღულაძე, და საერთოდ ჟურნალი, არაა მიმდევარი თავისუფალი აღზრდის თეორიისა, რომელიც გაბატონებული იყო ევროპასა და რუსეთში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მაშინ ზნეობრივი ქცევის აქ მოტანილი გაგება პრინციპში მიღებული არაა დღევანდელი ეპოქისათვისაც კი და, რა თქმა უნდა, დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს იმ დროისათვის. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ აქ კიდევ ერთხელ წარმოგვიდგება ჟურნალი დემოკრატიული პედაგოგიკური მიმდინარეობის პოზიციებში მდგომ ორგანოდ, რაც აგრერიგად დამახასიათებელია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პედაგოგიკური აზროვნებისათვის საერთოდ.

„ნობათის პედაგოგიურ დამატებაში“ საკმაო ადგილი აქვს დათმობილი ზნეობრივი აღზრდის შინაარსის საკითხებს, კერძოდ, იმას, თუ რა ზნეობრივი თვისებები უნდა იქნეს აღზრდილი ბავშვებში. ასეთ თვისებებად პირველ რიგში აღიარებულია პატრიოტიზმი, ერისა და მშობლიური ენის სამსახური, საზოგადოებრივი საქმიანობის პრიორიტეტი ყველა დანარჩენებთან, გულმართლობა და პატიოსნება, დაუნდობლობა სულმდაბლობისა და ეგოიზმისა, გამბედაობა და დამოუკიდებლობა ქცევაში და სხვ. ამ მხრივ გამოირჩევა წერილები: ა. წერეთლის — „სახსოვრად“ (1884 წ. № 5—6), „მაღაროელის“ — „სამშობლო ენა“ (1884 წ., № 1), ა. ღულაძის — „ზნეობითი წესიერების დაცვა სკოლაში“ (1884 წ., № 5—6) და სხვები.

არაფერს ვიტყვით ზნეობრივი აღზრდის აქ წარმოდგენილი შინაარსის სისრულის შესახებ, იგი თავისთავად ნათელია, არც იმის მიმოხილვას შევუდგებით, თუ როგორაა წარმოდგენილი თითოეული მათგანი ჟურნალში და მოვიტანთ მხოლოდ აკაკის ერთ საინტერესო აზრს „საზოგადო“ (როგორც თვითონ წერს) საქმიანობის შესახებ, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოზიციების გამომხატველია. „გრძნობითა და სურვილებით აღვსილი ახალგაზრდა (იგულისხმება სერგეი მესხი, — **მ. ნ.**), ჭაბუკი, გამოდის ცხოვრების სარბიელზე და ხედავს, რომ მის წინ ორი გზა იშლება: ერთი საპირადო და მეორე საზოგადო. პირველი უქადის მას კეთილ-დღეობას, ყოველგვარ ხორციელ წარმატებას, ამაღლებას და დიდებას; მეორე კი ტანჯვას, სიღარიბეს, შიმშილ-წყურვილს, უმეტესობის, და მერე როგორი უმეტესობის, თვალში დამცირებას, უბრალო რამ სურვილებისაც კი უხმოდ გულში ჩაკვლას, სხვებისაგან დევნას, თავისიანებისაგან განწირვას და სხვ. და სხვ. მაგრამ ის კი მაინც უკანასკნელს ირჩევს და საზოგადო გზას ადგება. ოხვრით იკიდებს წინათვე დანახულ ტვირთს, მიდის, იქანცება, დნება ნელ-ნელა და ბოლოს აჰ აუტანელ ტვირთ ქვეშ შუა გზაზე ეცემა და მხოლოდ ასე ესაყ-

[14] „ნობათის პედაგოგიური დამატება“, 1884, № 5—6; გვ. 60.

ვედურება თავის უკუღმართ ბედს: „ვაი, რა უდროოთ ვკვდები! ... ჯერ კიდევ შემეძლო ჩემი საქმე გამეგრძო და მემუშავნაო“[15].

ზნეობრივი აღზრდის საკითხების განხილვაში ჟურნალის თანამიმდევრობის გამომხატველია მის ფურცლებზე ზნეობრივი აღზრდის მეთოდების ირგვლივ ყურადღების გამახვილება. ჟურნალში სულ ორი მეთოდია განხილული: მაგალითი და ავტორიტეტი, დარიგება და ახსნა-განმარტება. ორივე, ცხადია, გამართლებული და მისაღებია დღევანდელი საბჭოთა სკოლისათვისაც. ჩვენ ამ მეთოდებს არ განვიხილავთ და აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მათი ბუნება პრინციპში სწორადაა (თუმც არა ყოველმხრივ) გაგებული ჟურნალში.

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალში ფაქტიურად ზნეობრივი აღზრდის მხოლოდ ორი მეთოდია განხილული, მასში ნამდვილ მეცნიერულ დონეზეა გაგებული აღზრდაში მეთოდთა ნაირსახეობის გამოყენების აუცილებლობა. ეს ჟურნალის უაღრესად დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს, რადგან, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მეთოდთა უნივერსალიზაციის ტენდენციამ ბევრი ზიანი მოუტანა საბჭოთა სკოლას და იგი მეცნიერულ-მეთოდოლოგიური ბრძოლით იქნა დაძლეული. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ადგილს ერთ-ერთი წერილიდან: „როგორც საზოგადოთ სხეულის გახსნას და აღზრდას, ისე სულის აღზრდასა და განვითარებას, სხვა და სხვა პ ი რ ო ბ ე ბ ი და ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი სჭირიათ (ხაზი ჩვენია — **მ. ნ.**) ამიტომ აუცილებლად საჭიროა იცოდნენ მშობლებმა, მასწავლებლებმა და საზოგადოთ აღმზრდელებმა, როგორ და რა საშუალებებით შეიძლება, ერთის მხრით, სხეულისა და მისი ფიზიკური ძალების გახსნა და გავარჯიშება, მეორეს მხრით, სულისა და მისი ნიჭის აღზრდა და განვითარება“[16]. აქ აშკარად ჩანს ჟურნალის პოზიცია და მას რაიმე კომენტარი არ ესაჭიროება.

მეტად მოკლედ, მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს ერთი უაღრესად პროგრესული და მეცნიერულად დასაბუთებული მომენტი. მხედველობაში გვაქვს ჟურნალის ფურცლებზე მრავალგზის გამოთქმული აზრი ამის შესახებ, რომ აღზრდის პრაქტიკიდან სრულიად განდევნილიყო ბავშვის პიროვნების დამთრგუნველი, იძულებითი ხასიათის მეთოდები, ჟურნალში დასაბუთებულია ამ მეთოდების უარყოფითი შედეგები.

„ნობათის პედაგოგიური დამატების“ ამ მოკლე მიმოხილვიდანაც კი ნათელია, რომ იგი წარმოადგენს დემოკრატიულ პედაგოგიურ ორგანოს, რომელშიც მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების საკითხები ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოზიციებიდანაა განხილული.

---

15 „ნობათის პედაგოგიური დამატება“, 1884, № 5—6, აკაკი, „სახსოვრად“, გვ. 58—59.
16 იქვე, № 2, გვ. 36.

ЛАЙОШ ТАРДИ

(Будапешт)

ИЗ ГРУЗИНО-ВЕНГЕРСКИХ СВЯЗЕЙ ЭПОХИ ТУРЕЦКОЙ ОККУПАЦИИ

Хотя продвигающиеся вперед армии Османской империи были еще далеки от венгерских границ, начиная с 1366 года между Венгрией и Турцией с переменным успехом шла вооруженная борьба. Все больше распространяющая свою власть мусульманская держава после порабощения балканских государств стала опасным соседом Венгрии, однако свои военные действия она вынуждена была пока ограничить приобретением трофеев и добычи и не раз платить за это дорогой ценой. Только в 1526 году после несчастного для венгров поражения у Мохача туркам удалось твердо укрепиться в Венгрии. 15 лет спустя — в 1541 году, турецким войскам с помощью обмана удалось захватить столицу страны, бывшую одновременно самой крупной крепостью и цитаделью Венгрии — Буду, в результате чего преобладающая часть территории Венгрии более чем на целом столетие попала в руки турок. Эти венгерские территории в большей или меньшей степени попали в такое же положение, как и крупные районы Грузии, оккупированные турками или персами; здесь полностью были ликвидированы правовая и имущественная безопасность, даже в мирное время ежедневными были вымогательства и ограбление населения, угон молодежи и отуречивание ее в рядах янычар.

Судьба этих угнанных грузинских и венгерских юношей аналогична еще и в том, что новые их хозяева, как правило, тщательно следили за тем, чтобы массы отуреченных грузин и венгров оседали или отбывали службу как можно дальше от своей страны, то есть, там, где почти не было надежды возвратиться на свою настоящую родину. Впрочем, некоторые из них, если проявляли свои исключительные способности, военные достоинства и данные, необходимые для руководства, и, кроме того, доказали свою верность, нередко служили на территории своей бывшей родины или неподалеку от ее границ. Из их числа не один отуречившийся венгр или грузин стал угнетателем своей родины и тем самым способствовал продлению господства турок, которое без инонациональной крови, вливавшейся в их устарелый военный организм, рухнуло бы гораздо раньше. Иногда, однако, даже такое раннее и основательное «перевоспитание» не могло окончательно вытравить впечатлений юности и привязанности к родному дому, на что указывает в своей работе и В. Мачарадзе[1].

Для венгеро-грузинских связей XVI—XVII столетий характерно то, что как часть Венгрии, так и часть Грузии были оккупированы, превращались в театр военных действий или в базу для войск; между грузинами и венграми, приезжавшими в Стамбул столицу Турецкой империи, по своим собственным делам или по делам государственного зна-

---

[1] Грузинские документы из истории русско-грузинско-египетско-эфиопских отношений 80-х годов XVIII века, Тбилиси, 1967.

чения, часто происходили встречи и устанавливались связи[2]. Однако еще чаще имела место, до сих пор еще должным образом не исследованная в отношении своего значения, деятельность в Венгрии османских сановников грузинской национальности и в Грузии — османских сановников венгерской национальности.

Мы намеренно применяем здесь обозначение грузинская или венгерская «национальность» вместо выражения грузинское или венгерское «происхождение»; о причинах этого мы уже указали выше. Естественно, что в нашем исследовании мы затронули только представителей первого поколения. Их потомки уже окончательно и навсегда исчезли в океане османской империи.

Территория Европы, покоренная османской империей, была разбита на четыре провинции (эялето) — Румелию, Боснию, Темешвар и Буда. Среди них крупнейшей по территории и одновременно наиболее важной была **Буда**. Будайский эялет состоял из восемнадцати санджаков (районов) и простирался от города Рожно (ныне город Рожнава в Чехословакии) до сербского города Ниш. Площадь его превосходила территорию нынешней Венгрии.

Будайского бейдербея по праву причисляли к числу верховных сановников турецкой империи. Поскольку территория Османской империи как раз в этом месте наиболее остро вклинивалась в области опаснейшего ее врага — европейского христианства, стамбульское правительство считало Буду самым важным пунктом своей европейской позиции и на пост ее губернатора ставило виднейших представителей империи. Так определил положение вещей Лайош Фекете, выдающийся историк периода турецкого владычества в Венгрии[3]. Начиная с 1623 года будайские губернаторы к своим титулам «бейлербей» и «паша» получили еще и чин визиря, в результате чего их власть распространилась и на губернаторов остальных европейских эялетов. Многие источники свидетельствуют об их исключительной власти. В число их привилегий входило и то, что во время пребывания турецкой армии в Европе они по чину занимали место непосредственно после великого визиря, затем, поскольку их местопребывание прежде было резиденцией венгерских королей, они имели право пользоваться каретой или лодкой, посылать впереди себя форейторов, так же, как это делали багдадские и каирские паши, которые также представляли султана в резиденциях великих династий.

Но для того, чтобы быть настоящим господином оккупированной турками Венгрии, недостаточно было быть трехбунчужным пашой, одержавшим многочисленные воинские победы, надо было одновременно быть и опытным дипломатом. Стамбульское правительство требовало, чтобы будайский паша выполнял и дипломатическую деятельность и **непосредственно** представлял интересы Османской империи. Османская династия неохотно представляла такую большую компетенцию своим губернаторам, находившимся в далеких краях, так как мало расчитывала на их верность. Несмотря на это она все же распространила права будайского наместника, охраняющего интересы на далеком западе, и на область дипломатии. Будайских пашей даже обязали внимательно следить за отношением к Османской империи райо-

---

[2] L. Tardy, Relations entre la Hongrie et la Géorgie aux XIIIe—XVIIIe siècles. (In: Bedi Kartlisa, revue de kartvélologie, Paris, 1968, vol. XXV, pp. 119—123.)

[3] L. Fekete, Budapest a török korban, Budapest, 1944.

нов Венгрии, не оккупированных турками, а также стран династии Габсбургов, Венеции, Польши и Трансильвании и в случае необходимости вести с ними межгосударственные переговоры. Уже после смерти султана Сулеймана в 1567 году стамбульский диван известил будайского пашу, что с империей Габсбургов заключен восьмилетний мир и что дальнейшие переговоры, связанные с заключением мира, должен осуществлять будайский паша. К концу столетия эта функция будайских губернаторов стала настолько обычной, что один из них не без основания хвастался: «Без моего ведома и согласия не может быть заключен мир между двумя императорами»[4]. Мы должны согласиться с определением Лайоша Фекете, что власть будайского пашы была почти равнозначна власти монарха.

Среди будайских пашей — большинство их были турками — мы находим и большое число лиц иной национальности[5]. Среди них попадались персы, итальянцы, штирийцы, албанцы и т. д.; в гораздо большем числе представлены среди них грузины, черкесы и абазы. Турецкая историография пренебрегает публикацией данных, относящихся к происхождению, а венгерские источники располагают, естественно, очень скудным в этом отношении материалом. Так что здесь мы упомянем из числа будайских пашей тех, грузинское, абазское и черкесское происхождение которых бесспорно.

Список этих лиц открыл абхазец по национальности Визирь Ипсир Мустафа, который занимал пост бейлербея Венгрии с 5 февраля 1639 года до 19 февраля 1640 года. Небольшой народ кавказского причерноморско-горного района — абхазы — в то время стал приверженцем ислама и посылал на службу Османской династии многих выдающихся своих мужей. Ипсир Мустафа совсем молодым попал в сераль султана, где в 1639 году он уже главный шталмейстер, а затем будайский паша. В 1640 году он вынужден был оставить этот пост, но и после этого занимал высокие должности: был пашой Румелии, Ван, Карамании, Анатолии, Сиваси. Дамаска и Алеппо; затем в 1654 году он стал великим визирем, женился на дочери султана, но вскоре попал в немилость и полгода спустя был казнен.

Абхазом по национальности был и Визирь Сиявус, бывший будайским пашой с марта 1648 года до августа 1650 года. 6 января 1639 года он был еще только силихдар ага, в 1640 году член дивана и в том же году получает пост капудан-паши. С 1644 года эрзерумский паша, затем губернатор будайского эялета. После своего отзыва дважды занимал должность великого визиря.

Визирь Гюрджи Кенан родился в Грузии. Вырос в султанском серале. В 1655 году — янычар-ага, в 1655 году он получает звание визиря и 22 сентября того же года становится губернатором Буды. С большими или меньшими перерывами он до 1663 года четыре раза занимал пост будайского паши.

Визирь Сейди Ахмед — черкес. Был рабом египетского паши Бакирджи Ахмеда, а после казни своего господина попал в сераль султана. В 1654 году анатолийский паша, затем ему поручают охрану Дарданелл. 21 марта 1659 года стал будайским пашой, но уже 28 мая 1660 года был освобожден от этой должности, а затем 17 июня 1661 года казнен по приказу султана.

---

[4] G. Jacob, Aus Ungarns Türkenzeit, Frankfurt a. M., 1917.

[5] A. Gévay, A'budai pasák, Eécs, 1811.

Визирь Сари Гуссейн, бывший будайским пашой в 1663—1664 годах, также был абхазом по национальности. После пребывания в Венгрии служил Османской империи в качестве алеппского, а затем дамасского паши.

Визирь Гюрджи Мохамед также только два года находился во главе будайского эялета. Родился в Грузии. Был киаяем великого визиря Кюприли Мохамеда, а затем великого визиря Кюприли Ахмеда. В 1662 году назначен пашой Диарбекира. Отсюда попал в Алеппо, затем в 1664 году в Буду. В 1665 году взял в жены дочь султана Мохамеда IV. Умер в 1666 году, будучи будайским пашой.

Как видно из этого перечисления, в период с 1655 по 1666 год пост турецкого губернатора в Венгрии почти непрерывно занимали паши грузинской, черкесской или абхазской национальности — Гюрджи Кенан, Сейди Ахмед, Сари Гуссейн и Гюрджи Мохамед.

Из некоторых данных можно прийти к такому заключению, что бейлербеи, прибывшие в Венгрию с Кавказа, попали на этот высокий пост не только благодаря своей храбрости, но и вследствие иных своих способностей.

Если в наши дни посетитель города пройдет по импозантным, вызывающим к себе уважение мраморным залам бывшего будайского дворца в Будапеште, то не раз натолкнется на следы пашей грузинской национальности.

Башня, на которой ныне установлен памятный камень последнего будайского паши, была построена по приказу паши Визиря Сиявуса в период с 1648 до 1650 год и ее назвали его именем «Сиявус паша-кулеси», то есть башней паши Сиявуса. От нее недалеко расположилась «Касим паша-кулеси, строить которую в 1663 году начал паша Визирь Гюрджи Кенан. Паша Касим только завершил строительство этой башни[6].

Паша Испир Мустафа вписал свое имя в историю Трансильвании тем, что вмешался в спор о престонаследие между Ракоци Дьердем и Иштваном Бетлен[7]. Его послы побывали и в Вене, чтобы содействовать прекращению кровопролитных пограничных инцидентов[8].

Визир Гюрджи Кенан помог взойти на престол Трансильвании Акоду Барчаи[9]. Отличные военные способности его преемника Визиря Сейди Ахмеда, правда, не смогли остановить медленно приближавшегося крушения власти Османской империи в Венгрии, но оказались достаточным для того, чтобы одержать полную победу над трансильванским владетельным князем Ракоци Дьердем II и таким образом нанести решительный удар самостоятельности страны[10]. В то же время венгерский летописец того времени Янош Линциг с исключительным признанием вспоминает о рыцарстве Сейди Ахмеда, о том, как умел он уважать и ценить в неприятеле храброго человека[11].

Визирь Сари Гуссейн за время своего пребывания на посту губернатора Буды привил здесь европейские обычаи. Как подчеркивает ан-

---

[6] См. цитированный труд Л. Фекете, стр. 76 и 78.

[7] Schmitth, Nicolaus: Imperatores ottomanici etc, Tom. 2, Pars 4, 1749, pp. 83—84.

[8] Meyern, Martin: Ottelius Redivivus, Frankfurt a, M., 1665, Theil 2, p. 130.

[9] I. Karácson, Török történetirók, III. köt. 1566—1659, Budapest, 1916, 409—413. l. és Kóvári L.: Erdély története, Pest, 1863, V. köt. 70—75. l.

[10] L. Kóvári, цит. труд, стр. 93—95.

[11] Uj Magyar Muzeum, 1855, 336—340, l.

глийский лорд Генри Говард, паша предложил ему и сопровождающим его лицам стулья и проявил иное внимание[12].

Визирь Гюрджи Мохамед пользовался таким большим авторитетом, что венецианцы и марлаки попросили его быть третейским судьей в их пограничных спорах[13].

Однако историки, в первую очередь турецкий путешественник Эвлия Челеби[14], зафиксировали в Венгрии наряду с будайскими пашами довольно большое число имен турецких пашей и старших офицеров — по национальности грузин, черкесов или абхазов. Кроме того, нам достались в наследство интересные памятники — корреспонденции представителей власти того времени в Венгрии и в Стамбуле, грузин по национальности, в том числе каймакама Визиря Гюрджи Мохамеда. Надо отметить также и то, что осаду Буды в 1684 году обрекли на неудачу, наряду с героической защитой ее бейлербеем пашой Сейтаном Ибрагимом и караманийским бейлербейем Рустемом, сражавшиеся здесь диарбекирский бейлербей Сиявус (не путать с уже упомянутым ранее будайским пашой с таким же именем), абхазец по национальности, и и черкес паша Ахмед. Христианским войскам только в 1686 году удалось снова взять в свои руки крепость Буду, но геройски сражавшийся в 1684 году паша Сиявус и в этот раз участвовал в боях; своими контратаками он дважды угрожал победой сторонников императора[15].

Как мы видели, самый западный район турецкой империи — Будайский эялет — не один раз возглавляли губернаторы, попавшие сюда из кавказских стран. Но надо упомянуть еще и о Джафаре, самом знаменитом тебризском паше, который был венгром по национальности. Этот паша Джафар сыграл такую же трагическую роль в истории Грузии, как паша Сейди Ахмед в истории Трансильвании.

В июле 1597 г. послы грузинского царя Симона прибыли ко двору императора и венгерского короля Рудольфа, чтобы просить помощи для защиты от турок[16]. В этих же целях царь Симон уже раньше вступил в контакт и с трансильванским владетельным князем **Бигмондом Батори**[17]. Возможно, что Блистательная Порта получила сведения о «диалоге», складывавшемся между ее западным и восточным, но такими далекими друг от друга соседями, потому что в ноябре 1587 г. султан Мурад III сообщил князю, что его войска, сражающиеся с грузинами, одержали большую победу, кого обезглавили, кого пленили и т. д. Ко всему этому письмо султана добавляет: «Поскольку в моей империи везде радуются победе над грузинами, тебе также подобает вместе со всеми своими подданными сильно радоваться и веселиться»[18]. На это властелин Трансильвании, в роду которого были грузины и черкесы, 6 декабря 1587 г. вынужден был ответить султану следующее: «Я понял, что войска Вашего Величества под командованием паши Ферхада одержали победу над грузинами. Я также очень обрадовался этой вести и поблагодарил Господа, что Ваше Величество

[12] Burbury, John, A relation of a journey of...Lord Henry Howard. 1671, pp. 81—83.

[13] N. Schmitth, цит. труд, том 2, часть, 4, стр. 292—293.

[14] Evlia Cselebi, török világutazó magyarországi utazásai, 1660—1664, Ford. Karácson I. I—II., köt., Budapest, 1904—1908.

[15] Fekete Lajos, цит. труд, стр. 45, 47, 71.

[16] L. Tardy, цит. труд, стр. 124—125.

[17] Там же, стр. 123.

[18] E. Veress, Báthory Zsigmond levelezése, Kézirat, Magyar Tudományos Akadémia Könyvtárának kézirattára Ms. 424, f. 14.

покорило такого важного врага»[19]. Однако, естественно, это не помешало Жигмонду Батори продолжать через посредство папского нунция по-прежнему интересоваться союзом с грузинами.

Тайные переговоры между царем Симоном I и Жигмондом Батори по вопросу о совместном выступлении против турок еще продолжались, когда султан в 1596 году назначил пашу Джафара губернатором Тебриза.

Паша-Джафар, или Хадим Джафар, родился в Венгрии на территории области Бекеш неподалеку от города Дьюла, в семье венгров. Его биографические данные дошли до нас благодаря турецкому историку Печеви, который в 1660-е годы под именем Эфенди Ибрагима написал историю турецкой империи с 1521 по 1631 год[20]. Джафара и его брата турки увезли из Венгрии в 1552 году[21]. Судя по другим данным, они уже в 1548 г. находились на службе у турок[22].

Джафар также воспитывался сначала в султанском серале, затем начал свою военную карьеру по случайному стечению обстоятельств, именно на своей родине — в Венгрии. Он служит султану сначала как санджак-бек в Дюла, а затем в Секешфегерваре, но в период после 1583 года уже занимает пост бейлербея Дамаска.

В 1585 г. паша Осман захватил Тебриз, и после того как он отремонтировал стены этой крепости, паша Джафар получил уже будучи визирем пост губернатора Тебриза. Весной 1586 г. Тебриз штурмовало персидское войско, насчитывающее 30000 человек. Джафар проявил здесь небывалую храбрость и способности полководца. Почти целый год он смело оборонял крепость, пока не прибыли войска уже упомянутого выше сердара паши Ферхада, отогнавшие персов от крепости.

Затем — после одного отражения попытки персов штурмовать крепость — Джафар примкнул к войскам паши Ферхада и участвовал в завоевании Карабаха (по этому случаю султан Мурад III послал добрые пожелания трансильванскому князю), а затем в укреплении Ганджа.

В 1590 году кызылбаши в третий раз атаковали пашу Джафара, который находясь в тебризской крепости, постоянно опустошал соседние территории. Несмотря на большое численное превосходство атакующих, Джафар одержал блестящую победу, за что получил благодарность султана.

Во время своего пребывания на посту губернатора Тебриза Джафар с такой жестокостью расправился с солдатами гарнизона, недовольными жалованьем, что сам Печеви так подводит итог его деятельности в этой крепости: «Хотя нет и малейшего сомнения в том, что необходимо было наказать тебризских повстанцев, ради защиты достоинства султана, эта вина полностью затмила заслуги Джафара, приобретенные им в многочисленных войнах», — и добавляет: «Он в течение полных восьми лет был бейлербейем тебризского эялета. За это время даже сердар, стоявший во главе всех мусульманских войск, не сделал с персами и грузинами того, что он сделал с ними».

---

[19] E. Veress, Bathory Zsigmond Zevelezese, Kezirat, Magyar Tudomanyos Akademia Konyvtaranak kezirattara Ms. 421, f. 16.

[20] J. Thury, Dsáfer pasa. Hadtörténelmi Közlemények, 1892, 399—403 l.—См. того же автора: Pecsevi viszonya a magyar történetiráshoz, Századok, 1892.

[21] J. Hammer, Geschichte des osmanischen Reiches, Pest, 1829, IV. köt. 7. l.

[22] E. Hurmuzaki, Documente privitoare la Istoria Romanilor, Vol. II,, P. I., Bucuresci, 1891, p. 253.

Во второй половине 1594 г., мы находим Джафара уже в Ширване, где он в течение полугода был губернатором большой провинции, разбитой на 14 районов. Отсюда он попадает на европейский театр военных действий, участвует в походе на Валахию, затем с пашой Джеррахом — также венгром по национальности — будущим великим визирем, в районе села Керестеш в Верхней Венгрии разбивает не только войска императора, но и армию трансильванского владетельного князя Жигмонда Батори. Джафар, как пишет Печеви, и в этой битве проявил исключительную личную храбрость.

По его собственной просьбе — по всей вероятности, в виде награды — Джафара снова назначают губернатором Тебриза. Как пишет Печеви, «вся Персия всполошилась, что вернулся паша Джафар». Но на этот раз лишь один-два года продолжался его гнет над персами и грузинами, потому что приблизительно в 1600 году он умер. Но до этого, однако, у него еще было время для «достойного» завершения своего владычества.

О грузинском царе Симоне I — жизненный путь и героическую борьбу которого высоко ценили и его современники в Европе[23], здесь нет надобности вспоминать более подробно. Известно, что он посвятил всю свою жизнь освобождению родины и не щадил своих сил ни на поле брани, ни в дипломатии. Победоносная его война с турками уже открыла перед его родиной возможности скорого освобождения, однако после ожесточенной битвы близ села Нахидури паша Джафар взял в плен храброго царя, надежду Грузии[24].

Однако, в этом случае паша Джафар не проявил своей обычной жестокости и удостоил благородного пленника большим уважением и честью. Симона I отправили в Стамбул, где он до конца своих дней содержался пленником в крепости Еди-куле.

Подлинные грузинско-венгерские связи того периода мы находим в первую очередь в непосредственных контактах, связывавших Трансильванию и Грузию, в союзнических переговорах, ведшихся в Стамбуле и других местах, в путешествиях Петера Бедика и других венгерских дипломатов. Но картина была бы неполной, если бы мы хотя бы очень коротко не описали бы деятельность в Грузии пашей венгерской национальности, а в Венгрии — пашей грузинской национальности.

---

[23] См. например: Avviso di vna rotta data dal S. Michele Vaivoda di Valacchia a Mamut Visir, nella Bulgheria presso a Ruscich, al fine del mese d'Aprile MDXCIX, et de i progressi del Rè Giorgiano contra il medesimox Turch. Publicato per Bernardino Feccari alla Minerua. Con licenza de' Superiori. In Roma, appresso Nicolò Mutij. MDXCIX.: „...Per queste triste nouelle Ibraim destinato Generale nel' Vngheria, andaua prolugando la sua partenza, et faceua ogni opera per non venire. Nell'istesso tempo, che sono seguite queste fattioni nella Bulgheria, non passauono più felicemente le cose de Turchi in Asia, trouandosi Simone Rè di Giorgiâ in campagna con 20 mila braui archibugieri, et 5 mila caualli, nel paese d'Arzeron, doue mettera ogni cosa â ferro, et a fuoco, et hauea presso quattro terre, et acquistati parecchi pezzi d'artigleria minuta, di modo, che potiamo sperare che con l'aiuto di Dio le cose de' Christiani seino per ricevere il presente anno molto augumento".

[24] Бердзенишвили Н., Джавахишвили, И. Джанашиа, С.: История Грузии, ч. 1, Тбилиси, 1946, стр. 340 — По турецким источникам несколько иначе у Гаммера, цит. труд, том IV, стр. 303.

რევაზ კიკნაძე

ქამთააღმწერლის თხზულების ერთი ადგილის შევსებისათვის

მონღოლური ულუსების პოლიტიკურ ორბიტაში მოქცეულ საქართველოს სშირად წვდებოდა იქ მიმდინარე სხვადასხვა რიგის მოძრაობათა საკმაოდ ძლავრი ტალღა, რაც არცთუ იშვიათად არსებით გავლენას ახდენდა როგორც ხალიანად ქვეყნის, ისე ცალკეულ მოღვაწეთა ბედ-იღბალზე. მსგავს მოვლენათა შორის საინტერესო ჩანს ვინმე ღალღურის[1] მოქმედება საქართველოში IIII საუკუნის 70-იან წლებში. ქამთააღმწერლის მიხედვით, ხსენებული ღალღური დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა მეფე დავით VI ნარინთან. ქ ის და რაჭის ერისთავი კახაბერი „შეიზრახნეს“, რომ დავითს განდგომოდნენ და ილხან აბაღას ხლებოდნენ. შეთქმულებმა სისრულეში მოიყვანეს განზრახვა და ჯავახეთის მთაზე მდგომი მონღოლი სარდლის ალინაყის შეწევნით ილხანის კარზე მივიდნენ. შემდეგ მათ დავით ნარინის შესაპყრობად მოწყობილ ლაშქრობაშიც მიიღეს მონაწილეობა[2]. ამავე დროს, ქართველი ისტორიკოსის სიტყვებიდანვე ირკვევა, რომ ეს ღალღური არც აბაღა-ხანის ერთგული ყოფილა. ქამთააღმწერლის ცნობით, განაწყენებულ აბაღას ასეთი სიტყვებით მიუმართავს თავისი ერთ-ერთი სარდლისათვის: „მეფე დავით ესეიდენთა განდგომილებათა იქმს, რამეთუ მისს არა კმა იყოფს, და ყოველთა განდგომილთა ჩუენთა თანა შეეწევის, ვითარ თეგუდარს[3], და აწ ღალღურს“[4].

როგორც ვხედავთ, ქამთააღმწერლის თხზულებიდან გარკვევით არ ჩანს, საბოლოოდ ვისი მომხრეა და ვის ებრძვის ღალღური. თავის დროზე აკად. ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ „ღალღურ თუ იალხურ ყაენის განდგომილი მოწინააღმდეგე ყოფილა... დავით მეფეს კვლავ ყაენის მტრისა და აჯანყებულისათვის თავშესაფარი და სახიზნარი მიუცია“[5]. უკანასკნელ ხანს ამავე საკითხით საგანგებოდ დაინტერესდა ი. სიხარულიძე. იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „სინამდვილეში ეს პირი (ე. ი. ღალღური — რ. კ.) უფრო განდგომილების ნიღაბს შეფარებული აგენტი ჩანს, ვიდრე საილხანოდან ჭეშმარიტად ოტოლვილი პოლიტიკური დამნაშავე“[6].

---

1 „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში ეს სახელი სხვადასხვა დაწერილობით არის შემონახული — ღალღურ, აღალურ, აღალარ, აღლარ, ღალხურ, იალხურ, აღლურ (ვახუშტისთან — ალღურ).

2 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 268.

3 თეგუდარს (ან უფრო სწორად—ნეგუდარის) აჯანყების შესახებ იხ. Рашид-ад-дин, Джами-ат-таварих, Баку, 1957, სპარს. ტექსტი, გვ. 111—113; რუსული თარგმანი, გვ. 72—73; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 257—267.

4 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 268.

5 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 202.

6 ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIII—XIV სს-ში, თბ., 1967, გვ. 146.

მკვლევრებმა ყურადღება მიაქციეს აგრეთვე საკითხსაც, თუ როგორ აღმოჩნდა ღალღური დასავლეთ საქართველოში. ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „იმ წყაროში, საითგანაც ჟამთააღმწერელს თავისი ცნობები ამოუღია, დასავლეთ საქართველოს შესახებ საგანგებოდ ყოფილა საუბარი და საფიქრებელია იქ საქმის მთელი გარემოებაც იქმნებოდა მოთხრობილი, თუ როგორ მოხდა, რომ ღალღური თუ იალღური დასავლეთ საქართველოში შეიხიზნა და თავი დავით რუსუდანის ძესთან შეაფარა. ჟამთააღმწერელს ამის შესახებ არავითარი ცნობები არ მოეპოვება და მისი მოთხრობა მარტო ამ იალღურის უკანასკნელ საქციელს გვისურათებს“[7]. ი. სიხარულიძემ უფრო ჩაღრმავებული კვლევის შედეგად დაასკვნა, რომ ღალღურის იმერეთს შეხიზვნა „საილხანო კარის იმავე პოლიტიკას უკავშირდება, რომლის ერთ-ერთი ეპიზოდია თათართა ელჩების ჩასვლა დას. ევროპაში 1274 წ.“[8].

როგორც ვხედავთ, ღალღურთან დაკავშირებით ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია ერთმანეთის გამომრიცხველი ორი ვარაუდი: 1. ღალღური ილხანის განდგომილი პირია. 2. ის ილხანის მიერ საქართველოში შემოგზავნილი აგენტია[9]. ასევე, გარკვეული არ არის, თუ როდის და რა გზით მოხვდა ხსენებული ღალღური დასავლეთ საქართველოში.

უნდა აღინიშნოს, რომ ჟამთააღმწერლის ცნობით, „ზ ე მ ო ჯ ს ე ნ ე ბ უ ლ ნ ი ღალღურ და რაჭის ერისთავი კახაბერი შეიზრახნეს“[10]. მაგრამ თუ კახაბერის სახელი მართლაც ადრეც გვხვდება ჟამთააღმწერელთან[11], ღალღური იქ მანამდე არსად იხსენიება. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა და აღნიშნა, რომ ჟამთააღმწერლის მიერ გამოყენებულ წყაროში ღალღური უთუოდ ზემოთაც იქნებოდაო მოხსენიებული[12]. ამგვარად, მეცნიერს შესაძლებლად მიაჩნდა, რომ ჟამთააღმწერელს, თავისი წყაროს გავლენით, უნებურად, ანგარიშმიუცემლად ეხმარა ღალღურის მიმართ სიტყვა „ზემოჯსენებული“. ამ რამდენიმე წლის წინ ჩვენც შევნიშნეთ ჟამთააღმწერელთან მსგავსი შემთხვევა (მონღოლური სარდლების ჯებესა და სუბუდაის ხსენებას რომ ეხებოდა) და ამის გამო ვწერდით: „რომ ავტორს მართლაც არ ჰყოლოდა ისინი ნახსენები, არა გვგონია, რომ ასე დაეწერა. ჩვენი ავტორი საერთოდ დაკვირვებული ადამიანია. თავის თხზულებაში იგი არაერთხელ გვპირდება ამა თუ იმ ამბის შესახებ საუბრის დროს — „ვითარცა ქვემორე

7 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 202.

8 ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 147, ადრე ავტორს იმდროინდელი საერთაშორისო ვითარების ფონზე აქვს შეფასებული ნარინ დავითისა და აბაღა-ხანის ურთიერთობა და ილხანის მიერ ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მოსაწყობად მიღებულ ზომათა რიგში განიხილავს ღალღურის დასავლეთ საქართველოში შესვლას (იქვე, გვ. 145—146).

9 ი. სიხარულიძეს ღალღურის საქართველოში „დაზეერვითი“ საქმიანობის საკმაოდ გამართული სურათი აქვს დახატული. მისი სიტყვით, „ღალღური ილხანის კაცი ჩანს და სპეციალური დავალებით მისგანვეა შეგზავნილი იმერეთში. დავით ულუს, ზაქარია მხარგრძელის, თეგუდარის თუ სხვათა პრეცედენტით საილხანოს კარზე კარგად იცოდნენ დავით ნარინის დამოკიდებულება ამგვარი პირებისადმი, ამიტომ, მეფესთან ბრძოლის ახალი გზა აირჩიეს და ცრუგანდგომილი შეუგზავნეს. ღალღურმა შეისწავლა საქმის ვითარება, იმერეთის გზები, კავშირი გაბა მეფის მოწინააღმდეგე ძალებთან (კერძოდ, რაჭის ერისთავთან) და შემდეგ წაუძღვა თათრებს ქუთაისზე“ (ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 147).

10 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 268 (ხაზგასმა ჩვენია).

11 იქვე, გვ. 243.

12 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 202.

სიტყვამან ცხად ყოს"-ო და თითქმის ყოველთვის ასრულებს დაპირებას"[13]. ჩვენ ახლაც ვფიქრობთ, რომ ჟამთააღმწერელს ბრმად კი არ გადმოუწერია ეს სიტყვები თავისი წყაროდან, არამედ მართლაც ჰყავდა ზევით ნახსენები ღალღური (ისევე, როგორც ადრე ჯებე და სუბუდაი), მაგრამ „ქართლის ცხოვრების" დღეისათვის ცნობილ ნუსხებს არ შემოუნახავთ სათანადო პასაჟები. ამ ვარაუდს სავსებით ადასტურებს XVII საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე.

ფ. გორგიჯანიძის საისტორიო თხზულების ე. წ. მეორე, ჯერაც გამოუცემელი ნაწილი[14], რომელშიც XII ს-ის უკანასკნელი მეოთხედისა და XIII ს-ის ისტორია არის გადმოცემული, „ქართლის ცხოვრებაში" შემავალი მატიანეების მიხედვით („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", ჟამთააღმწერლის თხზულება) არის გამართული. გორგიჯანიძეს, რომელიც ირანში მოღვაწეობდა სეფიანი შაჰების კარზე და იქვე წერდა თავის თხზულებას, როგორც ჩანს, ხელთ ჰქონდა „ქართლის ცხოვრების" საკმაოდ შერყვნილი ნუსხა. ამის გამო, როგორც სავსებით სამართლიანად აღნიშნავენ მკვლევარნი, ფარსადანს ცოტა შეცდომა როდი მოსვლია ამ ნაწილში. მაგრამ ამავე დროს მის მიერ გამოყენებულ ნუსხაში ბევრი ადგილი უფრო სწორად და სრულად ყოფილა გადმოცემული, ვიდრე „ქართლის ცხოვრების" ამჟამად ცნობილ ნუსხებშია. სწორედ იმით არის ჩვენთვის ძვირფასი ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულების მეორე ნაწილი, რომ მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება „ისტორიათა და აზმათა" და ჟამთააღმწერლის ნაწარმოების ბევრი ადგილის აღდგენა, გასწორება, დაზუსტება და შევსება[15].

ერთ-ერთი ასეთი ადგილია ღალღურის საქართველოში მოქმედების ამბავი, რაც, როგორც ვნახეთ, ნაკლულად შემოუნახავთ „ქართლის ცხოვრების" ნუსხებს, მაგრამ, სამაგიეროდ სრულად აქვს დაცული ფარსადან გორგიჯანიძეს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფ. გორგიჯანიძის საისტორიო თხზულების ავტოგრაფულ ნუსხაში, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული[16], სამ ადგილას ჩაკერებულია ზედმეტი ფურცლები (სულ 21 ფურცელი). ამ ჩანართ ფურცლებზე რამდენადმე განსხვავებით, ხელმეორედ არის გადმოცემული ერთხელ უკვე მოთხრობილი ამბები XIII ს-ის საქართველოს ისტორიისა[17].

13 რ. კიკნაძე, ჟამთააღმწერლის სპარსული წყაროები, „კავკასიურ-აღმოსავლური კრებული", II, თბ., 1962, გვ. 150—151.

14 ფ. გორგიჯანიძის საისტორიო თხზულების ნაწილების შესახებ იხ. ივ. ჯაფარიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 291—298.

15 იხ. რ. კიკნაძე, კიდევ ერთი ქართული წყარო ლაშა გიორგის ისტორიისათვის, კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში", თბ., 1966; რ. კიკნაძე, ფ. გორგიჯანიძის ერთი ქართული წყაროს შესახებ, „მაცნე", ისტორიის სერია, 1971, № 2; რ. კიკნაძე, ფ. გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", „ქართული წყაროთმცოდნეობა", IV (იბეჭდება).

16 ეს ნუსხა შემთხვევით ორად არის გაყოფილი და სხვადასხვა ნომრით აღწერილი (იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, H ფონდი, ტ. V, თბ., 1949, № 2140, 2492). აქედან გადაწერილი ორი ნუსხა არის აგრეთვე ლენინგრადში. იხ. Р. Р. Орбели, Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР, М.-Л., 1956, № 5 (Н 23), 6 (Н 41).

17 ლენინგრადულ H 23 ნუსხაში, რომელიც თეიმურაზ ბაგრატიონისათვის გადაუწერია სვიმონ ტაბიძეს 1841—1843 წლებში, ჩანართი ფურცლები ბოლოშია გატანილი საერთო სათაურით: „ამ ისტორიის დედანშია შუა და შუა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ეს თათრების ამბავი იყო. ამისთვის არ დაუტევეთ, რომ გამოდგება ისტორიისათვის".

ზოგჯერ განსხვავება ძირითად ტექსტსა და ამ მეორე ვარიანტს შორის საკმაოდ დიდია. ამიტომ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ფარსადანს „ქართლის ცხოვრების“ ორი სხვადასხვა ხელნაწერით უსარგებლია. ასეთი ე. წ. მეორე ვარიანტი აქვს ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ნაწყვეტსაც.

თეგუდარის (ნეგუდარის) აჯანყების ჩაქრობის ამბის მოთხრობის შემდეგ ჟამთააღმწერელი აღნიშნავს, რომ „ყაენმან აბაღა მრავალნი ნიჭნი და ძღუენი წარაველინა მეფესა დავითს წინა, და ქართლს მრავალნი სოფელნი და ატენი მისცა“[18].

ზუსტად ამასვე გადმოგვცემს ფარსადანიც: „ამას უკან აბაღა ყაენსთან პატივი იპყრეს თაგვთარისაგან, მრავალი ნიჭნი და ძღვენი გაუგზავნეს მეფეს დავითს წინ და ქართლში მრავალი სოფლები მისცეს, ატენი და გარეშემონი თემნი მისნი“[19]. ამას მოსდევს ვრცელი თხრობა, რომელიც არ მოიპოვება ჟამთააღმწერლის თხზულების დღეისათვის ცნობილ ტექსტში. რამდენადაც ამ, ჯერაც გამოუქვეყნებელ, ნაწყვეტში ბევრი საყურადღებო ცნობაა შემონახული და, ამავე დროს, პირველსა და მეორე ვარიანტებს შორის ზოგჯერ თვალსაჩინო რედაქციული სხვაობაა, მოგვყავს უცვლელად ორივე ვარიანტი:

მას ჟამს ყოველ წელს საშემოდგომოთ წავიდიან ქართველნი და თათარნიც, მათთან მეფე დავით და სპა მისი, მიეიდიან ყაბალის ბოლოს, სამძღვარსა საქართველოსასა, საცა შარეაშიან[ნ]ი ღობეს შემოავლებდენ წყლის პირსა, რომელსაც სიბათ იხმობდეს, და ზამთ[ა]რს იქ იქნებოდენ და გაზაფხულისას აიყრებოდენ. ამ ჟირში იყვნენ მეფე და ყოველნი ქართველნი.

აწე ასტყდა სხვა შფოთვა, რომე ზემოხსენებული ყაენის შვილ[ს] თანა�ნი თათარნი დარჩომილ იყვნენ, რომელსაც აღნარობით იხმობდენ. ამათი თავადი იყო საჭელათ იეღლურ. წამოეიდა ბარგითა, დედაწულითა, სიმდიდრითა მათითა, გარდიარნეს მთანი ლეხისანი და მიეიდნენ არგვეთს მეფეს დავითს თანა. მეფე კარგად დახედა, მრავალი ნიჭი უბოძა და სარჩოთ გაუჩინა ქვეყანა რაჭისა. სცნა აბაღამ შესვლა აღნარის ლეხტ-იმერითს, ეწყინა და მეფეს დაემდურა, და წაართვა ატენი და რომელიც ქვეყანა მიეცათ. ამისმან მცნობელმან მეფემან უბრძანა იეღლურსა და სპასა მისსა დარბევა ქართლისა. მათაც დაიწ-ეს რბევა, ხოცა და ტყვეთ წასხმა, ოხრება ცხეთამდისინ.

ქართლის მეფე, გიორგი მეფის ლაშის შვილი დავით დაბერებულ იყო და თათართ ლაშქრობისაგან შეზარებულ იყო, ნამეტნავად სიბაზე წასელისა აღარ აქონდა ღონე. მისწერა ზემორე ხსენებულთა ოსთა, შეგროვდენ

ამ ჟამს ყოველს წელს შემოდგომით გაზაფხულამდისინ თათარნი და მეფე დავით ქართველთ ჯარით შ[ი]რვანს მიეიდიან მცველთა ყაბალის ბოლოს დადგიან, სად სამძღვარსა ქართლისა, სად თხრილითა და ღობით ეიციხე სახიზართ გაემაგრებინა ბერქა[ა]ნთ გამოსვლის შიშითა და სიბას ეძახდენ. ამ საქმით შეღონებულ იყო მეფე დავით.

აღიძრა საქმე ესე, რომე ზემორე ხსენებული ყაენის შვილთა თანა[ა]ნი თათარნი დარჩომილ იყვნეს, რომელსა აღნარობით იხმობდენ. ამათში თავადი იყო, საჭელათ ერქვა იეღლურ. წამოვიდნეს ცოლ-შვილითა და ბარგითა და ყოვლითა სიმდიდრითა მათითა, გარდვიდნეს მთასა ლეხისასა, მიეიდნენ არგვეთს. მოვიდნენ მეფეს დავითის წინ. მეფე კარგად ეახედა, გაუჩინა სარჩოთა და საგმურათ ქვეყანა რაჭისა. აბაღ ყაენს მოახსენეს შესვლა იეღლურისა იმერეთს. უწყინა ყაენმან შეშვება მისი მეფეს დავითს და წა[ა]რთვა ატენის ჭეობა. მეფემანც უბრძანა იეღლურსა და თვითაც ჯარი მიაშველა, დარბევა[დ] ქართლისა. ააოხრეს ცხეთამდისინ.

და მეფე დავით შეწყენილი და მოუცელი იყო შირვა[ნ]ს მცველათ სიბისათა და აღარ იყო ღონე. აცნობა ზემოხსენებულ ოსთა, შეჰკრან ყოვლი გზანი. გაზრახეითა სურამელისათა გრიგოლისათა უბოძა გორის ციხე-ქა-

18 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 267.

19 ხელნაწ. H 2140, ფ. 84v. შდრ. მეორე ვარიანტი: „და აბაღ ყაენმან თაგვთარის აღარშველისათვის რუსუდანიძეს დავითს მრავალი წყალობა უყო ოქრო-ვერცხლითა და ქართლში ატენის ხეობა თავისის გარეშე სოფლებით უბოძა“ (იქვე, ფ. 232r).

ველანი. სურამელის გრიგოლის საქმით და მისის შვილის ბეგას რჩევით, მისცა გორის ციხე და ქალაქი, დაუყენა წინ საომრათ იელღურსა და იმერლებსა, დაიცონ ქართლი. უწინარეს ამას მოეყვანა თათარი თანღუთ, საქელათ ჯანას, მყოლებელი მჭედრის ხუთასისა, იმავე ბეგას გაძრახვითა, რომე მანვე დაიცვა ყარი დარალამისა და გზანი დვალეთისა და ოსეთისა, რომე ეს კეთილათ იქნა. მათ ეამად დაიცვა ქვეყანა ოსთაგან, რომელთა მთავარნი იყვნენ ძმანი ორნი, უფროსი ფარანჯენ და უმცროსი ბაღათარ, ზემორე ხსენებულის ლიმაჩავის ძენი (ფ. 84v—85r).

ლაქი და სამკვიდრო მისნი, და დახვდენ იელღურსა და იმერელთა, დაიცონ ქართლი და ამათაც არბიონ რაჭა და იმერეთი. და უწინ ამისას მოეყვანა თიღუნთ ნათესავი, მყოლებელი ხუთასის კაცისა, სახელათ ჯასან, ბეგასვე გაზრახვითა, რომე მან და ბეგამ დაიცვან ყარი დარალამისა და გზა დასავლეთისა. და გაუჩინა საზ[ა]მთროთ სადგომათ მუკრანი და საზაფხულოთ მთიულეთი. ეს კარგად იქნა და ამას უკან ოსთაგან დაიცვა ქვეყანა. რომელიც თავადობდა, იყვნენ ორნი ძმანი, უფროს[ს] ერქვა ფარეჯან და უმცროს[ს] ბაღათარ, ლიმვაჩის ძენი. (ფ. 232r—232v).

როგორც ვხედავთ, ამ არცთუ ვრცელ ნაწყვეტში რამდენიმე საინტერესო, სრულიად ახალი ცნობაა მოტანილი.

ჯერ ერთი, ზუსტად არის ნაჩვენები საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი. ქამთააღმწერლის მიხედვით, პოლიტიკური საზღვარი საქართველოსა და შირვანს შორის გადიოდა მდინარე ჩაღან-უსუნზე, შამახიის მთის ძირას[20]. საქართველოს ეთნიკური საზღვარი კი უფრო დასავლეთით, გიშის წყალზე იდო[21]. ქვეყნის ეთნიკურსა და სახელმწიფო საზღვარს შორის მოთავსებულ მხარეს ყაბალა ერქვა[22]. როგორც ვნახეთ, ფარსადანიც ამასვე აღნიშნავს, საქართველოს საზღვარი ყაბალის ბოლოში გადიოდაო.

ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებაში მიკვლეული ახალი ცნობები შესაძლებლობას იძლევა საბოლოოდ გაირკვეს ღალღურის ვინაობა და მისი დასავლეთ საქართველოში მოხვედრის მიზეზებიც დადგინდეს.

ირანში მოსულ ჰულაგუს მონღოლთა სხვადასხვა ულუსების წარმომადგენელი უფლისწულები ახლდნენ თან. მათ შორის ჩრდილოეთის ანუ ოქროს ურდოდან იყვნენ ყული, ბოლღა (ბალაღა, ბალაყან) და თუთარ — ჩინგიზ-ხანის უფროსი ვაჟის, ჯუჩის, შვილიშვილები[23]. ქამთააღმწერლის სიტყვით, ისინი მოსულან, „რათა ქუეყანა მათი წილხდომილი ყაენის შვილთა დაიპყრან, და ხარაჯასა იგინი აიღებდენ“[24]. კირაკოს განძაკეცის ცნობით, ეს უფლისწულები ილხანის ხელისუფლებაშიც ერეოდნენ თურმე[25], რის გამოც,

20 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 207—208, 251; მ. ბერძნიშვილი, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები XIII საუკუნის დამდეგს, კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, გვ. 55.

21 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფილისი, 1919, გვ. 13—14.

22 მ. ბერძნიშვილი, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები XIII საუკუნის დამდეგს. გვ. 55.

23 The Tarikh-i-Jahan-Gusha of Ala ud-din Ata Malik-i-Juwayni, ed. by M. Qazvini, GMS, XVI, 3, Leyden-London, 1912, გვ. 91; Djami el-tevarikh. Histoire générale du monde par Fadl Allah Rashid ed-Din. Ed. par E. Blochet, t. II, Leyden-London, 1911 (GMS, XVIII, 2), გვ. 137: Рашид-ад-дин, Сборник летописей, II, М.-Л., 1960. გვ. 81. ქამთააღმწერელს ეს უფლისწულები სხვადასხვა ულუსების წარმომადგენლებად მიაჩნია: თუთარ (ტექსტშია ტურ) — ბაბოსი, ყული — ჩაღათაის, ხოლო ბოლღა — თულისა. ნამდვილად, ჩაღათაის ულუსიდან ჰულაგუსთან თეგუდარი (ნეგუდარი) იყო მოვლენილი (ჯუვეინი, დასახ. გამოც., III, გვ. 91), თულის სახლის წარმომადგენელი კი თვითონ ჰულაგუ იყო.

24 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 223.

25 Киракос Гандзакеци, История, перевод с древнеармянского Т. Тер-Григорьяна, Баку, 1946, გვ. 198—199.

ჰულაგუს ბრძანებით, სამივე დახოცეს[26]. მათმა მხლებლებმა[27], ალათემურის მეთაურობით[28], დიდი გაჭირვებით გაიკვლიეს გზა[29], ბრძოლით გადაიარეს საქართველო და ოქროს ურდოში გადავიდნენ[30].

ფარსადან გორგიჯანიძის მიერ შემონახული ცნობებიდან ირკვევა, რომ თუთარის, ყულისა და ბოლღას მხლებელთაგან ყველა არ გაჰყოლია ალა-თემურს ჩრდილოეთში. ჯერჯერობით გაურკვეველი მიზეზების გამო, მონღოლთა ერთი ჯგუფი ვინმე იეღლურის (ღალღურის) მეთაურობით აღმოსავლეთ საქართველოში დარჩენილა დედაწულიანად. შესაძლებელია, ისინი ჰულაგუს მონღოლებთან ერთ-ერთი შეტაკების დროს ჩამოსცილდნენ ძირითად ლაშქარს და ჩრდილოეთში გადასასვლელი გზაც მოჭრილი აღმოაჩნდათ. რაკი აღმოსავლეთ საქართველოში დარჩენა საშიში იყო, იეღლურის რაზმმა ლიხის მთა გადაიარა და გადავიდა დასავლეთ საქართველოში, სადაც, როგორც ცნობილი იყო, დავით ნარინი თავშესაფარს აძლევდა ხოლმე ილხანის მოწინააღმდეგეებს. დავითმა მართლაც კარგად მიიღო ლტოლვილები, სარჩო გაუჩინა მათ და რაჭაში დააყენა. ერთ ხანს იეღლური დავით ნარინს ემსახურებოდა და ქართლიც დაარბია მისი დავალებით. ეს უნდა მომხდარიყო 1268—1269 წლებში. ამასობაში დაახლოებით ერთი წელი გავიდა; დავით ლაშას ძე გარდაიცვალა. მისი ვაჟის დემეტრე II-ის ტახტზე ასვლისთანავე მოხდა ის ამბები, წერილის დასაწყისში რომ შეეხეთ, ე. ი. „ზემოჯსენებულნი ღალღურ და რაჭის ერისთავი კახაბერი შეიზრახნეს ურთიერთას, რათა განუდგენ მეფესა დავითს, რუსუდანის ძესა...“ და ა. შ.

ამგვარად, ახლა უკვე დანამდვილებით ვიცით თუ ვინ არის „ზემოხსენებული“ ღალღური. ის არც ილხანის განდგომილი კაცია და არც, მით უმეტეს, მისი აგენტი. იგი ოქროს ურდოდან არის მოსული, ჰულაგუს მიერ დახოცილი ჯუჩიანი უფლისწულების მახლობელია და ამიტომაც არის, რომ საქართველოს მეფესაც ებრძვის და არც ილხანთან აქვს კარგი დამოკიდებულება.

ფ. გორგიჯანიძის ამავე ცნობების საფუძველზე ბევრი სხვა საინტერესო საკითხის გარკვევაც შეიძლება.

ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ „გადამდგარს რაჭის ერისთავს კახაბერ კახაბერისძეს მუდამ ყაენის კარზე ყოფნა არ შეეძლო და რათგან მისი

---

[26] Киракос Гандзакеци, История, გვ. 198—199; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 251. რაშიდ ედ-დინი ისე მოგვითხრობს ამ ამბავს, თითქოს ჰულაგუ სრულიად უდანაშაულო იყოს დასახელებული უფლისწულების დახოცვაში (Djami el-tevarikh, ed. par. E. Blochet, გვ. 138—139; Рашид-ад-дин, Сборник летописей, II, გვ. 81—82: Рашид-ад-дин, Джами-ат-таварих, სპარს. ტექსტი, გვ. 77, რუსული თარგმანი, გვ. 54). სრულიად განსხვავებული ვერსია აქვს მოთხრობილი გრიგოლ აკანელს (Грigol Аканели, მოისართა ტომის ისტორია, ნ. შოშიაშვილის გამოც., თბ., 1961, გვ. 35—36, 41—42)

[27] გრიგოლ აკანელის ცნობით, მათი რიცხვი 12 ათასს უდრიდა (დასახ. გამოც., გვ. 42), ფ. გორგიჯანიძე კი სულ სამას კაცს ასახელებს (დასახ. ხელნაწერი, ფ. 74r).

[28] გრიგოლ აკანელისთან — არადამური (გვ. 42).

[29] ქამთააღმწერლის ცნობით, მონღოლთა ეს რაზმი მცირე აზიაში („საბერძნეთს“) მდგარა დედაწულიანად (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 251).

[30] მონღოლთა ამ რაზმის მოძრაობის შესახებ ერცლად მოგვითხრობს ქამთააღმწერელი (ქართლის ცხოერება, II, გვ. 251—253). კირაკოს განძაკეცის, გრიგოლ აკანელის და რაშიდ ედ-დინს მოკლედ, თითქმის გაკვრით აქვთ ეს ამბავი აღნიშნული (Киракос Гандзакеци, История, გვ. 199; Грigol Аканели, მოისართა ტომის ისტორია, გვ. 42—43; Рашид-ад-дин, Джами-ат-таварих, სპარს. ტექსტი, გვ. 77, რუსული თარგმანი, გვ. 54).

მოღალატური მოღვაწეობის მიზანი მიუღწეველი აღმოჩნდა, ისევ საქართველოში მოუხდა დაბრუნება. მაგრამ ლიხთიმერეთს მას მოსვლა, რასაკვირველია, აღარ შეეძლო და თავშესაფარი ამიერსაქართველოში უნდა ეძებნა"[31]. მართლაც, ჟამთააღმწერლის სიტყვით, „რაჭის ერისთავი კახაბერი იყო ქართლს, და აქუნდა ქუეყანა ატენისა"[32]. მაგრამ ამავე ისტორიკოსის ცნობიდან ვიცით, რომ სულ რამდენიმე წლის წინ ილხანმა აბაღამ აჯანყებული თეგუდარის (ნეგუდარის) შეპყრობაში დახმარებისათვის ატენი დავით ნარინს უბოძა. წინააღმდეგობა ჟამთააღმწერლის ორ ჩვენებას შორის მოისპობა თუ გავითვალისწინებთ ფ. გორგიჯანიძის ჩანართ ცნობას იმის შესახებ, რომ იეღლურის იმერეთში მიღებით განრისხებულ აბაღას მალე წაურთმევია ატენი დავითისთვის („წაართვა ატენი და. რომელიც ქვეყანა მიეცათ") და, როგორც ჩანს, შემდეგ მისივე მოსისხლე მტრისათვის უბოძებია. ამით განაწყენებულმა დავით ნარინმა აბაღას ჯავრი იმითღა იყარა, რომ იეღლური და მისი რაზმი ქართლს შეუსია და იქაურობა ააოხრებინა.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ფარსადან გორგიჯანიძე ამ მძიმე ვითარებაში დავით VII-ის, ლაშას ძის, მოქმედების შესახებ. დაძაბუნებულ ულუ დავითს ძალა არ შესწევდა იეღლურის გამკლავებისა, ამიტომ გადაწყვიტა, ოსები გამოეყენებინა მის წინააღმდეგ. ფარსადანის სიტყვით, მან „მისწერა ზემორე ხსენებულთა ოსთა, შეგროვდენ ყველანი". ვინ არიან ეს ზემოხსენებული ოსები?

დაახლოებით XIII საუკუნის 60-იანი წლების დამდეგს „გარდამოვიდეს ბერქას ყაენისგან ლტოლვილნი, დედაკაცი საკკრველი, სახელით ლიმაჩავ, და მან მოიტანა შვილნი მცირენი, ნათესავით ახასარფაკაიანნი, პირმშო ფარეჯნ და უმრწამესი ბაყათარ, და სხუანი თავადნი მრავალნი, გამოვლეს კარი დარუბანდისა[33] და მოვიდეს მეფეს წინაშე[34]. როგორც ვხედავთ, ამ ტექსტში ოსები საერთოდ არ იხსენიებიან, მაგრამ „ქართლის ცხოვრების" ყველა ნუსხაში წერია — „გარდამოვიდეს ბერქას[35] ყაენისგან ლტოლვილნი ო რ ნ ი..."[36]. ასევეა „ქართლის ცხოვრების" ბროსესეულ და ე. თაყაიშვილის გამოცემებშიც[37]. გ. თოგოშვილმა მართებულად შენიშნა, რომ აქ ტექსტი შერყვნილია. „ორ-

31 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 204.

32 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 275.

33 ჟამთააღმწერლის ცნობას ლტოლვილთა დარუბანდის კარით მოსვლის თაობაზე არ ეთანხმება ფ. გორგიჯანიძე. მისი აზრით, ლტოლვილნი დარიალით გადმოსულან: „...გარდმოვიდნენ დარალამის კარითა და მოვიდნენ მეფეს წინ" (დასახ. ხელნაწერი, ფ. 75r); შდრ. მეორე ვარიანტი: „გამოიარეს კარი დარიელისა, მოვიდნენ მეფესთან" (იქვე. ფ. 195v). ვახუშტი საერთოდ არ აჩვენებს გზას, ხოლო იოანე ბაგრატიონი, ფარსადანის მსგავსად, დარიალს ასახელებს: „ამავე წელსა შინა გარდმოვიდნენ მთასა დარიელისასა ბერქასგან [ლ]ტოლვილნი" (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი H 2134, ფ. 675v).

34 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 251.

35 მარიამისეულ, მაჩაბლისეულ და თეიმურაზისეულ ნუსხებში: „გარდამოვიდა ბერქთას".

36 ხაზგასმა ჩვენია. ს. ყაუხჩიშვილს ეს სიტყვა არ შეუტანია ძირითად ტექსტში.

37 ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ტ. I, გამოცემა მ. ბ რ ო ს ე ს ი, სპბ., 1850, გვ. 398; ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს გამოც., ტფილისი, 1906, გვ. 689.

ნი“-ს ნაცვლად უნდა იკითხებოდეს „ოსნი“[38]. ამ მოსაზრებას ადასტურებს ფ. გორგიჯანიძეც. იგი წერს: „ამ ჟამს გარდმოვიდნენ ოსნი, ბერქას ყაენს წამოსვლოდეს“[39]. დავით ლაშას ძემ კარგად მიიღო ლტოლვილი ოსები და ჰულაგუსთან გაგზავნა ისინი. „ყაენმან შეიწყნარა ფრიად“ და ისევ საქართველოში დააბრუნა. მეფემ ოსები ქალაქში[40], დმანისსა და ჟინვანში დაასახლა[41]. სწორედ ესენი არიან ის „ზემოხსენებული ოსები“, რომელთაც დავით ლაშას ძემ იეღლურის (ღალღურის) წინააღმდეგ ბრძოლა დაავალა. ამასთან ერთად, დავითი იძულებული გამხდარა, გრიგოლ სურამელისა და მისი ვაჟის, ბეგას, რჩევით, გორი მიეცა ოსებისათვის[42] (თითქოს აქედანაც ჩანს, რომ დავით ლაშას ძეს ოსები იმთავითვე გორში დაუსახლებია და არა თბილისში).

იმ ხანებში, როგორც ჩანს, გრძელდებოდა ჩრდილოეთიდან ლტოლვილი ოსების მოძალება ქართლში. დავით VII იძულებული გამხდარა მათ წინააღმდეგაც მიეღო გადამჭრელი ზომები. იმავე ბეგას რჩევით, მას ხუთასი მონღოლი მხედარი დაუყენებია მუხრანში[43] ვინმე ჯანასის (თუ ჯასანის) მეთაურობით და მათთვის დაუვალებია დარიალის კარისა და ოსეთისა და დვალეთის[44] გზე-

---

38 გ. თ ო გ ო შ ვ ი ლ ი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, სტალინირი, 1958, გვ. 196, შენ. 1 („ოვსისა“ და „ორის“ აღრეული შემთხვევები სხვაგანაც გვხვდება „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში. იხ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 297_{18-19}, 306_{9}).

39 ხელნაწერი H 2140, ფ. 75r, აგრეთვე, ფ. 195v (მეორე ვარიანტი). ვახუშტი და იოანე არც ოსს იხსენიებენ და არც ორს. ამასთან, იოანეს ცნობით, ჩრდილოეთიდან თითქოს მხოლოდ დედაკაცები გადმოსულან. სამაგიეროდ იოანე ლტოლვილთა გარეგნობის საინტერესო აღწერას იძლევა: „ხოლო დედაკაცნი იყუნენ შესახედავათ საკვირველნი სახისანი, ‘ავგვრემანნი ფერით, ცხვირმოკლენი და ფუნჯი ნესტოთნი. თუალჩამძერალნი და წვრილთეალნი, პირდიდნი, თმაგრძელნი და მამაცნი და კარგი ცხენოსანნი“ (დასახ. ხელნაწერი, ფ. 675v).

40 ჩვენი აზრით, აქ უნდა იგულისხმებოდეს არა თბილისი, არამედ გორი.

41 მართალია, „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგამდელ ნუსხებში მხოლოდ დმანისი და ჟინვანი იხსენიება, მაგრამ „ქალაქს“ ახსენებს ფ. გორგიჯანიძეც („მეფემანც ზოგნი ქალაქს დაასახლა და ზოგნი დმანის[ს] დააყენა და ზოგნი ჟინოანს გაგზავნა“, ფ. 75r; მეორე ვარიანტი: „და მეფემ სამათ გაჰყო, ზოგნი დმანის[ს] დააყენა, ზოგნი ქალაქს და ზოგნი ჟინოანს“, ფ. 195v). როგორც ჩანს, ეს სიტყვა („ქალაქი“) ვახტანგის კომისიის მიერ კი არ არის ტექსტში შეტანილი, არამედ „ქართლის ცხოვრების“ ძველ ნუსხებშიც ყოფილა დამოწმებული ვახუშტის მიხედვით, „ხოლო მეფემან განყენა და დასხნა დბანისს და ჟინვანს და ქართლს“ (ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., ტფილისი. 1885, გვ. 247).

42 ამის შემდეგ გასაგები უნდა იყოს ოსების შემდგომი პრეტენზიები ქალაქ გორზე და ქამთააღმწერლის გამოთქმებიც — „ოსნი რომელნი სხდეს გორს“ და „ოვსნი გორს მსხდომნი“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 306, 318).

43 მუხრანში მსხდომი ეს მონღოლები ქამთააღმწერელთანაც იხსენიებიან (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 296, 305).

44 ფ. გორგიჯანიძეს ამავე ნაწყვეტის მეორე ვარიანტში „დვალეთის“ ნაცვლად უწერია „დასავლეთი“ („დაიცვან კარი დარალამისა და გზა დასავლეთისა“). ეს იძლევა გასაღებს ქამთააღმწერლის თხზულების ნუსხებში დაშვებული მსგავსი შეცდომის გასასწორებლად. ქამთააღმწერლის ცნობით, აჯანყებული დავით ლაშას ძის პატიებას რომ ითხოვდა, დედოფალ ტონღუზ-ხათუნს ასეთი სიტყვებით მიუმართავს ჰულაგუსთვის: „და ესეცა უწყოდე, რომელ ძმა შენი დიდისა ყაენისაგან ბათოს შვილი მრავალსა მოციქულსა უგზავნის და დიდთა ნიჭსა აძლევს (დავითს — რ. კ.), რათა მისცეს გზა დარიალანისა და დასავლეთისა, რამეთუ ორივე ჰელთა შინა მისთა არს“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 245). „დასავლეთის გზა“ აქ სრულიად უადგილო და გაუგებარია. უნდა იყოს — „გზა დარიალანისა და დვალეთისა“. (დვალეთის გზის შესახებ იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, გზები რუსთაველის ეპოქაში, თბ., 1966, გვ. 25—26).

ბის დაცვა. ფარსადანის სიტყვით, „ეს კარგად იქნა და ამას უკან ოსთაგან დაიცვა ქვეყანა“.

ამგვარად, თითქოს გამოუვალ მდგომარეობაში მყოფმა დავით ლაშას ძემ მოხერხებულად გამოიყენა ორივე გარეშე ძალა. ღალღურის მონღოლთა რაზმის თარეში მან ოსების შემწეობით მოიგერია, ხოლო ჯანასის მონღოლების დახმარებით საიმედოდ გადაუკეტა ოსებს ქართლში გადმოსასვლელი გზები.

ასეთია, ძირითადად, რიგი საკითხებისა, რომელთა შესახებ მსჯელობის საშუალებას იძლევა ფ. გორგიჯანიძის ზემოთ მოტანილი ცნობები. თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთი „ჩანართი“ ადგილები (ნამდვილად კი ნაშრომის ორგანული ნაწილები) ფარსადან გორგიჯანიძესთან საკმაოდ ბევრია, გასაგები გახდება მისი თხზულების ე. წ. მეორე ნაწილის დიდი მნიშვნელობა ჟამთააღმწერლის საისტორიო ნაწარმოების სამეცნიერო-კრიტიკული ტექსტის დადგენისა და XIII საუკუნის საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში.

ვალერიან გაგაშვილი

ქართული წყაროების „რომ-გური“

XIII საუკუნის პირველ ათწლეულში ქართველებმა ირანში ილაშქრეს, აიღეს ცნობილი ქალაქები (მარანდი, თავრეჟი, მიანა, ზენგანი, აბჰარი, ყაზვინი) და რომ-გურს მიადგნენ.

XII—XIII სს და XIV ს-ის ქართულ საისტორიო წყაროებში რ ო მ-გ უ რ ი გაიგივებულია ხორასანთან.

ხორასანი საქართველოდან ძალიან შორს იდო. ირანის ეს პროვინცია გაცილებით უფრო ვრცელი და ფართო იყო, ვიდრე XVI—XVIII და, მით უმეტეს, XIX—XX საუკუნეებში. გარკვეულ დრომდე ხორასანი მოიცავდა ახლანდელი შუა აზიისა და ავღანეთის მნიშვნელოვან ნაწილს.

ადრეფეოდალური ხანის ირანის პროვინციებიდან ხორასანი ყველაზე მალე დაადგა სოციალური და ეკონომიური განვითარების გზას. მკაფიოდ გამოიკვეთა ფეოდალური ურთიერთობანი, გაძლიერდა არაბთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლა. IX ს-ის დამდეგს აქ წარმოიქმნა პირველი დამოუკიდებელი ირანული ფეოდალური პოლიტიკური ერთეული — თაჰერიანთა სახელმწიფო. აქვე ფეხი აიდგა ახალმა სპარსულმა ენამ. არაბთა ბატონობის დამხობამ განაპირობა მისი სწრაფი ეკონომიური და კულტურული განვითარება. ხორასანი მთელ წინა აზიაში ყურადღებას იქცევდა თავისი კულტურითა და მწერლობით, ხელოსნობითა და ვაჭრობით. ხორასანში განლაგებული იყო დაწინაურებულ-განვითარებული ქალაქები. მის ადმინისტრაციულ, ეკონომიურ და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა ქალაქი ნიშაბური. ხორასანში თავს იყრიდა ძველი დროიდან განთქმული საქარავნო-სახმელეთო გზები. მისი საშუალებით კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნები სავაჭრო ურთიერთობას ამყარებდნენ ჩინეთთან და შორეულ აღმოსავლეთთან.

ხორასანი და მისი ქალაქები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მახლობელი და შუა აღმოსავლეთის საერთაშორისო ვაჭრობაში XII—XIII საუკუნეებშიც.

ასეთი იყო ირანის ის პროვინცია, რომელსაც ქართული წყაროები რ ო მ-გ უ რ ს უწოდებენ.

XII—XIII სს და XIV ს-ის ქართულ საისტორიო წყაროებში რ ო მ-გ უ რ ი სხვადასხვა ფორმით გვხვდება: „რომ-გური“[1], „რომ-გკირო“[2], „რომ-გუარი“[3].

---

1 ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს გამოც., თბ., 1959. გვ. 103, 107.

2 ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 125 (ივ. ჯავახიშვილის გამოცემაში — „რომ-გუირო“. იხ. ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი, თბ., 1944, გვ. 20).

3 ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 223, 235 („რომ-გუარი“ ვახტანგისეული ნუსხების ჩვენებაა, ძველ ნუსხებშია „რომგური“).

რ ო მ-გ უ რ ი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულ წყაროებში ხორასნის, ე. ი. პროვინციის აღსანიშნავად არის ნახმარი.

„ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში ქართველთა ლაშქრის ირანის ტერიტორიაზე მოძრაობის გამო ნათქვამია: „და უშინაგანესისა რომ-გურისა მიმართ მიიწივნეს, რომელ არს ხორასანი“[4], ამრიგად, რ ო მ-გ უ რ ი იგივე ხორასანია და ასეც არის განმარტებული[5]. საყურადღებოა ის დეტალიც, რომ ქართველთა ლაშქარი ღრმად შეჭრილა ხორასანში და მის „უშინაგანეს“ ნაწილებში მოქმედებდა. „უშინაგანესი“ ნაწილები კი, ცხადია, მხოლოდ ქვეყანას ან პროვინციას შეიძლებოდა ჰქონოდა.

„ისტორიათა და აზმათა“ ავტორი რომ-გურში მხოლოდ დიდ ტერიტორიას გულისხმობს და არა, მაგალითად, ქალაქს ან ქალაქის ნაწილს.

მოგვაქვს სხვა საამისო მაგალითი: იმავე ნაწარმოების მიხედვით, მხარგრძელებმა შესთავაზეს მეფეს: „აწ ბრძანოს მეფობამან თქუენმან, რათა არა ცუდად დავიწყებასა მიეცნეს სადამე სპათა შენთა საქმენი, არამედ აღვამკედროთ ერაყს, რომ-გურს ზედა, რომელ არს ხორასანი“[6].

აქაც „რ ო მ-გ უ რ ი“ ხორასანია, ე. ი. სრულიად გარკვეული ქვეყანა, ქვეყნის ნაწილი, სამმართველო ტერიტორია და პროვინციაა. ამ შემთხვევაშიც ეს სათანადოდ არის განმარტებული ჩვენთვის უკვე ცნობილი ფრაზით — „რომელ არს ხორასანი“.

მაჰმადიანთა ლაშქრის მოძრაობის აღნიშვნისას რ ო მ-გ უ რ ს ქვეყნებს შორის ასახელებს ბასილი ეზოსმოძღვარიც: „იწყეს ამოღმართ რომ-გუროს და ინდოეთს და ქვემოთ სამარყანამდი და დარუბანდამდი“[7]. დამოწმებულ კონტექსტშიც რ ო მ-გ უ რ ი განცალკევებულია ქალაქებისაგან (სამარყანდი, დარუბანდი), სამაგიეროდ, დასახელებულია ინდოეთთან ერთად, რადგან XII—XIII სს ქართველ ისტორიკოსებს რ ო მ-გ უ რ ი ქვეყნად და პროვინციად მიაჩნიათ.

ასე იყო განმარტებული რ ო მ-გ უ რ ი არა მარტო XII—XIII სს-ში, არამედ XIV საუკუნეშიც. კერძოდ, ქვეყნისა და პროვინციის მნიშვნელობა აქვს მინიჭებული რომ-გურს ჟამთააღმწერლის თხზულებაში.

როდესაც არღუნი (მონღოლთა დიდმოხელე) ხალხის აღწერის მიზნით გამოემართა, „განაწესა და განაგო მანდაური ყოველი, და გამოვლო ჯეონი, და მოვიდა ხუარასანს, ერაყს და ყოველსა რომ-გუარსა[8], და განაგო ესრეთვე“[9].

ჟამთააღმწერლის თხზულების ამ კონტექსტის მიხედვით, ხორასანი თითქოს სხვაა, „ყოველი რომ-გუარი“ კი ცალკე ქვეყანაა, რომელიც ხორასნისა და ერაყის შემდეგაა ნახსენები. თუ გადამწერი ერთხელ კიდევ არ ამახინჯებს ჟამთააღმწერლის ტექსტს, მაშინ აქ „ყოველი რომ-გუარი“ ზოგადი მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი და „ყოველ ხორასანს“ უნდა ნიშნავდეს. ამგვარი

---

4 ისტორიანი და აზმანი, გვ. 107.

5 ასეთი განმარტება (და ისიც ორგან ერთსა და იმავე ნაწარმოებში) ალბათ იმით იყო გამოწვეული, რომ ხორასანი ქართველებისათვის გაცილებით უკეთ იყო ცნობილი, ვიდრე რომ-გური.

6 ისტორიანი და აზმანი, გვ. 103.

7 ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, გვ. 125.

8 „რომგურსა“ (ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი. ე. თაყაიშვილის გამოც., ტფ., 1906, გვ. 664).

9 ჟამთააღმწერელი, გვ. 235.

მოსაზრების საფუძველს იძლევა ის, რომ ქამთააღმწერლის განმარტებითაც რ ო მ-გ უ რ ი იგივე ხორასანია.

ჰულაგუს ილხანად დასმასთან დაკავშირებით XIV ს-ის ქართველი ისტორიკოსი ასახელებს იმ ქვეყნებს, სამფლობელოებსა და პროვინციებს, რომელთაც თავდაპირველად ოთხი ნოინი განაგებდა. ამ ქვეყნებს შორის დასახელებულია რომ-გურიც და იქვე განმარტებულია — „რომელ არს ხუარასანი".

ქამთააღმწერელი მოგვითხრობს: „რამეთუ პირველ მათ თაიჩუთთა[10] ოთხთა ნოინთა მიერ განეგებოდა ქუეყანა საბრძანებელისა მათისა. პირველად რომ-გუარი[11], რომელ არს ხუარასანი, ერაყი, ადარბადაგანი, მოვაკანი, ბარდავი, შარვანი, საქართველო ყოველი, ხლათი და საბერძნეთი დიდი, ვიდრე ასიადმდე, — ამათ ოთხთა ნოინთაგან განეგებოდა, და მათი საურავი იყვის"[12].

აქაც, ისევე როგორც XII—XIII სს ქართულ საისტორიო წყაროებში, რ ო მ-გ უ რ ი აშკარად ქვეყნის მნიშვნელობით იხმარება და მას XIV ს-ის ანონიმური ისტორიკოსი ისევე ასახელებს, როგორც სხვა ცნობილ ქვეყნებს, სამეფოებს, სამფლობელოებს, პროვინციებს: ერაყს, ადარბადაგანს, შარვანს, საქართველოს, ხლათს, საბერძნეთს და სხვ. „პირველად რომ-გუარი" იმიტომ არის დასახელებული, რომ მდ. ჯეიჰუნს აქეთ ჯერ ხორასანი იყო, ხოლო შემდეგ ერაყი, მცირე აზია და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნები. ქამთააღმწერელი ზედმიწევნით იცნობს მონღოლთა მფლობელობის დროინდელ მახლობელი და შუა აღმოსავლეთის პოლიტიკურ რუკას და ზუსტად აღნიშნავს ყველა პოლიტიკურ თუ ადმინისტრაციულ ერთეულს. მისთვისაც რ ო მ-გ უ რ ი და ხორასანი ერთი და იგივე ქვეყანაა, რომელიც უშუალოდ ეკვრის მდ. ჯეიჰუნს (ქართული წყაროების ჯეონს).

რ ო მ-გ უ რ ის მნიშვნელობის განმარტებისას არავითარი განსხვავება არ არსებობს XII—XIII სს და XIV ს-ის ქართველ ისტორიკოსებს შორის.

მაგრამ არც სპარსულ და არც სხვა აღმოსავლურ წყაროებში რ ო მ-გ უ რ ი არსად არ იხმარება ხორასნის სინონიმურ შესატყვისად. საერთოდ XII—XIV სს აღმოსავლური (სპარსული, არაბული) თხზულებებისათვის ეს ტერმინი სავსებით უცხოა. ბგერითი შედგენილობით იგი მოგვაგონებს მხოლოდ ღურს. ამან გვაფიქრებინა თავის დროზე, რომ XII—XIII სს და XIV ს-ის ქართველი ისტორიკოსები რ ო მ-გ უ რ შ ი უნდა გულისხმობდნენ ღურთა სახელმწიფოს, რომელიც სწორედ ხორასნის სამხრეთით არსებობდა[13]. საკითხის სპეციალურმა კვლევა-ძიებამ ცხადჰყო, რომ ჩვენი ეს მოსაზრება საფუძველს მოკლებულია.

ჩვენ მხედველობიდან გამოგვრჩა ის გარემოება, რომ ქართული წყაროების რ ო მ-გ უ რ ი თ ორიენტალისტი ისტორიკოსები ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაინტერესდნენ და სცადეს კიდეც მისი მნიშვნელობის გამორკვევა.

ისევე როგორც საქართველოს ისტორიის სხვადასხვა ფაქტებს, ქართული წყაროების ცნობებსა და ქართულ ისტორიულ ტერმინოლოგიას, რ ო მ-გ უ-

---

10 „თაიჩუთთა" იე. ჯავახიშვილის კონიექტურაა, ძველ ნუსხებშია „თამჩთა" (შდრ. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 647).

11 „რომ-გური" (ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 647).

12 ქამთააღმწერელი, გვ. 223.

13 ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთი XI—XII სს ქართული საისტორიო წყაროების ფურცლებზე, კრებ. „XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები", თბ., 1968, გვ. 300, შენ. 1.

რსაც პირველად აკად. მ. ბროსემ მიაქცია ყურადღება. მასვე დამოწმებული აქვს ამ ტერმინის სხვადასხვა ვარიანტი — „Romgouar, Romgor, Romgwiaros, Romgouaro“[14].

მ. ბროსეს განმარტებით, რომ-გური ნიშნავდა არა ქვეყანას ან პროვინციას, არამედ ქალაქს (არაბ. رمجار), რომელიც ხორასანში, ნიშაბურის ტერიტორიაზე მდებარეობდა [15]. მ. ბროსეს შემდეგ სხვა მკვლევრებიც ცდილობდნენ რომ-გურის ნამდვილი მნიშვნელობის დადგენას.

ქ. პატკანოვი, მაგალითად, ქართული წყაროების რომ-გურს აიგივებდა როგასთანთან და, მათი ერთგვარი მსგავსების აღნიშვნისას, იმოწმებდა მ. ბროსეს[16]. ქ. პატკანოვი წერდა: „Что касается Рогастана, то значение его для нас не ясно. В грузинской летописи встречается нечто подобное: Romgouaro ou Khorasan (Histoire de la Géorgie)“[17]. ქ. პატკანოვმა ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ არაბ გეოგრაფოსებთან გვხვდება რემჯარი (رمجار—Remjar), რომელიც ნიშაბურის ერთ-ერთი უბნის სახელწოდება იყო (Localite du Nicabur)[18]. ეს განმარტება მოტანილია ბარბიე დე მეინარის ნაშრომიდან. მაგრამ აღმოსავლური წყაროების რემჯარის და ქართული წყაროების რომ-გურის ურთიერთობა ქ. პატკანოვს მხედველობიდან გამორჩა, რადგან შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ როგასთანისა და რომ-გურის ერთმანეთთან დაკავშირება.

ბგერითი შედგენილობით რემჯარი ყველაზე ახლოს დგას ქართულ რომ-გურთან (რემჯარ — რემგარ, შდრ. ქართული წყაროებისავე ბაჰრამ გური — ბაჰრამ ჯური, გურგანი — ჯურჯანი, ზენგანი — ზენჯანი და მისთანანი).

Remjar-ისა და Râmjar-ის (ლუი მასინიონის გამოთქმის მიხედვით) ქართული წყაროების რომ-გურთან იგივეობა ხაზგასმით არის აღნიშნული ჩვენი დროის უცხოურ ორიენტალისტიკურ ლიტერატურაში, ამასთან, როგორც ისეთი ფაქტი, რომელიც დამტკიცებას არ მოითხოვს.

ლ. მასინიონის სიტყვით, Râmjar იგივეა, რაც ბერძნული Romagyris[19]. აღნიშნულია იმათი მოსაზრებაც, ვინც შესაძლებლად მიიჩნევს ამ სიტყვის სირიულ წარმომავლობას. მთავარი ჩვენთვის მაინც ისაა, რომ ბერძნული წყაროების რომაგირის იგივეა, რაც ქართული წყაროების რომ-გური, ხოლო რომ-გური იგივეა, რაც არაბული წყაროების რემჯარი (რამჯარი).

რემჯარ-რამჯარი ეწოდებოდა ქ. ნიშაბურის ერთ-ერთ უბანს. ხორასნის ეს უდიდესი ქალაქი 44 უბნისაგან შედგებოდა. თითოეული მათგანის სახელწოდება კარგად არის ცნობილი აღმოსავლური წყაროებით. ქალაქს ჰქონდა საში სასაფლაო. წყაროებში აღნიშნულია მათი სახელებიც — გენიარუდი, შაჰან-

---

[14] M. Brosset, Histoire de la Géorgie, I, SPb., 1849, გვ. 472, 511.

[15] იქვე, გვ. 472.

[16] История монголов по армянским источникам, вып. II, Извлечения из Киракоса Гандзакеци, Перевод и объяснения К. П. Патканова, СПб., 1874, გვ. 84.

[17] იქვე, გვ. 132, შენ. 47.

[18] იქვე. გვ. 263.

[19] L. Massignon, Explication du plan de Basra (Irak), „Opera Minora“, t. II, Paris, 1969, გვ. 80.

ბური, რამჯარი. ამრიგად, რამჯარი ეწოდებოდა არა მარტო ქალაქის უბანს, არამედ სასაფლაოსაც. როგორც ჩანს, ქალაქის ამ უბანში წარმოდგენილი იყო ქრისტიანული მოსახლეობა, რომლის სათავეში ეპისკოპოსი იდგა. რამჯარის სასაფლაოსთან არსებობდა მელქიტური (მართლმადიდებლური) ეპისკოპოსის საყდარი. ლ. მასინიონს სწორედ რამჯარი მიაჩნია იმ ადგილად, რომელიც გარკვეულ მომენტში დაიპყრო თამარ მეფემ[20].

ამგვარად, სავსებით ცხადია, რომ რომ-გური (რამჯარი, რომაგირის) იგივე ნიშაბურია და არა მთელი ხორასანი, როგორც ეს XII—XIII სს და XIV ს-ის ქართულ საისტორიო წყაროებშია აღნიშნული.

მიუხედავად იმისა, რომ სავსებით ზუსტად ხერხდება რომ-გურის ლოკალიზაცია, გამოსარკვევი რჩება, თუ რატომ ავრცელებენ ქართული წყაროები რომ-გურს მთელ ხორასანზე და მას ქალაქის მაგიერ ქვეყნის ან პროვინციის მნიშვნელობას ანიჭებენ.

ჩვენთვის ახლა დანამდვილებითაა ცნობილი, რომ რომ-გური ქართულ საისტორიო წყაროებში არც აღმოსავლური ლექსიკიდან მომდინარეობს და არც აღმოსავლური ისტორიულ-გეოგრაფიული მწერლობიდან (თუ დავუშვებთ ამ სიტყვის სირიულ წარმომავლობას, იგი ჩვენში მაინც ბერძნულის მეშვეობით უნდა გავრცელებულიყო). რომ-გური აშკარად აღმოსავლურ ქრისტიანულ ტრადიციასთან ჩანს დაკავშირებული და ამ ტრადიციის ნიადაგზეა ჩვენში დამკვიდრებული და გავრცელებული.

შესაძლებელია იმის თქმა, რომ მართლმადიდებელმა ბერძნებმა და ქართველებმა ნიშაბურის ქრისტიანული მოსახლეობის უბნის სახელწოდება მთელ ნიშაბურსა და ხორასანზე გაავრცელეს. მაგრამ ჯერჯერობით ეს მხოლოდ მოსაზრებაა, რომელიც ახსნასა და დამტკიცებას მოითხოვს.

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია: რომ-გური ჩვენში მწიგნობრული გზითაა გავრცელებული. ბერძნული Romagyris და ქართული რომ-გური დაკავშირებული ჩანს აღმოსავლეთში ქრისტიანობის გავრცელებასა და ქრისტიანული ეკლესიის მოღვაწეობასთან. ამდენადვე დამაჯერებელი პასუხი დასმულ კითხვაზე შეიძლება მოგვცეს ბერძნული და სირიული იმ წყაროების გათვალისწინებამ, რომელთა შინაარსი აღმოსავლეთის ქრისტიანულ კერებთან ურთიერთობას უკავშირდება[21].

---

[20] „Râmjar (=en grec Romagyris: siége d'un évêche melkite un moment conquis par la reine géorgienne Thamar".—L. Massignon, დასახ. ნაშრომი, გვ 80). ლ. მასინიონი რომ-გურის, Romagyris და რამჯარის გამო ასახელებს სათანადო მასალებსაც (ეტინჰაუზენი და სხვ.).

[21] ჟაკ დე ვიტრის „იერუსალიმის ისტორიის" ინგლისური თარგმანის შენიშვნაში დასახელებულია Le Quien-ის ნაშრომები „Oriens Christianus" (Paris, 1740, t. II, გვ. 1087), რომლის ლათინურ ციტატაში იხსენიება რომ-გური (Romagyris). ლათინურ ტექსტში ნათქვამია, რომ Romagyris მდებარეობდა „კასპიის ზღვის მახლობლად, ხორასნიდან ვიდრე თათართა და ხატაელთა ქვეყნამდე" („...quae juxta mare Caspium, Chorasaniam usque Ta tariam et Cathayam protenditur"). ჟაკ დე ვიტრის ნაშრომის ინგლისურ თარგმანსა (Jacques de Vitry, The History of Jerusalem. Translated from the Original Latin by Aubrey Stewart, „Palestine Pilgrims' Text Society", vol. XI, London, 1896, გვ. 10) და დამოწმებულ ცნობაზე მიგვითითა თ. ნატროშვილმა.

ამ თვალსაზრისით, რ ო მ-გ უ რ ი მხოლოდ ქართული საეკლესიო და ინტელექტუალური წრეებისათვის უნდა ყოფილიყო ცნობილი და გასაგები[22]. ხორასანი კი იმდენად იყო გავრცელებული საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენებში, რომ XII—XIII საუკუნეებშიც და XIV საუკუნეშიც რ ო მ-გ უ რ ი ს დასახელებისას ყველგან, როგორც წესი, აღნიშნულია და განმარტებული — „რომელ არს ხორასანი“. ამგვარი განმარტების აუცილებლობა, თავის მხრივ, აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ რ ო მ-გ უ რ ი ქართულ საისტორიო მწერლობაში იშვიათად იხმარებოდა და, ამასთან, ყველასთვის გასაგები და ცნობილი არ იყო.

XII—XIII სს ქართველ ისტორიკოსებს ყოველთვის ხორასანი აქვთ მხედველობაში, როცა რ ო მ-გ უ რ ს ასახელებენ. ისინი საგანგებოდ აღნიშნავენ იმას, თუ რა შორს მოუხდა ლაშქრობა საქართველოს მხედრობას თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში.

„ისტორიათა და აზმათა“ ავტორის მიხედვით, აქამდის „ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ნ ა თ ე ს ა ვ ი ვ ე რ ა ვ ი ნ მ ი წ ე ვ ნ ი ლ ი ყ ო ლ ა შ ქ რ ა დ (ხვარასნამდის), ა რ [ც] ა მ ე ფ ე, ა რ [ც] ა მ თ ა ვ ა რ ი და ვ ე რ ა ვ ი ნ წ ი ნ ა ა ღ უ დ გ ა ს პ ა რ ს ე თ ს შ ე ს უ ლ თ ა ვ ე რ [ც ა] ხ ვ ა რ ა ს ნ ი ს ს უ ლ ტ ა ნ ი, ვ ე რ [ც ა] ე რ ა ყ ი ს ა და ვ ე რ [ც ა] რ ო მ ე ლ ი თ ე მ ი“. ამასვე ამბობს ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანეც: ქართველებმა „დალეწნეს სპარსეთისა ქალაქნი და მარანდი ამოსწყუიდეს და ერანის ქვეყანა. ე ს დ ე ნ ა დ ს ი შ ო რ ე ს ა შ ი ნ ა მ ი ვ ი დ ე ნ, რ ო მ ე ლ ა რ ც ა თ უ ს ა ხ ე ლ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ა ი ს მ ო დ ა“[23].

ივ. ჯავახიშვილი „ისტორიათა და აზმათა“ და ლაშა გიორგის დროინდელი ისტორიკოსის თხზულების ციტირებისას ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქართველთა ლაშქრის რომ-გურამდის მიღწევა საქართველოს სამხედრო ძლიერების დადასტურებას წარმოადგენდა[24].

ამიტომ ქართულ წყაროებს მხედველობაში უნდა ჰქონოდათ არა ერთი ქალაქის დალაშქვრა და იქ დიდძალი ნადავლის შოვნა, რაც ამ ლაშქრობის მთავარი მიზანი იყო (ეს აშკარად გამოსჭვივის ზაქარია მხარგრძელის სიტყვებიდან), არამედ ეკონომიურად მდიდარი და ვრცელი პროვინციის დალაშქვრა.

---

22 XII ს-ში, როცა გაძლიერებული საქართველო ქრისტიანულ სამყაროში დასუსტებული ბიზანტიის ადგილის დაკავებას ცდილობდა, კიდევ უფრო ინტენსიური უნდა გამხდარიყო ქართული ეკლესიის ურთიერთობა აღმოსავლეთის ქრისტიანულ ეკლესიებთან. ამ ურთიერთობის (ანდა გავლენის) გამოძახილი უნდა იყოს ის, რომ 1325 წელს საქართველოს კათალიკოსი ატარებდა დამატებით წოდებულებას — „რომ-გურისა“. ჩვენთვის უცნობ ამ ფაქტს ყურადღება მიაქცია ბ. შპულერმა („Jedenfalls trug 1325 der orthodoxe Katholikos von Georgien den zusatzlichen Titel „von Romagyris“. B. Spuler, Die Morgenländischen Kirchen, Leiden—Köln, 1964, გვ. 155).

23 ციტირებულია ივ. ჯავახიშვილის მიხედვით: ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 286—287 (ხაზგასმა ივ. ჯავახიშვილისაა).

24 იქვე, გვ. 285, 286—287, 291. ივ. ჯავახიშვილი ემყარებოდა როგორც ქართულ, ისე აღმოსავლურ (ვარდანი, იბნ ხალიკანი...) წყაროთა ცნობებს. ქართული წყაროები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტად გააძლიერონ საქართველოს ლაშქრის რომ-გურამდე მიღწევის ფაქტის მნიშვნელობა. შესაძლებელია, ამითვეა გამოწვეული ხორასნისა და ერაყის სულთნების დასახელება. XIII ს-ის დამდეგს ხორასნისა და ერაყის სასულთნოები აღარ არსებობდა.

ასე რომ, XII—XIII სს და XIV ს-ის ქართული წყაროები რომ-გურის დასახელებისას გულისხმობენ არა მარტო ნიშაბურს, არამედ მთელ ხორასანსაც, როგორც სრულიად გარკვეულ ქვეყანას და პროვინციას.

რომ-გური რომ ქალაქზე გაცილებით დიდ ტერიტორიულ ერთეულს ნიშნავს და არა მხოლოდ ნიშაბურს ან მის ერთ-ერთ უბანს, ამას გვიდასტურებს ისეთი გამონათქვამები, როგორიცაა „ყოველი რომ-გური“ და „უშინაგანესი რომ გური“.

ყველაფერი ეს საფუძველს გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ XII—XIII სს. და XIV ს-ის ქართულ საისტორიო წყაროებში რომ-გური და ხორასანი სინონიმური მნიშვნელობით იხმარებოდა.

ქველი ჩხატარაიშვილი

ქართული ფეოდალური სამხედრო ორგანიზაციის ისტორიიდან
(„შიდა ლაშქარი")

1047 წელს ბაგრატ IV-ს დიდი ფეოდალი ლიპარიტ ბაღვაში ებრძოდა. ლიპარიტმა შემწედ ბიზანტიიდან[1] 3 ათასი ვარანგი (ვარიაგი) მოიყვანა და ბაშს (გვიანდელ ხანებში — ბაქი, რიონზე) დააყენა. შემდეგ 700 ვარანგი ლიხის ქედზე გადმოვიდა და ქართლში, სასირეთის ჭალაში მეფის ლაშქარს შეება. მეფე ბრძოლის ველზე მოვიდა „შ ი დ ა თ ლ ა შ ქ რ ი თ ა". ბრძოლა მეფის მარცხით დამთავრდა. ვარანგები ლიხს იქით გადავიდნენ და, როგორც ჩანს, საქართველოდან წავიდნენ. მალე ბაგრატიც „წარვიდა აფხაზეთს" (ე. ი. დას. საქართველოში)[2].

1116 წელს „ფიცხელ" ზამთარში „ტაოს ჩამოდგეს დიდნი თურქნი ხარკებითა". დავით აღმაშენებელმა „მოიკელოვნა ესრეთ, რამეთუ სპათა ქართლისათა მზაობა უბრძანა და თკთ ქუთათისს გარდავიდა, რომლითა უეჭველ ყვნა იგინი (ე. ი. თურქები — ქ. ჩ.) და თუესა თებერვალსა აცნობა ქართუელთა და მესხთა, რათა კლარჯეთს დახუდენ პაემანსა, და თკთ შ ი დ ი თ ა ს პ ი თ ა ხუფთით ჭოროხის პირი წარვლო. და შეკრბეს ერთად..."[3] საქართველოს ყაერთიანებული ლაშქარი („ქართუელნი", „მესხნი" და „შიდა სპა") კლარჯეთს შეიყარნენ, თურქებს მოულოდნელად დაესხნენ და საშინლად დაამარცხეს.

„ქართლის ცხოვრების" ზემოთ მოტანილ ადგილებში მოხსენიებული „შიდა სპა" გვიანდელი ხანის მკვლევრებმა სხვადასხვაგვარად ვაიგეს. „ვახუშტი... «შიდა ლაშქრის» მაგივრად წერს „შიდა ქართველნი", რაც ამ მეცნიერის კომენტარს წარმოადგენს"[4].

1957 წელს ნ. ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ „თავისთავად «შიდა ლაშქარი» სრულიადაც არ ნიშნავს მაინც და მაინც «შიდა ქართველს», ის ასევე შეიძლება «აფხაზეთის» ე. ი. ლიხთ იქითის ლაშქარს ნიშნავდეს. შდრ. ანასეული ქცა, 212, სადაც «შიდა სპითა» ნიშნავს ლიხთიმერეთის სპას..."[5].

1966 წელს გამოთქმული იქნა აზრი, რომ „შიდა სპა" ანუ „შიდა ლაშქარი" სამეფო დომენის მოლაშქრეებისგან შედგებოდა, ე. ი. მეფის ლაშქარი ანუ „სამეფო სპა" იყო[6].

---

1 ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 300—301. ლიპარიტმა ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ ბიზანტიიდან უფლისწული დემეტრე რომ მოიყვანა, „ბერძენთა მეფისა განძი და ლ ა შ ქ ა რ ი შემწე იყო; სწორედ ეს ლაშქარი იყო „ვარანგნი სამი ათასი კაცი".

2 იქვე, გვ. 301.

3 იქვე, გვ. 333.

4 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, 1971, გვ. 203.

5 იქვე.

6 ქ. ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი, უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში, „საქართველო რუსთაველის ხანაში", თბ., 1966, გვ. 162.

1970 წელს პროფ. კ. გრიგოლიამ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის XII სამეცნიერო სესიაზე წაკითხულ მოხსენებაში, რომელიც სპეციალურად „შიდა სპის“ რაობის გარკვევისადმი იყო მიძღვნილი, განაცხადა, რომ „შიდასპა ან შიდა ლაშქარი... შიდა ქართლის სპის მარტივი შემოკლების წესით მიღებული სახელია“[7].

როგორც ვხედავთ, „შიდა სპამ“ მკვლევართა საგანგებო ყურადღება მიიპყრო. სავსებით სამართლიანადაც. „შიდა სპის“, ქართული ფეოდალური ლაშქრის „გარკვეული გუნდის“ (კ. გრიგოლია), რაობის დადგენა ქართული ფეოდალური სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის შესწავლისათვის აუცილებელი რამაა.

სანამ „შიდა სპის“ შესახებ არსებულ ცნობათა განხილვაზე გადავიდოდეთ, აღვნიშნავთ, რომ ნ. ბერძენიშვილმა 1116 წლის ამბებთან დაკავშირებით ნახსენებ „შიდა სპა“-ში სავსებით სამართლიანად დაინახა ლიხთიმერეთის ლაშქარი. მართლაც აღნიშნულ ადგილას დავითის ისტორიკოსი გარკვევით განასხვავებს ერთმანეთისაგან ქართლის ლაშქარს, მესხთა ლაშქარს და „შიდა სპას“, რომელიც ლიხს იქით, დასავლეთით იმყოფება. „შიდა სპა“-ში ქართლელ და მესხ მოლაშქრეთა ყოფნა გამორიცხულია.

„შიდა სპა“, ამავე დროს, არც მთელი დასავლეთ საქართველოს, — ფართო გაგებით „აფხაზეთის“, ლაშქრის ზოგადი სახელი იყო, არამედ ლიხთიმერეთის ერთი ნაწილის ლაშქარს ერქვა. ეს ნათლად ჩანს „მატიანე ქართლისას“ იმ ცნობიდან, რომელიც 1046 წლის ამბებს ეხება. ბაგრატ IV-ის დროს დასავლეთ საქართველოში ერთმანეთისაგან აშკარად განსხვავებულნი არიან: 1. „აფხაზეთისა ლაშქარი“ (რომელიც ქუაბულელ ოთაღო ჭაჭას-ძის სარდლობით ანაკოფიის ციხეს გარს ადგას), 2. „ქუთათისისა სამოქალაქოსა ლაშქარი“ (თუ, უბრალოდ — „სამოქალაქოსა ლაშქარი“?), 3. „გურიულნი აზნაურნი“ (გურიის საერისთავოს ლაშქარი) და 4. „ლომსიანნი“ (ლომსიათხევია ანუ გვიანდელი ლოსიათხევის მოლაშქრენი)[8]. ამათგან მეფემ ლიხთიმერიდან ქართლში გადმოიყვანა „ქუთათისის სამოქალაქოს“ თუ „სამოქალაქოს“ ლაშქარი[9]. **აი სწორედ ეს ლაშქარია, ჩვენი აზრით, იგივე „შიდა სპა“ ანუ „შიდა ლაშქარი“, მეფის დომენის მოლაშქრეთა გუნდი.**

„სამოქალაქო“, XI—XII საუკუნეთა ცნობებით, დასავლეთ საქართველოს ერთ გარკვეულ მხარეს ერქვა. 1080 წელს, „დიდი თურქობის“ დროს „ასისფორნი და კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგუეთი, სამოქალაქო და ჭყონდიდი აღივსო თურქითა... დაწუეს ქუთაისი“[10]. აქ სამოქალაქო ცალკე მხარეა, რომელშიც ქუთაისი მდებარეობს.

---

7 კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის XII სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1970, გვ. 9.

8 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 299. „ლომსიანთა“ ვინაობის შესახებ იხ. გ. ცქიტიშვილი, იბერიის საპიტიახშოს საკითხისათვის ლიხთიმერეთში, გვ. 306 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I. 1955). კონკრეტული ისტორიული სიტუაცია, რომელშიც ბაგრატ IV-ის დროინდელი, 1046 წლის ამბები ხდებოდა, „ლომსიანნი“-ში მესხთა ყოფნას გამორიცხავს. ეს გარემოებაც გ. ცქიტიშვილისეული მტკიცების საფუძვლიანობის დამადასტურებელია.

9 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 299.

10 იქვე, გვ. 319.

ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის სიტყვით გიორგი IV-ს „აფხაზეთი, სუანეთი და ყოველი სამოქალაქო აქუნდა დაწყნარებით“[11].

გვიანდელ შუა საუკუნეებში სახელი „სამოქალაქო“, როგორც ჩანს, ხმარებიდან გამოსულა („ქალაქი“ ამ დროს მხოლოდ თბილისს ნიშნავდა!) და დავიწყებას მისცემია. ამის საუკეთესო დადასტურებაა ის ფაქტი, რომ ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ „სამოქალაქოს“ სახელის მქონე მხარეს საერთოდ არც კი იხსენიებს.

„სამოქალაქოს“ ტერიტორიული განვრცობის საკითხი დიდი ხანია კვლევის საგნად იქცა. 1914 წელს ივ. ჯავახიშვილი წერდა, რომ „სამოქალაქო“, ალბათ, ქ. ქუთაისის სანახებს ეწოდებოდა, მაგრამ ამაზე იმდროინდელი პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვებაო“[12]; სხვა ადგილას ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „ქუთაისის სანახებს, ეტყობა, სამოქალაქო ერქვა“-ო[13].

ს. ჯანაშიას „სამოქალაქო“ ბიზანტიური წყაროების „მოხირისის“ ან „მუხირეზისის“ ძველ ქართულ სახელწოდებად მიაჩნდა. მისი სიტყვით: „მუხირეზისი“ გულისხმობს საკმაოდ დიდ რაიონს, რომელიც, მთლიანად ან ნაწილობრივ, შეიცავდა თანამედროვე ქუთაისის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, აბაშისა და მარტვილის რაიონებს, უფრო ზუსტად, მათს ვაკე ნაწილს, რომელიც სამეურნეო თვალსაზრისით, გარკვეულ მთლიანობას შეადგენს... რომ ეს ყველაზე დაწინაურებული სექტორია, ამას მოწმობს აქ აღმოცენება ლაზიკის უმდიდრესი ქალაქებისა, კერძოდ, როდოპოლისის (ვარდციხის) და ქუთაისისა. ეს უკანასკნელი გარემოება დაედო საფუძვლად ამ მხარის ძველ-ქართულ სახელწოდებას — „სამოქალაქო“-ს[14].

კ. კეკელიძეს „სამოქალაქო“ ქვემო იმერეთის ძველ სახელწოდებად მიაჩნდა[15].

ვ. ჩაკვეტაძის აზრით („სამოქალაქოს“ შესახებ არსებული ისტორიული ცნობებისა და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ შეხედულებათა ვ. ჩაკვეტაძისეული ანალიზი სავსებით ლოგიკური და საფუძვლიანია) „სამოქალაქო“ ერქვა ეგრისს, არგვეთს, რაჭასა და ლეჩხუმს შორის მდებარე მხარეს: მასში აბაშა-მარტვილის მხარე არ შედიოდა: „სამოქალაქოში“ შედიოდა მაღლაკი, ფარცხანაყანევი, გეგუთი, წყალტუბო, ქვიტირი, მესხეთი, ვარდციხე, საბანელა, წყალწითელა, კვახჭირი, გოდოგანი, გელათი, კურსები, ზარათი, ოფურჩხეთი, ბანოჯა, ნამოხვანი და „სხვა არაერთი სოფელი, რომლებიც ქუთაისს ეკვროდნენ“[16].

---

11 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 367 („ყოველი სამოქალაქო“ აქ მთლიან სამოქალაქოს ნიშნავს).

12 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 51.

13 იქვე, გვ. 54—55.

14 ს. ჯანაშია, შრომები, II, 1952, გვ. 320—321. ჩვენი ვარაუდით, „სამოქალაქო“ გულისხმობს არა მრავალქალაქიან მხარეს, არამედ ერთი ქალაქის (ძველი ქუთაისის, სამეფოს ცენტრის!) ირგვლივ მდებარე მხარეს. პროკოპი კესარიელის ცნობა, რომ მოხირისი ერთი დღის სავალით იყო დაშორებული არქეოპოლისს (ე. ი. ნოქალაქევს), აშკარად ცხენისწყლის მარცხენა სანაპიროზე მიგვითითებს.

15 История и восхваление венценосцев, перевод К. С. Кекелидзе, 1954, გვ. 105.

16 ვ. ჩაკვეტაძე, ქუთაისის ისტორიიდან, 1960, გვ. 113.

გ. ცქიტიშვილის აზრით, „დღევანდელი ქვემო იმერეთი ან ვაკე... როგორც ქუთაისის სანახებში შემავალი, ცალკე „სამოქალაქო“ ერთეულს შეადგენდა“[17].

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერები „სამოქალაქოს“ შესახები ადგილის სხვადასხვა ვარიანტებს შეიცავენ. მარიამისეულ ხელნაწერში (გამოცემის გვ. 261) ნათქვამია, რომ ბაგრატ IV მოვიდა ქუთათის და მ ო ა ყ ე ნ ა ქ უ თ ა თ ი ს ს ა ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ს ა ლ ა შ ქ ა რ ი და გურიელნი აზნაურნი და ლომსიანნი მოიყუანნა ხუფათის და დაუდგეს ფილაკვანი და ჰბრძოდეს“. ვახტანგ VI-ის დროინდელი ნუსხები (მ. ბროსეს გამოცემით) მარიამისეული ხელნაწერის ტექსტს იმეორებს (გვ. 224), ხოლო ანასეულ ხელნაწერში (გამოც. გვ. 186) მხოლოდ „ქუთათისის ლაშქარი“-ა. ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემულ ტექსტში კი (ზოგი ხელნაწერის მიხედვით) ნათქვამია: „მოიყენა ქ უ თ ა თ ი ს ი ს ა ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ს ა ლ ა შ ქ ა რ ი“[18]. ამის მიხედვით ვ. ჩაკვეტაძე თვლის, რომ არსებობდა „ქუთათისის სამოქალაქო“[19]. ს. ყაუხჩიშვილისეული ტექსტის სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ ბაგრატს არ სჭირდებოდა სამოქალაქოს ლაშქრის ქუთაისისთვის მოყენება, ქუთაისი ბაგრატს ეკავა და იგი ასაღებად არ ჰქონია; ბაგრატი სამოქალაქოს, გურიის და ლომსიანთა ლაშქრით ხუფათს მიადგა!

აქ ზოგი რამ თუნდაც დასაზუსტებელი იყოს, ერთი რამ ცხადია: მ ე ფ ი ს ლ ა შ ქ ა რ ი ი გ ი ვ ე „ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ს“ ლ ა შ ქ ა რ ი ა, ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო კ ი მ ე ფ ი ს დ ო მ ე ნ ი ა.

„შიდა სპის“ საკითხი ბევრად უფრო ნათელი გახდება, თუ თვალს გავადევნებთ სამოქალაქოს ტერიტორიის მომდევნო (XII ს. შემდგომ) ისტორიას.

ერთიანი საქართველოს სამეფოს მეფის დომენი სპეციალურად შესწავლილი არაა. ასევე შეუსწავლელია იმერეთის მეფის დომენიც, თუმცა ამ უკანასკნელის შესახებ ისტორიული დოკუმენტები საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ეს საკითხი საგანგებო შრომატევად კვლევას მოითხოვს და მის შესწავლას ჩვენ მიზნად არ ვისახავთ, მოვიტანთ მხოლოდ რამდენიმე ცნობას იმის საჩვენებლად, თუ (დაახლოებით) სად მდებარეობდა დას. საქართველოში სამეფო (ადრე, „აფხაზეთის“, შემდეგ — საქართველოს, ბოლოს — იმერეთის მეფის) მამულები, საიდანაც „შიდა სპა“ უნდა გამოსულიყო.

ქუთაისი, გელათი და მათი სანახები რომ სამეფო მამული იყო, ამას მტკიცება არ სჭირდება.

XI ს-ის 80-იან წლებში სამეფო მამულში იყო აჯამეთის მიდამოები: კახეთში მყოფ გიორგი II-ს „მოეკსენა ნადირობა აჯამეთისა“, ომი მიატოვა და სანადიროდ გასწია[20].

---

17 გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ერთი ადგილის წაკითხვისათვის, კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, 1966, გვ. 223.

18 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 299.

19 ე. ჩ ა კ ვ ე ტ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 114. (ვ. ჩაკვეტაძეს მიაჩნია, რომ ბაგრატმა ჯარი დააყენა სამოქალაქოში).

20 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 322.

XII ს-ის საბუთიდან ჩანს, რომ „«აბანოს სახლი») (ნ. ბერძენიშვილის აზრით — წყალტუბო) ძველად სამეფო ქონება ყოფილა“[21].

XVI ს-ის საბუთით „წყალტუბოს გაღმა ბოლო-მაღლაკის საზღურამდის“ იმერეთის მეფის „სახასო სანადიროები და სასახუნდროები იყო“[22].

გვიან, XVIII—XIX ს. დასაწყისში იმერეთის მეფის მამულად ჩანს მდ. ყვირილას ორივე ნაპირის ვაკე დაახლ. ზესტაფონიდან რიონ-ყვირილას შესაყარამდე, რიონისპირა (მარცხენა სანაპიროზე) რამდენიმე სოფელი (ჭყვიში, შუამთა...), ვაკე იმერეთი ხონის მისადგომებამდე (საწულუკიძეომდე), ე. წ. „ფიცისკაცთა“ მიწები რიონის ორივე ნაპირზე, აღმოსავლეთით ოკრიბამდე. სამეფო მამულის აღმოსავლეთ საზღვარს, როგორც ჩანს, მდ. ძევრულა (ყვირილის შენაკადი) წარმოადგენდა[23]. დაახლოებით სწორედ ამ საზღვრებში მდებარე ტერიტორიას უნდა რქმეოდა „სამოქალაქო“[24].

სახელწოდება „სამოქალაქო“, როგორც აღვნიშნეთ, გვიანდელ ხანაში არ იხსენიება, მაგრამ მისი ტერიტორიის (-მეფის მამული) დადგენისთვის მეტად ძვირფას მონაცემებს იძლევა ე. წ. „ფიცისკაცთა“ ინსტიტუტის შესწავლა.

XVIII ს-ის შუაწლებში იმერეთის სამეფოში იყო მცხოვრებთა ერთი ჯგუფი, რომელსაც სოციალური მდგომარეობითა და ფუნქციებით განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ესენი იყვნენ ე. წ. „ფიცის კაცები“. ფიცისკაცობის მსგავსი ინსტიტუტი საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებისთვის უცნობი იყო. თანამედროვის სიტყვით „ფიცის კაცები იყვნენ შემდეგი გვარისანი: თაეადი ლორთქიფანიძეები, აზნაურნი: მესხი, ავალიანი, იოსელიანი, ღოღაბერიძე, მიქაბერიძე, ყიფიანი, ქორქაშვილი, იაშვილი, უგრეხელიძე, გრიგოლაშვილი და ჭაბუკიანი. ესენი ცხოვრობდნენ სოფლათ: ახალბედისეულში, დედალოურში, ცხუკურში, გვიშტიბში, ქვილიშორში, ჩუნეშში, წყალტუბოში, გუმათში, ჯიმაშტაროში, ოფიჩხეთში, ნამნახვანში და რიონში[25]. ამ სოფლებს საზღვრავდა აღმოსავლეთით სოფლები: სიმონეთი, ქვაშავა, ნავენახევი, ძელული ანუ იგივე ძევრი, ჩხარი და ნაქერალას მთა. აქედან გაგრძელდებოდა დასავლეთით ვიდრე დადიანის საზღვრამდის და ხონამდის. სამხრეთით: ვაკე იმერეთი — ქუთაისი და ჭიშურა, ჩრდილოეთით: — კვალადვე დადიანის საზღვარი, ბომბუას ხიდი, გორდი და ლეჩხუმი, ვიდრე რაჭის საზღვრამდის. ამ საზღვრებს შიგნით ზემოთქმული სოფლები ისეთი მიუდგომელი ადგილები

---

21 ნ. ბერძენიშვილი, წყალტუბოს ისტორიისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1943, ტ. IV, № 7, გვ. 716.

22 იქვე.

23 XVI—XIX სს-ში იმერეთის მეფის დომენი ხშირად განიცდიდა ცვლილებებს, — შემცირებას (მაგ. ალექსანდრე V-ის დროს) თუ გაფართოებას (სოლომონ I და სოლომონ II-ის დროს). ამის გამო მისი რაიმე ზოგადი საზღვრების ჩვენება შეუძლებელია. იმერეთის მეფის დომენის შესახებ იხ. XVI—XIX სს ისტორიული დოკუმენტები (ნაწილობრივ გამოქვეყნებული), Акты.... ტ. IV, გვ. 258—259; ტ. V, გვ. 475; Кавказский календарь, 1859, გვ. 426; სცია, ფ. 488, ს. 132 და სხვ.

24 სამოქალაქო (და ფიცისკაცთა) ტერიტორიის ზუსტად დადგენა სპეციალურ ისტორიულ-გეოგრაფიულ კვლევასაც საჭიროებს **(სამეურნეო და სამხედრო ასპექტით)**.

25 ფიცისკაცებით დასახლებულ სოფელთა ეს სია, როგორც ჩანს, სრული არაა: ფიცისკაცები ცხოვრობდნენ სოფ. ჟონეთშიაც (იხ. სცია, ფ. 1448, ს. 9681).

იყო, რომ ვაკე იმერეთიდან და ქუთაისიდან ურმის შესვლა არ შეიძლებოდა, სრულებით მთაგორა და კლდოვანი ადგილები იყო“[26].

გადმოცემა, რომლიდანაც ეს სიტყვებია მოტანილი, მისი ახლად გამომცემლის პროფ. ქ. სიხარულიძის სამართლიანი შენიშვნით, „ისტორია უფროა, ვიდრე მხატვრული შემოქმედება“[27]. ამ საკმაოდ ვრცელი ისტორიული გადმოცემის სხვა ადგილებიც სათანადო ისტორიული დოკუმენტებით დასტურდება; ფიცის კაცთა შესახებ (ჯერჯერობით) სხვა ასე ვრცელი ცნობის უქონლობის პირობებში კანდელაკისეული გადმოცემა ერთადერთ და სანდო წყაროდ რჩება.

ფიცისკაცებით დასახლებული ტერიტორია რომ ცალკე, განსაკუთრებულ მხარეს შეადგენდა, კარგად ჩანს 1810 წლის იმერეთის თავადაზნაურთა ჩვენების საფუძველზე შედგენილი ერთი ოფიციალური დოკუმენტიდან, რომელშიც იმერეთის მეფის კუთვნილ მამულებს შორის მოხსენიებულია „Волость Пицис-каци“, სადაც იმ დროს თავადაზნაურთა და მათ კუთვნილ გლეხთა 1 000 კომლი ცხოვრობდა[28].

ფიცისკაცებად, ჩვეულებრივ, თავადაზნაურები იწოდებოდნენ, მაგრამ რადგანაც მათთან ერთად ფიცს დებდნენ (და ლაშქრობდნენ) მათი კუთვნილი თუ სახელმწიფო გლეხებიც[29], ფაქტიურად ეს გლეხებიც ფიცისკაცები იყვნენ. ფიცის კაცები ყოველი წლის 15 მაისს იკრიბებოდნენ გურეშევში ე. წ. ლეკერწას მინდორზე მდგარი მუხის ქვეშ და მეფის ერთგულების ფიცს დებდნენ. ფიცს დებდნენ 15 წელს მიღწეული და უხნესი მამაკაცები. „ფიცის კაცს დიდი გავლენა ჰქონდა მეფეებთან, ასე რომ უკეთუ ვისმე მეფე გაუწყრებოდა, შერისხული მიმართავდა ფიცის კაცს და თუ შეასწრებდა ფიცის კაცის საზღვარში, მდევარი ვეღარ შეუვებოდა; რა კი ფიცის კაცს მიენდობოდა, მეფე ძალით ვეღარ გამოიყვანდა. შეიკრიბებოდნენ ერთობით ფიცის კაცნი, ესენი ცოტანი არ იყვნენ: ათასი მეომარი სახელოვანი გამოვიდოდა მარტო თავადაზნაურნი და მათი ყმები კი, რასაკვირველია, ზედმეტი იყო[30]. ფიცის კაცნი თავიანთის ყმებით შეკრებილნი, ერთ ადგილას, ქუთაისის მახლობლად დაბინავდებოდნენ, მიუგზავნიდნენ მეფეს მოციქულს და მოახსენებდნენ, რომ ეპატიებიათ მათთვის ის დამნაშავე კაცი. არ შეამდგომლობდნენ მხოლოდ მეფისა და ქვეყნის მოღალატეზე, სხვებს კი, როცა შენანებულს ნახავდნენ, თავის კალთას აფარებდნენ და მეფეც იძუ-

26 „კვალი“, 1895, № 24, გვ. 12, 1898 წ. „აკაკის კრებულში (№ 9) ეს გადმოცემა დაიბეჭდა ოდნავ შეცვლილი სათაურით. 1964 წ. გამოქვეყნდა „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების“ II ტომში. გადმოცემის ავტორის შესახებ „აკაკის კრებულში“ ნათქვამი იყო: „გადმოცემული თანამედროვისაგან, რომელიც იყო სიკო კანდელაკის პაპა და ჩაწერილი მისი შვილისშვილის სიკო კანდელაკისაგან“. გარკვეული მოსაზრებით ჩვენ მოგვაქვს ციტატი პირველი გამოცემიდან.

27 ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ტ. II, გვ. 353.

28 Акты собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею, ტ. IV, გვ. 258. საყურადღებოა, რომ ი. გიულდენშტედტი, რომელიც იმერეთში 1772 წელს იყო, ფიცის კაცებით (ამ ტერმინს გიულდენშტედტი არ იცნობს) დასახლებულ სოფლებს „სალორთქიფანიძოს“ უწოდებს და თავად ლორთქიფანიძეთა საკუთრებად მიაჩნია იმ მხარეში მდებარე 10 სოფელი, მეფისად—8, ხოლო დადიანისეულად—4 (გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 1962, გვ. 305—306).

29 საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი (სცია), ფ. 1448, ს. 9681.

30 ეს რიცხვები, ცხადია, შემდგომ კვლევა-ძიებას და დაზუსტებას საჭიროებს.

ლებული ხდებოდა მიეტევებია. ფიცის კაცებს, მეტადრე ომის დროს, დიდი ერთობა ჰქონდათ: ომში ერთად შედიოდნენ, ერთი მეორეს ვერ დატოვებდა; გაწყდებოდნენ ერთად და გამოვიდოდნენ კიდევ ერთად. როგორც დაჭრილს არ დატოვებდნენ არც მკვდარს და თუ ვისმე შენიშნავდნენ, რომ ხელგამოუღებელი და ან შეშინებული მოკვდა, იმას აღარ მარხავდნენ და არც შინ წამოიღებდნენ, მინდვრად დატოვებდნენ მხეცების შესაჭმელად. უკეთუ ამისთანა კაცი ცოცხალი დარჩებოდა ომის დროს, იმაზე იტყოდნენ: ფიცის კაცს უღალატაო და აღარც შეიძლებოდა ღაეყენებიათ მათ საზღვარში, აყრიდენ და გადაასახლებდენ, მაგრამ მის ადგილ-მამულს კი ფიცის კაცებივე შეიყიდიდენ ღირებულ ფასად"[31].

როგორც ვხედავთ, ფიცისკაცები შეადგენდნენ საკმაოდ მრავალრიცხოვან სამხედრო გუნდს, შენაერთს, რომელიც „მეფის გვარდიის" როლს ასრულებდა[32]. ფიცის კაცებს ისე მტკიცე შეუვალობა ჰქონდათ, რომ მათ ტერიტორიაზე („ფიცის კაცის საზღვარში") თავშეფარებულ დამნაშავეებზე მეფის მიერ წარგზავნილ მოხელეებს ხელი არ მიუწვდებოდათ. საყურადღებოა ისიც, რომ ფიცის კაცის ადგილმამული სხვაზე (არა ფიცის კაცზე) არ გაიცემოდა. ამრიგად ფიცისკაცები კარჩაკეტილ სამხედრო კასტისმაგვარ გაერთიანებას შეადგენდნენ.

ცხადია, ეს არ გამორიცხავდა ცვლილებებს (მეფის ნებით) ფიცისკაცთა რიგებში. მაგ. XVIII ს-ის მეორე ნახევარში ფიცისკაცთა შორის მოხსენიებული აზნაური მესხები იმერეთში სამცხიდან ახალგადმოსახლებულნი იყვნენ[33]. ფიცისკაცთა საფრთხით აღსავსე ცხოვრება, რაც ხშირად ტრაგიკულად თავდებოდა, მათი რიგების ასეთ შევსებას აუცილებელს ხდიდა.

ფიცისკაცები მეფის დასაყრდენი იყვნენ როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრებთან ბრძოლაში. ფიცისკაცები საპასუხისმგებლო სამხედრო ოპერაციებს აწარმოებდნენ. მაგ. 1770 წელს მათ მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის (ქალაქისა და ციხის) ალყასა და აღებაში[34]. სოლომონ II-სა და დავით გიორგისძეს შორის ტახტისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში „თანა შემწეთა ფიცისა... კაცთა გლეხთა და აზნაურთა ერთობით გამოცხადებით (ე. ი. აშკარად) მსახურეს" სოლომონ II-ს, რამაც მის გამეფებაში გარკვეული როლი ითამაშა[35].

ასეთი სამსახურის სანაცვლოდ მეფე, ზემოთ აღნიშნულს გარდა, ფიცისკაცებს სხვაგვარადაც სწყალობდა. ფიცისკაცთა მეთაურსა და გამგებელს თავად ლორთქიფანიძეს მეფის დიდებულთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეკავა, ხოლო ფიცისკაცთა უმეტესობა სახელმწიფო ფულადი გამოსაღების — საურისაგან გათავისუფლებული იყო. XVIII—XIX სს მიჯნაზე საურს იხდიდა

---

31 „კვალი", 1895, № 24, გვ. 12—13.

32 შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის 1784—1789 წწ. გვ. 99, (ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960). ცხადია, ფიცისკაცებად უნდა ჩაეთვალოთ ს. ბანოჯის მცხოვრებნიც, რომლებიც მეფის პირად მცველთა, ქეშიკთა რაზმს შეადგენდნენ. იხ. Кавказский Календарь, 1859, გვ. 439—440.

33 ი. გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 112.

34 „კვალი", 1895, № 24. გვ. 11—12.

35 სცია, ფ. 1448, ს. 9681.

ფიცისკაცთა (1 000 კომლზე მეტი) მხოლოდ 38 კომლი[36] ე. ი. 3,8% (გადამხდელები, ცხადია, გლეხები იყვნენ!). სავარაუდებელია, რომ ფიცისკაცებს სხვა პრივილეგიებიც ექნებოდათ.

საჭირო შემთხვევაში ფიცისკაცთაგან ლაშქრად გამოდიოდა ყველა ბრძოლისუნარიანი (15 წლის ზევით)[37] თავადი და აზნაური („ქუდზე კაცი"), ხოლო გლეხთაგან — კომლზე 1 მოლაშქრე[38].

ფიცისკაცები საისტორიო წყაროებში ჯერჯერობით მხოლოდ სოლომონ I-სა და სოლომონ II-ის დროს ჩანან, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ფიცისკაცთა ინსტიტუტი XVIII ს-ის შუაწლებში გაჩნდა. საისტორიო წყაროებში სათითაოდ და საკმაოდ ვრცლადაა აღწერილი ყველა ის ღონისძიება, რომელიც სოლომონ I დიდმა თავისი სახელოვანი მეფობის დროს განახორციელა. საყურადღებოა, რომ არცერთი ისტორიული წყარო არ მიაწერს მას ფიცისკაცობის შემოღებას. თუ გავითვალისწინებთ ფიცისკაცთა როლს XVIII ს. იმერეთის სამეფოს ისტორიაში, ცხადი გახდება, რომ მეფის მოლაშქრეთა ეს განსაკუთრებული გუნდი უკვე სოლომონ I-ამდე არსებობდა. ამავე დროს ისიც აშკარაა, რომ XVII—XVIII ს. პირველი ნახევრის იმერეთში ფიცისკაცთა ინსტიტუტის შექმნისთვის ხელსაყრელი პირობები არ არსებობდა. ფიცისკაცთა უფლება-მოვალეობათა ის ერთობლიობა, რომელიც ასე დაწვრილებითაა აღწერილი თანამედროვის(მგალობელ კანდელაკის მიერ) და რომელიც ფეოდალიზმის აღმავლობის, მისი კლასიკური ხანის დამახასიათებელ (რაინდული კოდექსის მსგავს) ელემენტებს შეიცავს, ჩვენი აზრით, შეუძლებელია საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის მომდევნო პერიოდში იყოს შექმნილი[39].

ჩვენი აზრით, ფიცისკაცები საქართველოს (ადრე „აფხაზეთის") მეფის „შიდა ლაშქრის" — სამეფო მამულის მოლაშქრეთა მემკვიდრენი არიან, — დაქვეითებულნი ფეოდალური საქართველოს დაშლილობის ხანაში და თითქოს საიქიოდან გამოხმობილნი ქვეყნის უკიდურესი გასაჭირის დროს სოლომონ I-ის მიერ (სოლომონის „დიდობის" ერთ-ერთი მიზეზი ესეც უნდა იყოს).

თუ ეს ასეა, მაშინ თავისთავად იქმნება დასკვნა იმის შესახებ, რომ ფიცისკაცებით დასახლებული ტერიტორია უნდა ყოფილიყო ნაწილი იმ ფეოდალური სამფლობელო ერთეულისა, რომელსაც „სამოქალაქო" ერქვა და მეფის დომენს წარმოადგენდა. „სამოქალაქო"-დან გამორიცხვა ფიცისკაცებით დასახლებული ტერიტორიისა, რომელიც სამეფო ლაშქრის („შიდა ლაშქრის", „ტაძრეულნი"?) სამეურნეო-ეკონომიურ ბაზას და ბუნებრივ სიმაგრეს

---

36 Акты..., IV, გვ. 256; ეს 38 კომლი იხდიდა საურს — 76 მარჩილს (კომლზე 2 მარჩილს), ხოლო საუდიეროს (ს. რიონისა და ს. აჯამეთის მოსახლეობასთან ერთად): 570 ბათმან ღომს, 4560 ოკა ღვინოს და 3 საკლავს. (Акты, ტ. V, გვ. 475). ეს ფიცისკაცთა რაოდენობის გათვალისწინებით (რიონ-აჯამეთის მოსახლეობის ჩართვით) კომლზე მეტად მცირე გამოსაღებს შეადგენს.

37 „კვალი, 1895, № 24. გვ. 12 („ვიდრე თუთხმეტი წლის").

38 ლაშქრობა ფეოდალურ საქართველოში გლეხთა ერთ ფენას — მსახურებს ევალებოდათ. ფიცისკაცთა ყმები, როგორც ჩანს, მსახურები იყვნენ (ცხადია, არა ყველანი!).

39 შ. ბურჯანაძეს მიაჩნდა, რომ „ფიცისკაცების ინსტიტუტის შექმნა ფეოდალური ურთიერთობის კრიზისის ნიშანი იყო. იგი აღმოცენდა ტახტის წინააღმდეგ თავადების ძალმომრე ბრძოლის ნიადაგზე...". (შ. ბურჯანაძე, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიისათვის..., გვ. 99).

(ამაზე იხ. ზემოთ) წარმოადგენდა, ცხადია, გაუმართლებელია. ფიცისკაცთა მამული უნდა ყოფილიყო, ქუთაისთან ერთად, ბირთვი, ორგანული ნაწილი სამეფო დომენისა (=სამოქალაქო).

ამ საკითხის მომავალი კვლევა, ალბათ, ბევრ რამეს დააზუსტებს და ნათელს გახდის. განსაკუთრებით საინტერესო ჩანს „სამოქალაქოს" ძველი ფესვების („აფხაზთა სამეფოში", ეგრისის სამეფოშიაც?) ძიება, რაც თავისთავად გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს ქართულ ფეოდალურ ურთიერთობათა გენეზისისა და მისი ადრეული საფეხურის შესწავლის თვალსაზრისით[40].

---

40 სტატია უკვე აწყობილი იყო, როცა შევნიშნეთ **სამოქალაქოს** მოხსენიება იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის 1545 წ. სიგელში. იხ. საქართველოს სიძველენი, 1920, ტ. I, გამოც. II, წ. I, გვ. 18. ამ ცნობით სამოქალაქოში შემავალ სოფლებად იხსენიება: მეცხეთი, მაღლაკი, ქუტირი, ნავენახეეი, ოხომირა, ჯონია, ნაბოსლევი, კურსები, ჭოლეეი, რიონი და ნამაშევი. იქვე, გვ. 19—21. **მეფე** ეკლესიას სწირავს ამ სოფლებში მცხოვრებ გლეხებს.

ლიანა დავლიანიძე

ფავსტოს ბუზანდის ერთი ცნობის გამო

ძველი სომხური საისტორიო მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ფავსტოს ბუზანდის (V ს-ის II ნახევარი)[1] „სომხეთის ისტორია“ ექვსი წიგნისაგან შედგება. ჩვენამდე მოაღწია ამ თხზულების მხოლოდ III—VI წიგნებმა. ფავსტოსის ნაშრომში პოლიტიკური ისტორია წარმოდგენილია ხოსროვ II-ის (330—338) დროიდან და გრძელდება სომხეთის გაყოფამდე (387 წ.). ამჯერად ჩვენი ყურადღება მიიქცია „სომხეთის ისტორიის“ V წიგნში დაცულმა ერთმა ცნობამ, რომელიც ირანელებთან 371 წლის ბრძოლის შემდეგდროინდელ ამბავს ასახავს.

მოგვაქვს ფავსტოს ბუზანდის სათანადო ტექსტი შესაბამისი ქართული თარგმანითურთ:

... իբրև դադարեաց պատերազմն 'ի կողմանցն Պարսից, և յապահովեցան իբք ճակատուն յաչմ կողմանէ, և այնուհետև սկսանէր սպարապետն Հայոց Մուշեղ հարկանէր զայնոսիկ՝ որք ապստամբ եղեն 'ի թագաւորութենէն արշակունեաց։	...როდესაც შეწყდა ომი ირანის მხარეებში და (სომხებმა) ამ მხრივ გული დაიმშვიდეს, ამის შემდეგ სომხეთის სპარაპეტმა მუშეღმა დაიწყო იმათი განადგურება ვინც აღსდგა არშაკუნიანთა სამეფოს წინააღმდეგ.
. . . . .	. . . . .
Ապա խաղալը սպարապետն Մուշեղ 'ի վերայ Վրաց արքային, և նեղէր զնա մեծապէս. և հարկանէր զերկիրն, և վանէր զամենայն աշխարհն Վրաց. և հանէր ընդ սուր զամենայն ազատս և զազդս նախարարացն, զոր ունիր։[2]	შემდეგ წავიდა მუშეღ სპარაპეტი ქართველთა მეფის წინააღმდეგ და დიდად შეავიწროვა ის. დაარტყა ქვეყანას და ებრძოდა მთელ ქართველთა მხარეს. და მისცა მახვილს ყველა აზატი და ნახარართა გვარი, რომლებიც იპოვა.

მოტანილი ნაწყვეტიდან ჩანს: სომხებთან ბრძოლის დროს ირანის ჯარში სხვა ხალხებიც იმყოფებოდნენ. სომხეთის სპარაპეტს მუშეღ მამიკონიანს გამარჯვების შემდეგ გადაუწყვეტია იმათი დასჯა, ვინც ირანელებს უწევდა მო-

---

[1] ფ. ბუზანდის შესახებ იხ. Փաւստոս Բուզանդ, Պատմություն Հայոց, բարգմանություն ներածություն և ծանոթություններ ակադ. Ա. Մալխասյանցի, Երևան, 1968 էջ. 5—61; М. Абегян, История древнеармянской литературы, т. I, Ереван, 1948, стр. 150—156; Л. Хачикян, Вступительная статья к Истории Армении Фавстоса Бузанда (перевод с древнеармянского М. Геворгяна), Ереван, 1953.

[2] Փաւստոսի Բիւզանդացւոյ Պատմութիւն Հայոց, տբ., 1912, էջ. 315.

კავშირეობას. მათ შორის ქართველთა მეფეც ყოფილა, რამდენადაც მუშელს მისი ქვეყანა დაულაშქრავს.

ვინ იყო ქართველთა ის მეფე, 'რომელიც 371 წელს ირანის ჯარში იბრძოდა და რა მიზეზით (ამ დროს ხომ ქართლიც უკიდურეს შევიწროებას განიცდიდა შაჰის ხელისუფლების მიერ).

* * *

შაბურ II-ის (309—379) მეფობის დროს, სასანიანთა ირანმა ახალი ძალით შემოუტია ა/კავკასიის ქვეყნებს. სომხეთისა და ქართლისათვის აშკარა გახდა ამ მხრიდან წამოსული საფრთხის მნიშვნელობა და ისინი ძირითადად ბიზანტიის (რომის) ორიენტაციას დაადგნენ. მაგრამ ირანის გამარჯვებამ რომაელებთან ომში 361 წელს და მათთვის ხელსაყრელმა ზავის პირობებმა (სხვათა შორის, რომის იმპერატორმა იოვიანემ (363—364) ვალდებულება იკისრა არ დახმარებოდა სომხებს ირანის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში) სხვაგვარად წარმართა საქმე. შაჰის ჯარებს ფართო გზა გაეხსნათ ა/კავკასიისაკენ სალაშქროდ. სულ მალე მათ დაიკავეს სომხეთის დასავლეთი ოლქები და აირარატისაკენ დაიძრნენ. თანდათან სომხებთან ბრძოლა მეტად მძიმე შეიქნა. მათი წარმატებით შეშფოთებულმა შაბურ II-მ 367 წელს ზავის დადების საბაბით ქტეზიფონს გაიწვია სომხეთის მეფე არშაკ II (345—367) და სარდალი ვასაკ მამიკონიანი. მხოლოდ ამის შემდეგ შესძლო მან აირარატის ოლქის დარბევა, რამაც სავსებით მოშალა ქვეყნის შინაგანი ცხოვრება. ამასობაში სომხეთის ტახტის მემკვიდრე პაპმა (369—374) დახმარება მიიღო რომის იმპერატორ ვალენტისაგან (364—378) და სპარაპეტ მუშელ მამიკონიანის შეწევნით 369 წელს არტაშატში შევიდა. სწორედ ამის საპასუხოდ შემოუტია შაბურის ჯარმა სომხეთს 371 წელს. ამრიგად, ირანის შაჰი გადამწყვეტ ზომებს იღებდა სომხეთის მთლიანად თავისი გავლენის ქვეშ მოსაქცევად.

ამავე დროისათვის ირანელები უფრო მტკიცედ ალბანეთში არიან ფეხმოკიდებულნი. უკვე 60-იანი წლებიდან ალბანეთის მმართველები შაბურის ჯარში იბრძვიან. სწორედ ამ ვითარებას ასახავს ამიანუს მარცელინუსის ის ცნობა, სადაც აღნიშნულია: რომაელებს ეშინოდათ სხვებსაც არ მიებაძათ ალბანელთა მაგალითისათვის და საჩუქრებს უგზავნიდნენ სომხეთის მეფე არშაკსა და იბერიის მეფე მირიანსო (მერიბანი)[3]. ჩვენთვის საინტერესო 371 წლის ბრძოლის დროსაც ალბანეთის მეფე ურნაირი შაბურის ჯარში ყოფილა. ამას ადასტურებენ, როგორც ფავსტოს ბუზანდი[4], ისე სხვა სომეხი ავტორებიც, — მოსე ხორენელი[5] და მოსე კალანკატუელი[6].

---

[3] ალ. გამყრელიძე, ამიანე მარცელინე, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 1, თბილისი, 1961, გვ. 101—102.

[4] **Փաւստոս Բիւզանդացի**, დასახ. ნაშ., წ. V, თ. 4.

[5] **Մովսէսի Խորենացւոյ**, **Պատմութիւն Հայոց**, თბ., 1913, ნაწ. III, თ. 37.

[6] **Մովսէսի Կաղանկատուացւոյ Պատմութիւն Աղուանից Աշխարհի**, თბ., 1912, წ. I, თ. 13.

თუ ალბანეთის მონაწილეობა შაბურის ჯარში 371 წელს მოულოდნელი არ არის, ეს არ ითქმის ქართლის სამეფოს შესახებ. ქართლი ამ დროისათვის თუმცა ირანის გაძლიერებულ შემოტევას განიცდიდა, მაგრამ დაპყრობილი მაინც არ იყო. 368 წელს ქართლის მეფედ საურმაგი იხსენიება. ამავე წელს შაბურ II თავს დაესხა აღმოსავლეთ საქართველოს, გააძევა რომაელთა მიერ ხელდასხმული საურმაგი და მის მაგიერ ტახტზე აიყვანა ასპაკური[7]. საურმაგი დახმარების მისაღებად წავიდა იმპერატორ ვალენტთან, რომელმაც გამოაყოლა მაშველი ჯარი 12 რომაული ლეგიონის რაოდენობით. ამდენად, ძნელი წარმოსადგენია, რომ 371 წელს საურმაგს ბრძოლაში შაბურის მხარეზე მიეღო მონაწილეობა.

მაშინ იქნებ ირანელების მიერ მეფედ დასმული ასპაკური იბრძოდა შაჰის ჯარებთან ერთად? უკვე კარგა ხანია, რაც მარცელინუსის მიერ ხსენებულ ასპაკურს ქართული წყაროების ვარაზ-ბაქარს უკავშირებენ[8]. მის დროს „მოვიდა ქრამ ხუარ ბორზარდ სპარსთა მეფისა პიტიახში, ტფილისად ქალაქად, ციხედ. და ქართლი მისსა ხარკსა შედგა და სომხითი და სივნიეთი და გუასპურაგანი“[9]. რამდენადაც ცნობილია, საურმაგსა და ასპაკურს გაყოფილი ჰქონდათ ქართლი. პირველი ფლობდა მტკვრის სამხრეთით მდებარე ნაწილს, ხოლო მეორე მის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიას[10]. თბილისი საურმაგის სამფლობელოში შედიოდა. ამდენად, ირანელი პიტიახშის თბილისში მოსვლა შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. რამდენადაც საურმაგი ხელმეორედაც რომაელთა დახმარებით დაეუფლა ქართლის ერთ ნაწილს, მისი ქვეყანაც რომის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ხოლო შაბურს მიზნად ჰქონდა მთელი ქართლის დაპატრონება, სადაც ფორმალურად თავის არჩეულ ასპაკურს გააგეფებდა (მოგვიანებით ასეც მოხდა).

ლეონტი მროველის სიტყვით, ვარაზ-ბაქარი (ასპაკური) იყო მოშიში ირანელებისა და მოძულე ქრისტიანობისა. მის მეფობაში „გამოგზავნა სპარსთა მეფემან ერისთავი სპითა დიდითა სომეხთა და ქართველთა ზედა ხარკისა დადებად. მაშინ სომეხთა მოგზავნეს ვარაზ-ბაქარისსა მოციქული და რქუეს, რათა შეკრბენ და მოირთონ ძალი ბერძენთაგან, და განახუნენ კარნი კავკასიანთანი, და გამოიყვანნენ ოვსნი და ლეკნი, და წინააღუდგენ სპარსთა. და წარჩინებულნი თჳსნიცა ეტყოდეს წინააღდგომასა სპარსთასა. არა ისმინა არცა

---

7 გეორგიკა, I, გვ. 125.

8 ლ-ნ. ჯანაშია თავის წიგნში (ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962, გვ. 81) ასახელებს რიგ ავტორებს, რომლებთანაც აღნიშნულ საკითხზეა ლაპარაკი. მაგ. M. Brosset, Histoire de la Géorgie, I, 1849, გვ. 134—135, შენ. 3; С. Баратов, История Грузии, II—III, გვ. 19; დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 150 (ბროსეზე მითითებით); ს. გორგაძე, საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი, „მოამბე“, 1905, III, გვ. 34—35; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 204; ს. ჯანაშია, წიგნში: საქართველოს ისტორია, თბ., 1948, გვ. 104; ვ. დონდუა, წიგნში: საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958, გვ. 91; გ. მელიქიშვილი, ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის; ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. I, თბ., 1958, გვ. 166 და სხვ.

9 მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, წ. I (V—X სს.), თბ., 1963, გვ. 92.

10 ლ-ნ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962, გვ. 78.

სომეხთა, არცა წარჩინებულთა თჳსთა, რამეთუ იყო იგი ჩუკენი და მოშიში«[11]. როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ასპაკური სომეხ და ქართველ წარჩინებულთა სურვილის წინააღმდეგ წასულა და ირანელებთან ბრძოლა ვერ გაუბედავს. მართალია, ქართულ წყაროებში პირდაპირ არ არის აღნიშნული ასპაკურის უშუალო ბრძოლის შესახებ შაბურის ჯარში, მაგრამ გამორიცხული არ უნდა იყოს შესაფერ შემთხვევაში მისი ომში გამოყენება შაჰის მიერ, რამდენადაც ასპაკური მთლიანად ირანელების გავლენის ქვეშ ყოფილა მოქცეული (მისი შვილიც ხომ მათვე ჰყავდათ მძევლად)[12].

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ირანელებს სწორედ ვარაზ-ბაქარის მეფობაში დაუსრულებიათ ქართლისა და სომხეთის დაპყრობა-დახარკვა, რაც ლეონტისავე გადმოცემით დასტურდება[13].

თუ ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, იქნებ მოულოდნელი აღარ იყოს 371 წელს ქართლის მეფის ასპაკურის, ანუ ვარაზ-ბაქარის მონაწილეობა შაბურის ჯარში, რასაც, ფავსტოსის თანახმად, შედეგად მოჰყოლია სომხეთის სპარაპეტის მუშეღ მამიკონიანის გულისწყრომა.

---

11 ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 136.

12 იგ. ჯაფარიძე, ქართველი ერის ისტორია I, თბ., 1960, გვ. 234.

13 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 136.

მედეა მენაბდე

სოფელ განთიადის ახლად აღმოჩენილი სამარხეული კომპლექსი

1969 წლის გაზაფხულზე სოფ. განთიადში (დმანისის რაიონი) ადგილობრივი მცხოვრების ლევან ციხელაშვილის ეზოში, მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩნდა ორმოსამარხი, რომელიც დიდი ლოდით (1,5×1,5 მ) ყოფილა გადახურული და პატარა ქვაყრილიც ჰქონია. სამარხი შეიცავდა არქეოლოგიურ ნივთებს და ადამიანის ძვლებს. აღმომჩენმა, ლ. ციხელაშვილმა, ეს ნივთები არქეოლოგ გ. ავალიშვილს* გადასცა და მათი აღმოჩენის ვითარება მოუთხრო.

სამარხის აღმოჩენის ადგილს პატარა ხევი ჰყოფს ამავე სოფელში ადრე მიკვლეული სამაროვნიდან, სადაც 1964 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმის გაერთიანებულმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ო. ჯაფარიძე) რამდენიმე სამარხი გათხარა[1]. იმავე სამაროვანზე მოგვიანებით, 1966 წელს, აღმოჩნდა მეტად საინტერესო კომპლექსი, ე. წ. „მელითონე ხელოსნის“ სამარხი[2]. ამ სამაროვანს საკმაოდ დიდი ფართობი უჭირავს და იქ აღმოჩენილი მასალა ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით არის დათარიღებული[3].

1969 წელს აღმოჩენილი მასალა საგრძნობლად განსხვავდება განთიადის სამაროვანზე მანამდე აღმოჩენილი მასალისაგან და ბევრად უფრო არქაულად გამოიყურება. ლითონის ნივთები ყველა ბრინჯაოსაგანაა დამზადებული; კერძოდ, აქ ნაპოვნია: მასრაგახსნილი შუბი, ფოთლისებური სატევრები (2 ცალი), ბრტყელფირფიტოვანი ყუნწიანი ისრისპირები (16 ცალი), სფერული ლახტისთავები (2 ცალი), თავხვია საკინძი, ღილაკი და ცილინდრული ფორმის პატარა მილაკი. კერამიკული ნაწარმიდან მთელი მხოლოდ სადღვებელია. დანარჩენი ფრაგმენტებიდან აღდგა ლანგარი, ისიც არასრულად. ყოველივე ამას თან ერთვის სარდიონის რამდენიმე მძივი, მეტწილად დამტვრეული (ტაბ. I).

სანამ განთიადის კომპლექსის დათარიღების საკითხს შევეხებით, მოკლედ აღვწერთ სამარხის ინვენტარს.

---

*გ. ავალიშვილმა მასალა ჩვენ გადმოგვცა დასამუშავებლად, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

1 გ. ავალიშვილი, ო. სანებლიძე, არქეოლოგიური გათხრები ქვემო ქართლში, „მაცნე“, № 4, 1964, გვ. 232—243.

2 გ. ავალიშვილი, მელითონეთა ძველი კერა ქვემო ქართლში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, № 2, 1968, გვ. გვ. 505—509.

3 განთიადში 1964 წელს გათხრილი მასალა სრულად არის განხილული ავალიშვილის სადისერტაციო ნაშრომში „სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1970.


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12

შუბი (ტაბ. I_1) მასრაგახსნილია, მისი პირი თხელი ფირფიტისაგანაა დამზადებული და მაღალი ტოლფერდა სამკუთხედის ფორმისაა, მხრები დაქახებული აქვს. პირს ორივე მხრიდან მაღალი მომრგვალო შუაქედი გასდევს, რომელიც ქვევით გახსნილ მასრაში გადადის. მასრაში შუა ნაწილზე და ბოლოსთან ორი წყვილი სამანჭველე ნახვრეტი აქვს გაკეთებული. შუბი ნატიფადაა ნაკეთები, მშვენივრად შენახული და ამჟამადაც საკმაოდ ბასრია (შუბის სიგრძე — 28,9 სმ; პირის სიგრძე — 13,5 სმ; უდიდესი სიგანე — 3,8 სმ).

სატევრები (ტაბ. $I_{2,3}$) განეკუთვნება ფოთლისებური სატევრების ჯგუფს. ორივეს ტარის დასამაგრებელი ყუნწი და დაბალი, ძნელად შესამჩნევი ქედი აქვს (განივკვეთში დაბალ რომბსა ჰქმნის), რომელიც ყუნწზეც გადადის, წვერთან კი ქრება. ერთი სატევარი მეორეზე დიდია. განსხვავებული აქვთ ყუნწებიც. მოზრდილს (ტაბ. I_2), დაბალი ოთხკუთხა მოყვანილობის ყუნწი პირთან ოდნავ შეეიწროებული აქვს. სამანჭველე ნახვრეტების კვალი არ შეიმჩნევა (სიგრძე — 15,5 სმ; უდიდესი სიგანე — 5,2 სმ).

მეორე სატევრის (ტაბ. I_3) სამკუთხა მოყვანილობის ყუნწი უნდა ჰქონოდა (ყუნწთან დაზიანებულსა ჰგავს), ზედ სამი სამანჭველე ნახვრეტით (ერთი წვერთან, ორი ფუძესთან. სიგრძე — 13,7 სმ; უდიდესი სიგანე — 4,4 სმ).

თავხვია საკინძის (ტაბ. I_4) ღერო ზევით ოთხკუთხაგანივკვეთიანია, წვერისკენ კი მრგვალი. ზედაპირი სადაა. ხვიის ნაწილი მოტეხილია (სიგრძე — 9,5 სმ).

ისრისპირები (ტაბ. I_5) ბრტყელი ფირფიტისაგანაა დამზადებული და ძირითადად ერთი ტიპისაა. ყველა მათგანი ყუნწიანია (ისრისპირების ნაწილს ძალიან მოკლე ყუნწი აქვს, რაც დაზიანების შედეგი უნდა იყოს), ხოლო პირი — სამკუთხედისებური, წვრილი დაშვებული ფრთებით (ზოგიერთს ფრთებიც მოტეხილი აქვს). ოღონდ ზოგი ისრისპირი ვიწრო მაღალი სამკუთხედის ფორმისაა, ზოგი კი, შედარებით, დაბალი და განიერი. ისრისპირები სხვადასხვა ზომისაა (სიგრძე — 3,5 — 6,8 სმ; უდიდესი სიგანე — 1,3 — 2,5 სმ), უმეტეს ნაწილს კარგად ეტყობა ღეროში ჩამაგრების კვალი.

ლახტისთავები (ტაბ. $I_{6,7}$) სფერული მოყვანილობისაა, სადა ზედაპირით, მთელ სიმაღლეზე დატანებული აქვს ტარზე დასამაგრებელი განიერი ცილინდრული ნახვრეტი (ერთის სიმაღლე — 3,3 სმ, დიამეტრი — 5 სმ; მეორის სიმაღლე 2,8 სმ, დიამეტრი — 4 სმ).

ღილაკი (ტაბ. I_8) წრიული მოხაზულობისაა, ამოზურგული, ჩაღრმავებულ მხარეზე მისაკერებელი ენა აქვს. ნაკლულია (სიმაღლე — 0,7 სმ; დიამეტრი — 2,5 სმ).

მილაკი (ტაბ. I_9) თხელი ფირფიტისაგან არის დახვეული (სიმაღლე — 1,5 სმ; დიამეტრი — 1,2 სმ).

სადღვებელი (ტაბ. I_{10}) შავად გამომწვარია. ყელი დაბალია და ზევით ოდნავ ვიწროვდება; პირი — გადაკეცილი და ბაკოიანი; კორპუსი კვერცხისებური; ძირი — ვიწრო და ოდნავ ამობურცული. ვიწრო და დაბალი სასუნთქი მილი გაკეთებულია მხარზე; მხარზევე, სასუნთქი მილის ზევით ორი ჭდეული ზოლით შემოსაზღვრული ტეხილხაზოვანი ლენტური ორნამენტია დატანილი. თიხა წვრილმარცვლოვანია, თეთრი სილის მინარევით. კეცი მოყავისფრომოწითალოა. სადღვებელი მორგვზეა ნაკეთები (სიმაღლე — 36 სმ; პირის დიამეტრი — 13, 5 სმ; მუცლის დიამეტრი — 33 სმ; ძირის დიამეტრი — 10 სმ).

ლანგარი (ტაბ. I_{11}) გარედან შავი ფერისაა, შიდა მხრიდან ნაცრისფერი. თითქმის შვეული გვერდების ქვევით ლანგარი მკვეთრად ვიწროვდება ძირისაკენ. ძირი აკლია. გვერდებზე ერთი განიერი ჭდეული ზოლი გარშემოუყვება. თიხა წვრილმარცვლოვანია და სილის მინარევს შეიცავს; კეცი ნაცრისფერია. ლანგარი მორგვზეა ნაკეთები (პირის დიამეტრი — 27 სმ).

ამათ გარდა სამარხში თიხის ორი სხვადასხვა ჭურჭლის ფრაგმენტია აღმოჩენილი. ორივე ჭურჭელი მოწითალოა, შავი ლაქებით. ორივეს მხარზე მოკლე ირიბი ნაჭდევები აქვს დატანილი ასიმეტრიულად და სხვადასხვა სიხშირით. თიხა წვრილმარცვლოვანია და სილის მინარევს შეიცავს. ჭურჭლები ხელით ნაძერწი უნდა ყოფილიყო. ფრაგმენტების სიმცირის გამო ჭურჭლების ფორმის აღდგენა არ ხერხდება.

სამარხში სულ რამდენიმე ვარდისფერი სარდიონის მძივია ნაპოვნი, რომელთაგან მხოლოდ ორი ცალია მთელი, დანარჩენები დამტვრეულია. მძივები მრგვალია და ცალი მხრიდან გახვრეტილი.

როგორც ვხედავთ, განთიადის სამარხეული კომპლექსი საკმაოდ არქაული იერისაა. აქ აღმოჩენილი ნივთები ახლო მსგავსებას იჩენს შიდა და ქვემო ქართლის არა მარტო გვიანი ბრინჯაოს პერიოდის ადრეული ეტაპის სამარხეულ ინვენტართან, არამედ უფრო ადრეულ მასალებთანაც. ასე მაგალითად, ჩვენ შუბთან ახლო მსგავსების მქონე შუბები ნაპოვნია ქვასათალისა[4] და თრიალეთის[5] შუა ბრინჯაოს ხანის ყორღანებში. ამ შუბებს შორის განსხვავება მხოლოდ პროპორციებშია: განთიადის შუბს პირი მასრაზე ოდნავ მოკლე აქვს, ქვასათალისას და თრიალეთისას კი პირიქით. როგორც ჩანს, მასრის დაგრძელება სწორედ გვიანდელობის მაჩვენებელი უნდა იყოს.

პირისა და მასრის ისეთივე შეფარდებით, როგორიც განთიადის შუბზე გვაქვს, ხასიათდება გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპის შუბები სამთავროდან[6], ბეშთაშენიდან[7], ნავთლუღიდან[8] და სხვ.

განთიადის შუბის მსგავსი შუბები ნაპოვნია სამთავროს უძველეს ორმოსამარხებში (ბრინჯაოს ფოთლისებურ სატევართან და თავხვია საკინძთან ერთად — № 294 ორმოსამარხში; ბრინჯაოს ფოთლისებურ სატევართან და ყუნწიან ისრისპირთან ერთად — № 180 ორმოსამარხში) და ნავთლუღის № 1 სამარხში თავხვია საკინძთან და ბრინჯაოსტარიან ფოთლისებურ სატევართან ერთად, რომელთა არსებობის პერიოდი (ბრინჯაოსტარიანი ფოთლისებური სატევრებისა) ძვ. წ. XIV—XIII საუკუნეებით არის განსაზღვრული[9].

რაც შეეხება ბრინჯაოს ფოთლისებურ სატევრებს, ისინი სამთავროს სამაროვანზეც და ქვემო ქართლშიც მხოლოდ უძველეს ორმოსამარხებშია აღმო-

---

[4] О. М. Джапаридзе, Квасатальский могильник эпохи бронзы в Юго-Осетии, КСИИМК, вып. 60, 1955, рис. 2.

[5] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, I, Тбилиси, 1941, табл. CVI.

[6] ტ. ჩუბინიშვილი, მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1957, სურ. 7, 12, 16; ტაბ. XVI და XVII.

[7] Б. А. Куфтин, დასახელებული ნაშრომი, ტაბ. XLIV, XLV, XLVII, XLIX, L, LII.

[8] დ. ქორიძე, გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან (ნავთლუღი), საქ. მუზეუმის მოამბე, XVIII—Б, ტაბ. I და II.

[9] დ. ქორიძე, ბრინჯაოსტარიანი ფოთლისებური სატევრების თარიღისა და გავრცელების არეალის შესახებ, საქ. მუზეუმის მოამბე, XXIII—B, 1962, გვ. 21.

ჩენილი[10] (სამთავროს №№ 58, 180, 198, 232, 261, 283 და სხვ. ორმოსამარხებში, ბეშთაშენის №№ 4, 14, 15 და 36 ორმოსამარხებში), ისევე, როგორც თავხვია საკინძები[11] (სამთავროს №№ 12, 13, 15, 20, 73, 204, 281, 285 და სხვ. ორმოსამარხებში, ბეშთაშენის №№ 3, 5, 26, 32 და სხვ. ორმოსამარხებში). სამთავროს სამაროვნის უძველესი ორმოსამარხები გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის ძეგლებად არის მიჩნეული და ძვ. წ. XV ს. მეორე ნახევრითა და ძვ. წ. XIV საუკუნით განისაზღვრება[12].

განთიადის სატევრების ზუსტი ანალოგები გვხვდება ისევ ქვემო ქართლში, კერძოდ, სოფ. რაჭისუბანში[13] (ბოლნისის რაიონი). რაჭისუბნის მასალაშიც ორი სატევარია ნაპოვნი, რომელთაგან ერთი (47—66/3) იმდენადა ჰგავს განთიადის ოთხკუთხა ყუნწიან სატევარს (ფორმითაც და ზომითაც), რომ შესაძლოა მათი ერთ ყალიბში ჩამოსხმა ვივარაუდოთ. ერთადერთი, რაც ამ ორ სატევარს ერთმანეთისაგან ასხვავებს, სამანჭველე ნახვრეტებია, რომლებიც რაჭისუბნის სატევარს მხრებთან აქვს გაკეთებული. რაჭისუბნის მეორე სატევარს ყუნწი დაზიანებული აქვს.

ზემონახსენებ ფოთლისებურ სატევრებთან ერთად რაჭისუბანში ნაპოვნია ბრინჯაოს არქაული იერის მქონე მასრაგახსნილი შუბი, რომელიც პროპორციებით, მაღალი ქედითა და მასრაზე ორი სამანჭველე ნახვრეტით ჰგავს განთიადის შუბს, ოღონდ პირის მოხაზულობით განსხვავდება მისგან. რაჭისუბნის შუბს ფოთლისებური პირი აქვს, რომლის მსგავსი შუბები მრავლად არის აღმოჩენილი შიდა და ქვემო ქართლის გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპის სამარხებში (მაგ. სამთავროს №№ 27, 180, 232, 294 და სხვ. ორმოსამარხებში, ბეშთაშენის №№ 4, 8 და სხვ. ორმოსამარხებში). შუბის ანალოგიურია ხელშუბისპირიც. იქვეა ნაპოვნი ხუთკოპიანი ბრინჯაოს საკინძი და ნაცრისფერი თიხის ქილა.

განთიადისა და რაჭისუბნის სატევრები ახლო მსგავსებას იჩენს სამთავროს ადრეულ ორმოსამარხებში აღმოჩენილ ბრინჯაოს ფოთლისებურ სატევრებთან, მაგ. №№ 27, 232, 263, 283 და სხვ. ორმოსამარხებიდან, მართალია, არც ერთი მათგანი ჩვენი სატევრების ზუსტ ანალოგს არ წარმოადგენს, მაგრამ განთიადის სატევრები მათ ემსგავსება ზოგადი ფორმით ან ცალკეული დეტალებით (ყუნწით ან ქედით).

---

10 ალ. კალანდაძე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ჩრდილოეთის ჯგუფის მიერ 1938—1939 წწ წარმოებული მუშაობის მოკლე ანგარიში, თბილისი, 1940, გვ. გვ. 105—107 (ხელნაწერი); გ. ლომთათიძე, მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის ჩრდილო ჯგუფის 1940 წ. მუშაობის ანგარიში, გვ. 74 (ხელნაწერი); რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, საქ. მუზეუმის მოამბე, XXII—B, 1961, გვ.გვ. 312—313; ტ. ჩუბინიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. გვ. 70—76.

11 ალ. კალანდაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 145; ნ. ოქროპირიძე, ბრინჯაოს თავხვია საკინძები სამთავროს ორმოსამარხებიდან, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 29, თბილისი, 1951, გვ. 141; ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

12 ტ. ჩუბინიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 103; რ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. გვ. 313—314.

13 რაჭისუბნის მასალა ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ინვ. № 47—66/1—6.

ცნობილია, რომ გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის სამარხებში თავხვია საკინძები ფოთლისებური სატევრების შემცველი კომპლექსების თანმხლები ინვენტარია. ორივე ნივთი ერთად არის ნაპოვნი სამთავროს №№ 16, 27, 101, 283, 288, 294 და სხვ. ორმოსამარხებში, ბეშთაშენის № 36 ორმოსამარხში და სხვ. ორივე ეს ნივთი ერთადაა ნაპოვნი განთიადის სამარხშიც.

რაც შეეხება ჩვენი კომპლექსის ბრინჯაოს გრძელყუნწიან ბრტყელ ისრისპირებს, ისინი დამახასიათებელია ქვემო ქართლის კულტურისათვის[14] და ბეშთაშენის სამაროვანზე გვხვდება როგორც გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის სამარხში (მაგ. № 6 ორმოსამარხში — მუქი ფერის სარდიონის დახეთქილ მძივებთან და არქაული იერის სადღვებელთან ერთად), ისე უშუალოდ მის მომდევნო ხანის კომპლექსებში (მაგ. №№ 8, 11 და 18 ორმოსამარხებში)[15].

ბრინჯაოს ყუნწიან ბრტყელ ისრისპირებთან ერთად ბეშთაშენის სამაროვანზე გვხვდება სფერული მოყვანილობის ლახტისთავებიც (მაგ. №№ 11, 18 და, აგრეთვე 19 ორმოსამარხები), რომლებიც ქვემო ქართლში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა ძვ. წ. XIII ს — ძვ. წ. XII ს პირველ ნახევარში[16]. ზუსტად ასეთი ლახტისთავებია აღმოჩენილი განთიადშიც. გაკვირვებას იწვევს ლახტების, ამ შემთხვევაში, წყვილად აღმოჩენა, რაც თითქმის არ გვხვდება ხოლმე.

განთიადის სამარხში კერამიკული ნაწარმი მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი; სადღვებელი შიდა და ქვემო ქართლის უძველეს ორმოსამარხების უყურო სადღვებლების ანალოგიურია. ჩვეულებრივ, ადრეულ უყურო სადღვებლებს შემდგომ ყურიანი სადღვებლები ცვლის. სამთავროს სამაროვანზე ყურიანი სადღვებლები გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპის სამარხებშივე ჩნდება, მაგ. №№ 45, 221, 261 ორმოსამარხებში. უყურო სადღვებლები კი ნაპოვნია სამთავროს სამაროვნის №№ 10, 100, 101, 155, 285 და სხვ. ორმოსამარხებში.

განთიადის სადღვებელი ზომითაც და ფორმითაც წააგავს სამთავროს სადღვებლებს, მხოლოდ თუ სამთავროს სადღვებლებს ყელი ცილინდრული აქვს, განთიადისას ყელი ზევით ოდნავ უვიწროვდება, რითაც იგი თრიალეთის შუა ბრინჯაოს ჭურჭლებსაც წააგავს[17]. ამ მხრივ განთიადის სადღვებელის უფრო ახლო ანალოგს ბეშთაშენის სამაროვნის № 6 ორმოსამარხის სადღვებელი წარმოადგენს; სადღვებელთან ერთად ამ სამარხში მუქი ფერის სარდიონის დახეთქილი მძივები და ბრინჯაოს ყუნწიანი ბრტყელი ისრისპირია ნაპოვნი.

რაც შეეხება განთიადის ლანგარს, მსგავსი ჭურჭლები გვხვდება როგორც გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპის, ისე უშუალოდ მის მომდევნო ხანის კომპლექსებში.

---

14 რ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 312.

15 იქვე, გვ. 319—322.

16 იქვე, გვ. 322.

17 Б. А. Куфтин, დასახელებული ნაშრომი, ტაბ. LXXIII_1; LXXVIII_1.

ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები, თრიალეთში, თბილისი, 1969, ტაბ. XII_{1-4}; სურ. 17, სურ. 63.

როგორც განთიადის სამარხეული ინვენტარის დეტალური განხილვიდან ჩანს, ნივთების უმეტესობა დამახასიათებელია გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპის სამარხებისათვის როგორც შიდა, ისე ქვემო ქართლში, და არა მარტო დამახასიათებელია, არამედ განმსაზღვრელიცაა ამ ეტაპისა. ასეთებია არქაული მასრაგახსნილი შუბი, ფოთლისებური სატევრები, თავხვია საკინძი და უყურო სადღვებელი. რაც შეეხება ბრინჯაოს ყუნწიან ბრტყელ ისრისპირებს, ისინი დამახასიათებელია როგორც ადრეული, ისე მომდევნო ეტაპის სამარხებისათვის. ჩვენი კომპლექსიდან, მხოლოდ სფერული ლახტისთავებია, რომლის ანალოგიური ფორმები ჯერჯერობით ძვ. წ. XIII ს-ზე ადრეულ სამარხებში არ არის ნაპოვნი.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, განთიადის ახლად აღმოჩენილი სამარხეული კომპლექსი ძვ. წ. XIV—XIII სს მიჯნის ახლო ხანებით უნდა დათარიღდეს. ეს სამარხი თავისი შემადგენლობით ნამდვილად გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის სამარხია.

განთიადში ამ პერიოდის ძეგლის აღმოჩენა მეტად მნიშვნელოვნად გვეჩვენება, რადგან საქართველოში, მით უმეტეს ქვემო ქართლში, არც თუ ისე ბევრი გვაქვს ასეთი ადრეული ძეგლები. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ სამარხის აღმოჩენის ადგილის დათვალიერების შედეგად გაირკვა, რომ აქ კიდევ უნდა იყოს მსგავსი სამარხები, რადგან ამ სამარხის ახლოს ლ. ციხელაშვილის ეზოში, რამდენიმე სამარხის სახურავი ლოდი ჩანს. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ ადგილს ადრე ცნობილი სამაროვნიდან პატარა ხევი ჰყოფს და მათ შორის მანძილი მხოლოდ ასიოდე მეტრი იქნება. შესაძლოა აქ საქმე გვქონდეს ერთ სამაროვანთან, სადაც ხევგამოღმა ადრეული სამარხებია თავმოყრილი, ხევგაღმა კი უფრო მოგვიანო — ძვ. წ. I ათასწლეულის სამარხები. თუ ეს ასეა, მაშინ სამაროვანი ვრცელ ფართობზე უნდა იყოს გაშლილი (რადგან 1964 წელს მიკვლეულ სამაროვანსაც თავისთავად დიდი ფართობი უჭირავს), რომელზეც დაკრძალვა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ შემთხვევაში სადმე, ალბათ, ახლოს ნასახლარიც არის სავარაუდებელი. მაგრამ ეს ისეთი საკითხებია, რომელთა გადაჭრა თითო-ოროლა შემთხვევითი აღმოჩენების მიხედვით შეუძლებელია.

ყოველივე ამის გამო საჭიროდ ჩავთვალეთ განთიადის ახლად აღმოჩენილი სამარხეული კომპლექსის გამოქვეყნება. ასევე საჭირო საქმედ მიგვაჩნია არქეოლოგიური თვალსაზრისით ამ ადგილების უკეთ შესწავლა.

М. В. МЕНАБДЕ

НОВЫЙ ПОГРЕБАЛЬНЫЙ КОМПЛЕКС ИЗ СЕЛА ГАНТИАДИ

(Резюме)

Весной 1969 года в сел. Гантиади (Дманисский р-н), во время земельных работ, во дворе местного жителя Л. Цихелашвили, случайно открыли грунтовое погребение, перекрытое большой каменной плитой (1,5×1,5 м.).

Инвентарь погребения относится к позднебронзовой эпохе, предметы выглядят довольно архаично: металлические изделия все изготовлены из

бронзы; среди них имеются: копье с открытой втулкой, листовидные кинжалы (2 экз.), плоские черенковые наконечники стрел (16 экз.), сферические навершия булав (2 экз.), булавка с закрученной головкой, пуговка и маленькая трубочка из листовидной бронзы. Тут же было найдено два глиняных сосуда (маслобойка и фрагментированное блюдо) и несколько бус из розового сердолика.

Инвентарь гантиадского погребения находит близкие аналогии с могильным инвентарем эпохи раннего этапа поздней бронзы в памятниках Шида и Квемо Картли (Самтаврский, Бешташенский, Навтлугский и др. могильники); а некоторые предметы (копье, маслобойка) выглядят более архаично и своими формами напоминают предметы из триалетских, квасатальских и др. курганов эпохи средней бронзы. В этом смысле исключением являются навершия булав, которые на фоне всего инвентаря выглядят чуть моложе.

Учитывая вышесказанное, гантиадское погребение мы относим к раннему этапу поздней бронзы и датируем рубежом XIV—XIII вв. до н. э.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ეთნოგრაფიული კრებული მთიულეთზე

ირიოდე თვის წინ ქართული სამეცნიერო საზოგადოება ცხოველი ინტერესით შეხვდა „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული“-ს მე-3 ტომს[1], რომელიც მოიცავს მთიულეთის ერთიან ისტორიულ-ეთნოგრაფიულ გამოკვლევას.

კრებულში მოთავსებული ნარკვევები არა მარტო ავსებს და აზუსტებს ჩვენს ცოდნას მთიულეთის შესახებ, არამედ აღძრავს რიგ ახალ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საკითხებს. ხოლო ავტორი კი ახლად მოპოვებული საველე მასალის საფუძველზე გვაწოდებს მთიულეთის ეთნოგრაფიის სადავო საკითხების ახალ გადაწყვეტას.

მთიულეთი, რომელიც საქართველოს ჩრდილოეთის უკიდურეს საზღვარზე მდებარეობდა და ფეოდალურ ხანაში არაგვის საერისთავოს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, ამ ეთნოსის რთულ სტრუქტურაში ჩალექილა ადასტურებს საზოგადოებრივი წყობის ელემენტები. ავტორთა კოლექტივმა სცადა თანამედროვე ისტორიული მეცნიერების დონეზე ეჩვენებინა მთიულთა განვითარებულ სოციალურ ურთიერთობაში გადმონაშთად თანაარსებული ტომური წყობის ელემენტები, რომლებიც ბატანეს გასულ საუკუნემდე, თითქმის 30-იან წლებამდე. მოპოვებული ახალი ფაქტების გაბნეულითი ანალიზის შედეგად ეს გადმონაშთები დადგენილია მთიულთა სოციალურ ურთიერთობაში, სამეურნეო ყოფასა და ნივთიერ კულტურაში.

ახლოს გაეცნოთ კრებულის ძირითად მოსაზრებას.

მთიულთა ნივთიერი კულტურა, კერძოდ საცხოვრებელი ნაგებობანი გამოუკვლევიათ ა. ჩიქოვანსა („მთიულური სახლისა და დარბაზის ურთიერთობის შესახებ“) და გ. გეგეჭორს („მთიულური ქვითკირის ზოგიერთი ნაგებობა“).

პირველმა მდიდარი ეთნოგრაფიული და პარალელური მასალის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, წინამავალ მკვლევართა სადავო დასკვნების საპირისპიროდ, დაადგინა, რომ, თუმცა მთიულური სახლი და დარბაზი საერთო ქართულ ფუძეზე აღმოცენდა და მათ აერთიანებთ გარკვეული საერთო ელემენტები, ისინი ტიპოლოგიურად სხვადასხვა საცხოვრებლებს განეკუთვნებიან.

ერთ-ერთ არგუმენტად საამისოდ ავტორს გამოყენებული აქვს მთიულური სახლის ერდო, გვირგვინი და გულთაბოძი, რომლებიც, მიუხედავად გარეგნული მსგავსებისა დარბაზულ სახლის სათანადო ელემენტებთან, პრინციპულად განსხვავდებიან უკანასკნელისაგან. თ. ჩიქოვანის დასკვნით მთიულური სახლი და დარბაზი განსხვავებული გეოგრაფიული გარემოსა და საზოგადოებრივი წყობის პირმშონი არიან.

მეორე ავტორი — გ. გეგეჭკორი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ მთიულური ქვითკირის სახლი, რომლის ჭერქვეშ თავმოყრილია საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ფუნქციები, მთის ციხე-სახლის ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო ვარიანტია. შესადარებელი მასალის ანალიზის შედეგად ავტორი ადგენს ქართული ჩრდილოკავკასიური კულტურულ-ისტორიული პარალელების ახალ ფაქტებს და იძლევა ქვითკირის ტიპის მთიულური საცხოვრებელი ნაგებობის დათარიღების ცდას.

„ორხელაობა“ ერთი იმ უნიკალური ტერმინთაგანია, რომელსაც მკვლევარი იშვიათად ადასტურებს ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში და რომლის ტოლფასი საძებარია სხვა ხალხთა ლექსიკაში. ბ. გამყრელიძის შრომის („სამეურნეო ყოფის ისტორიიდან მთიულეთში — მთიულური ორხელაობა“) საგანი სწორედ ამ უაღრესად საყურადღებო ტერმი-

---

[1] კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, III, მთიულეთის ეთნოგრაფიის ნარკვევები, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1971, რედაქტორი ალ. რობაქიძე.

ნის შინაარსის გახსნაა. ირკვევა, რომ მთიულთა სამეურნეო ცხოვრებისათვის ძველთაგანვე დამახასიათებელი ყოფილა ახოობა, რაც უშუალოდ მესაქონლეობასა და, მაშასადამე, ორხელაობას უკავშირდება.

ორხელაობა, როგორც სამეურნეო ყოფის სპეციფიკური ფორმა, ვარაუდობს ორ სამეურნეო ბაზას და მათში წარმოებულ სამეურნეო საქმიანობას. ორხელაობა შეპირობებულია ახოობის წესით, ანუ ძირითადი ბაზის მახლობლად დამხმარე მეორე ბაზის დაფუძნებით — ახოს აღებით.

ქართულ მატერიალურ კულტურაში, საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველ ფაქტობრივ მონაცემებში და სამეურნეო ყოფაში ჩაქსოვილია მეტად საყურადღებო ტერმინები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ მეურნეობრივი ცხოვრების ისტორიის შესასწავლად. ნაშრომიდან ირკვევა, რომ მთიულთა სამეურნეო ცხოვრებისათვის ძველთაგანვე დამახასიათებელი ყოფილა ახოობა, რომელიც თავის მხრივ უკავშირდება უშუალოდ მესაქონლეობას. „ორხელაობა“ ძირითად ბაზასთან ერთად, მისივე სიახლოვეს, ახოს აღებას გულისხმობს. ორხელაობა, როგორც რთულპროფილიანი მეურნეობის გარკვეული სისტემა სოციალურ-ეკონომიური განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს შეესატყვისება. იგი ხშირად საფუძვლად ედება ახალი დასახლებული პუნქტის ჩამოყალიბებას. ორხელაობა საინტერესო კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ტერმინია. როგორც პარალელური ეთნოგრაფიული მასალით ირკვევა, იგი საკუთრების გარკვეულ ფორმასთან არის დაკავშირებული.

ალ. რობაქიძე („მთიულური კომობის ზოგიერთი მხარე“) თავის გამოკვლევაში მკითხველს ნათელ წარმოდგენას უქმნის ისეთ რთულ სოციალურ ორგანიზაციაზე, როგორიც მთიულური „კომობაა“.

კომობა, ნათესავთა გარკვეული ჯგუფია, რომლის შიგნით ადამიანები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან სოციალური, მეურნეობრივი და რწმენა-წარმოდგენების ინტერესების ერთობლიობით. ეს უძველესი სოციალური ინსტიტუტი, რომელსაც თანამედროვე ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში პატრონიმია ეწოდება, უაღრესად სიცოცხლისუნარიანი და ელასტიური უნდა ყოფილიყო თავიდანვე, რადგანაც მან გაუძლო სხვადასხვა საზოგადოებრივ ფორმაციებს და თავისი თავი თითქმის ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებამდე შემოინახა. ძველი სოციალური ინსტიტუტების ეთნოგრაფიული კვლევის თვალსაზრისით ეს გამოკვლევა ორმხრივ არის საინტერესო: მასში გამოყენებულია ის საარქიეო მასალა, რომელიც საშუალებას აძლევს ავტორს ეთნოგრაფიულად ფიქსირებული გენეალოგიის მე-4, მე-5 თაობას მოუძებნოს კამერალურ აღწერაში მოხსენიებული ამავე მოდგმის უფრო შორეული წინაპრები. ამ ხერხით, რომელიც პირველად რ. ხარაძის მიერ იყო გამოყენებული, შესაძლებელი ხდება ავტორისათვის საინტერესო ოჯახის ისტორიის გათვალისწინება დაახლოებით 150 წლის მანძილზე.

მეორე მხრივ აღსანიშნავია მატერიალური კულტურის ძეგლების გამოყენება მოსახლეობის განსახლების შესახებ არსებულ ხალხურ გადმოცემათა კრიტიკული შეფასებისა და ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის ისტორიის რეალური სურათის დადგენის მიზნით.

მთლიანად ალ. რობაქიძის გამოკვლევას ახალი შუქი შეაქვს მთიულურ სოციალური ურთიერთობის ისტორიის საკითხში. ალ. რობაქიძე მთიულეთის მაგალითზე ერთხელ კიდევ ნათელყოფს აღნიშნულ გარემოებას. იგი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების შუქზე კვლავ ადასტურებს რ. ხარაძის, მ. კოსვენისა და თავის შეხედულებებს — კავკასიაში სამმოს (ლამხუბ) და პატრონიმიის კანონზომიერებაზე.

არანაკლებ საყურადღებოა ვ. ითონიშვილის ნაშრომი („საოჯახო ყოფა მთიულეთ-გუდამაყარში“), სადაც ავტორი უტყუარი დოკუმენტალურ-ფაქტობრივი მასალის ანალიზის შედეგად ამომწურავ წარმოდგენას გვიქმნის ამ მხარეში გადმონაშთურად შემონახულ საოჯახო თემზე. მან მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან და ახალ ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით საბოლოოდ ნათელყო, რომ კავკასიის ამ კუთხისთვისაც არ წარმოადგენდა საოჯახო თემი უცხო მოვლენას. პირიქით, იგი მთიულთა წარსული ცხოვრებისათვის ტიპიური მოვლენა იყო.

მთიულეთში აღწერილი და შესწავლილი დიდი ოჯახი ძირითად ასპექტში ანალოგიურია საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებში აღწერილი საოჯახო ფორმისა. ამასთან ერთად ამავე მსგავსების ფარგლებში იგი ამეღავნებს რიგ თავისებურებას როგორც სტადიალური ასევე ტიპოლოგიური ხასიათისას, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ოჯახის ამ ფორმის განვითარების ზოგადი და ლოგიკური კანონზომიერების დასადგენად ე. ი. ამ პრობლემის თეორიულ ასპექტში განხილვისათვის.

საყურადღებო და ბევრისმთქმელი ფაქტიური მონაცემების შემცველია ნ. ჯავახაძის ნაშრომები („ნათესაური სისტემის ისტორიიდან — შინშის საკითხისათვის მთიულეთში“) და ლ.მელიქიშვილის („ქონებრივი ურთიერთობის

ზოგიერთი ფორმის შესახებ მთიულეთში — სათავნო"), რომლებიც ახალი მონაცემების საფუძველზე კვლავ ადასტურებენ რ.ხარაძის დებულებებს, ერთი მხრით შინშის შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანი ფაქტი აღმოჩნდა ქართველ მთიელთა სოციალური ურთიერთობის გასაშუქებლად, ხოლო მეორე მხრით სათავნოს შესახებ, რომელმაც საოჯახო ურთიერთობათა სისტემაში ქალის მდგომარეობის საკითხში რიგი სიახლე წარმოაჩინა.

მთიელთა ჩვეულებითი სასისხლო სამართალწარმოების საკითხებს ეხება ი. ფუტკარაძის მეტად საინტერესო წერილი. ავტორს მთიულეთში შეუკრებია საკითხთან დაკავშირებული ახალი ეთნოგრაფიული მასალა. იგი ამოდის „ძეგლის დადების" (XIV ს.) და „ბარისა და მთეურთა ადგილთა განჩინების" (XIII ს.) მონაცემებიდან, გონივრულად იყენებს მის მიერ მოპოვებულ ეთნოგრაფიულ ფაქტებს და სრული დამაჯერებლობით აშუქებს მთიულთა ადათობრივ ნორმებთან ფეოდალური საქართველოს საჯარო ხელისუფლების დამოკიდებულების თავისებურებას.

მთიულეთი ფეოდალური საქართველოს განუყრელი ნაწილი იყო, მაგრამ ისეთი ნაწილი, რომლის მთიანეთის მოსახლეობას მტკიცედ ჰქონდა შემონახული თემური ყოფის გადმონაშთური ინსტიტუტები. მთასა და ბარს შორის ოდითგან მომდინარე წინააღმდეგობა სამართლის სფეროშიც იჩენდა თავს — ფეოდალიზმი ძალით თუ მოტყუებით ნერგავდა მთაში თავის კანონმდებლობას, მაგრამ ადგილობრივი ადათური ნორმების სრული უგულებელყოფა მას არ შეეძლო. „ძეგლის დადება" და „განჩინება", რომლებიც ძირითადად საქართველოს ერთსა და იმავე კუთხეს შეეხება ამ მხრივ ორნაირად საინტერესო წყაროა მთიულთა საზოგადოებრივი ყოფის შესასწავლად. მათი ანალიზი კიდევ ერთხელ ცხადყოფს თემური ინსტიტუტების ადგილს ფეოდალური საქართველოს მთამაღალ რაიონებში.

მთიულეთისადმი მიძღვნილ სარეცენზიო კრებულს ერთგვარად დასრულებულ სახეს აძლევს ჯ. გვასალიას ნარკვევი („მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიიდან — ცხავატი, წილკანი, წანარნი"), რომელიც ეხება მთიულეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს.

ქართული ისტორიული წყაროებისა და VII ს-ის სომხური გეოგრაფიის ცხავატს სამეცნიერო ლიტერატურაში აიგივებენ ქსნის ხეობის სოფელ ცხაავატისთან. წერილობითი წყაროების, ტოპონიმიკური და ეთნოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით ჯ. გვასალია ადგენს, რომ ისტორიული „ცხავატი" აღნიშნავდა არაგვის ხეობის მოზრდილ თემს. ავტორის დაზუსტებით ადრეფეოდალური ხანისათვის ცხავატისა და მთიულეთის მნიშვნელობა დროდადრო ერთმანეთს ემთხვეოდა. მოგვიანებით მთიულეთის აღსანიშნავად იხმარებოდა ხადა — ცხავატი. გვიან შუასაუკუნეებში კი ცხავატის ადგილას გარეშემოს, მრევლისა და ცხოტის თემები ჩნდება.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ IV—VI საუკუნეებისათვის არაგვის ხეობის სათავეებში, აწინდელი ხადას თემის ადგილას ავტორი ვარაუდობს წილკნის თემის, ხოლო ჯვრის უღელტეხილის მიდამოებში — „წილკნის კარების" ადგილმდებარეობას.

ამ ლოკალიზაციაზე დაყრდნობით ჯ. გვასალია წანარების განსახლების ადგილად ვარაუდობს ძირითადად ხევს (ყაზბეგის რაიონს). წანარების საკითხის ამ ასპექტით გაშუქება ორგანულად უკავშირდება ავტორის მეორე ნარკვევს[1], რომელშიც წარმოდგენილია წანარების ვინაობის დადგენის ცდა. უნდა დავსძინოთ, რომ ავტორს თაეისი ფეხით აქვს შემოვლილი საკვლევი ობიექტები.

შორეულ წარსულში ქისტ-ღლიღეი ტომების მეზობელ ქართველ მთიელებთან კულტურული ურთიერთობის ერთი ფურცელია გადაშლილი თ. გონიაშვილის წერილში („ქართველთა და ნახთა კულტურული კონტაქტიდან"). ისტორიკოსი და ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტი ინტერესით გაეცნობა სამი ჩაჩნურ-ინგუშური სიტყვის ახსნის ცდას. ლინგვისტური ანალიზის შედეგად ავტორი ადგენს, რომ ჩაჩნურ-ინგუშური ტოპონიმების ჯ ჾ ა Ძ რ ა ხ (სოფელი) და ჯ ა რ ი ე გ ო-ს (სოფელი) წარმოქმნის წყაროა ქართული სიტყვა ჯვარი, რომელიც ჩაჩნურ-ინგუშურმა ამავე მნიშვნელობით შეითვისა ჯ ჾ Შ რ/ჯ ა' ა რ-ის ფორმით.

ინგუშური ჯ ჾ ა Ძ რ ა ხ და ჩაჩნური ჯ ა რ ი ე გ ო ჩაჩნურ-ინგუშური ჯ ჾ Შ რ/ჯ ა' ა რ-ისგანაა ნაწარმოები და აგებულია ორი სხვადასხვა სიტყვაწარმოებითი მოდელის მიხედვით. ორივე ნაწარმოები სახეობა ნიშნავდა ჯერ „ჯვარისაკენ", შემდგომ კი სოფლების სახელწოდებად იქცა.

ინგუშური ე ლ გ ა ც/ ე ლ გ Ძ ც „სალოცავი"(ამოსავალი მნიშვნელობა) სპეციალურ ლიტერატურაში არა ერთხელ ყოფილა მსჯელობის საგანი. მას თვლიდნენ ხან ჩაჩნურ-ინგუშურ, ხან ოსურ სიტყვად. თ. გონიაშვილი გვთავაზობს ტერმინის შემდეგნაირ ახსნას ქართული ენის ნიადაგზე: ქართული ეკლესია (<ბერძნული) >ინგუშური *ეგლესე>*ეგლეᲫ>*ელგეᲫ>ელგაᲫ. ავტორის აზრით ინგუშებს (ღლიღვებს) ეს სიტყვა უნდა შეეთვისებინათ ჯერ კიდევ იმ ხანაში, როდესაც ფეოდალუ-

რი საქართველოს ხელისუფლებამ გააქრისტიანა ქართველი მთიელები და ქისტ-ღლიღვი ტომები.

კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის ნაწილში კრებულის მკითხველი იპოვის ალ. რობაქიძის „ძოელ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებს მთიულეთის შესახებ არსებულ ეთნოგრაფიულ გამოკვლევებზე (1921—1968)", რომელშიც მოკლედ არის დახასიათებული საბჭოთა პერიოდში სპეციალურად მთიულეთის შესახებ გამოცემული ეთნოგრაფიული ლიტერატურა. ეთნოგრაფიული მასალები მთიულეთის შესახებ სხვა ნაშრომებშიც არის წარმოდგენილი, მაგრამ აეტორი ძალიან შორს რომ არ წასულიყო შემოიფარგლა მხოლოდ იმ ეთნოგრაფიული გამოკვლევებით, რომელთა კვლევის ობიექტი სათაურშივე არის ნაჩვენები.

კრებულის ამავე ნაწილში მოთავსებულია თ. ჩიქოვანის რეცენზია მოსკოვში პროფ. ს. ტოკარევის რედაქციით გამოსულ „ზოგადი ეთნოგრაფიის სახელმძღვანელოზე". რეცენზიაში ყურადღება გამახვილებულია კავკასიის ეთნოგრაფიის თვალსაზრისით საინტერესო საკითხებზე.

დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, თუმცა ეს გარემოება შეიძლება დასაწყისშივე აღნიშნულიყო, რომ სარეცენზიო კრებული გამოჩენილი ქართველი მეცნიერის რუსუდან ხარაძის ნათელ ხსოვნას ეძღვნება. რუსუდან ხარაძე ერთი მათგანი იყო, ვისი ინიციატივითაც ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილება ჩამოყალიბდა.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲩᲐᲠᲗᲝᲚᲐᲜᲘ

НЕСКОЛЬКО ЗАМЕЧАНИЙ К КНИГЕ В. И. АВДИЕВА «ИСТОРИЯ ДРЕВНЕГО ВОСТОКА», М., 1970.

В издательстве «Наука» вышла книга проф. В. И. Авдиева «История Древнего Востока». Это уже третье издание, подвергнутое по сравнению с предыдущими некоторой переработке; учтены некоторые результаты новейших археологических раскопок, внесены уточнения отдельных формулировок и т. д. Но эти поправки касаются только деталей, в целом же данное издание книги повторяет основные положения по истории Древнего Востока, изложенные в предшествующих изданиях. И в этом издании отсутствует история ряда стран.

Как известно, за последние годы в Советской и зарубежной марксистской литературе идут оживленные дискуссии о характере социально-экономической структуры древневосточных обществ, о понимании классиками исторического материализма социального процесса древневосточного общества. Значение достижений этих дискуссии трудно переоценить. Была доказана несостоятельность осмысления древневосточных обществ как рабовладельческих. Со всей очевидностью выяснилось, что К. Маркс и Ф. Энгельс были далеки от отождествления социально-экономического строя древневосточных и греко-римских обществ. Часть участников вышеупомянутой дискуссии указывала на своеобразный путь возникновения классов и государства, на незначительный характер развития частной собственности в странах Древнего Востока. Разумеется, многое остается еще нерешенным, но не учитывать положительные моменты дискуссии нет основания.

Можно прямо сказать, что проф. В. И. Авдиев в своей книге игнорирует результаты данной дискуссии. Создается впечатление, что в Советской науке существует единодушие относительно сущности древневосточного исторического процесса, физиономия которого будто была определена рабством (см. введение, стр. 14—15). Никаких новых аргументов для подтверждения этого взгляда автор не приводит, также как не привел их в статье «Военная демократия и классовый характер древнейшего государства». (см. «Вопросы истории», 1970, № 1). И вообще выполнение такой задачи нам кажется безнадежным. Во введении автор пишет: «Однако в странах Древнего Востока рабовладение развивается очень медленно и лишь на последней фазе развития древневосточного рабовладельческого общества выходит за рамки древнейшего примитивного, в значи-

тельной степени домашнего рабства» (стр. 7). Очень трудно понять, как автор мыслит процесс перехода на Древнем Востоке от примитивного, домашнего рабства на более высокую ступень развития этого социального института. Относительно Ново-Вавилонского царства в книге высказана такая мысль: «Развитие экономики страны приводит к изменению общественного строя. Старые формы примитивного домашнего рабства постепенно все больше отмирают... Рабовладение достигает очень широких размеров» (стр. 426). Но это утверждение малоубедительно, так как не основывается на веских аргументах. Мы достаточно осведомлены о процессе перехода домашнего рабства в его классический вид на примере античного мира (см. нашу статью «О причинах неразвитости рабства на Древнем Востоке», ВИ, 1969, № 9), чтобы не поверить автору в этом голословном утверждении. В главе, посвященной Ассирии мы читаем: «Значительное развитие рабства приводит к тому, что рабы получают права пользоваться и владеть своим имуществом, иметь семью» (стр. 369). Относительно Китая периода династии Хань (206 г. до н. э. — 220 г. н. э.) В. И. Авдиев пишет: «В эту эпоху рабство широко развивается. Но труд рабов оказывается недостаточно эффективным. Чтобы сделать труд раба более производительным, рабовладельцы сажают рабов на землю, давая им участки земли и позволяя вести собственное хозяйство. Так появляются в этот период, а может быть и несколько ранее, переходные формы от рабовладения к феодальным отношениям, которые отчасти напоминают древнеримский колонат» (стр. 588—89).

Таким образом, выходит, — хотя автор прямо не указывает на это, — что в Ассирии и древнем Китае институт рабства развился в ее классической форме, за пределы которой социально-экономическая эволюция направилась в сторону феодализма. Вряд ли это убедит даже сторонников концепции рабовладельческого характера древневосточных обществ. В истинности этого утверждения очень сомневается сам автор. Относительно той же самой Ассирии в книге читаем: «В Ассирии, как и в других странах Древнего Востока, преобладание примитивных форм рабовладения — домашнего и кабального рабства — определяло наряду с другими причинами застойность и неразвитость рабовладельческого способа производства» (стр. 354). Не блещет логичностью и такое утверждение: «Отличительной чертой древнеиндийского рабства было одновременное сохранение различных степеней порабощения, различных категорий рабства, его широкое развитие и в то же время во многих случаях сохранение его домашнего, патриархального характера» (подчеркнуто нами — Г. К.) (стр. 531).

Касаясь причин застойности социально-экономической системы древневосточных стран, В. И. Авдиев указывает на сельскую общину (стр. 75, 227, 528, 567, 584). Сельские общины, как продукт распада родового строя, были характерны для греко-римского и западноевропейского феодального общества, но эти общества в отличие от древневосточных обладали значительным динамизмом. Следовательно, для объяснения статичности древневосточной социально-экономической системы надо найти другую причину. Для Индии такую причину В. И. Авдиев видит в системе варн (стр. 531—32), но это мало кого убедит.

Здесь нет места, — а поскольку об этом уже писали — и необходимости подробно рассмотреть концепцию В. В. Струве и его последователей, в том числе и В. И. Авдиева, о существовании рабовладельческого способа производства на Древнем Востоке. Считаем важным указать на следующее обстоятельство: сведение содержания способа производства к форме отношения господства — подчинения ошибочно. За этим моментом мы должны увидеть экономику общества, определяющую физиономию последнего. А экономика античных обществ сильно отличалась от экономики древневосточных обществ. Говоря об азиатском способе производства, К. Маркс подразумевал в первую очередь именно определенную экономическую структуру общества, что в полной мере остается в силе и поныне.

Различие экономических структур древневосточных и античных обществ было причиной различия и надстроек этих обществ.

Из неясного понимания социально-экономических процессов древневосточных обществ вытекает и неправильное понимание возникновения классов и государства. В. И.

Авдиев, как и все другие сторонники концепции В. В. Струве, при осмыслении происхождения частной собственности, социальных классов и государства, исходит из книги Фр. Энгельса «Происхождение семьи, частной собственности и государства». Но в этой книге Фр. Энгельс не дал универсальную картину возникновения этих явлений; в частности, им они рассматривались на фоне развития цивилизации. В понятии «цивилизация» Фр. Энгельс подразумевал высокий уровень товарного хозяйства, развитие денежного обращения, процента, накопление денег, концентрацию средств производства в сельском хозяйстве, ремеслах и т. д.

Этот этап развития во многом напоминает разложение феодализма и возникновение капиталистического общества в Западной Европе. В ходе разложения архаического и возникновения классового обществ такие процессы были характерны для греко-римского мира и Карфагена. Но мы не можем распространяться здесь в силу каких факторов это имело место в указанных странах. На Древнем Востоке, как и в относительно развитых обществах других континентов последующих времен при смене архаического общества классовым аналогичной экономической ситуации не было.

В античном мире медленно шел процесс возникновения государства, главной функцией которого стало подавление рабов и свободных бедняков. Хозяйственная функция античного государства проявляется позже, по мере дальнейшего развития ремесла, мореходства и внешней торговли. Другие природные условия — недостаточность атмосферных осадков даже для зернового хозяйства, наводнения больших рек, вызывали необходимость раннего появления государства, главной функцией которого стала организация орошения и оборона общества от скотоводческих племен. В основу классовой стратификации древневосточных обществ лежало разделение труда между занятыми в сфере материального производства и в сфере управления (организация орошения, обороны, администрации, судопроизводства, религиозного культа). Такой путь классообразования намечен Фр. Энгельсом в «Анти-Дюринге».

Если бы В. Авдиев стоял на такой позиции в понимании происхождения классов и государства на Древнем Востоке, для него многое стало бы ясным в трактовке источников. Но вместо этого он стремится наложить античную модель возникновения данных социальных феноменов на древневосточный исторический процесс. С этой целью, в книге внимание акцентрируется на концентрацию средств производства у малой части населения, разорение большинства крестьян—общинников, развитие рабства, а после того как автор «завершает» этот процесс, появляется государство. На 8-ой странице книги читаем: «Непримиримые противоречия между бедняками и богачами, классовый антагонизм между рабами и рабовладельцами привели к образованию государства, которое необходимо было рабовладельческой знати для подавления бедняков и рабов, для гарантии безнаказанной эксплуатации трудовых масс богачами» (см. также стр. 148 и др.). Это положение не выдерживает критики.

Древневосточное государство со всеми признаками государственности (разделение населения по территориальному признаку, создание публичной власти, существование налогов) формируется на заре возникновения цивилизации (в широком смысле слова) на Древнем Востоке. Без политической организации сколько-нибудь значительного количества населения земледелие в Египте, Шумере, Аккаде, Древней Индии и др. странах было невозможным. Исполнение этой важной хозяйственной функции, а также оборона от отсталых племен вызвало к жизни государство и параллельно с ним появление правящего класса, несущего организаторские функции.

Поскольку гидротехнические сооружения были сравнительно небольших размеров, объединения нескольких десятков сельских общин было достаточно для регулирования наводнения больших рек, проведения и расчистки каналов и т. д. Однако В. И. Авдиев, вслед за В. В. Струве и другими, полагает, что в основу создания централизованных государств в Египте, Шумере, Вавилонии, Китае и др. странах лежала необходимость регулирования ирригационной системы (см. стр. 150, 49, 55, 585—86). Правда, им здесь добавляется и необходимость подавления рабов, ведение крупных войн с целью пополнения и расширения рабства, расширение внешней торговли (стр. 49, 150, 365, 377, 585—86). Автору хорошо известны те древневосточные стра-

ны, в хозяйстве которых ирригация не играла столь важной ролы (Элам, Ассирия, Митани, Хатти, Восточная Индия, Урарту, Палестина, Финикия, Юго-Восточный Китай и др.), но объединения этих обществ неоднократно имели место. Автору также хорошо известна трудность и эфемерность объединения государств в тех странах, земледельческое хозяйство которых целиком было основано на ирригации. Если согласиться с утверждением В. И. Авдиева о строгой причинно-следственной зависимости ирригации и объединения страны, то он должен объяснить неоднократный распад таких централизованных государств, притом часто без вмешательства извне (см. Древний Египет, Китай,). Одним словом, эти объединения не диктовались экономической необходимостью и основывались на насилии, точно также как создание империй.

Централизации древневосточных государств не были стимулированы и необходимостью ведения завоевательных войн с целью привоза военнопленных для поддержания в обществе рабовладельческого способа производства. Нам кажется, что вообще надо отказаться от упрощенного представления о развитии данного способа производства таким образом: по разложении родового строя возникает государство, которое очень активно проявляет себя по отношению к внешнему миру, завоевывает различные народы и черпает из них рабочие силы; на этом фундаменте формируется существовавший продолжительное время, — тем более на Древнем Востоке, — рабовладельческий способ производства! В истории мировой цивилизации очень мало народов было «осчастливлено» развитием милитаристского духа и созданием империи уже на заре появления у них классового общества. К большинству народов принадлежали и хозяйственно самые развитые из древневосточных народов — древние Египтяне, шумеры, население долины Инда. Даже ассирийцы и персы, проявив огромную миллитаристскую энергию, не смогли развить способ производства, основанный на рабстве. Объяснение этого факта гораздо сложнее. Также сложно объяснение этих неоднократных объединений-распадов древне-восточных государств.

При изложении древневосточного исторического процесса в книге В. И. Авдиева очень мало сказано о роли географической среды в этой эволюции. На это справедливо указывал А. И. Тюменев в своей известной статье «Передний Восток и античность», где он В. И. Авдиева упрекал в недооценке влияния географической среды на общество, особенно в том, что в его книге ничего не сказано о работах по ирригации и о том влиянии, какое эти работы должны оказывать на общественный строй (см. ВИ, 1957, № 6, стр. 52). А. И. Тюменев был совершенно прав, когда в связи с этим писал: «И поскольку природная среда участвует таким образом в производственном процессе в качестве одной из составных его сторон, постольку она может и должна влиять на производственные отношения между людьми, отражаясь вместе с тем и на характере данного общественного базиса» (там же, стр. 52—53). Это признавал и В. В. Струве в статье «Понятие азиатский способ производства» (см. НАА, 1965, № 1). Но к сожалению автор и в недооценке роли географической среды в развитии стран Древнего Востока остался на прежних позициях. Правда, при изложении истории отдельных стран, а также во введении даются краткие географические обзоры, но они не слиты органически с изложением исторических процессов. Между тем, приняв во внимание географические среды древневосточных стран, можно понять многое в развитии способа производства этих обществ, их специфику[1]. Это различие проясняется и на фоне изложения исторической среды, общей ступени эволюции мировой цивилизации. После этого можно индивидуализировать картину исторического развития отдельных стран и чтение их историй будет притягательным. Но в рецензируемой книге этого нет, вследствие чего картины исторических процессов отдельных стран однообразны.

При характеристике состояния экономики надо было подробней показать жизнь крестьянства, составлявшего подавляющую

[1] Во введении (см. стр. 17) выделено 3 основных типа природных условий древневосточных стран. Это различение давно было сделано Гегелем в «Философии истории» (М.-Л., 1935, стр. 84), о чем В. И. Авдиеву известно.

часть населения древневосточных стран. Сосредоточение внимания главным образом на жизни столиц и верхних социальных слоев, на производстве предметов роскоши, не представляется верным. Как писал К. Маркс, «Из всех товаров собственно предметы роскоши имеют наименьшее значение при технологическом сравнении различных эпох производства» (соч. т. 23, стр. 19).

В книге неясно характеризуется и роль классовой борьбы. Было бы весьма интересным изложить ее судьбу в условиях застойной социально-экономической системы древневосточного общества. Особенно обильный материал для размышления дает история Китая (крестьянские восстания). Кстати сказать, история этой страны изложена очень неудовлетворительно.

При передаче картины экономического состояния очень часто встречаются повторения (особенно см. главы об Египте, Шумере, Вавилоне, Ассирии).

Книга изобилует неточными и неправильными утверждениями, нелогичными рассуждениями. Так, напр., оценивая результаты реформ Урукагины, В. И. Авдиев пишет: «Они не могли сделать государство более устойчивым, так как они сохранили имущественное неравенство и классовую эксплуатацию, лишь в небольшой степени улучшив положение средних слоев населения». (стр. 54). Выходит, что для стабилизации социально-экономической системы Урукагина должен был отменить классовую структуру общества, эксплуатацию человека человеком! Мало ли найдутся люди, согласные с автором в этом утверждении.

Нельзя также согласиться с объяснением отсталости сельско-хозяйственной техники Шумера применением труда рабов (стр. 43), или медленного развития древневосточной культуры — «религиозной традицией» (стр. 9). На 151-й странице книги написано: «Египетское государство во многом еще напоминало древний и достаточно примитивный племенной союз». И это утверждается относительно начала Древнего Царства когда все признаки государственности были налицо! На стр. 144 читаем: «Египтяне украшали глиняные сосуды простейшими геометрическими узорами, из которых постепенно возникли орнаменты, рисунки, картинная письменность». (sic!). (стр. 144). А таких мест в книге очень много.

Таковы наши некоторые замечания по поводу книги В. И. Авдиева «История Древнего Востока».

ГУРАМ КОРАНАШВИЛИ

ИНТЕРЕСНОЕ ИССЛЕДОВАНИЕ ПО ИСТОРИИ РУССКО-КАЗАХСКИХ ОТНОШЕНИЙ[1]

Истории русско-казахских отношений в XVI—XVIII вв. посвящено не одно исследование. В этом отношении достаточно указать на труды Н. Аполловой, Е. Бекмаханова, С. Зиманова, Б. Сулейменова, С. Толыбекова, А. Турсунбаева и др., в которых на основании богатого фактического материала показаны многие аспекты многовековых русско-казахских отношений. Несмотря на несомненные успехи, имеющиеся в деле научного изучения истории русско-казахских взаимоотношений, многие стороны этой проблемы все еще остаются слабо изученными. К их числу относится и вопрос о роли Казахстана во внешней политике Российского государства. Восполнению указанного пробела нашей историографии посвящено во многом интересное и содержательное исследование В. Я. Басина, в котором автор монографически освещает роль Казахстана во внешней политике России на протяжении длительного исторического периода, в частности XVI—XVIII вв.

Рецензируемая монография состоит из предисловия и пяти глав. Не останавливаясь на пересказе их содержания, мы укажем лишь на наиболее важные и сильные стороны исследования.

---

[1] В. Я. Басин, Россия и казахские ханства в XVI—XVIII вв.. Издательство «Наука» Казахской ССР, Алма-Ата, 1971, Тираж 3000, 275 стр.

Прежде всего хочется отметить, что В. Я. Басин, как и другие советские историки (Е. Бекмаханов и др.), поступил совершенно правильно, рассматривая историю всех трех жузов (Старшего, Среднего и Младшего) в неразрывной взаимосвязи. Как известно, на необходимость такого изучения их истории было обращено внимание выдающимся представителем казахской общественной мысли XIX в. Ч. Ч. Валихановым.

В историографическом обзоре специальной научной литературы и источников автор справедливо подвергает критике многие работы, касающиеся истории Казахстана и его взаимоотношений с другими народами, в особенности, буржуазно-националистическую, шовинистическо-колонизаторскую и современную заграничную буржуазную историографию.

Опираясь на основополагающие указания, классиков марксизма-ленинизма и данные специальной научной литературы, В. Я. Басин, не идеализирует взаимоотношений России с Казахстаном. Но в то же время, как справедливо пишет автор рецензируемого труда, приход русских в Казахстан, « несмотря на явно колонизаторские цели царизма... носил объективно прогрессивный характер», способствуя дальнейшему подъему его экономической и общественной жизни (стр. 40).

В рецензируемом труде показаны те различные мероприятия русского двора, которые были направлены на обеспечение безопасности его восточных и южных границ. До XVI в. Россия по отношению к казахским ханствам преследовала цель наладить и упрочить с ними политические связи. Падение Астраханского и Казанского ханств привело к тому, что Россия оказалась непосредственным соседом Казахстана. В этих условиях упрочение России в казахских степях открывало новые перспективы: с одной стороны, Россия могла успешно противопостоять Джунгарии, а после ее падения — цинским войскам, а с другой стороны, препятствовать проникновению Англии в Среднюю Азию. Кроме того, как показано в исследовании, Россия была заинтересована в азиатских рынках, путь к которым она стремилась проложить через казахские степи. Мы вполне согласны с выводом автора о том, что в этих условиях «Казахстан стал приобретать роль важнейшего стратегического звена в системе внешней политики России несмотря на то, что ее острие попрежнему было направлено на Запад (стр. 266).

В XVIII в. политика России по отношению к Казахстану стала более активной. В работе приводятся соответствующие материалы, которые убедительно показывают, что внутриполитическое положение России и ее экономическое развитие толкали ее правителей на дальнейшее расширение своего влияния на юге и юго-востоке (стр. 69). В работе правильно акцентируется внимание на важном выводе советских историков о том, что приобретением новых территорий царизм стремился «смягчить внутренние противоречия», уменьшить накал классовой борьбы крепостных против своих феодалов (стр. 69).

Главный вывод автора о том, что политика России в этот период была направлена к превращению казахской степи в «прочный и надежный мост, соединяющий ее со Средней Азии и другими восточными государствами», нам кажется, вполне обоснованным и доказанным (стр. 73).

В зависимости от конкретно-исторических условий политика России в Казахстане перетерпела определенные изменения, которые хорошо показаны в рецензируемом исследовании. Заслуга автора прежде всего в том, что при изложении материала он вскрывает классовую сущность политики царизма, убедительно обосновывая свои выводы соответствующими фактическими данными. Нельзя не согласиться с автором в том, что «процесс присоединения Казахстана к России сочетал в себе элементы «доброй воли и принуждения». Мы хотим обратить внимание и на правильное раскрытие автором рецензируемого труда побудительных мотивов стремления казахских феодалов к союзу с Россией. И хотя во многих конкретных случаях эти стремления были продиктованы намерением отдельных правителей при помощи русского оружия укрепить свое господство над соперниками, но тем не менее объективно, как правильно пишет автор, эти стремления являлись «отражением и выражением общей естественной тенденции к союзу с Россией, к упрочению поли-

тических, торговых и военных контактов с ней» (стр. 268).

Автору рецензируемой монографии удалось, на наш взгляд удачно и в основном правильно, показать процесс установления тесных русско-казахских связей, проследить политику России в Казахстане после падения Джунгарского ханства, а также поставить под сомнение правомерность употребления термина «подданство» по отношению к казахам XVIII — начала XIX вв., хотя для окончательного решения этого последнего вопроса необходимо привлечь дополнительные материалы.

В адрес рецензируемого труда мы хотим высказать несколько замечаний и пожеланий. На наш взгляд, В. Я. Басин допускает досадную ошибку, мимоходом освещая деятельность экспедиции И. Бухгольца и А. Бековича-Черкасского и др. Автор оправдывается перед читателем тем, что этим вопросам он раннее посвятил специальное исследование, делая на них соответствующую ссылку. Однако свои основные выводы и наблюдения автор должен был внести в текст своей работы. Так, например, на 67 стр. рецензируемого исследования В. Я. Басин говорит о неудаче экспедиций А. Бековича-Черкасского и И. Бухгольца, указывая в то же время, что «они сказались на интересах России как в военном, так и научном отношении». Автор пишет, что экспедиция М. Бухгольца «способствовала продвижению России на юг», а экспедиция А. Бековича-Черкасского заняла новую пограничную линию по Яику и Иртышу (стр. 67). Стало быть, с одной стороны, автор говорит о неудачах названных экспедиций, а с другой стороны, приводит факты, говорящие о противоположном. Это произошло потому, что, автор, сославшись на свою раннее опубликованную работу, не указал на те главные цели, которые были поставлены перед названными экспедициями, выполнить которые им не удалось.

По нашему мнению, автор, несомненно, должен был уделить больше внимания и посольству Тевкелева — крупному событию в истории взаимоотношений России и Казахстана.

Рецензируемый труд выиграл бы, если в нем была дана более подробная экономическая характеристика казанских ханств, а также экономические связи Казахстана с Россией.

Сделанные замечания, как нетрудно видеть, не могут снизить бесспорных научных достоинств рецензируемого труда. Исследование В. Я. Басина — эта удачный и ценный научный труд, освещающий историю взаимоотношений России и Казахстана.

Г. Н. МАРГИАНИ
Т. Г. БЕРИАШВИЛИ

რ ე პ ლ ი კ ა

ბანა ეს არის მეცნიერული კამათი?

გამოვიდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ პირველი ტომი. ყოველი უწინაზრახვო ადამიანისათვის სავსებით ცხადია, რომ ასეთი სახის, მიზანდასახულობის, მოცულობისა და სიღრმის ისტორიული ნაშრომი ჩვენში არ გამოცემულა იმ დროიდან, რაც ივანე ჯავახიშვილმა შექმნა თავისი ჭეშმარიტად უკვდავი „ქართველი ერის ისტორია“. როგორც არ უნდა ვაფასებდეთ ახლად გამოცემულ წიგნს, სრულიად ნათელია, რომ იგი ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში ახალ საფეხურს წარმოადგენს. ამიტომ ჩვენი საზოგადოებრიობა უნდა უმადლოდეს გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს — აკადემიკოს გ. მელიქიშვილს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ა. აფაქიძეს, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორებს ა. კალანდაძეს, ტ. ჩუბინიშვილს, ო. ჯაფარიძეს, დ. ხახუტაიშვილსა და ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატ გ. გობეჯიშვილს — იმ დიდი შრომისათვის, რაც მათ გასწიეს აღნიშნული ნაშრომის დაწერა-გამოცემის საქმეში.

ყოველივე ეს უდავოა. უდავოა ისიც, რომ მეცნიეობა წარმოუდგენელია თავისუფალი და შეუზღუდველი კამათის გარეშე. ამიტომ არავის გაკვირვებია ის ამბავი, რომ „ნარკვევების“ პირველი ტომი მწვავე მეცნიერული კამათის საგნად იქცა. მაგრამ თითქმის არავის უცდია გასცდენოდა მეცნიერული კამათის ჩარჩოებს, არავის, გარდა ნოდარ ლომოურისა, რომელმაც ჟურნალ „მნათობში“ (1971 წ., № 10) გამოაქვეყნა საკმაოდ ღვარძლიანი წერილი — „წიგნი პრინციპული ხასიათის შეცდომებით“.

ცხადია, „მნათობი“ არ შეიძლება ვაქციოთ წმინდა მეცნიერული კამათის ასპარეზად. ამისათვის არსებობს სხვა ადგილი და სხვა პერიოდული გამოცემები. მაგრამ პატივცემულმა ნ. ლომოურმა სწორედ აქ, ფართო საზოგადოებრიობის წინაშე, წამოიწყო თავისი შეტევა, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მას არც მეცნიერება აინტერესებდა და არც ჭეშმარიტება. მან კარგად იცოდა, რომ არცერთი მეცნიერული გამოცემა არ მისცემდა მას ამგვარი სპეკულაციებისა და ინსინუაციების შესაძლებლობას.

აქვე აღვნიშნავ, რომ მე სრულიადაც არ ვამტკიცებ, თითქოს „საქართველოს ისტორიის ნარკვევებს“ არავითარი ხარვეზი არ გააჩნია; ზოგი რამ უდავოდ საკამათოა. შესაძლოა, უფრო მართებული იქნებოდა ხსენებული ტომის მეცნიერულ წრეში განხილვა მის გამოცემამდე, მაგრამ, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ისიც, რომ ასეთ შემთხვევაში კამათი უსასრულოდ გაგრძელდებოდა და ვინ იცის, როდის მიიღებდა მკითხველი ამ წიგნს. თუმცა, ვიმეორებ, მე იმ აზრისა ვარ, რომ მეცნიერთა უფრო ფართო წრის მოსაზრებათა გათვალისწინება აუცილებელი იყო წიგნის გამოცემამდე. მე ვლაპარა-

კობ ისეთ მოსაზრებებზე, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ნ. ლომოურის მიერ წამოყენებულ ბრალდებებთან.

მიაქციეთ ყურადღება თუნდაც ნ. ლომოურის ტონს: იგი დაცინვით იხსენიებს „მელიქიშვილისეულ ლოგიკასა და მეთოდებს“, ბრჭყალებში სვამს სიტყვებს მელიქიშვილის „თეორიები“ და „ნააზრევი“, ხმარობს გამოთქმებს „ვინ მოახსენა გ. მელიქიშვილს“, გ. მელიქიშვილის „ძნელად გასაგები ლინგვისტური ვარჯიშობანი“ და ა. შ. ყოველივე ეს აშკარად ლაპარაკობს მის ტენდენციურობაზე, მისწრაფებაზე პირადი ანგარიშსწორებისაკენ. შეიძლება შეგვეკითხონ: რატომ? რისთვის? ვინც ყურადღებით წაიკითხავს ნ. ლომოურის რეცენზიას, ადვილად მიხვდება, რომ იგი გაბაწყენებულია იმით, რომ გ. მელიქიშვილმა მის დებულებებს ყურადღება არ მიაქცია და არ ჩათვალა საჭიროდ მათი განხილვა წიგნში. აქედან დასკვნა: თუ ნ. ლომოურს ანგარიშს არ უწევენ, მაშასადამე ეს მეცნიერების თანამედროვე დონე არ არის, შეურაცხყოფილია საქართველოს ისტორია და თვით ქართველი ერიც.

აკად. გ. მელიქიშვილს ჩემი დაცვა არ სჭირდება; ვფიქრობ, თუ ჩათვლის საჭიროდ, იგი სათანადო დროს გასცემს ნ. ლომოურს ღირსეულ პასუხს. მაგრამ იმისათვის, რომ გავერკვეთ ნ. ლომოურის პოზიციაში, არ შეიძლება არ მოვიტანო თუნდაც ორიოდე ფაქტი.

ასე, მაგალითად, ჩვენს რეცენზენტს არ მოსწონს ბერძნების მიერ კოლხეთის სანაპიროს კოლონიზაცია: ჩვენ, ქართველებს, ამას ბერძნები (რომლებმაც, სხვათა შორის, შავი და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროების თითქმის მთელ სიგრძეზე დააარსეს საკუთარი კოლონიები) როგორ გაგვიბედავდნენო! ამის შემდეგ ნამდვილად დასანანია, რომ ნ. ლომოური არ ეხება საქართველოს მომდევნო ხანის ისტორიას. მას ხომ შეეძლო ხელის ერთი მოსმით ბოლო მოეღო არაბების, თურქების, სპარსელებისა და სხვათა შემოსევებისათვის საქართველოში! აქვე აღვნიშნავ იმ გარემოებასაც, რომ დებულება, რომელსაც ასე უმოწყალოდ „ანადგურებს“ ნ. ლომოური, დამკვიდრდა მეცნიერებაში ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გ. მელიქიშვილი დაბადებულიც კი არ იყო. სხვათა შორის, ამას თვით ნ. ლომოურიც აღიარებს თავის რეცენზიაში.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით უნდა ითქვას იმის შესახებ, რომ ჩვენ, ქართველებს, იმდენად ძველი, მდიდარი და საამაყო ისტორია გაგვაჩნია, რომ იგი არავითარ შელამაზებას არ საჭიროებს. ჩვენი დიდება ის კი არ არის, რომ ვამტკიცოთ, თითქოს ედემის ბაღში ვცხოვრობდით და არც ერთ უცხოელს ფეხი არ დაუდგამს ჩვენს მიწა-წყალზე. ქართველმა ერმა უკვდავება მოიპოვა თავისი მრავალსაუკუნოვანი გმირული ბრძოლით ურიცხვ დამპყრობლებთან, რომელთა მოქმედება, ბატონობის ხანგრძლივობა და მარცხი არ შეიძლება განვსაზღვროთ ჩვენი სიმპათია-ანტიპათიებით. სხვა შემთხვევაში მეცნიერება კარგავს ობიექტურ ხასიათს და შატუნოვსკისათვის საფელეტონო მასალად იქცევა.

რამდენად არაობიექტურია ნ. ლომოური, ჩანს კიდევ ერთი მაგალითიდან. მას მოაქვს ციტატა სარეცენზიო წიგნიდან, სადაც ლაპარაკია აკად. ს. ჯანაშიას და აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ მეცნიერებათა კადრების აღზრდაზე და ამასთან დაკავშირებით აღშფოთებით წერს: „ე ს ა ა დ ა ე ს (ხაზი ჩემია — ე. ჭ.) ნუთუ ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის დამსახურება ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე, მათი როლი მხოლოდ იმით ამოიწურება, რომ მათ გაიარეს მე-

ცნიერული წრთობა ივ. ჯავახიშვილთან და მათი ხელმძღვანელობით მომზადდა ათეულობით მეცნიერი მუშაკი?“

თუ ჩავიხედავთ თუნდაც ნარკვევების საძიებელში, დავინახავთ, რომ ლომოურისეული „ესაა“ და ეს“ აშკარა ტყუილია: ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის სახელი რამდენიმე ათეულჯერაა მოხსენიებული პირველ ტომში! ახლა გადავშალოთ წიგნის თუნდაც 72-ე გვერდი: „ახლებური, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის მომარჯვებით საქართველოს ძველი ისტორიის კვლევა-ძიება ა ხ ა ლ, უ ფ რ ო მ ა ღ ა ლ საფეხურზე აიყვანა აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ (1900—1947). მისი ყურადღების ცენტრში მოექცა საქართველოში პ ი რ ვ ე ლ ყ ო ფ ი ლ-თ ე მ ურ ი წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს რ ღ ვ ე ვ ი ს ა და კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ხ ა ს ი ა თ ი ს, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ფ ე ო დ ა ლ უ რ ი ურ თ ი ე რ თ ო ბ ი ს წ ა რ მ ო შ ობ ა-გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ე ბ ი... ს. ჯანაშიამ დ ა მ ა ჯ ე რ ე ბ ლ ა დ ც ხ ა დ ყ ო უ კ ვ ე ელინისტური ხანის საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსებობა და მახვილგონივრული ანალიზით დასახა ამ საზოგადოების შემდგომი განვითარების გზები. ამ საყურადღებო საკითხების შესწავლისას იგი ემყარებოდა მ ა ს ა ლ ე ბ ი ს მ თ ე ლ კ ო მ პ ლ ე ქ ს ს: ძველი ქართული, სომხური, ბერძნულ-რომაული და ბიზანტიური წყაროების ცნობებს, ქართველ მთიელთა შორის დაცულ პირველყოფილ-თემური წყობილების გადმონაშთებს, ენობრივ მონაცემებს“, არქეოლოგიურ მასალებსა და ა. შ. (ხაზი ყველგან ჩემია — ე. მ.).

როგორ გავიგოთ ამის შემდეგ ლომოურისეული „ესაა და ეს“, როგორ შეეფასოთ მისი ამგვარი მოქმედება მეცნიერული ეთიკის პოზიციებიდან, სწორედ იმ ეთიკისა, რომლის დარღვევაშიც ნ. ლომოური ბრალს სდებს გ. მელიქიშვილს? ხომ არ მოვიგონოთ ამასთან დაკავშირებით რჩევა-დარიგება, რომელიც ნ. ლომოურისათვის ესოდენ კარგად ცნობილი ი. კრილოვის ერთ-ერთი იგავის გმირმა — დათუნიამ მისცა მაიმუნს:

„შენ თავზე რომ დაიხედო, მე ვგონებ, ის აჯობებსო!“

დაახლოებით ასეთივე „კეთილსინდისიერებითაა“ გაჟღენთილი ნ. ლომოურის სხვა „კრიტიკული შენიშვნებიც“. იგი აშკარად ცდილობს ითამაშოს გრძნობებზე, აამხედროს მკითხველი აკად. გ. მელიქიშვილის წინააღმდეგ. მას არა მარტო არ მოსწონს გ. მელიქიშვილის დებულებები (ეს რომ ასე ყოფილიყო, იგი, შესაძლოა, არ გასცდენოდა მეცნიერული კამათის ფარგლებს), არამედ უძველესი ისტორიის ცნობილ სპეციალისტს საქართველოში, მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერს, საბჭოთა ისტორიკოსთა შორის ლენინური პრემიის ერთადერთ ლაურეატს, ნამდვილ ქართველ პატრიოტსა და მოქალაქეს ბრალს სდებს საქართველოს ისტორიის განზრახ დამახინჯებასა და დამცირებაში.

ცხადია, რაოდენ მაღალი ტიტულები და დამსახურებანი არ უნდა გააჩნდეს ამა თუ იმ მეცნიერს, იგი დაზღვეული არ არის პრინციპული და ობიექტური კრიტიკისაგან, მაგრამ სადაური ობიექტურობაა ყველაფრის მუქ ფერებში ასახვა. რა დაშავდებოდა იმით, რომ ნ. ლომოურს ორიოდე სიტყვა მაინც ეთქვა იმ „ზოგ რამ დადებითზე, სასარგებლოსა და ახალზეც“, რაც თვით რეცენზენტმა დაინახა პირველი ტომის „წმინდა ისტორიულ ნაწილში“ (ისტორიის „უწმინდური“ ნაწილი, ნ. ლომოურის აზრით, როგორც ჩანს, შეიცავს კულტურის განვითარების საკითხებს).

სხვათა შორის, ნ. ლომოურმა ჩემთვისაც მოიცალა: იგი აღელვებულია იმით, რომ არა ვარ საქართველოს ისტორიაში „სპეციალურად მომუშავე სპეციალისტი“ (სტილის ეს ბრწყინვალე ნიმუში თვით ნ. ლომოურს ეკუთვნის) და ამავე დროს ვბედავ ამ სფეროში მომუშავე ისტორიკოსთა შრომების შეფასებას. ნუთუ ისტორიკოსი საკუთარი ცხვირის მიღმა ვერაფერს ვერ უნდა ხედავდეს? განა თვით ნ. ლომოური მეტად თავისუფლად არ მსჯელობს არქეოლოგიის, ანთროპოლოგიის, ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა და ლინგვისტიკის საკითხებზე, თუმცა, საკუთარი აღიარებით, ბევრი არაფერი გაეგება ამ სფეროში? მაშ ვინ არის ჩვენ შორის მეწაღე და ვინ არის მცხობელი? რა საჭიროა ეს ლანძღვა-გინება? განა მე ნაკლებად ვიცნობ კრილოვის იგავებს და არ შემიძლია მოვაგონო ნ. ლომოურს, რომ ჰეროსტრატეს სენით დაავადებულნი ჩვეულებრივად მოქმედებენ დიდი რუსი მეიგავარაკეს ცნობილი ფორმულის მიხედვით:

Ай, Моська! знать она сильна,
Что лает на Слона!

მაგრამ რა საჭიროა ყოველივე ეს? განა ამგვარი კინკლაობა რაიმეს მატებს ჩვენს მეცნიერებას, ჩვენს ერსა ან ჩვენს ურთიერთობას?

მოკლედ რომ ვთქვათ, თუ ნ. ლომოურის მიზანს წარმოადგენდა სეირს მოწყურებული დოყლაპიების ყურადღების მიქცევა, ვერ შევედავებით: მან შესანიშნავად გაართვა თავი ამ ამოცანას! მაგრამ რატომ იღებს მონაწილეობას ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია ამგვარ „თამაშობაში“, ეს ჩემთვის სრულიად გაუგებრად რჩება.

მართალია, „მნათობის“ რედკოლეგიის წევრებს არ ევალებათ წმინდა მეცნიერული პრობლემების ცოდნა, მაგრამ ნუთუ ისინი ვერ არჩევენ შეურაცხმყოფელ გამოხდომებს მეცნიერული კამათისაგან?

იქნებ ვინმემ თქვას, რომ არც ამ წერილის ტონია მაინცა და მაინც მისაღები, მაგრამ მე ვთხოვდი ყველას გაითვალისწინონ, რომ ჩემი რეპლიკა დაწერილია ნოდარ ლომოურისათვის ერთადერთ გასაგებ ენაზე, მან რაც დათესა, ის მოიმკა.

ედუარდ მენაბდე

ქრონიკა და ინფორმაცია

ნიკოლოზ მახარაძის დაბადების 70 წლისთავი

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ნიკოლოზ ბარნაბის ძე მახარაძეს 70 წელი შეუსრულდა, მან ისტორიული განათლება მიიღო და სამეცნიერო მუშაობისათვის მოემზადა მოსკოვის წითელი პროფესურის ინსტიტუტში და თითქმის ნახევარი საუკუნეა ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ნ. მახარაძე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, სსრკ ხალხთა ისტორიის კათედრის გამგე. იგი ხანგრძლივად და ნაყოფიერად მოღვაწეობდა თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში, მისი ლექციები ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალიდეური და მეცნიერული დონით.

ნ. მახარაძე, ახალგაზრდა სპეციალისტებს, ჩვეული ხალისიანობით უზიარებს საკუთარ მრავალმხრივ ცოდნასა და მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის მდიდარ გამოცდილებას. მისი აღზრდილები დღეს დიდსა და ნაყოფიერ საზოგადოებრივ-პოლიტიკურსა და სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწევიან.

ნ. მახარაძემ როგორც მკვლევარმა და ისტორიკოსმა არა ერთ რთულ ისტორიულ პრობლემას მოფინა ნათელი, რომელთაც ვერასდროს გვერდს ვერ აუვლის სპეციალისტი. მეცნიერმა თავისი დაძაბული შემოქმედებითი შრომით, ქართულ ისტორიოგრაფიას შესძინა 40-ზე მეტი ისტორიული გამოკვლევა. კვლევის სიღრმითა და კულტურით მან ფ. მახარაძისა და გ. ხაჭაპურიძის შემდეგ ჭეშმარიტად ახალ საფეხურზე აიყვანა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის მეცნიერული შესწავლა.

ნ. მახარაძე ეწეოდა და ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინ შევიდა იგი ლენინური პარტიის რიგებში, ღირსეულად გაიარა არალეგალური რევოლუციური მუშაობის მძიმე და საინტერესო გზა. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იგი სათავეში ჩაუდგა საქართველოს კომპარტიის ოზურგეთის რაიონულ ბოლშევიკურ ორგანიზაციას. მალე თბილისში გადმოიყვანეს პარტიის საქალაქო და ცენტრალური კომიტეტების პროპაგანდის განყოფილებაში სამუშაოდ. იგი ინიშნება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული რესპუბლიკური პარტიული სკოლის დირექტორად. შემდეგ დიდსა და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში როგორც დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში. ამ ფილიალში სხვებთან ერთად მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევა: „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები“.

ნ. მახარაძე სარგებლობს დამსახურებული პატივისცემითა და ავტორიტეტით ფართო მეცნიერულ წრეებში, იგი სისტემატურად მონაწილეობს საკავშირო სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კოლექტიური მონოგრაფიების შექმნაში და ა. შ. მისი დამსახურება ღირსეულად დააფასა საბჭოთა მთავრობამ. იგი დაჯილდოებულია „შრომის წითელი დროშის“ და „სა-პატიო ნიშნის“ ორდენებით, მედლებით. მან მხნეობა და ენერგია, მეცნიერული კვლევა-ძიებისადმი სიყვარული და გატაცება დღემდე შეურყეველად შეინარჩუნა.

ჟურნალ „მაცნეს“ რედაქცია და მრავალრიცხოვანი კოლეგები გულწრფელად უსურვებენ ნიკოლოზ მახარაძეს ხანგრძლივ სიცოცხლესა და ახალ წარმატებებს მის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ჩვენი ერის სასახელოდ და სასარგებლოდ.

გივი ჟორდანიას დაბადების 60 წლისთავი

გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუა საუკუნეთა ისტორიის კათედრის გამგეს, პროფესორ გივი ჟორდანიას დაბადების 60 წელი შეუსრულდა.

გივი ჟორდანიამ უმაღლესი განათლება მოსკოვის უნივერსიტეტში მიიღო და ასპირანტურაც იქვე დაასრულა. კვლევითი მუშაობის მეთოდებსა და პრინციპებს იგი ეუფლებოდა ცნობილი საბჭოთა ისტორიკოსების ე. კოსმინსკის, ს. სკაზკინის, ნ. გრაციანსკის, ა. ნეუსიხინის და სხვათა ხელმძღვანელობით.

1937 წლიდან გ. ჟორდანია პედაგოგიურ და კვლევით საქმიანობას ეწევა. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა ქუთაისის, გორის, თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტებსა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. 1940 წლიდან მოღვაწეობს თბილისის უნივერსიტეტში, სადაც 1960—1969 წლებში განაგებდა ახალი ისტორიის კათედრას. დიდი ამაგი დასდო გ. ჟორდანიამ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მომზადების საქმეს. დღიდან დაარსებისა 1971 წლამდე იგი უნარიანად ხელმძღვანელობდა ენციკლოპედიის მსოფლიო ისტორიის რედაქციას.

თავის მრავალფეროვან სამეცნიერო მუშაობაში გ. ჟორდანია საგანგებო ყურადღებას უთმობს XVII საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობებს, განსაკუთრებით რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობათა ისტორიის შესწავლას. ამ პრობლემას მიუძღვნა მან თავისი რამდენიმე საუკეთესო ნაშრომი, რომელთაც სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურეს როგორც ჩვენში, ისე უცხოეთშიც. უნდა აღინიშნოს აგრეთვე მისი გამოკვლევები დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის, ქართული კულტურის ისტორიის საკითხებზე. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის დარგში და სხვ. პირველწყაროთა ფართო წრეზე დაყრდნობით შესრულებულ ამ ნაშრომებში არაერთი ორიგინალური, საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული და დასაბუთებული, მათში ჩანს ერუდირებული, დაკვირვებული, მუყაითი მკვლევარი. გ. ჟორდანიას ხშირად მიუღია აქტიური მონაწილეობა რესპუბლიკური, საკავშირო თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისა და კოლოქვიუმების მუშაობაში.

უკვე სამ ათეულ წელზე მეტია გივი ჟორდანია თბილისის უნივერსიტეტში ცხოვრების დიდ გზაზე გამოსასვლელად აწრთობს ახალგაზრდებს, ზრდის სამეცნიერო კადრებს, ცოდნისა და ენერგიის დაუშურეველად ემსახურება ქართული საისტორიო მეცნიერების აღმავლობის საქმეს.

ვულოცავთ პროფესორ გივი ჟორდანიას დაბადების 60 წლისთავს და ვუსურვებთ მას ახალ დიდ წარმატებებს სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია 1971 წელს

სოფ. ჟინვალის მასადგომებთან, კლდოვან ვიწროებში (თალთე-წობენის ზონაში) სულ მოკლე ხანში საფუძველი ჩაეყრება უზარმაზარ მიწაყრილიან კაშხალს, რომელიც შეაგუბებს მდ. არაგვს. კაშხალის საპროექტო სიმაღლეა 101 მეტრი; წყალსაცავის მოცულობა 520 მილიონ კუბურ მეტრს მიაღწევს, ხოლო ზედაპირული ფართობი 12 კვადრატულ კმ. გადააჭარბებს.

ჟინვალის „ზღვით", გარდა საკუთრივ ძველ ნაქალაქარ ჟინვალისა, იფარება ბევრი ნასოფლარი და ისტორიული ძეგლი, ამასთანავე დაიტბორება ორთავე არაგვისა და ხორნის ხეობის საკმაოდ დიდი მონაკვეთი. ეს იქნება ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი ჰიდრო-კვანძი, რომელიც შენდება პარტიის XXIV ყრილობის დადგენილებათა შესაბამისად.

ბუნებრივია ამ უზარმაზარ მშენებლობას ესაჭიროება შესაბამისი მეურნეობა და სამშენებლო მოედნები მომავალი წყალსაცავის გარეთაც, რაც დამატებით კიდევ არა ერთი ისტორიული ძეგლის დაზიანებას გამოიწვევს.

არაგვის ხეობა, როგორც უაღრესად საყურადღებო მხარე კარგახანია იქცევს მკვლევართა ყურადღებას, როგორც ბუნებრივი რესურსების, ასევე ისტორიული ძეგლების დიდი სიუხვით. განსაკუთრებულ ინტერესს ამ ისტორიული „ქვეყნისადმი" აღვივებს ის, რომ არაგვის ხეობაზე გადიოდა ძველი დროის ერთ-ერთი — უდიდესი სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც ისტორიულ წყაროებში დარიალის სახელითაა ცნობილი.

ჟინვალის ჰიდროკვანძის მშენებლობამ დააჩქარა ამ უაღრესად საყურადღებო მხარის ძველეთა შესწავლის საქმე, მით უმეტეს, რომ არა ერთ ძეგლს, წყალსაცავის ზონაში, დაზიანება მოელით.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც ევალება ჟინვალისა და მისი მიდამოების საფუძვლიანი გამოკვლევა.

ჩვენმა ინსტიტუტმა არაგვის ხეობაში, მომავალი წყალსაცავის შემოგარენში ჯერ კიდევ 1964 წელს ჩაატარა მნიშვნელოვანი სადაზვერვო სამუშაოები (ექსპედიციის ხელმძღვანელი ბრინჯაოსა და რკინის ხანის განყოფილების გამგე გ. გობეჯიშვილი, სადაზვერვო რაზმისა — ლ. წითლანაძე), რომლის დროსაც გამოვლინდა უაღრესად საყურადღებო ძეგლები[1]. მაშინვე შედგა სათანადო ხარჯთაღრიცხვაც. მაგრამ შემდგომ ჰიდროკვანძის საპროექტო სამუშაოთა დროებითმა შეყოვნებამ გამოიწვია არქეოლოგიური კვლევის გადადება 1971 წლამდე. როდესაც სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებით წყალსაცავის მშენებლობა უკვე რეალურ საქმედ იქცა.

ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციას, არქეოლოგიის სექტორის ხელმძღვანელის პროფ. ა. აფაქიძის რჩევით, უნდა ჰქონოდა კომპლექსური ხასიათი, რაც გათვალისწინებულ იქნა მისი დაკომპლექტების დროს[2].

პირველ საანგარიშო წელს ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის საქმიანობა შემოიფარგლებოდა სადაზვერვო სამუშაოებით, თუმცა არაერთი ძეგლის გათხრაც მოესწრო. ამჯერად ჩვენი უმთავრესი მიზანი იყო, რომ შესაძლებლობის ფარგლებში გაგვერკვია მშენებ-

---

[1] ლ. წითლანაძე, ზ. შატბერაშვილი, ა. კახიძე, ჟინვალჰესის მშენებლობასთან დაკავშირებული დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის 1964 წ. შედეგები, XIV არქეოლოგიური სესიის ანგარიშები, თბ., 1965, გვ. 21—23.

[2] 1971 წ. ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო არქეოლოგიურ სამუშაოებში მონაწილეობდნენ: რ. რამიშვილი (ექსპედიციის ხელმძღვანელი, ანტიკური და ადრეფეოდალური ხანა), ლ. წითლანაძე (ხელმძღვანელის მოადგილე, ბრინჯაოს ხანა), ბ. ჯორბენაძე (შუაფეოდალური ხანა), ლ. წერეთელი (ქვის ხანა), ჯ. გვასალია (ისტორიული გეოგრაფია), თ. არჩვაძე და დუშეთის მუზეუმის დირექტორი ირ. ბედუკაძე (გვიანფეოდალური ხანა). ძეგლები აზომა ლ. ფაღლენიშვილმა.

ლობის არეში მოქცეულ ცალკეულ ძეგლთა ხასიათი და ასაკი, მომავალ სამუშაოთა მოცულობა და ღირებულება, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჟინვალის ექსპედიციას, როგორც ცნობილია, აფინანსებს მშენებელი ორგანიზაცია, რომელსაც ხარჯთაღრიცხვით, არქეოლოგიური სამუშაოებისათვის გათვალისწინებული აქვს 60 000 მანეთი. ჩვენ უნდა დაგვედგინა, არქეოლოგიურ სამუშაოთა რა ნაწილის შესრულება შეიძლებოდა ამ თანხით და შესაბამისად რა მოთხოვნების წამოყენება იქნებოდა საჭირო სამშენებლო ორგანიზაციის მიმართ მომავალში. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ წინდაწინვე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ გათვალისწინებული თანხა მოსალოდნელ ხარჯებთან შედარებით მცირეა — სამუშაოთა სირთულე და ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლთა სიმრავლე აშკარად გვიჩვენებს, რომ თუ ჟინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციას ყოველ წელს ექნება მუშათა ხელფასი 20—25 ათასი მანეთის ოდენობით, შესაძლებელია მოხერხდეს უმთავრეს ძეგლთა სათანადო შესწავლა 7—8 წლის განმავლობაში. ამასთანავე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთ ხუროთმოძღვრულ ძეგლს მაინც წყლის ქვეშ ვერ დავტოვებთ და მათ საევაკუაციოდ (მსგავსად სიონის ძეგლებისა) საჭირო იქნება გარკვეული სახსრები.

1971 წელსვე ჟინვალის ექსპედიცია ყურადღებას აქცევდა წყალსაცავსა და მის ახლომახლო არსებული ძეგლების აღრიცხვისა და პასპორტიზაციის საკითხსაც. ამ სამუშაოთა შედეგად გამოვლენილ იქნა მანამდე სრულიად ყურადღებამიუქცეველი არაერთი პირველხარისხოვანი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი, რომლებიც ადრე (1964 წ.) გამოვლენილ ძეგლებთან და დუშეთის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში დაცულ მასალებთან ერთად გვაძლევს საშუალებას გაირკვეს არაგვის ხეობის ისტორიის დღემდე შეუსწავლელი არაერთი საკითხი.

სამშენებლო ზონაში და მის შემოგარენში ცალკეული არქეოლოგიური პერიოდების მიხედვით შემდეგი სურათია:

ქვის ხანა — ორთავე არაგვის ხეობაში ქვის ხანა სპეციალურად არ ყოფილა შესწავლილი და შესაბამისად ამ მხარიდან ქვის ხანის არც ერთი ძეგლი არ იყო ცნობილი. სადაზვერვო სამუშაოების შედეგად გამოვლენილია ქვის ხანის სამი ძეგლი. ერთი მათგანი მდებარეობს ბაზალეთის ტბის მიდამოებში, ადგილ გრიგოლაანთ კარში, ხოლო მეორე კი ვარსიმაანთ კარში (არაგვის IV და V ტერასებზე). იმ ადგილებში ნაპოვნი ანატკეცები და სახოკები მუსტიეს ხანას განეკუთვნება. ქვის ხანის მესამე ძეგლი საკუთრივ წყალსაცავის ზონაშია ფშავის არაგვის მარჯვენა ნაპირზე სოფ. წიფრანის ძირში, ე. წ. მძივიან მამულებში.

ბრინჯაოს ხანა. ენეოლითის, ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებისათვის ექსპედიციას არ მიუკვლევია. ამ ეპოქების ამსახველი მასალა, წყალსაცავის ზონიდან არც მხარეთმცოდნეობით მუზეუმშია დაცული, სამაგიეროდ, თუ სამუზეუმო ფონდების მიხედვით ვიმსჯელებთ, გვიანი ბრინჯაო მთელს ხეობაში საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 1971 წელს, გარდა ერთი სავარაუდო პუნქტისა, წყალსაცავის ზონაში ჩვენ ბრინჯაოს ხანის მასალები არ მოგვიძევია. ის სავარაუდო ძეგლი კი წარმოადგენს საკმაოდ ვრცელ სამაროვანს სოფ. წიფრანისძირში, რომელიც, თუ ანაკრეფი და მოსახლეობაში შეგროვილი მასალის მიხედვით ვიმსჯელებთ, მიეკუთვნება გვიანი ბრინჯაოს სულ ბოლო ეტაპს ან კიდევ ადრეანტიკური ხანის დამდეგს.

ანტიკური და განსაკუთრებით გვიანანტიკური ძეგლები სამშენებლო ზონაში საკმაოდ მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი (ანანურში 2 სამაროვანი, ციხისძირში, ჟინვალში, ქვემო არანისში და სხვ.). ანაკრეფი მასალებისა და დუშეთის მუზეუმის კოლექციების მიხედვით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჟინვალის ცენტრალური უბანი, სადაც, როგორც ჩანს, ნამოსახლართან უნდა გვქონდეს საქმე, და არაგვისარხის ნეკროპოლი, სადაც რიგით ორმოსამარხებში, სხვა მასალებთან ერთად უხვად ჩნდება ალაზნის ველის ჰერული კულტურისათვის დამახასიათებელი ტიპიური კერამიკა.

ექსპედიციამ გარდა სადაზვერვო სამუშაოებისა საკმაოდ დიდი მასშტაბის გათხრები ჩაატარა ჟინვალის კაპიტალურ მშენებლობათა უბანზე (ქვემო არანისის ბოლო, ადგილი ზანდუკლიანთ ნავენახარი), სადაც დიდის აჩქარებით შენდება თანამედროვე ტიპის ქალაქი — მუშებისა და ადმინისტრაციისათვის. შენობათა ქვაბულებიდან მიწის ამოღებისას აშკარად ჩანს, რომ მომავალი ქალაქი მთლიანად მოიცავს უძველეს ნამოსახლარებს, სადაც ჯერჯერობით ნათლად ჩანს გვიანანტიკური და მასზე გადაფარებული ადრეფეოდალური ხანის ნამოსახლარები და სამაროვნები. ერთ-ერთი ასეთი სამაროვანი, რომელიც ნაწილობრივ მოექცა ადმინისტრაციული სახლის საძირკველში, უაღრესად საინტერესო მასალების შემცველია და მომავალში იმ ადგილებზე ფართო სამუშაოებიც გვაქვს დაგეგმილი. წელს კი მხოლოდ რამდენიმე სამარხი გაითხარა.

3

სურ. 1—2 სარეცლის ვერცხლით შეკეთდილი ფეხები მეხუთე სამარხიდან.
სურ. 3. ვერცხლის პინაკი არმაზული წარწერით იმავე სამარხიდან.



1

2

სურ. 1. ვერცხლისა და ოქროს სამკაულები და ოქროს მონეტა მეხუთე სამარხიდან.
სურ. 2. ვერცხლის ქამრის აბზინდები და სხვა ნაწილები იმავე სამარხიდან.

სამარხი № 1. წარმოადგენდა ჩვეულებრივ ორმოსამარხს, რომელშიც ჩასვენებული იყო მარჯვენა გვერდზე მოხრილ მდგომარეობაში მწოლარე ქალი თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ, ამავე სამარხში აღმოჩნდა ჩვილი ბავშვის გაშოტილი ჩონჩხიც, რომელსაც თავი ვერცხლის პინაკზე ედო. სამარხში აღმოჩნდა: მოზრდილის ძვლებთან — კარგად განლექილი თიხის ორი ჭურჭელი, მოჩალისფროდ გამომწვარი; მინის 2 ჭურჭელი, მათგან ერთი ორყურა; ოქროს წყვილი საყურე (ლალის თვლებით) შემკული), ოქროს ბეჭედი (თვლით), ვერცხლის გემიანი ბეჭედი (ძაღლის გამოსახულებით), ოქროს პატარა ზოდი, და დიდძალი მძივები, ძირითადად — სარდიონისა. ბავშვის ძვლებთან აღმოჩნდა: ვერცხლის პინაკი (დაზიანებული), ვერცხლის სამი ბეჭედი, აქედან 2 გემიანი (ერთზე ბომონია ცეცხლით, ხოლო მეორეზე ნუტრიის გამოსახულებაა), რომაული ვერცხლის მონეტა, და დიდძალი მძივები, მათ შორის რამდენიმე ქარვისა.

სამარხი № 5 — გაცილებით უფრო საყურადღებოა, მასში დაახლოებით 1,5 მეტრის სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან უშუალოდ ნიადაგში ჩასვენებული იყო ზურგზე მწოლარე, მუცელზე ხელებდაკრეფილი, გაშოტილი მამაკაცი თავით დასავლეთისაკენ.

სამარხში აღმოჩნდა თავსა და ფეხებთან მდებარე ორი წყვილი ვერცხლის სარეცლის ფეხი, ვერცხლის პინაკი არმაზული წარწერით (თავთან), ვერცხლის სამი ბეჭედი, მათ შორის ორი მასიურია და გემებითაა შემკული (ერთზე ხის წინ მდგარი თხის მსგავსი ცხოველია გამოსახული); ოქროს წყვილი საყურე, ოქროს ერთი და ვერცხლის ოთხი მონეტა, მრავალი დიდპატარა ვერცხლის აბზინდა, თიხის დიდი ხელადა, მინის 3 ჭურჭელი, რკინის სატევრისპირის ნაშთი, მრავალი მძივი, ძირითადად გიშრისა და სარდიონის და სხვ. ეს ორი კომპლექსი (განსაკუთრებით კი ბოლო) დიდ სიახლოვეს იჩენს არმაზისხევის ერისთავთა სამაროვნისა და ერწოსა და ზღუდერის მდიდრულ კომპლექსებთან. კერძოდ, ამ მხრივ საყურადღებოა ვერცხლის პინაკი და სარეცლის ოთხი ფეხი, რომლებიც, როგორც საერთო მოყვანილობით, ასევე დამზადების ხელოვნებითაც ძლიერ უახლოვდება არმაზისხევის № 1, 3, 4 და 6 სამარხებში მოპოვებულ მსგავს ნაკეთობებს. ადვილი შესაძლებელია, რომ სარეცლის ფეხები საკუთრივ მცხეთის სახელოსნოებში იყოს დამზადებული.

მდიდრულ სამარხებში ნაპოვნი მასალა, ნამოსახლარის შესაბამის ფენებთან ერთად (ძველ შენობათა ნანგრევებში, სხვათა შორის, ნაპოვნია ქიმიანი, ღარისებრი კრამიტის ნატეხებიც) ზოგადად ახ. წ. III ს-ით თარიღდება, თუმცა მომავალმა კვლევა-ძიებამ შესაძლოა ეს თარიღი კიდევ უფრო დააზუსტოს.

მიუხედავად იმისა, რომ ქვემო არანისის მდიდრული სამარხების სოციალური კუთვნილების საკითხი არავითარ ეჭვს არ იწვევს, ჯერჯერობით რაიმე წინასწარი დასკვნების გამოტანა ნაადრევია. სამაროვნის შესწავლა მხოლოდ ახლა იწყება.

არაგვის ხეობაში, განსაკუთრებით სამშენებლო ზონაში მრავლადაა აღრიცხული ადრეფეოდალური ხანის ძეგლებიც, რომელთა შორის გვხვდება საკმაოდ საყურადღებო ხუროთმოძღვრული ნაგებობებიც (ფიტავის ციხე, ზემოხორხის კოშკები, ავენისის კომპლექსი ეკლესიითურთ, ნეძიხის კომპლექსი და სხვ.) და სამაროვნებიც (სოფ. ციხისძირი, ჟინვალი, ქვემო არანისი და სხვ.). ამ ძეგლებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ფიტავის ციხე-დარბაზი, რომელიც შესაძლოა დააზიანოს ახალმა საგზაო ტრასამ.

რუსთაველის ეპოქაში აღნიშნული მხარე დიდ აღმაღლობას განიცდის. ამ პერიოდს განეკუთვნება ჟინვალის ძველი ნაქალაქარის ტერიტორიაზე მიმოფანტული ციხეები და კოშკები, გალავნის ნაშთები და ეკლესიები; შუაფეოდალურივე ხანისაა ჟინვალის სამი დიდი სამაროვანი (ხერთვისზე, ადგილ „ნაქალაქარში" და საკუთრივ თანამედროვე ჟინვალში).

წყალსაცავის ზონაში ექსპედიციამ გარდა ამისა აღრიცხა სხვადასხვა ხასიათის 50-მდე ძეგლი (ნასოფლარები, ნაეკლესიარ-ნაკოშკარები, ცალკეული ნანგრევები), რომელთა შორის გადაუდებელია ბებრის-ციხის, ავენისის და ხერთვისის კოშკის, რაც შეიძლება სწრაფი შესწავლა. ამასთანავე საფუძვლიანადაა გამოსაკვლევი საკუთრივ ხერთვისის ვრცელი მინდორ-ფერდობები, სადაც ალბათ უძველესი (შესაძლოა ანტიკური ხანის) ჟინვალია საძებნი და, როგორც ჩანს, სადაც შუაფეოდალურ ხანაშიც მნიშვნელოვანი სამოსახლოები ყოფილა განლაგებული (რაზეც მეტყველებს 1971 წელს გაზაფხულზე შემთხვევით იქ ნაპოვნი XIII ს-ის ვერცხლის ფულების განძი).

XII ს-ში, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს[3], ჟინვალი საერისთაოს ცენტრია. იმავე საუკუნეებში იქვე უნდა ყოფილიყო სამეფო სასახლეც, ხოლო უფრო მოგვიანებით, შესაძლოა ზარაფხანაც. „ისტორიათა და აზმა-

[3] ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 60.

თა“ ავტორის ცნობით, თამარის ზეობაში „ჭიაბერსა მანდატურთუხუცესსა მიუმატეს და უბოძეს ჟინვანი, ქალაქი და ციხე, მრავლით მთიულეთითა“4.

ქალაქის, როგორც საერისთაოს პოლიტიკური და ეკონომიური ცენტრის ძლიერებას გარდა აქ გამავალი დიდი გზებისა, ალბათ ხელს უწყობდა მდიდარი სასოფლო-სამეურნეო აგარაები, რომლებიც სპეციალურად გაუვანილი ჟინვალის არხით ირწყვებოდა.

მონღოლთა და, განსაკუთრებით, თემურ-ლენგის თავდასხმებმა, მსგავსად სხვა ქალაქებისა, მოშალა და დააკნინა ჟინვალიც. მომდევნო ხანის ქართულ საისტორიო წყაროებში ჟინვალი, როგორც ქალაქი უკვე აღარ მოიხსენიება. არაგვის საერისთაოს პოლიტიკური ცენტრი გადადის უფრო ზემოთ, დუშეთში და ანანურში.

XVI—XVII სს. ანანურში აშენდა მძლავრი ციხე-სიმაგრე და ეკლესია, რომლებიც ითვლება ქართული გვიანფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრების კლასიკურ ძეგლებად.

გარდა მატერიალური კულტურის ძეგლებისა, ექსპედიციამ დიდი ყურადღება დაუთმო ძველი გზების შესწავლასაც. დაზვერილ იქნა თიანეთთან და თიანეთის ქვეყანასთან დამაკავშირებელი ზოგიერთი გზა და მის გასწვრივ მდებარე უმთავრესი ძეგლები. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა თიანეთ-არტანიდან ფშავის არაგვისაკენ მიმავალი გზა, რომელიც მდ. შარახევის გავლით შედიოდა ჟინვალში. ამ ისტორიულ გზაზე, არტანის გადასწვრივ, ქედის მეორე მხარეს, შარახევის სათავეებში დადასტურდა ადგილი „ნაქალაქარი“. იქვე ყურადღება მიიქცია ამჟამად თითქმის მიტოვებულმა პატარა სოფელმა, რომელსაც ქვისკარები ეწოდება. გარდა იმისა, რომ საინტერესოა თვით ტოპონიმი შარახევი, ამ რაიონში ყურადღებას იქცევს რამდენიმე ნაშარობიც, რომელთაგან ერთი თიანეთლახტოს შემაერთებელ ხაზზეა დადასტურებული. თიანეთ-ჟინვალის შემაერთებელ გზებს შორის, მომავალში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფუძნარ-ბოდავ-საკანფის ხევის უაღრესად მნიშვნელოვან გზას, რომელიც ჩინთის მხრიდან შედიოდა ქ. ჟინვალში.

1971 წელს ჩატარებულმა კვლევამ ნათლად დაგვანახვა თუ რა რთული პრობლემის წინაშე დგას ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია. ამ რაიონში პირველხარისხოვან ძეგლთა სიუხვე და მრავალფეროვნება, ვფიქრობთ, სამუშაოთა სწორი ორგანიზაციის პირობებში მრავალი საგულისხმო დასკვნის საწინდარი გახდება. **ამასთანავე, სასურველია ჟინვალის** არქეოლოგიურ ექსპედიციაში გარდა არქეოლოგებისა მონაწილეობა მიიღონ ეთნოგრაფებმა, ბოტანიკოსებმა, ანთროპოლოგებმა, პალეონტოლოგებმა და სხვ.

აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჟინვალის მშენებარე ჰიდროკვანძის დირექცია და მთელი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მიმართ **იჩენდა** დიდ ყურადღებას და გულისხმიერებას, რამაც შეიძლება ითქვას, არსებითი როლი ითამაშა ექსპედიციის საერთო წარმატებაში.

რამინ რამიშვილი

კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების ექსპედიციები 1971 წელს

კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილება მისი დაარსებიდან (1961 წლის ბოლო) დღემდე პროფესორ ალ. რობაქიძის ხელმძღვანელობით ინტენსიურად სწავლობს კავკასიის ხალხთა ყოფისა და კულტურის ძირითად საკითხებს ქართველ და კავკასიელ ხალხთა კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის თვალსაზრისით და საველე მუშაობას ერთნაირი თანმიმდევრობით წარმართავს როგორც საქართველოში, ისე კავკასიის სხვა რეგიონებში. არსებობის ათი წლის განმავლობაში, რომლისთვისაც დამახასიათებელ მომენტს წარმოადგენდა კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების კოორდინაცია ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან და მჭიდრო კონტაქტი კავკასიის რესპუბლიკების სამეცნიერო დაწესებულებებთან, განყოფილებამ ექსპედიციები მოაწყო საქართველოს ფარგლებს გარეთ ინგუშეთში, ჩაჩნეთში, ჩრდილო ოსეთში, ყაბარდო-ბალყარეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, ხოლო საქართველოს რაიონებიდან ფშავ-ხევსურეთში, მთიულეთ-გუდამაყარში, ხევში, თუშეთში, პანკისის, დიდი ლიახვის, პატარა ლიახვისა და ქსნის ხეობებში, მესხეთ-ჯავახეთში, აჭარაში, რაჭაში, სვანეთში, აფხაზეთსა და სამეგრელოში. ამ მიმართულებით წარმოებული საველე მუშაობის შედეგები ასახულია გამოქვეყნებულ მონოგრაფიებში, კრებულებში, საქურნალი

---

4 ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1959, გვ. 55.

წერილებში, საგაზეთო ინფორმაციებში, მოხსენებებში და ნაბეჭდი პროდუქციის შესახებ არსებულ რეცენზიებში.

1971 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე მუშაობდა ოთხი ექსპედიცია. განყოფილებაში მოქმედი საველე მუშაობის მეთოდის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს მასალის წინასწარ შეგროვებას ისეთი სისრულით, რომ აღმოხსნილ იქნეს ეთნოგრაფიული ყოფისათვის დამახასიათებელი მოვლენის თუ საგნის სოციალური ბუნება და მისი ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ოთხივე ექსპედიციის მიზანს შეადგენდა ეთნოგრაფიული მასალის შეკრება 1972 წლის თემატური გეგმით გათვალისწინებული საკითხებისათვის.

განყოფილებაში დაკომპლექტებული ოთხი ექსპედიციიდან ყველაზე ადრე მუშაობას შეუდგა მცირე კავკასიონის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ: თ. ჩიქოვანი (ხელმძღვანელი), ლ. ფაშაევა (უმცროსი მ/თ), ა. სიხარულიძე (უმცროსი მ/თ) და ნ. აღდგომელაშვილი (ასპირანტი). ჯავახეთში (ბოგდანოვკის რაიონში) ექსპედიცია მუშაობდა 8 ივლისიდან 8 აგვისტომდე. საველე ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება ითვალისწინებდა ამ რაიონის მოსახლეობის ძველი საოჯახო ყოფისა და სამეურნეო ცხოვრების შესწავლას. ექსპედიციამ გამოავლინა ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერებისათვის ნაკლებად ცნობილი ახალი მასალა. კერძოდ, მიწათმოქმედებისა და ძველი საიალაღო სამეურნეო ბაზების შესწავლისას გაირკვა, რომ ჯავახეთის ამ ნაწილში სოფლის მეურნეობა წარსულში სიმბიოზურ ხასიათს ატარებდა. მემინდვრეობას და მესაქონლეობას ერთნაირი ხვედრითი წონა უნდა ჰქონოდა. ტრადიციულ და მაღალ კულტურულ დონეზე მდგარი მემინდვრეობისა და მესაქონლეობის არსებობაზე, სხვა ფაქტობრივ მონაცემებთან ერთად, მიუთითებენ იალაღებზე უხვად შემორჩენილი სეზონური ხასიათის ფართოდ გავრცელებული მუდმივი სამეურნეო დასახლებები და დიდი ტევადობის ქვითკირით ამოყვანილი ხორბლეულის შესანახი ხაროები, რომლებიც თითქმის ყველა სოფელში მრავლად იქნა ფიქსირებული.

დღევანდელი ბოგდანოვკის რაიონში ჩამოსახლებული სომხებისა და რუსების საოჯახო და სამეურნეო ყოფის შესწავლისას, მათი ეთნიკური თავისებურებების ფიქსაციასთან ერთად, ექსპედიციამ მიაკვლია ყოფისა და კულტურის ზოგიერთ ისეთ ელემენტსაც, რომელიც შეითვისეს ქართული მოსახლეობისაგან. ამ რიგის ელემენტებს განეკუთვნებიან მათ მიერ უკვე შესისხლხორცებული სამეურნეო ტერმინოლოგია (მოდგამი, მანჭი, მორბედი, ჯამბარა, ალო) და მზამზარეული სახით ათვისებული ისეთი ქართული ხალხური ნაგებობანი (ხარო, ზეთსახდელი, ბაკები და ა. შ.), რომლებიც მათი ჩამოსახლების დროისათვის ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ პირვანდელ ფორმას და დანიშნულებას.

მეორე ექსპედიციის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ ა. შავხელიშვილი (ხელმძღვანელი), მ. ქანთარია (ხელმძღვანელის მოადგილე), ლ. მარგოშვილი, ი. საიდოვი, ი. უშარაული და ს. მეოტიშვილი (არქიტექტორი). 5 ივლისიდან 5 სექტემბრამდე ექსპედიცია მუშაობდა ორ ჯგუფად. მ. ქანთარია და ლ. მარგოშვილი მასალას აგროვებდნენ პანკისის ხეობაში, ხოლო ექსპედიციის დანარჩენმა წევრებმა თუშეთზე გავლით კურსი აიღეს ჩაჩნეთისაკენ.

პანკისის ხეობის მოსახლეობაში მ. ქანთარია სწავლობდა მიწათმოქმედებას. მემინდვრეობის სისტემის, შრომის იარაღების, მიწათმფლობელობის ფორმებისა და შრომის ორგანიზაციის ხასიათის ირგვლივ მოპოვებული მასალის მიხედვით ირკვევა, რომ ჯერ კიდევ ვეინახების ჩამოსახლებამდე პანკისის ხეობაში ისტორიულად არსებობდა განვითარებული მრავალდარგოვანი მეურნეობა. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან აქ თანდათანობით მკვიდრდებიან ჩაჩნეთ-ინგუშეთიდან წამოსული ოჯახები და ქართული მოსახლეობის გარემოცვაში ითვისებენ ადგილობრივ სამეურნეო კულტურას. ამასთან ერთად, ახალ გარემოში ისინი ავითარებენ მამა-პაპურ ცოდნა-გამოცდილებას. მასალა გვიჩვენებს მეურნეობის ამ გზით განვითარების შედეგსაც, რაც იმაში გამოვლინდა, რომ ქისტები სავსებით დაეუფლნენ მემინდვრეობის ადგილობრივ ტრადიციულ სისტემას და თავიანთი მეურნეობრივი ცხოვრება ქართულ ნიადაგზე დაამყნეს.

ქართულ-ვეინახური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის კვლევაში ასევე საინტერესო ელემენტს წარმოადგენს კოსტუმი, რომლის თარგების დადგენის, აღწერილობისა და ტერმინოლოგიის აღნუსხვის შედეგად ლ. მარგოშვილმა გამოავლინა როგორც ჩაჩნურ-ინგუშური კოსტუმის ელემენტები, ისე ქართული კოსტუმის დეტალები.

მთათუშეთსა და ჩაჩნეთის მთიანეთში მივლინებული ჯგუფის უმთავრეს ამოცანას შეადგენდა მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლა ჩაჩნურ-ქართული ურთიერთობის ჭრილში. ამ მიზნით ა. შავხელიშვილმა წოვათაში აღწერა საკულტო ნაგებობანი (ბერი სამება, კოპალა, წმინდა გი-

ორგი, ცორულა, ჯავახე), იქ ოდესღაც მოქმედი რელიგიური დღესასწაულები და ჩაიწერა ძეგლებთან დაკავშირებით შემორჩენილი გადმოცემები. ექსპედიციამ ჩამოიტანა აგრეთვე არქიტექტორის მიერ შესრულებული გრაფიკული მასალა.

კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების თანამშრომელთა უმრავლესობა მონაწილეობდა აღმოსავლეთ კავკასიონის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში. მის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ: ვ. ითონიშვილი (ხელმძღვანელი). ბ. გამყრელიძე (მოადგილე), გ. გეგეჭკორი (უმცროსი მ/თ), გ. ჩიქოვანი (უმცროსი მ/თ), ვ. შამილაძე (ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მ/თ) და ვ. ბახტაძე (არქიტექტორი).

ექსპედიცია, რომელმაც იმუშავა 15 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე, მასალის შეგროვებას შეუდგა ზემო ალვანში, ხოლო სათანადო ცნობების მოპოვების შემდეგ ეერტმფრინავით ავიდა წოვათაში — წოვა-თუშების მამა-პაპურ ადგილ-სამყოფელში. წოვათის გაცნობის შემდეგ ექსპედიცია კვლავ ზემო ალვანში დაბრუნდა და მთხრობლებთან მუშაობა განაგრძო, ხოლო იქიდან ავიდა აგრეთვე ტბათანაში, რომელიც წარმოადგენს ალვანელი თუშების სააგარაკო ადგილს ირგვლივ მდებარე საზაფხულო საძოვრებით.

როგორც ყოველთვის, წელსაც ექსპედიციის წევრები მასალას აგროვებდნენ თემატური გეგმის შესაბამისად. მატერიალური კულტურის სფეროდან მასალა გროვდებოდა საცხოვრებელ ნაგებობებსა და დასახლების ფორმებზე, სამეურნეო ყოფიდან — მესაქონლეობაზე, ხოლო სოციალური ურთიერთობიდან — ხალხური მმართველობის სისტემაზე და საოჯახო ყოფაზე.

საცხოვრებელ ნაგებობათა შესწავლა (მასალას იწერდა გ. გეგეჭკორი) მიმდინარეობდა როგორც ზემო ალვანში, ისე წოვათის ნასოფლარებში. ალვანში აღწერილ და აზომილ იქნა უმთავრესად სოფლის გენერალურ რეკონსტრუქციამდე (რაც განხორციელდა 1923—1924 წწ დავით ლევანის ძე აბაშიძის პროექტით) არსებული ხის სახლები, რომლებიც შემორჩენილია ალვანის აღრინდელი დასახლების ტერიტორიაზე. მთხრობლების განმარტებით, ისინი აშენებულია რაჭველი ხელოსნების მიერ, ისევე როგორც ამ ტიპის სახლების მშენებლებად რაჭველებსა და იმერლებს თვლიან პანკისის ხეობის ქისტები. კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების ექსპედიციის მიერ 1965 წელს პანკისის ხეობის საცხოვრებელ ნაგებობათა შესწავლის შემდეგ ალვანის ძველ უბნებში შემორჩენილი ანალოგიური ტიპის სახლების აღწერა წლევანდელი ექსპედიციის მიერ ნაკარნახევი იყო ორი გარემოებით: 1. ბარად დასახლებული თუშების საცხოვრებელ ნაგებობათა ევოლუციის შესწავლის საჭიროებით, 2. ერთსართულიანი, ოთახებად დატიხრული, ღია აივნიანი და აივნის აეკურული ორნამენტით მორთული სახლების გავრცელების დროისა და არეალის განსაზღვრის აუცილებლობით.

ექსპედიცია განსაკუთრებით დაინტერესებული იყო წოვათის ნაგებობათა აღწერით, მაგრამ, სამწუხაროდ, წოვათში ამ მხრივ საკალო მდგომარეობაა. მისი ყველა ისტორიული სოფელი (ეთელტა, საგირთა, ინდურთა, ნადირთა, წარო) ნასოფლარადაა გადაქცეული. ამიტომ შემორჩენილი კოშკების, ნასახლარებისა და დანგრეული უბნების აღწერა და აზომვა ეთნოგრაფისათვის მეტისმეტად არახელსაყრელ პირობებში ხდებოდა. ამ უკაცრიელ გარემოზე, მის სოციალურ სტრუქტურასა და სულიერ ცხოვრებაზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ალვანელ მოხუცთა მონათხრობი, რომელთაც ცოდნა ამ კუთხის შესახებ წინაპართა ნაამბობის წყალობით შემოუნახავთ.

წოვათის ნასოფლარებს შორის კოშკები და ნასახლარები შედარებით უკეთესადაა შემორჩენილი ინდურთასა და წაროში. ამიტომ ძირითადი მუშაობა (აზომვა, აღწერა) აქ ჩატარდა, ხოლო დანარჩენ ნასოფლარებში გადაღებულ იქნა ფოტოსურათები. ამგვარი მონაცემების მიხედვით ძნელია სრულფასოვანი სურათის შექმნა წოვა-თუშების საცხოვრებელ და თავდაცვით ნაგებობათა შესახებ, მაგრამ შემორჩენილი ძეგლების აღწერილობა იმას მაინც თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ წოვათში საცხოვრებლის ძირითად ტიპს წარმოადგენს ციხე-სახლი, რომელიც თავისი ფორმით, კონსტრუქციითა და ფუნქციით დიდ მსგავსებას ამჟღავნებს აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მთიანი კუთხეების საცხოვრებლებთან. თვალში საცემია ის გარემოებაც, რომ წოვათის ნაგებობანი სავსებით განსხვავდებიან ჩაჩნურ-ინგუშური ძეგლებისაგან. ამ უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტორს ექსპედიციამ საგანგებო ყურადღება მიაქცია, ვინაიდან მას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება წოვა-თუშების ისტორიული წარსულის სწორად გაგებისათვის. კულტურის ძეგლების თვითმყოფადობა იმ გარემოების მაჩვენებელია, რომ წოვა-თუშები ჩაღმა-თუშებთან თუ სხვა ქართველ მთიელებთან ერთად ჰქმნიდნენ მთის სამეურნეო და სოციალურ პირობებთან შეფარდებულ საცხოვრებელ, სამეურნეო და თავდაცვით

ნაგებობებს, საუკუნეების განმავლობაში თავგამოდებით იცავდნენ საქართველოს მიწა-წყალს, აეითარებდნენ მთურ მეურნეობას, ამდიდრებდნენ ქართულ სულიერ კულტურას და აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში დაუღალავი ენერგიით ეწეოდნენ ქართული ცხოვრების ჭაპანს. უძველესი დროიდან ვეინახებთან წოვა-თუშების ურთიერთობაც ისეთივე ხასიათისა იყო, როგორიც ჩაღმა-თუშების, ხევსურების ან მოხეველებისა. სხვა ქართველ მთიელებთან ერთად წოვა-თუშების სიახლოვე ჩრდილო კავკასიის ხალხებთან, მათ შორის ვეინახებთან, გამოხატულებას პოულობდა ახლო მეზობლობით განმტკიცებულ კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობაში. ამის გამო ყოველმხრივ გაუმართლებელია ზოგიერთი ისტორიკოსის (ვ. ელანიძე) მიერ ხელოვნური ზღუდეების აღმართვა წოვა-თუშებისა და ჩაღმა-თუშების ერთიან ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სამყაროში და ისტორიულად დამკვიდრებული ეთნიკური სახელწოდებების ნაცვლად ყოველგვარ დასაბუთებას მოკლებული სახელების გამოგონება.

თუშების სამეურნეო ყოფაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა მესაქონლეობა, რაზედაც მუშაობდა ბ. გამყრელიძე. მის მიერ შეკრებილი მასალები გვიჩვენებენ, რომ მთათუშეთში საერთოდ და წოვათაში კერძოდ მეურნეობის ორი ძირითადი და ტრადიციული დარგიდან — მესაქონლეობიდან და მიწათმოქმედებიდან, რომელთაგან ორივე მაღალკულტურული და ინტენსიური ხასიათისა იყო, მესაქონლეობას თავისი ხვედრითი წონით წამყვანი ადგილი ეჭირა მისთვის შედარებით ხელსაყრელი სამეურნეო პირობების არსებობის გამო. საზამთრო საძოვრების ფართო მასშტაბით გამოყენებამდე უფრო მეტად განვითარებული ყოფილა მსხვილფეხა მესაქონლეობა. მთხრობლების გადმოცემით, ადგილმონაცვლე მეცხვარეობისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შექმნილა ბახტრიონის ბრძოლაში თავის გამოჩენის გამო მეფის მიერ თუშებისთვის ალეანის მიკუთვნების შემდეგ. ამ ტერიტორიის გამოყენებას ცხვრის გამოსაზამთრებლად, ხოლო შემდეგ წოვა-თუშების იქ დასახლებას, რაც XIX საუკუნის 80-იან წლებში არსებითად დასრულებულა, დიდად გაუფართოვებია მეცხვარეობის მასშტაბი. მეცხვარეობის შემდგომ განვითარებას მოჰყოლია შირაქის ველების ათვისება, თრიალეთის საძოვრების გამოყენება და აზერბაიჯანის ველებზე კასპიისპირეთამდე შეღწევა. შეძლებული მეცხვარეები თავიანთ მზარდ მეურნეობაში იყენებდნენ დაქირავებულ მუშახელს, ხოლო შედარებით მცირე რაოდენობის პატრონები შრომის ორგანიზაციის ტრადიციულ ფორმას მიმართავდნენ და ამხანაგურ გაერთიანებას ჰქმნიდნენ.

მესაქონლეობაზე მასალას იწერდა აგრეთვე ვ. შამილაძე, რომლის მთავარ მიზანს შეადგენდა შესადარებელი მასალის მოპოვება. ვ. შამილაძემ და ბ. გამყრელიძემ წოვათაში აღწერეს მწყემსთა და ყველის დამამზადებელთა ქოხები, ცხვრის სადგომები და ადრინდელი, ამჟამად გამოუყენებელი, ქვით შემოღობილი ბაკები.

მოსახლეობისაგან წოვათის დიდი ხნიდან მიტოვების გამო განსაკუთრებით დიდ სიძნელეებთან გვაქვს საქმე სოციალური ურთიერთობის საკითხებზე მუშაობისას. ამიტომ წოვათის თემის სტრუქტურასა და მისი მმართველობის სისტემაზე არასრულ წარმოდგენას გვაძლევს ნანგრევებზე დაკვირვება და ალვანში ჩაწერილი მასალა (მასალას იწერდა გ. ჩიქოვანი). ამგვარი მონაცემების მიხედვით ასეთი სურათი გვეხატება: წოვათის თემში გაერთიანებული იყო ზემოხსენებული ხუთი სოფელი. თემის ცენტრად ითვლებოდა სოფ. ინდურთა, სადაც სათემო საქმის განსაბჭობად სამი ხანდაზმული კაცის ხელმძღვანელობით ხუთივე სოფლის სრულწლოვანი მამაკაცები იკრიბებოდნენ. სამ ბჭეს შორის ერთი უნდა ყოფილიყო სოფ. წაროდან, ხოლო ორი კაცი ზემო სოფლებიდან. სოფლის საზოგადოებრივ საკითხებსაც სოფლის კრება აწესრიგებდა. როგორც სოფლის, ისე თემის კრებაზე საკითხი წყდებოდა ხმათა უმრავლესობით. ყოველ სოფელს ჰყოლია მაცნე, რომელიც ხალხს ატყობინებდა შეკრების დროსა და მიზეზს.

ექსპედიციის მიზანს შეადგენდა აგრეთვე საოჯახო ყოფის შესწავლა. ზემო ალვანში ჩაწერილი მასალის მიხედვით სრულიად აშკარად ჩანს, რომ ჩვენი მთხრობლების წინაპრები წოვათაში კარგად იცნობდნენ გაუყრელად ცხოვრების წესს და არაერთი დიდი ოჯახი არსებობდა, რომელიც თავისი სტრუქტურით ისეთივე იყო, როგორიც ჩაღმა თუშებში რ. ხარაძის მიერ შესწავლილი დიდი ოჯახი, ან ხევში, მთიულეთ-გუდამაყარში თუ საქართველოს სხვა რომელიმე კუთხეში XIX ს-ის ბოლომდე შემორჩენილი ამ ტიპის ოჯახი. ამგვარი ოჯახისათვის წოვა-თუშებში, ისევე როგორც ზემოხსენებულ კუთხეებში, დამახასიათებელი იყო მრავალსულიანობა, რამდენიმე თაობის ერთად ცხოვრება, შრომის განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით, ამავე ნიშნით განსაზღვრული მმართველობის სისტემა და საოჯახო-თემური საკუთრება. ამ კომპონენტების მიხედვით დიდი ოჯახი წოვა-თუშებში წარმოადგენდა საოჯახო თემის გადმონაშთურ

სახეობას. წოვათიდან ალვანში ჩამოსახლების შემდეგაც ასეთი ოჯახების არსებობა მოწმდება, მაგრამ ახალ სამეურნეო პირობებში, განსაკუთრებით კი საკარმიდამო და სამეურნეო ნაკვეთების ათვისებასთან დაკავშირებით საგრძნობლად დაჩქარდა შემორჩენილი დიდი ოჯახების დაშლის პროცესი. ამის გამო ოჯახის ძველი ფორმების შესახებ აქ ისეთი სრულფასოვანი მასალა არ დაგვხვედრია, როგორიც ხევში ან მთიულეთ-გუდამაყარში, მაგრამ დიდი ოჯახის სპეციფიკური თავისებურებებისა და მისი დაშლის კონკრეტული მიზეზების ჩვენებისთვის წოვა-თუშური მასალა სათანადო ინტერესის შემცველია და საყურადღებო წყაროს წარმოადგენს ქართველ მთიელთა საოჯახო ყოფის შედარებით სრული შესწავლისათვის.

კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების მეოთხე ექსპედიცია გ. გ ე გ ე ჭ კ ო რ ი ს (ხელმძღვანელი), ს. ბ ა ხ ი ა ს (უმცროსი მ/თ) და გ. მ ა ჭ უ ტ ა ძ ი ს (არქიტექტორი) შემადგენლობით მუშაობდა გეგეჭკორის რაიონში 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე. ექსპედიცია სწავლობდა მთიანი სამეგრელოს საცხოვრებელ ნაგებობებს, დასახლების ფორმებს და პატრონიმული ორგანიზაციის გადმონაშთებს. მთიანი სამეგრელოს სოფლებში (წ ა ჩ ხ უ რ უ, ბ ა ლ დ ა, კ ი წ ი ა, გ უ რ ძ ე მ ი, თ ა მ ა კ ო ნ ი, ს ა ლ ხ ი ნ ო, კ უ რ ზ უ და სხვ.) მუშაობა ითვალისწინებდა ერთი მხრივ დასავლეთი კავკასიონის ეთნოგრაფიული კვლევის გაფართოვებას, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი მასალით რიგი ისეთი საკითხის შევსებას, რომლის დამუშავება მთელი კავკასიის მასშტაბით მიმდინარეობს. ამავე გეგმის განხორციელებას ითვალისწინებდა პატრონიმული ორგანიზაციის შესწავლა აბაზებში (მასალას იწერდა ს. ბახია), რაც ავსებს წინა წლებში აფხაზებში შეკრებილ მასალას.

ზემოაღნიშნულ საკითხებზე მთიანი სამეგრელოს ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ შეკრებილი მასალა საერთო კავკასიური პრობლემატიკის შემდგომი გაფართოვების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, მაგრამ საკვლევ თემათა მცირე რაოდენობა ჯერ კიდევ ზღუდავს ზემოაღნიშნული რაიონის სისრულით შესწავლის შესაძლებლობას. ამიტომ განყოფილების პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს თემატიკის შემდგომ გაზრდას, პირველ ყოვლისა მუშაობის გაშლას ქართველ და კავკასიელ ხალხთა სულიერი კულტურის სფეროში.

ასეთი შედეგებით დაამთავრა კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებამ 1971 წლის საველე მუშაობა. ხუთწლიანი გეგმის მიხედვით ამ მიმართულებით გაგრძელდება საველე მასალის შეგროვება მომავალ წლებშიც, რაც საფუძვლად დაედება თემატურ კრებულებსა და მონოგრაფიებს.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი

ქვემო ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია

ქვემო ქართლი — ისტორიულად საქართველოს მეწინავე სადროშო, დიდ მეცნიერულ ინტერესს იწვევს. ირანთან და ოსმალეთთან უშუალო მეზობლობამ ეს კუთხე თითქმის ბეითალმანად აქცია. ნაქალაქრები, ნასოფლარები, მიწასთან გასწორებული, თუ ჯერ კიდევ ფეხზე მდგომი, ბრწყინვალე ხუროთმოძღვრული ძეგლები, მრავლისმეტყველი მოწმენი არიან იმ უღვთო ძნელბედობისა, რაც ჩვენს ქვეყანას დაატყდა თავს გვიანდელ შუა საუკუნეებში. ქვემო ქართლის ისტორიული მიწა სათუთად ინახავს ქართველი ხალხის უძველეს კულტურას კაცობრიობის ბავშვობიდან მოკიდებული დღემდე. თრიალეთის, ბედენის, შულავერის, დმანისის, გუდარეხის და სხვ. არქეოლოგიურ აღმოჩენებს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად მოსახლეობის არაერთგზის ამოწყვეტისა, იქ მაინც არ გამქრალა ძველქართული ტრადიციები, ქართული ყოფის თვითმყოფადი ელემენტები. ნიშანდობლივი ფაქტია, რომ თვით უადამიანებოდ დარჩენილი ნასოფლარები უცხოტომელთ საკუთარი კულტურის ზეგავლენის ქვეშ აქცევდნენ, რის შედეგადაც ქართული რეალიები სხვა ეთნიკურ გარემოში განაგრძობდნენ არსებობას. აქედან გამომდინარე, ქვემო ქართლში ეთნოგრაფებს არქეოლოგებზე არანაკლები სამუშაო აქვთ. სწორედ ეს გაითვალისწინა ამ კუთხის ეთნოგრაფიული შესწავლის პიონერმა აკად. გ. ჩიტაიამ, რომლის ინიციატივით ქვემო ქართლში სამი წლის განმავლობაში ზედიზედ (1969—1971) ეწყობოდა ეთნოგრაფიული ექსპედიცია (ხელმძღვანელი გ. ჯავახიშვილი, წევრები: ნ. ბრეგაძე, მ. შილაკაძე, დ. გიორგაძე, ლ. ფრუიძე, არქიტექტორი ნ. სუმბაძე, ფოტოგრაფი ნ. გოგოლაძე).

ექსპედიციის მიზანი იყო მასალების შეგროვება ქართული ეთნოგრაფიული ატლასისათვის.

მუშაობა წარმოებდა გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროს და წალკის რაიონებში. ექსპედიცია ამჯერად მხოლოდ საქართველოს რაიონების შესწავლით დაკმაყოფილდა.

მასალა იკრიბებოდა შემდეგ თემებზე: მოსახლეობის მოძრაობა და ეთნიკური შემადგენლობა, (ნ. ბრეგაძე, გ. ჯავახიშვილი), დასახლების ტიპი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი (გ. ჯავახიშვილი), მესაქონლეობა (მ. შილაკაძე, დ. გიორგაძე), მემინდვრეობა (ნ. ბრეგაძე), მიცვალებულის კულტი, რწმენა-წარმოდგენები (დ. გიორგაძე), მუსიკალური ფოლკლორი (მ. შილაკაძე), მევენახეობა-მეღვინეობა, ხალხური გამოყენებითი ხელოვნება (ლ. ფრუიძე). გარდა ამისა, ღია ცის ქვეშ მუზეუმისათვის წარმოებდა ექსპონატების გამოვლენა-აღრიცხვა.

ეთნოგრაფიული მასალის წინასწარი ანალიზით გაირკვა, რომ მიუხედავად ირანისა და ოსმალეთის მრავალსაუკუნოვანი ცდისა და სარბაროსული მეთოდების გამოყენებისა, ქვემო ქართლში მაინც არ მოისპო ქართული მოსახლეობა. აოხრებული სოფლები კვლავ იკეთებდნენ ძალას. აღმოჩნდა, რომ რელიგიური რწმენის ეროვნულობასთან გაიგივების მავნე შედეგებმა ჩვენს ხანამდე მოაღწია, რისი აღიფხვრა გადაუდებელი, სადღეისო ამოცანაა.

ქვემო ქართლისათვის ისტორიულად დამახასიათებელი იყო ბანიანი ტიპის საცხოვრებელი ნაგებობანი („მიწური", „ერდოიანი სახლი", „თითობის სახლი", „შავი სახლი"). აღიარებულია, რომ მიწურის და ერდოიანი სახლის ნაკვეთარებულ ტიპს წარმოადგენს ერდოიანგრგვინიანი სახლი, რომელიც ხალხში ცნობილია „დარბაზის" სახელწოდებითაც. აღნიშნული სახის შენობები ყოფიდან თითქმის გამქრალია, მხოლოდ აქა-იქაა შემორჩენილი ნანგრევების ან უმეტესად მცირე ზომის სამეურნეო ნაგებობათა სახით.

XIX ს. ბოლო მეოთხედში, ქვემო ქართლის ქვის ერთსართულიანი, ორფერდად გადახურული „დაბალი სახლი" — „ცალპირი" ფესვდება. ამჟამად, საკვლევ რაიონში საცხოვრებელი ნაგებობანი წარმოდგენილია ქვის აგურის ორსართულიანი შენობებით, თუმცა ზოგან ჯერ კიდევ შემოინახა ძველი, ფარფაიენიანი, ქართული სახლები. ადგილობრივ ხალხურ ხუროთმოძღვრებას დაღი დაასვა რმანელთა კოლონიების არსებობამ. ნიშანდობლივია, რომ „გერმანული ტიპის" სახლმა ხად ფეხი ვერ მოიკიდა. იგი უფრო მთიან ლში გავრცელდა, სადაც ცივი და უხვნალიანი ზამთარი იცის.

ყურადღებას იქცევს ხმარებიდან დიდი ხნის წინათ გამოსული „ბეღელი", რომელიც დიდი ზომის მუხის ძელებისგან იყო ნაგები, ჰქონდა სახურაი და „ჩასაყრელი კარი". ასეთ ბეღლებში 70 თაღარამდე მარცვლეული ჩადიოდა (1 თაღარი უდრის 8 ფუთს). შესწავლილია აგრეთვე საკარმიდამო კომპლექსში შეპაკალი სხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სახლის მშენებლობასთან დაკავშირებულ შრომის ორგანიზაციის ფორმებს, სამშენებლო მასალის მოპოვება-დამუშავებას, მშენებლობის ტექნიკას და სხვ.

მნიშვნელოვანი მასალაა მოპოვებული მესაქონლეობასთან დაკავშირებით. დადგინდა ცხვრის და მსხვილფეხა პირუტყვის გადარეკვის მარშრუტები, საზამთრო და საზაფხულო საძოვართა შეთანაწყობის სტრუქტურა, მწყემსთა მოვალეობანი, შრომის ორგანიზაციის ფორმები, ფარეხთა და ბინათა განლაგების თავისებურებანი, საქონლის ჯიშები, პროდუქტების დამზადების სპეციფიკა და სხვ. გამოვლინდა მეურნეობის ამ უძველესი დარგისათვის საჭირო ორიგინალური იარაღ-ჭურჭელი.

საინტერესო მასალა შეიკრიბა, როგორც ადგილობრივ გავრცელებული პურეული კულტურების, ისე მათი მოვლა-მოყვანის ხალხური აგროტექნიკური ღონისძიებების, საწარმოო საშუალებების, მეორე მხრივ კი სამიწათმოქმედო კულტურასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა და რწმენა-წარმოდგენების შესახებ.

შეკრებილი მასალის საფუძველზე საშუალება გვეძლევა დავაზუსტოთ სამიწათმოქმედო კულტურის კერები, ატლასისათვის რუკაზე დავიტანოთ სხვადასხვა პურეული კულტურების გავრცელების არეები, ცალკეულ ჯიშ-ვარიაციათა მითითებით, დავადგინოთ ამ მცენარეთა კულტივირების კერები, რაც თავის მხრივ მოგვცემს კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ზოგიერთი საკითხის წამოჭრის, რიგ შემთხვევაში, იქნებ, გადაჭრის საშუალებას.

ყურადღება გამახვილდა ველურ მცენარეებზე, რომელთაც ხალხი უხსოვარი დროიდან იცნობდა. გარემომცველი ბუნების მზამზარეულ პროდუქტთა მიგნება და ათვისება ადამიანის უძველესი და უპირველესი საქმიანობაა. საგულისხმო ფაქტია, რომ ყოფაში დღესაც კარგადაა შემონახული „მთისა და ველის ნაწილის" მოპოვების, საკვებად, სამკურნალოდ და საღებავად გამოყენების თავისებური წესები.

ქვემო ქართლის მევენახეობა-მეღვინეობა საშუალო საუკუნეებში ღირსეულ მეტოქეობას უწევდა კახეთს, ხოლო სუფრის ყურძნის წარმოების მხრივ ერთ-ერთ პირველ ადგილზე იდგა. ამ კუთხეში მრავალი ისტორიული ძეგლია და ყველგან შეიმჩნევა განვითარებული მეღვინეობის კვალი. განუწყვეტელი შემოსევების შედეგად მეურნეობის ეს ინტენსიური დარგი ისე დაქვეითდა, რომ დღესაც კი სათანადოდ ვერ არის წელში გამართული. დაიკარგა საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული შრომითი ჩვევები, ვაზის მოვლის და ღვინის დაყენების მაღალი კულტურა. ქვემო ქართლის ახლანდელმა მოსახლეობამ „ვაზის ხელი" ნაკლებად იცის. მიუხედავად ამისა, მაინც მოხერხდა ფასეული მასალების შეკრება.

ჩვეულებრივ, ვენახები ქარებისა და სიცივისაგან დაცულ მდინარეთა ნაპირებზე იყო განლაგებული. როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ ადრეულ ხანაში, ვაზს მდინარეთა სათავეებისაკენ გაუკაფავს გზა და ახლა მაშავერას, ქციის და ალგეთის ზემო წელში მოიპოვება ნავენახარი და ნამარნევი ადგილები (სოფ. განთიადის, გომარეთის, ორბეთის სანახებში), რომლებიც მოსახლეობის მიერ მევენახეობის გავრცელების საზღვრად არის მიჩნეული. ამჟამად ვაზის გავრცელების არე ძალზე შეზღუდულია. მაშავერას ხეობაში იგი სოფელ დმანისს არ შორდება, ალგეთში საბოლოო პუნქტი ს. ტბისია, ხოლო ქციაში თათრული სოფელი არახლო. შეზღუდულია ჯიშობრივი სორტიმენტი. რქაწითლისა და საფერავის გვერდით დამოწმდა თაეკვერი, სარისაჩეხი, ბუერა და სხვ. ცალკე უნდა აღინიშნოს „შალას" შესახებ. ეს შავყურძნიანი ჯიში სოფ. ასურეთსა და მის მახლობელ სოფლებშია გავრცელებული. ადგილობრივი მოსახლეობა ჯიშის მიგნებას მიაწერს ასურეთში მცხოვრებ გერმანელს ვინმე შაალს. ვაზის სახელწოდება „შალა" ამ გვარიდანაა წარმოშობილი. მთხრობელთა მტკიცებით, ეს ვაზი გერმანელს ტყეში უპოვია და ვენახში დაუნერგავს. ეს გადმოცემა სინამდვილეს მოკლებული არ უნდა იყოს. ქვემო ქართლის ტერიტორია მოფენილია გაველურებული, ძველქართული ჯიშებით, რომელთაც ამპელოგრაფები საგანგებოდ იკვლევენ.

ვენახის გაშენების ძველი წესები გამოვლინდა ს. მუხათში, ბოგვში, ფარცხისში, ქვეშში, ბალიჭში და სხვ. აღსანიშნავია სავენახედ ნიადაგის გაწმენდა-დახვნა, თხრილების გაყვანა, სავენახე მასალის შერჩევა-შემზადება, „ძველიანზე" გასხვლა, სანერგე რქების „სველ ლამში" გამოყვანა და სხვ.

ვენახის ფორმირება ძირითადად დაბლარად ხდებოდა. ამასთან დაკავშირებით შემუშავებული იყო ვაზის საყრდენის მოპოვების თავისებური სისტემა. მაშავერას ველზე მდებარე უტყეო სოფლებს ჭიგოთი ამარაგებდა ალგეთის ხეობის ზედაწელის სოფლები (ფარცხისი, ჩხიკეთა, ტბისი და სხვ.). ვაზის საყრდენს ამზადებდნენ აგრეთვე ბალიჭში, მაშავერასა და პატარა დმანისში. დიდი მოწონება ჰქონდა ეუხის სარს, ე. წ. „მელქანს". მელქანი ორგვარი იყო: დაპობილი და მრგვალი — „ხეზედვე გამხმარი". ეს უკანასკნელი გამძლეობით და სიმაგრით ნაპობს ჯობდა და უფრო ძვირი ღირდა.

ქვემო ქართლის ვენახები ბაღ-ბოსტნებსაც წარმოადგენდა, ამიტომ იქ სიტყვა „ვენახს" იშვიათად ხმარობენ, მის ნაცვლად უფრო „ბაღი" იხსენიება. ეს ბაღები დღესაც რთული სამეურნეო ერთეულია. ხეხილი ღობის პირებზეა განლაგებული, ხოლო ბოსტანს თვით ვენახში ნახავთ.

ვაზის რწყვა მკაცრად იყო ლიმიტირებული და ჩვეულებრივ ორჯერ უწევდა. ყვავილში შესვლის წინ და ყურძნის დახორბვლის შემდეგ.

საყურადღებოა ბაღებში ცხვრის ძოვების ფაქტი. გვიან შემოდგომით, როცა მოსავალი აიღებოდა, ცხვარს იალაღებიდან ბარად ჩამორეკდნენ. მაშინ მებაღეებსა და მეცხვარეებს შორის დაიდებოდა შეთანხმება ვენახებში ცხვრის ძოვების შესახებ. ცხვარი ბაღებს სარეველა ბალახებისაგან წმენდდა, განავლით ანოყიერებდა და, რაც მთავარია, ფეხით ტკეპნიდა. (საერთოდ, საქონლისაგან ნატკეპნი მიწა მეტი ნაყოფიერებით გამოირჩევა, ასეა მეჩინდვრეობაშიც). მეცხვარე ვალდებულებას იღებდა ბაღებს არაფერი დაშავებოდა, არ დაზიანებულიყო ვაზი, ხეხილი, ღობეები, სამაგიეროდ მებაღე მომავალ წელს საძოვრად ბაღს ისევ იმ მეცხვარეს დაუთმობდა. ვენახებში მსხვილფეხა საქონლის გაშვება არ შეიძლებოდა.

ქართული მარანი, მეღვინეობის ინვენტარი დღევანდელ ქვემო ქართლში ნაკლებად გვხვდება, თუ მხედველობაში არ მივიღეთ მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში ახლად ჩასახლებული იმერლებისა და რაჭველების მარნებს. მიუხედავად ამისა, ს. მუხათსა და კოდაში დადასტურდა არქაული წესი — ქვევრის თავთან ტყავზე დადგმულ გოდორში ყურძნის დაწურვისა.

მარნები უმეტესად დახურული ტიპისა ყოფილა. თავიანთი ძველი ჩვეულების თანახმად მხოლოდ იმერლებს აქვთ ღია მარნები.

რუსთაველის ეპოქის ქალაქ დმანისის არქეოლოგიური გათხრის დროს, როგორც მოსალოდნელი იყო, მარნებიც აღმოჩნდა. აწ განსვენებული მკვლევრის ლ. მუსხელიშვილის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ერთ-ერთმა მარანმა, სადაც „15 სხვილ-წვრილი ქვევრი დგას, უსწორ-მასწოროდ, მაგრამ მაინც გარკვეულ წესზე ჩამწკრივებული — 6 წინ, სამხრეთ-დასავლეთი კედლის გასწვრივ, 4 ამათ უკან ერთ მწკრივად და ხუთიც უფრო მოშორებით (4 ერთ ჯგუფად და ერთიც განცალკევებით). უეჭველია, ქვევრების ასეთ განლაგებას თავისი აზრი ჰქონდა"[1]. ლ. მუსხელიშვილი სქოლიოში იქვე უთითებს, რომ „გეგმაზე ქვევრების განლაგება სწორად არაა აღბეჭდილი". სამწუხაროდ, დმანისის ეს საინტერესო მარანი აღმოჩენის შემდეგ მალე მოისპო, იქიდან ქართული დამღიანი რამდენიმე ქვევრი საქართველოს მუზეუმში გადმოიტანეს, დანარჩენი კი ადგილზე უყურადღებობით განადგურდა. ამრიგად, მეცნიერებისათვის სამუდამოდ გაქრა დმანისური მარნის ქვევრთა განლაგება, რომელსაც უთუოდ ღრმა შინაარსი ჰქონდა.

ვინაიდან ამ ფაქტის ასახსნელად საჭირო ეთნოგრაფიული მასალა ადგილზე არ გამოვლინდა, უნდა მოვიშველიოთ რაჭა-ლეჩხუმის მაგალითი. იქ ჭურების ჩაფენა ყოველთვის ბეურნის წინასწარი გეგმით და მიზანდასახულობით ხდებოდა, რასაც ღვინის ადგილობრივი წესებით დაყენება აპირობებდა. ახალი მარნის გამართვისას ერთიანი გრძელი ორმო ანუ „საჭურე ბალავერი" იჭრებოდა და იქ ქვევრები საწნახლებთან მდებარეობის მიხედვით ნაწილდებოდა. რაც უფრო დიდი იყო ჭური, მით უფრო ახლოს იყო საწნახელთან, რაჭა ტკბილი შიგ პირდაპირ ღარით ჩაშვებულიყო. დიდი ჭურები, ანუ როგორც რაჭაში ეძახიან „ჩასავლები", ერთიანი ტიპის ღვინის დასაყენებლად იყო გამოყენებული. დაწმენდილ ღვინოს შედარებით მომცრო ქვევრებში გადაიღებდნენ, შემდგომი დავარგებისა და დამწიფებისათვის, ამიტომ ყველა ჩასავალს ირგვლივ თანაბარსკვლავედივით ერტყა მეტნაკლები ზომის ჭურები, რომელთა დანიშნულებაც სხვადასხვა იყო: ზოგიერთში ხანგრძლივად შესანახი — „დასაძველებელი" (10—15—20 წელი) „ნაყენები ღვინო" ესხა, ზოგშიც ადრე მოსახმარი „შუმი ღვინო" იყო. ცალკ-ცალკე ჰქონდათ ქვევრები თეთრი და შავი ღვინისათვის. პატარა ჭურებში, ანუ როგორც ლეჩხუმში იტყვიან „ყვიბარებში" ასხამდნენ „შუალვინოს" და სახლში მოსახმარ „საოჯახო ღვინოს".

ზემოთ მოცემული პრინციპის მიხედვით „ჩასავლებიდან" სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების ღვინოს შესაბამის ჭურებში გადაიღებდნენ, იმ ანგარიშით, რომ რთველისთვის ყველა „ჩასავალი" ცარიელი ყოფილიყო, რათა ისინი კვლავ ახალი ღვინით აევსოთ. სწორედ ამიტომ მათი ადგილი ყოველთვის საწნახლებთან იყო, პატარა ჭურებს კი მოშორებით ფლავდნენ. ალბათ ასეთივე მიზანი ჰქონდა დმანისურ მარანში ქვევრების განლაგებას.

დაბოლოს, ერთ გარემოებაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. საქართველოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად თუ შემთხვევით, ხშირია მარანთა აღმოჩენის ფაქტი. სამწუხაროდ, ისინი ყოველგვარ მზრუნველობას და დაცვას მოკლებულია. მათთან ერთად ქრება მრავალი აუხსნელი საიდუმლოება, სამუდამოდ იკარგება ძველ მეღვინეთა საზრიანობისა და ხელოვნების ამოცნობის შესაძლებლობა. ამიტომ საშური და გადაუდებელი საქმეა ყველა გამოვლენილი მარნის აღრიცხვა, შესწავლა და, რაც მთავარია, შთამომავლობისთვის შემონახვა, ისე, როგორც ძვირფასი ისტორიული ძეგლისა. და თუ ამას შევძლებთ, ბაში გვექნება ჩვენი მევენახეობა-მეღვინეობის წარსულზე მდაღადებელი, ყველა მუზეუმზე უკეთესად მოწყობილი, ნაირგვარი ტიპის მარნების ვრცელი ღია ცის ქვეშ მუზეუმი. საქართველო ხომ მთელი მახლობელი აღმოსავლეთის დიდი მარანი იყო.

თრიალეთის დახასიათებისას ვახუშტი აღნიშნავს: „ვენახი, ხილნი და მტილოვანნი არა არს აქა, და მთის ხილნი მრავალნი. ტკბილს მოიტანენ ბარიდამ, ჩასხამენ აქა, და დადგების ღვინო კეთილი და გემოიანი"[2]. თრიალეთისათვის „საევენახე ბარი" მდ. ქციის, მაშავერას და ალგეთის ქვემო წელია, სწორედ ამ ადგილებს უნდა გულისხმობდეს ვახუშტი, როდესაც წერს: „ტკბილს მოიტანენ ბარიდამ". მთიელთა მევენახეობა რაჭა-ლეჩხუმის და სვანეთის ცოცხალ ყოფაში თითქმის დღემდე შენარჩუნებულა. მთის სოფლელებს ბარად, თავიანთ საცხოვრებელ ბაღებზე 40—50 კმ და მეტით დაშორებულ ადგილებში ჰქონდათ ვენახები, რომელთაც ალოთა გონიერული განაწილებით და შრომის ორგანიზაციის მაღალი დონის შედეგად თვითონვე ამუშავებდნენ, ყურძენს იქვე ვენახში აგებულ მარანში წურავდნენ და

[1] ლ. მუსხელიშვილი, დმანისი, კრ. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერ. კულტ., 1938, გვ. 400.

[2] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 42 12-15.

ტკბილს „კოლოტებით“ და „ცალებით“ მთაში ეზიდებოდნენ. ეს პროცესი ქვემო ქართლშიც ასევე უნდა წარმოვიდგინოთ, მითუმეტეს, ტკბილის გადატანისათვის იქ ძველად საგანგებო ბეგარაც კი იყო შემოღებული[3].

რაც შეეხება მევენახეობის აღნიშნულ წესს, ამჟამად საკვლევ რაიონში იგი არ მოწმდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ს. დმანისსა და ვარდისუბანს, რომელთაც ვენახები 5-6 კმ დაშორებით, მაშავერას ხეობაში აქვთ, მაგრამ იქ მარნები აღარ მოეპოვებათ. უწინ ქციისა და ალგეთის ხეობებში, როგორც აღნიშნული გვქონია, მევენახეობის საზღვარი გაცილებით მაღლა იყო, ვიდრე დღეს არის. ს. გომარეთიდან 7—8 კმ ქვემოთ, ციცი ქარებისაგან დაცულ, მდინარე ქციის მყუდრო ხეობაში მდებარეობს ადგილი „პანტიანი“, სადაც უხვადაა ნავენახრების, მარნების და საწნახლების ნაშთები. როგორც ირკვევა, იქ ძველი გომარლები ინტენსიურ მეურნეობას ეწეოდნენ. ასევე ყოფილა ალგეთის ხეობაში, სადაც ვაზის კულტურასთან დაკავშირებული მრავალი ძეგლი მოიპოვება. ახლა კი ქვემო ქართლის მთიანი სოფლების მოსახლეობა მევენახეობას აღარ მისდევს.

საკვლევი რაიონის მუსიკალური ფოლკლორი მდიდარია შრომის სიმღერებით. ამათგან გამოირჩევა „ოროველა“, „ჰოპუნა“, „კალოური“ და სხვ. აღსანიშნავია აგრეთვე სუფრულები: „მრავალჟამიერი“, „სუფრული“, „მაყრული“ და სხვ. ხალხური საკრავები ყოფიდან თითქმის გამქრალია. სამაგიეროდ, ძველად მათი ადგილობრივად ფართოდ გავრცელების სანდო მოწმენი არიან საფლავის ქვები, რომლებზედაც გამოსახულია სალამურები, დუდუკები და სიმებიანი ინსტრუმენტები.

გარდა ამისა, საფლავის ქვები უტყუარ მასალას იძლევიან **მცხოვრებთა საქმიანობის**, მეურნეობის ფორმების, სოციალური მდგომარეობის და რწმენა-წარმოდგენების შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ თითოეული საფლავის ქვა ხალხური ხელოვნების სრულქმნილ ნიმუშს წარმოადგენს. ყოჩის და რაშის, ვეშაპოიდების და ზღაპრულ ქმნილებათა უბადლო ქანდაკებანი, გასაოცარი ოსტატობით შესრულებული რელიეფები, სხარტი, გულში ჩამწვდომი წარწერები, ქვაში მხატვრულად ასახული წინაპართა გარდასული ცხოვრების მთელი სამყარო — ასეთია ქვემო ქართლის ძველი სასაფლაოები, რომელთაც სამწუხაროდ, მზრუნველი ხელი აკლია. კიდევ მეტი, მათ დაუნდობლად ანადგურებენ. ქართლის ცხოვრების ფურცლად ღირებულ საფლავის ქვას ან მიწა ფარავს, ან საამშენებლო მასალად, ბოგირებად და ჯებირებად იყენებენ. ამ ბოლო დროს საფლავის ძეგლები კერძო პირებს თბილისში თუ სხვაგან, საკუთარი ეზოების დასამშვენებლად მიაქვთ. დროა ასეთ უმსგავსოებას ბოლო მოეღოს.

ხალხური გამოყენებითი ხელოვნების კერებიდან, ქვემო ქართლის „თავი სოფელი“ — გომარეთი გამოირჩევა. იქ კიდევ ცოცხლობენ ხისა და ქვის დამუშავების, ქსოვისა და ქარგვის სწორუპოვარი ოსტატები, შთამომავლობით ხურონი, მეკურკლენი, მეავეჯენი, მეჩუქურთმენი, მეხალიჩენი, მეფარდაგენი, მეჯეჯიმენი და სხვანი. შეიძლება ამ კერის გამოცოცხლება და სადღეისო მოთხოვნილებათა სამსახურში ჩაყენება.

შესრულდა აგრეთვე რამდენიმე ათეული არქიტექტურული ანაზომი. გადაღებულია ასობით ფოტოსურათი.

ასეთია მოკლედ ქვემო ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის წინასწარი შედეგები. მოპოვებული უხვი მასალა დამუშავდება, განზოგადდება და ცალკე კრებულის სახით გამოქვეყნდება.

ლევან ფრუიძე

---

3 იხ. დასტურლამალი, ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1965.

საისტორიო მეცნიერების მოღვაწენი

ვახუშტი ბაგრატიონი

(დაბადების 275 წლისთავის გამო)

ვახუშტი ბაგრატიონის მეცნიერული მემკვიდრეობა დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. მის ნაშრომში საინტერესო მასალას პოულობენ ისტორიკოსები, გეოგრაფები, ბოტანიკოსები, ეთნოგრაფები და სხვა დარგის სპეციალისტები. ვახუშტის ეპოქა უნივერსალიზმით ხასიათდებოდა და მის მეცნიერულ მემკვიდრეობასაც ეპოქის დაღი აზის.

იგი უპირველეს ყოვლისა ისტორიკოსი იყო. მეცნიერების მრავალი დარგი მან ისტორიის სამსახურში ჩააყენა. მას დაუქვემდებარა გეოგრაფიაც, ეთნოგრაფიაც, ბოტანიკაც... ამიტომ ვახუშტის შესახებ საუბრისას პირველ რიგში მის ისტორიოგრაფიულ შემოქმედებას უნდა მიეძღვნას სიტყვა.

ვახუშტიმ თავის ნაშრომში — „საქართველოს ცხოვრება"[1] ერთგვარად შეაჯამა და სისტემაში მოიყვანა წინარე ხანის ქართული ისტორიული მეცნიერების მონაპოვარი. ამავე დროს მან ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანა თავისი ეპოქის ისტორიული აზროვნება. ვახუშტის მეცნიერული მემკვიდრეობის ანალიზი ნიშნავს XVIII ს. ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევების ჩვენებას.

მისი დროის საქართველოს მდგომარეობაც თავისებური იყო. ხანგრძლივი, მძიმე თავდაცვითი ომების შემდეგ XVII ს-ის მეორე ნახევარსა და XVIII ს-ის პირველ მეოთხედში ქვეყანამ ერთხანს თავისუფლად ამოისუნთქა. „დიდბრძოლაგადახდილი ქართველი ხალხი, — წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი, — ეხლა, „მშვიდობიანობის ხანაში, გამოვლილ ომებს იგონებდა მებრძოლების შეფასებას ცდილობდა და დამარცხება-გამარჯვების მიზეზებს არკვევდა. ამისდა შესაბამისად ქართველი ხალხი შემდგომი ბრძოლის საშუალებებს სახავდა"[2].

ვახუშტი ძალიან ახლოს იდგა თავისი დროის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, აქტიურად მონაწილეობდა მასში. მას ჩვენ ვხედავთ ქვეყნის საგარეო თუ შინაპოლიტიკურ ბრძოლებში, ერთხანს ქართლის სამეფოს გამგებელიც იყო. იგი კარგად იცნობდა მისი დროის ცხოვრებას, ქვეყნის წარსულს და ამაში უნდა ვეძიოთ მისი ისტორიოგრაფიული მუშაობის წარმატების ერთ-ერთი მიზეზი.

დაბოლოს ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი თანამედროვეობა დიდ ვალშია გამოჩენილი მეცნიერის წინაშე. თუ მან ემიგრაციის მეტად მძიმე პირობებში, თავდაუზოგავი შრომით დიდებული მეცნიერული მემკვიდრეობა დაგვი-

---

[1] ვახუშტის თავისი ნაშრომი არ დაუსათაურებია. ეს სახელწოდება ტრადიციით დამკვიდრდა ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

[2] ნ. ბერძენიშვილი, XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, „საქართველოს ისტორიის საკითხები", II, თბ., 1965, გვ. 149.

ტოვა, მის შთამომავლებს მისი ღვაწლის შესწავლისა და შეფასების ხაზით ერთობ ცოტა აქვთ გაკეთებული. დღემდე არა გვაქვს მისი ნაშრომის სრული გამოცემა იმ სახით, როგორც იგი გამოვიდა მეცნიერის ხელიდან. ლიტერატურა ვახუშტის შესახებ ამოიწურება ცალკეული ნარკვევებით (ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, შ. მესხიას, ვ. გაბაშვილის და სხვათა). ვ. გაბაშვილის პოპულარული წიგნი ერთადერთი მონოგრაფიაა ვახუშტის როგორც ისტორიკოსის შესახებ. ვახუშტის პრობლემა კვლავ აქტუალურია და, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს დარჩება ასეთად.

ვახუშტი მეფე ვახტანგ VI-ის უკანონო ვაჟი იყო. იგი დაიბადა 1696 წელს. ფრანგი მოგზაურის პეისონელის ცნობის მიხედვით, მისი დედა გლეხის ქალი ყოფილა. ვახუშტის აღზრდაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ძმებს იესე და გიორგი გარსევანიშვილებს, აგრეთვე ფრანგ მისიონერებს, რომლებიც მრავლად იყვნენ იმ დროს ქართლში.

1717 წ. ვახუშტიმ ცოლად შეირთო გიორგი აბაშიძის ასული მარიამი, რომელთანაც შვიდი შვილი ეყოლა.

ვახუშტი ახალგაზრდობიდანვე ჩაება სახელმწიფო ცხოვრებაში. 1717 წელს მას ვხედავთ ქსნის ერისთავთა დასამორჩილებლად მოწყობილი ლაშქრობის სათავეში. ორი წლის შემდეგ ვახუშტი და მისი ძმა ბაქარი განმეორებით ლაშქრობდნენ ქსნის ერისთავთა წინააღმდეგ. 1720 წელს მეფე ვახტანგ VI ვახუშტის ჯარით გზავნის იმერეთში, ტახტისათვის მებრძოლ ალექსანდრე გიორგის ძის დასახმარებლად. ერთი წლის შემდეგ მას საბარათიანოს სარდლად ვხედავთ. მან გივი თუმანიშვილთან ერთად აღწერა ქვემო ქართლი. 1722 წელს, ვახტანგ VI-ის განჯას ყოფნის დროს (აგვისტო-ნოემბერი), ვახუშტი ქართლის სამეფოს გამგებლად იყო დატოვებული. შემდეგ იგი მონაწილეობდა სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლებში (მარტყოფში, ბორჩალოში, მცხეთაში).

1724 წელს ვახუშტი ოჯახით ვახტანგ VI-ს გაჰყვა რუსეთში, დაბინავდა მოსკოვში, პრესნას რაიონში, დაენიშნა ჯამაგირი და სარჩო. 1739 წ. გადაიყვანეს 1500-მანეთიან პენსიაზე (წლიურად) და ხელმოკლეობას განიცდიდა. მან არაერთხელ მიმართა თხოვნით მთავრობას, აღმოეჩინათ მისთვის დახმარება, მაგრამ ამას შედეგი არ გამოუღია.

ვახუშტის გარდაცვალების თარიღად მისი პირველი ბიოგრაფი აკად. მ. ბროსე 1770 წელს ასახელებდა, მაგრამ უკანასკნელ ხანებში მოპოვებული მასალების საფუძველზე გაირკვა, რომ ვახუშტი ბევრად უფრო ადრე, 1757 წ. ახლო ხანებში უნდა გარდაცვლილიყო, იგი დაკრძალეს მოსკოვს დონის მონასტერში[3].

მიუხედავად ემიგრაციის დუხჭირი პირობებისა, ვახუშტი სწორედ მოსკოვში ახერხებს ფართოდ გაშალოს ჯერ კიდევ საქართველოში დაწყებული მეცნიერული მუშაობა. იგი მჭიდრო ურთიერთობაში ჩანს ცნობილ რუს ისტორიკოს ვ. ტატიშჩევთან, პეტერბურგის აკადემიის გეოგრაფიული დეპარტა-

---

3 ვახუშტის საფლავისათვის უკვე 1840 წელს ვეღარ მიუგნია მ. ბროსეს. შემდეგ ხანებში (1912 წ.) იპოვეს საფლავის ქვა, რომელზეც იკითხებოდა: „шти Вахтанг...“ ეს ქვა, რომელიც ვახუშტის საფლავის ქვად იყო მიჩნეული, სტუდენტობის დროს აღ. ჯავახიშვილსაც უნახავს, მერე ისიც დაიკარგა.

მენტის დირექტორთან იოსებ დელილთან და სხვებთან. მას მონაწილეობა მიუღია მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში. მისი სახელი მ. ლომონოსოვისა და ი. შუვალოვის გვერდით მოთავსებული ყოფილა უნივერსიტეტის შენობაზე მიკრულ დაფაზე. ი. ტატიშვილის ცნობით, 1912 წელს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, შესავალთან ჯერ კიდევ მდგარა ვახუშტის ბიუსტი. აქვე მარმარილოს დაფაზე ოქროს ვარაყით ამოჭრილი ყოფილა მისი სახელი: „Вахушти Вахтангеевич"... ეს დაფა 1917 წლამდე იყო დაცული.

მოსკოვში დაამთავრა ვახუშტიმ თავისი ისტორიულ-გეოგრაფიული ნაშრომი: „ხოლო სრულ იქმნა შრომა ესე ქრისტეს აქეთსა ქორონიკონსა წლისასა ჩღმე, ქართულსა ულგ, ოკდონბერს კ, მეფის შვილის ვახუშტის მიერ, სამეუფოსა ქალაქის მოსკოვის პრესნას", — ვკითხულობთ ვახუშტის შრომის შესავლის ბოლოში.

* * *

ვახუშტი მორწმუნე ადამიანია. მისი ნაშრომი შემდეგი სიტყვებით იწყება: „ღმერთმან სიბრძნითა თვისითა მოწყალებისათა გამოუთქმელითა დაბადა კაცი... „დაბადა და ყველაფერი შეუქმნა მას, მთელი სამყარო. სულის, ღმერთის პირველადობა და ქვეყნის მეორადობა ვახუშტისათვის ურყევი ჭეშმარიტებაა. ბიბლიურ ისტორიას უკავშირებს იგი საქართველოს ისტორიას.

მაგრამ ამქვეყნიური სინამდვილე ვახუშტის წარმოუდგენია როგორც განუწყვეტელ ცვალებადობაში მყოფი, როგორც შეუქცევადი პროცესი და ღმერთის მონაწილეობა მასში თითქმის არ ჩანს. სამყაროს მოძრაობა და ცვალებადობა ყველაზე ნათლად დროის კატეგორიაში მჟღავნდება: „ვინათგან ჟამი მლტოლვარე არს, არავის ძალუცს მოქცევად... არა თუ ჟამისა, წამისა და წუთისა, არამედ თთვისა და წელიწადისაცა არღარა შემძლებელ ვართ ჭელყოფად"[4]. ეს პროცესი შეუქცევადია, არ მეორდება: „განა თუმცა მოიქცევის ესენი (თვე, წელიწადი, საუკუნე — შ. ხ.), არამედ არა იგინივე არიან, რომელნი წარხდენ ჩვენგან, და არა ძალგვიცს მის წინანდელთაებრ ყოფად მათ შინა, რაოდენიცა წადიერ ვიყუნეთ". ყველაფერი წარმავალია, წარსულს ვეღარ მოაბრუნებ, „წარვალს და არა დაადგრების ერთისაცა საუკუნისად".

რა მიაჩნია ვახუშტის მარადიულ კატეგორიად და ყველაზე ღირებულად ადამიანის ამ წარმავალ ცხოვრებაში? იგი არც სიმდიდრის დაგროვებას, არც ქვეყნების დაპყრობას, არც ქალაქებისა და სასახლეების მშენებლობას, არც გართობასა და დროს ტარებას არ მიიჩნევს ასეთად. სწავლა (მოძღვრება) და ცოდნა — ერთადერთია, რომელიც „არა წარწყმდების, არამედ ჰგიეს უკუნისამდე"[5].

სწავლისა და ცოდნის სიკეთეს ვახუშტი შემდეგი სიტყვებით აღწერს: „სწავლა განაბრძნობს, თავისუფალ ჰყოფს, აცნობებს ღმერთსა და შიშ მისსა დანერგავს, მოაცურვებს ზღვასა ზედა და ახილვებს მას შინა სრულიადსა, აღაფრენს და წინადაუდებს ყოველსა ქმნულებასა ცისა და ქვეყნისასა, შეკრებულად თვალთა შინა, აჩვენებს ბუნებასა და ნიშათსა ვარსკულავთა, ცხოველთა და ნერგთა, განსდევნის ბოროტსა, შეაყვარებს მოყვასსა, შემოიყვანს

---

4 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 1.

5 იქვე, გვ. 2.

კეთილსა, მატებს ქვეყანასა, აღაშენებს და დაამშვიდებს, სულგრძელ ჰყოფს მეფეთა და დიდებულთა პატივსცემს, და ერთა მოურნე ექმნების, მტერთა დაამდაბლებს და მშიშრეულ ჰყოფს, თჳსთა აღამაღლებს და აკადნიერებს"[6]. განათლების ყოვლისშემძლეობა და განსაკუთრებული მნიშვნელობა ხაზგასმითაა აღიარებული ამ ვრცელ ციტატში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საეკლესიო წიგნების ცოდნასთან ერთად ვახუშტი „გარეშე" (საერო) წიგნების შესწავლის აუცილებლობასაც ქადაგებდა. იგი იმოწმებს იოანე დამასკელს და პლინიუს სტოიკოსს: „ჩვენ ვისმინოთ დამასკელის თქმული და პლინი სტოიკის სიტყვა, ვინათგან არა განსაგდებელ არს გარეშენიცა წიგნნი, და ვითარისა უჯეროსაგანცა მოვიგებთ სარგებელსა"[7].

ასეთი მაღალი აზრი სწავლა-განათლების მნიშვნელობის შესახებ მოულოდნელობას, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს. იგი ფართოდ იყო გავრცელებული ვახუშტისდროინდელ საქართველოში. არჩილი და სულხან-საბა, ვახტანგ VI და დავით გურამიშვილი ფართოდ და დაბეჯითებით ლაპარაკობენ ამ საკითხზე.

* * *

ქართველ ისტორიკოსთაგან ვახუშტი პირველია, რომელსაც მოეპოვება ზოგადი მოძღვრება ისტორიულ მეცნიერებაზე, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოეპოვება ისტორიის ფილოსოფია.

ისტორიული მეცნიერების შესწავლის საგნად ვახუშტი მიიჩნევს „ქმნულებასა და ყოფათა მეფეთა, მთავართა და დიდებულთა, ვ ი დ რ ე მ ც ი რ ე დ მ დ ე, და ვითარებასა მათსა" (ხაზგასმა ჩვენია — შ. ხ.). აქ კარგად ჩანს საერთოდ ფეოდალური ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიური პრინციპი — გადმოსცეს გაბატონებულ კლასთა წარმომადგენლების ისტორია. ყურადღებას იქცევს მხოლოდ გამოთქმა „ვიდრე მცირედმდე", რომელიც ვფიქრობთ, გულისხმობს ფეოდალური საზოგადოების დაბალ ფენებს, ხალხს, და ეს გარემოება ვახუშტის თვალსაზრისს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

ვახუშტის მიხედვით, ისტორია ზნეობრივ-აღმზრდელობითი მიზანდასახულების მქონე მეცნიერებაა. იგი სიკეთის დამნერგავია: „მატიანე განარჩევს კეთილსა და ბოროტსა; მატიანე აღამაღლებს კეთილის ქმნულებასა და გმობს უკეთურთ ქმნილებასა". ამავე დროს ისტორია პატრიოტული მეცნიერებაა: „მატიანე განამხნობს კაცსა და ერთგულ ჰყოფს ქვეყნისად". ეს პატრიოტიზმი ემყარება ადამიანის მიერ თავისი ეროვნული მეობის, მისი წარმოშობისა და შინაარსის ცოდნას, რასაც ისევ ისტორია იძლევა: „მატიანე აცნობებს ნათესავთ-ჩამომავლობასა და დასდებს თავსა სარწმუნოებისათვის და მოყვარულ ჰყოფს მოყვასსა მოყუსისა მიმართ". ასეთია, თუ შეიძლება ითქვას, ისტორიის მიზანდასახულება, მისი „პარტიულობა". იგი ყოველთვის უნდა იდგეს გარკვეული ეთნიკური ჯგუფის, გარკვეული ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე.

ისტორია, როგორც მეცნიერება, ჭეშმარიტების მქადაგებელია: „მატიანე მეტყველებს ჭეშმარიტსა და არა სცბის და მოწმობს სხვათა და სხვათა". საყურადღებოა, რომ ჭეშმარიტების დადასტურების საშუალებად აქ აღიარე-

[6] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 1—2.

[7] იქვე, 3.

ბულია სხვადასხვა წყაროთა დამოწმება, ე. ი. ისტორიულ ჭეშმარიტებას ობიექტური საზომი მოეპოვება, ესაა სხვადასხვა მოწმობათა თანხმობა.

ისტორია, ვახუშტის მიხედვით, რთული კომპლექსური მეცნიერებაა, რომელიც აერთიანებს ცოდნის სხვადასხვა დარგს. ისტორია ცოდნის გარკვეული სისტემაა, რომლის ნაწილებია: ისტორიული გეოგრაფია, ქრონოლოგია და საკუთრივ მოვლენების აღწერა. „ესე მატიანე განიყოფების ოთხ წილად: ადგილთა აღწერად, ნათესავთ მეტყველებად, წლისმრიცხველებად და მოქმედების აღწერად და ესეც განიყოფების ორად — საეკლესიოდ და სამოქალაქოდ". შემდეგ ვახუშტი განმარტავს, რას ნიშნავს ეს უკანასკნელნი და ისევ იმეორებს: „ქმნულება სოფელსა შინანი დიდთა და მცირეთაო".

ისტორიაზე და მის შემადგენელ ნაწილებზე ანალოგიურ შეხედულებას ჩვენ ვხვდებით ვახუშტისდროინდელ ევროპასა და რუსეთში. ქართულ ისტორიოგრაფიაში კი ეს შეხედულება პირველად ვახუშტიმ ჩამოაყალიბა. ძველმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ, რა თქმა უნდა, იცოდა ქრონოლოგიის, ისტორიული გეოგრაფიის თუ გენეალოგიის მნიშვნელობა ისტორიისათვის, იგი სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიასაც განასხვავებდა ერთმანეთისაგან, მაგრამ ყოველივე ეს სპეციალური მსჯელობის საგნად პირველად ვახუშტიმ აქცია, ე. ი. აიყვანა მეცნიერული თეორიის რანგში. ივ. ჯავახიშვილი ამასთან დაკავშირებით წერდა: „რამდენადაც შენახულ საისტორიო თხზულებებითგანა ჩანს, ქართულს საისტორიო მწერლობაში ვახუშტამდე არავის არ ჩამოუგდია „მატიანეთა" შემადგენელ ნაწილებზე საუბარი და ამგვარი დანაწილებაც პირველი მაგალითია. თვით მატიანე რომ შეიძლებოდა შინაარსისდა მიხედვით ან საეკლესიო ყოფილიყო, ან სამოქალაქო, ეს რასაკვირველია ჩვენს ძველს მწერლობაში წინათაც კარგად იცოდნენ. ამასთანავე ეფრემ მცირეს ჩამოთვლილი აქვს საისტორიო ნაწარმოების სხვადასხვა დარგიც. მაგრამ რომ თვით საისტორიო თხზულებათა შემადგენელ ნაწილებზე ჰქონდეს საუბარი, ამის მაგალითს მხოლოდ ვახუშტი გვაძლევს"[8].

ასეთია ვახუშტის ზოგადი თვალსაზრისი ისტორიული მეცნიერების შესახებ. ახლა ვნახოთ, რა გააკეთა მან კონკრეტულად საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის.

საქართველოს ისტორია ვახუშტიმ თავისი ზოგადთეორიული შეხედულებების შესაბამისად გამართა. ეს კარგად ჩანს მისი ნაშრომის აღნაგობიდანაც, მაგრამ მას შემდეგ, რაც მ. ბროსემ ვახუშტის შრომის ნაწილების ცალკ-ცალკე გამოცემა წამოიწყო (და შემდეგაც ამ უხეირო გზით განაგრძეს ეს საქმე), ერთიანი წარმოდგენა ამ ნაშრომზე დაიკარგა. საჭიროდ მიგვაჩნია აქვე მოვიტანოთ ვახუშტის ნაშრომის სტრუქტურა. შრომა შემდეგი ნაწილებისაგან შედგება:

1. მკითხველისათვის სიტყვა რაისთვის არს შრომა ესე (წინასიტყვაობა).
2. ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი (ნაშრომის შესავალი).
3. აღწერა სამეფოსა საქართველოსა.
4. ძველი ისტორია საქართველოჲსა.
5. უწყებულება მკითხველთათვის (მეორე ნაწილის წინასიტყვაობა).
6. აღწერა აწინდელისა ქართლისა.

---

[8] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 329.

7. შემდგომად განყოფისა სამეფოსა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ ცხოვრება და ქმნულება მეფეთა ქართლისათა.

8. აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კვალად თუშეთისა და დიდოეთისა.

9. ქმნულება და ცხოვრება კახეთისა და ჰერეთისა.

10. აღწერა ახლანდელი ოვსეთისა ანუ კავკასიათა შინათა.

11. აღწერა საჩინოთა ადგილებთა სამცხე-საათაბაგოსი.

12. ცხოვრება სამცხე-ჯლარჯეთისა.

13. აღწერა ეგრისის ქვეყნისა ანუ აფხაზეთისა ანუ იმერეთისა.

14. ცხოვრება ეგრის-აფხაზეთისა, ცხოვრება იმერეთისა.

15. ქორონიკონები ჩვენ მიერ პოვნილი წიგნებთა შინა.

16. (ქართველ მეფეთა და სხვა ქვეყნების ხელმწიფეთა შედარებითი ნუსხა).

17. ანბანთა ზედა ქმნული ამ წიგნსა შინა წერილნი სახელნი ადგილთა, ქვეყანათა და მეფეთა (საძიებელი).

18. დასაბამითნი რომაული, დასაბამითნი ქორონიკონი, ქრისტეს აქათი ქორონიკონი, ქართული ხუთასიანი, ინდიქტიონი.

19. კინკლოსი საუკუნოჲ ხუთას ოცდათორმეტის წლის მოქცევაზედ.

20. (ქართული კალენდრის ახსნა).

21. სომხითის სოფლები ქრისტეანეთა და თათრის ობა.

22. (გეოგრაფიული ატლასი).

ამ ჩამოთვლიდან კარგად ჩანს, რომ ვახუშტის ისტორიის ზემოხსენებული ნაწილები შერწყმულად წარმოედგინა, როგორც ერთი მთლიანი სისტემის სტრუქტურული ნაწილები. ისტორიული გეოგრაფიაცა და ქრონოლოგიაც ორგანულადაა ჩართული ისტორიის თხრობაში. ნაშრომს ახლავს წინასიტყვაობა, შესავალი და ერთვის წყაროების სია, მოვლენათა ცალკე ქრონოლოგიური ნუსხა, გენეალოგიური ტაბულა, საძიებლები და გეოგრაფიული ატლასი — 21 რუკა. ასეთი გამართული, რთული აღნაგობის მეცნიერულად გაფორმებული ნაშრომი პირველი იყო ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

ვახუშტის ეკუთვნის საქართველოს ისტორიის პირველი პერიოდიზაცია. იგი ორ პერიოდს გამოჰყოფს: ძველ ისტორიას და შემდგომად განყოფისა... მიჯნად აღებულია 1469 წელი. ეს თავისებური პერიოდიზაცია ვახუშტის მიერ იყო შემოტანილი ჩვენს ისტორიოგრაფიაში და კარგახანს შერჩა მას. ამ პერიოდიზაციაში მოსჩანს ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელსაც ანიჭებდა იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფია ქვეყნის პოლიტიკურ დაშლას. პერიოდიზაციის საფუძვლად ქვეყნის მხოლოდ პოლიტიკური მდგომარეობის აღების მეთოდოლოგიური სისუსტე თავისთავად ცხადია და ჩვენ ახლა მასზე სიტყვას არ გავაგრძელებთ.

ვახუშტის ნაშრომის პირველი ნაწილი ქრონოლოგიურად უფრო ვრცელ პერიოდს მოიცავს, ვიდრე „ქართლის ცხოვრება", ამიტომ მისი მიჩნევა ამ უკანასკნელის გადამუშავებად მთლად ზუსტი არ იქნება. უფრო სწორია, ითქვას, რომ თავისი შრომის პირველ ნაწილში ვახუშტიმ შეიტანა „ქართლის ცხოვრება", უკეთ მისი თავისებური, რედაქტირებული ვარიანტი.

„ქართლის ცხოვრების" ტექსტის რედაქტირებისათვის ვახუშტიმ დიდი მუშაობა გასწია. იგი ანალოგიურია იმ სამუშაოსი, რომელიც ვახტანგ მეფის „სწავლულ კაცთა" კომისიამ გასწია ამ ძეგლზე, მაგრამ უფრო ღრმაა და სა-

ფუძვლიანი[9]. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ვახუშტი, „სწავლულ კაცთა“ კომისიასთან ერთად, დამწყებია ახალი ქართული ისტორიოგრაფიისა, რომლის არსი მდგომარეობდა ფეოდალური ისტორიოგრაფიიდან ბურჟუაზიულზე თანდათანობით გადასვლაში. ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაზე გადასვლის ეს პროცესი თავის ერთ-ერთ კონკრეტულ გამოხატულებას პოულობდა სწორედ „ქართლის ცხოვრებისადმი“, ქართული შუასაუკუნეობრივი ფეოდალური ისტორიოგრაფიის უმთავრესი ძეგლისადმი, კრიტიკული დამოკიდებულების დამკვიდრებასა და განვითარებაში.

„ქართლის ცხოვრების“ კრიტიკა ამ ეტაპზე რედაქციული ხასიათისაა. იგი არც ამ ძეგლის ცნობების კრიტიკულ შემოწმებას და სხვა წყაროებთან შეჯერებას ისახავს მიზნად და არც შეხედულებათა იმ სისტემის გადასინჯვას, რომელიც მასშია მოცემული (ეს „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკის შემდგომ ეტაპებზე — ჯერ გარეგანი და შემდეგ შინაგანი კრიტიკის ეტაპებზე განხორციელდა XIX ს-ში).

„ქართლის ცხოვრებას“ ვახუშტის მიხედვით შემდეგი ნაკლოვანებები ახასიათებდა: „ქართველთა მატიანე შემოიპყრობს სამსა მას წილსა მატიანისასა, არამედ წლისმრიცხველობასა და ნათესავთმეტყველებასა მცირეთ, ხოლო მოქმედების აღწერასა განავრცელებს“. აქედან გამომდინარეობდა ვახუშტის მიზანი: „ხოლო შრომა ჩვენი ამისთვის არს: ვინათგან ორნი წილნი იგინი გამოუჩენელ არიან, რათა გამოვაცხადოთ, და მესამისა განვრცელებული შევამოკლოთ, რათა მკითხველთა არა საწყინოდ და ადრე საცნობელი იყოს“[10].

ეს ამოცანა ვახუშტიმ ბრწყინვალედ გადაჭრა. მან საქართველოს ძველი ისტორია გაამდიდრა გენეალოგიური და ქრონოლოგიური ცნობებით. თარიღებს ვახუშტი განსაზღვრავდა ძველი ბერძნული, რომაული და ქართული (ქრონიკონი) წელთაღრიცხვების მიხედვით, იყენებდა სხვადასხვა ხერხს: სინქრონიზმის, კალენდარულს, წყაროთა შინაგანი ქრონოლოგიის, საგნობრივი კრიტიკის (შესაძლებლობა-შეუძლებლობის) და სხვ.[11]. მან შეამოკლა „ქართლის ცხოვრების“ მოთხრობა, მაგრამ არც ერთი მნიშვნელოვანი ცნობა არ გამოუტოვებია. პირიქით, სხვა წყაროების მოშველიებით შეავსო ეს ცნობები. „სახელოვანი მეცნიერის „საქართველოს ისტორიის“ პირველი ნაწილი არის არა უბრალო შემოკლება ქართლის ცხოვრების კრებულში დაცული ცნობებისა, როგორც ეს ზოგიერთს ეგონა, არამედ თავისი დროისათვის მნიშვნელოვანი გამოკვლევა საქართველოს ძველი ისტორიის შესახებ“[12].

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ვახუშტის ნაშრომის მეორე ნაწილი: „შემდგომად განყოფისა...“ იგი მთლიანად ორიგინალური შემოქმედებითი მუშაობის ნაყოფია[13]. მისი წყაროთმცოდნეობითი ბაზა მეტად ფართოა. ამ შრომის შესაქმნელად ვახუშტის დიდი შემგროვებლობითი მუშაობა ჩაუტარებია.

---

9 ვახუშტის დამოკიდებულება „ქართლის ცხოვრებასთან“ განხილულია პროფ. შ. მესხიას ნარკვევში: ვახუშტი და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, „ანალები“, I, თბ., 1947.

10 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა ..., გვ. 4.

11 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 331—334.

12 შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

13 მართალია, ვახუშტი აქ იყენებს „სწავლულ კაცთა“ ნაშრომს, მაგრამ არა როგორც თავისი შრომის საფუძველს, არამედ როგორც ერთ-ერთ წყაროს.

მასალების მოსაპოვებლად მას გამოუყენებია ქართული ნარატიული წყაროები, სიგელ-გუჯრები, საკანონმდებლო ძეგლები, ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ენობრივი ფაქტები, ნივთიერი ნაშთები და ა. შ. იყენებს აგრეთვე უცხოურ წყაროებს.

ვახუშტის წყაროთმცოდნეობით მუშაობაში ყველაზე საყურადღებო მომენტია კრიტიკული დამოკიდებულება წყაროებისადმი. მან ჩვენს ისტორიოგრაფიაში ახალ სიმაღლეზე აიყვანა წყაროების კრიტიკა. კრიტიკის დროს იყენებდა სხვადასხვა მეთოდს: შეჯერება-შემოწმების, ტექსტუალური ანალიზის, საგნობრივი კრიტიკის და სხვა. ვახუშტის შენიშვნები სიგელ-გუჯრების შემადგენელ ნაწილებზე და ქართველ ისტორიულ ცვალებადობაზე ქართული დიპლომატიკის პირველ მნიშვნელოვან მონახაზს წარმოადგენს.

ვახუშტის წყაროთმცოდნეობითი მუშაობის ხასიათი კარგადაა შესწავლილი (ივ. ჯავახიშვილი, ვ. გაბაშვილი, შ. მესხია). თავისი დროისათვის ამ მუშაობის მაღალმა დონემ განაპირობა ვახუშტის ნაშრომის დიდი მეცნიერული ღირებულება.

ვახუშტი ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ ცალკ-ცალკე გადმოსცემს ამა თუ იმ ქვეყნის (ქართლის, კახეთის, იმერეთის და ა. შ.) ისტორიას. ყოველი მხარის ისტორიას წინ უძღვის ამ მხარის გეოგრაფიული აღწერა. ეს აღწერა დიდი მრავალფეროვნებითა და მდიდარი შინაარსით გამოირჩევა. აქ მოიპოვება არა მარტო გეოგრაფიული და ისტორიული ცნობები, არამედ ეთნოგრაფიული, სამეურნეო, ბოტანიკური, ზოოლოგიური, გეოლოგიური, ტოპონიმიკური, კლიმატოლოგიური, ჰიდროლოგიური და სხვა მონაცემები.

ქვეყნის აღწერა მდინარეების აუზების და ხეობათა მიხედვითაა შესრულებული. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს გეოგრაფიულად გამაერთიანებელი მომენტი მდ. მტკვრის აუზია და ვახუშტიც ამ მომენტის გამოყენებით აღწერს ქართლს. მან კარგად იცის ისიც, რომ ხეობას ძველ საქართველოში არა მარტო გეოგრაფიული, არამედ ადმინისტრაციული ერთეულის მნიშვნელობაც ჰქონდა. ვახუშტი ძირითადად თავისი დროის ვითარებას აღწერს, მაგრამ ამასთანავე ძველი დროის ვითარებასაც ითვალისწინებს. აქაც, როგორც ისტორიის წერისას, იგი მრავალგვარ წყაროს იყენებს, ან პირადად ნახულსა და შესწავლილს ემყარება.

ნაშრომის გეოგრაფიული ნაწილის შემადგენლობაში შედის ისტორიული რუკების ატლასი, რომელიც მეტად მაღალ პროფესიულ დონეზეა შესრულებული. ამ რუკებმა ვახუშტის სიცოცხლეშივე მოიპოვეს დიდი პოპულარობა რუსეთში და ევროპაში.

ისტორიული ამბების თხრობა მატიანისებური სტილით წარმოებს. ავტორი დაწვრილებით აღწერს პოლიტიკურ მოვლენებს (საგარეოს თუ შინაპოლიტიკურს), ხშირად ლაპარაკობს ამ მოვლენების სავალალო შედეგებზე ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობისათვის, ეხება მეფეების თუ თავადების აღმშენებლობით საქმიანობას, აქა-იქ გლეხთა მდგომარეობასაც ასახავს. ასე რომ, პირნათლად ასრულებს მის მიერვე განსაზღვრულ მიზანს — მატიანემ უნდა აღწეროს ქმნულებანი მეფეთა, დიდებულთა... „ვიდრე მცირედმდეო“.

ვახუშტი გულგრილი არ არის აღწერილი მოვლენებისადმი, ბევრი ადგილი მის თხზულებაში ერთგვარი ექსპრესიით არის დაწერილი. იგი აფასებს მოვლენებს, ცდილობს მათ ახსნას, აქებს ქვეყნისათვის თავდადებულ გმირებს, კიცხავს ორგულებსა და მოღალატეებს. ცხადია, ყველა მის შეფასებას ღღეს

უკომენტაროდ ვერ გავიზიარებთ, მაგრამ ამა თუ იმ მოვლენის შეფასებისას ვახუშტის პოზიციას უნდა გაეწიოს ანგარიში.

ვახუშტიმ მნიშვნელოვნად გააფართოვა საქართველოს ისტორიის პრობლემატიკაც. გარდა იმისა, რომ ისტორიის გადმოცემისას იგი მრავალ პოლიტიკურ მოვლენაზე გამოთქვამს საკუთარ აზრს, იკვლევს მათ მიზეზებს და აფასებს მნიშვნელობას, სპეციალურ ნარკვევში: „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“, რომელიც შესავლის სახით უძღვის მის ნაშრომს, ვახუშტიმ წამოჭრა და გააშუქა ახალი საკითხები ქართველი საზოგადოების შინაგანი (სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი) განვითარების ისტორიიდან. ძნელია მოკლედ შეფასება ამ ნარკვევის ღირსებებისა, დახასიათება მისი მდიდარი შინაარსისა, ჩვენება მისი მნიშვნელობისა ქართული ისტორიული აზროვნების განვითარების თვალსაზრისით. ვახუშტი აქ გასაოცარი სიღრმითა და სიძლიერით გვიხატავს ქართველთა უძველესი ცხოვრების სურათს, რელიგიას და ზნე-ჩვეულებებს, პოლიტიკურ წყობილებას, სამხელეო წყობას, სამართალს, სამხედრო წესებს, სოციალურ ფენებს, მათთვის დამახასიათებელ ნიშნებს... ამ უკანასკნელთან დაკავშირებით აკად. ს. ჯანაშია შენიშნავდა; „თუ ვახუშტის მცდარ ისტორიულ პერსპექტივს არ გავუწევთ ანგარიშს (ვახუშტი მოცემულ სურათს, ჩანს, ერთნაირად ავრცელებს როგორც მირიან მეფის, ისე დავით აღმაშენებლის ხანაზე), უნდა ვთქვათ, რომ აქ ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი ჯგუფები ავტორის დროისათვის განსაცვიფრებელი სიღრმით არის აღწერილი“[14].

აღსანიშნავია, რომ ვახუშტი აღძრულ საკითხებს განიხილავს მათ ცვალებადობასა და განვითარებაში, საგანგებოდ მსჯელობს იმ ცვლილებებზე, რომლებიც გამოიწვია ჯერ ქრისტიანობის მიღებამ, შემდეგ კი ირანელების გაბატონებამ განარჩევს ძველსა და ახალ („შეძინებულ“) წესებს.

აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, ეს ნარკვევი „არის ქართველთა მრავალსაუკუნოვან წარსულის საზოგადო ფილოსოფიურ-ისტორიული მიმოხილვა, რომლის მსგავსი ქართულს მწერლობაში არც წინათ დაწერილა და არც შემდეგში“[15].

ვახუშტი განსაკუთრებული ყურადღებით იხილავს ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობის საკითხს, ერთმეფობის წესს და დაჟინებით ამტკიცებს, რომ გარე სამყაროს მიმართ საქართველოს იმთავითვე მოსდგამდა ერთობის ტრადიცია, ამ მტკიცებაში კარგად გამოსჭვივის ვახუშტის პოლიტიკური კრედო: იგი ერთიანი და ძლიერი საქართველოს მოტრფიალეა, საქართველოს მთლიანობისათვის მებრძოლია.

ვახუშტის ნაშრომისადმი დართული დამატებებიდან ყურადღებას იქცევს ტრაქტატი ქართული კალენდრის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გამოაქვეყნა მ. ბროსემ[16]. ტრაქტატში განმარტებულია 532 წლიანი ციკლის წარმოშობა, მზისა და მთვარის მოქცევათა გამოანგარიშების წესი, ჩამოთვლილია საეკლესიო სადღესასწაულო დღეები, მათი გამოანგარიშების ხერხი, საგანგებოდაა ახსნილი მცხრალის გამოთვლის მეთოდი (ამასთანაა დაკავშირებული აღდგომის, დიდმარხვის, ამაღლების და სხვა სადღესასწაულო დღეების

---

14 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ, „ანალები“, I, გვ. 2.

15 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 342.

16 E t u d e s de Chronologie technique, I, SPb., 1868, გვ. 57—66.

გამოთვლა). ნაშრომში განმარტებულია კალენდრის ასტრონომიული საფუძვლები.

ასევე მნიშვნელოვანია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის (რუსეთის, საფრანგეთის, ბრიტანეთის, ესპანეთის და ა. შ.) ხელმწიფეთა და საქართველოს მეფეების ზეობათა შედარებითი ნუსხა, რომლითაც ვახუშტი საქართველოს ისტორიას მსოფლიო ისტორიასთან აკავშირებს.

* * *

ვახუშტის როგორც ისტორიკოსის შეფასებისას ანგარიში უნდა გაეწიოს მისი მეცნიერული შემოქმედების ყველა მხარეს: მეთოდოლოგიას, ისტორიულ აზროვნებას, კვლევა-ძიების მეთოდს და ტექნიკას, კრიტიციზმს, სამეცნიერო აპარატის სიფართოვეს და ა. შ. ამათი გათვალისწინებით ვახუშტი წარმოგვიდგება ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ უდიდეს ფიგურად, რომელმაც მრავალმხრივ წინ წასწია ეს დარგი და ძლიერი გავლენა მოახდინა მის შემდგომ განვითარებაზე. ისტორიული კვლევა-ძიების ტექნიკაში ვახუშტი დიდად დაწინაურდა და მრავალი ახალი, ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი, ხერხი და მეთოდი გამოიყენა, მაგრამ ისტორიის მეთოდოლოგიაში და, განსაკუთრებით, ისტორიული აზროვნების დარგში იგი ფეოდალურ თვალსაზრისს ვერ გასცდა. მის ნაშრომში შეიმჩნევა ქრისტიანული თვალსაზრისის გავლენა, აქა-იქ ჩანს პროვიდენციალიზმის გამოვლინებაც, სასწაულების რწმენა და სხვა ამგვარი ელემენტები.

მისი ეპოქის ფონზე ვახუშტი მრავალი ღირსებით გამოირჩევა. პროფ. ვ. გაბაშვილმა ვახუშტის შემოქმედება განიხილა რუსეთისა და ევროპის თანადროული ისტორიოგრაფიის ფართო ფონზე და მივიდა დასკვნამდე, რომ „ვახუშტი არა მარტო იდგა XVII—XVIII სს ევროპული ისტორიოგრაფიის სიმაღლეზე, არამედ, პირიქით, ზოგს შემთხვევაში, თვალსაჩინო უპირატესობით განსხვავდებოდა ისეთ სწავლულ ისტორიკოსებისაგანაც კი, როგორიც იყვნენ მაბილონი, ლაიბნიცი და მურატორი“[17].

შოთა ხანთაძე

ისტორიკოსი სულხან გარათაშვილი

(დაბადების 150 წლისთავის გამო)

ცნობილი ქართველი ისტორიკოსი სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილი დაიბადა თბილისში 1821 წლის 17 (29) სექტემბერს. იგი თავისი დროის მოწინავე ოჯახში აღიზარდა, სადაც განათლებაზე საუბარს, მეფე ერეკლე II-ის გმირულ საქმიანობაზე მსჯელობებს, წარუშლელი კვალი დაუტოვებია ყმაწვილის გულში. ამას ემატებოდა სულხანის ძიძის უსნიას გულშიჩამწვდომი მოთხრობები საქართველოზე, მის სახელოვან წარსულზე. მართალია, უსნია გაუნათლებელი ყოფილა, მაგრამ გონებაგახსნილი ქალი თავისი მოსაწონი ქართუ-

---

17 ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ვახუშტი XVII—XVIII სს ევროპული ისტორიოგრაფიის სინათლეზე, „ანალები“. I, თბ., 1947, გვ. 125.

ლით აჯადოებდა თურმე პატარა სულხანს, საღამოობით რომ უსმენდა ამ კეთილი მოხუცის ნაამბობს.

პეტერბურგის კადეტთა კორპუსში სწავლის დროს ისტორიის მასწავლებელს, ვინმე ჩერნიაევს, მცოდნე და განათლებულ ისტორიკოსს, ერთხელ გაკვეთილზე, თამარ მეფის ხანა საბერძნეთის (ბიზანტიის) ეპოქისათვის შეუდარებია. „ამან ეს აზრი გულში ჩამინერგა, — იგონებდა სულხანი, — და სულ იმის ცდაში ვიყავი, როგორმე სრულად შემესწავლა საქართველოს ისტორია“[1].

ს. ბარათაშვილი ხშირი სტუმარი იყო პეტერბურგის ბიბლიოთეკებისა და გატაცებით აგროვებდა მასალებს საქართველოს ისტორიისათვის, როგორც რუსულ, ისე, განსაკუთრებით, უცხო ენებზე. ჩერნიაევმა იგი წარუდგინა რუსული ორიენტალისტიკის ცნობილ წარმომადგენელს პროფ. ო. სენკოვსკის, რომელმაც ურჩია ჭაბუკს, დაკავშირებოდა რუსეთის ქართველოლოგიის ხელმძღვანელს, აკად. მ. ბროსეს. ს. ბარათაშვილმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მ. ბროსეზე და საქართველოში დაბრუნების შემდეგ (1840 წ.) მისი პირადი კორესპოდენტიც გახდა. პეტერბურგში ჩაეყარა საფუძველი მათ მეცნიერულ ურთიერთობას, რაც ქართველი ისტორიკოსის გარდაცვალებამდე გაგრძელდა.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ს. ბარათაშვილმა გაზეთ „Кавказ“ -ში გამოაქვეყნა წერილების სერია საქართველოს ისტორიის შესახებ, თან შეუნელებლად ამზადებდა ვრცელ გამოკვლევას მისი ისტორიული წარსულიდან. ამ მუშაობის შედეგია „საქართველოს ისტორიის“ ხუთი რვეული (წიგნი) რუსულ ენაზე, რომლებიც პეტერბურგში გამოიცა 1865—1871 წლებში. ს. ბარათაშვილის თხზულება პროპედევტიკული და პრაგმატული კურსია და კომპოზიციურად იმდროინდელ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული წესის მიხედვით არის შედგენილი. მასში ძირითადად გადმოცემულია პოლიტიკური ისტორია, გაშლილი მსოფლიო ისტორიის ფონზე. ქართულ ისტორიოგრაფიაში ესაა პირველი ნაშრომი, რომელიც მსოფლიო ისტორიის სქემის პრინციპზეა აგებული. ნაშრომი სამეცნიერო ლიტერატურისა და პირველწყაროთა ისეთ ფართო წრეზეა დაფუძნებული, რომ დიმიტრი ბაქრაძე გაკვირვებული დარჩენილა მათი მრავალრიცხოვნებითა და მრავალფეროვნებით[2].

ს. ბარათაშვილის „История Грузии“ ითარგმნა ქართულად და სამ რვეულად უცვლელად გამოიცა ქუთაისში (1895, 1896, 1913 წწ) კომენტარის გარეშე. ეს რვეულები ქრონოლოგიურად მოიცავენ პერიოდს უძველესი ხანიდან ვიდრე რუსუდანის მეფობამდე. შემდგომი ხანის ისტორიის დაწერა ავტორს არ დახცალდა[3], მაგრამ ის, რისი გაკეთებაც მოასწრო, ცხადად მოწმობს მის დიდ განათლებასა და ნიჭიერებას. ავტორის აზრი დახვეწილია და ნათელი, თხრობაში დაცულია სიზუსტე და ზომიერება. მართალია, შესაძლებელია, სულხან ბარათაშვილის ბევრ მოსაზრებას არ დავეთანხმოთ დღეს, არ გავიზიაროთ მისი კონცეფცია, მაგრამ მაინც გვხიბლავს მისი მწყობრი ლოგიკური აზროვნება, პატივისცემის გრძნობით რომ განაწყობს მისდამი მკითხველს.

„საქართველოს ისტორია“ ორიგინალური თხზულებაა და მეთოდოლოგიურად მისი თანადროული რუსული და დასავლეთევროპული ისტორიოგრაფი-

---

[1] ვ. თ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, რამდენიმე სიტყვა თავად სულხან ბარათაშვილზედ, „დროება“, № 34, 1866, გვ. 3.

[2] თ. ს ა ხ ო კ ი ა, თავადი სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილი, „მოამბე“, № 7, 1896, გვ. 38.

[3] ს. ბარათაშვილი ტრაგიკულად დაიღუპა სოხუმში 1866 წლის 13 (25) აგვისტოს.

ების დონეზე დგას. ავტორი ასახელებს იმ ძირითად წყაროებს, რითაც ხელმძღვანელობდა წერის პროცესში: „ჩვენი წერილების... უმეტესი ნაწილი ამოღებულია „ქართლის ცხოვრებიდან“... მსოფლიო ისტორიიდან... ბიზანტიის ისტორიკოსთა მოთხრობიდან... და უკანასკნელი დროის შესანიშნავ ისტორიკოსთა თხზულებათაგან“[4]. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ „ძველმა ისტორიამ უნებლიედ უნდა მიმართოს ზღაპრულ გადმოცემებს; ისტორიკოსი ცდილობს... ჭეშმარიტების მცირედი კვალი აღმოაჩინოს ამ გადმოცემებში“[5], გასაგები გახდება მკვლევრის მიერ გამოყენებულ წყაროთა ნაირსახეობა.

ლეგენდარული ცნობებისადმი ყურადღების გამახვილების იდეა ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად თ. ბაგრატიონმა შემოიტანა, თუმცა მისი წყაროსთავია გ. ნიბურის კონცეფცია. თეიმურაზმა იგი რუსული ისტორიოგრაფიიდან გადმოიღო.

უნდა აღინიშნოს, რომ ს. ბარათაშვილი ხშირად და წარმატებითაც იყენებდა ამ წყაროს (ზღაპარ-თქმულებებს), თუმცა პოზიტიური, კრიტიკული დამოკიდებულების გამომჟღავნების თვალსაზრისით, მან მნიშვნელოვნად გაუსწრო თეიმურაზს. ასე, მაგალითად, ს. ბარათაშვილს მიაჩნდა, რომ ქართველი ხალხის უძველესი ტრადიციული გადმოცემა თავის წარმოშობაზე, დაცული „ქართლის ცხოვრებაში“, იმდენად შეესაბამება ისტორიულ რეალობას, რომ წყაროში ეჭვის შეტანა ნიადაგს არ პოულობსო. მიუხედავად ამისა, იგი არ იზიარებდა წინამორბედი ქართველი ისტორიკოსების თვალსაზრისს „ქართლის ცხოვრების“ ეთნარქთა რეალურობის შესახებ, ქართველთა ეთნოგენეზის საკითხში იგი იზიარებდა ფრანგი მეცნიერის სენ-მარტენის შეხედულებებს ქართველთა ინდო-კელტურ (ინდოევროპულ) წარმოშობაზე. ამჟამად, ქართულ ენაში უძველესი ინდოევროპული სუბსტრატის არსებობას ბევრი მეცნიერი უჭერს მხარს[6], მაგრამ ეთნოგენეზის საკითხში ს. ბარათაშვილის ისტორიული პოზიცია მარჯვედ ვერ ჩაითვლება. მაგრამ ამჯერად ჩვენთვის მთავარი და არსებითია ის გარემოება, რომ სულხან ბარათაშვილი ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემას იკვლევდა წყაროთა ფართო წრეზე დაყრდნობით (ბიბლია, ანტიკურ მწერალთა ცნობები, „ქართლის ცხოვრების“ მონაცემები).

ს. ბარათაშვილი ქართველი ხალხის საზოგადოებრივ განვითარებას ორ პერიოდად ჰყოფდა. ესაა გვაროვნული წყობილება თავისი ფეოდალური სისტემით და კვლავ განვითარებული ფეოდალური ურთიერთობა. მართალია, იგი ფარნავაზის სახელმწიფოს ეროვნული კონსოლიდაციის პროცესის დასასრულად მიიჩნევდა, გვაროვნულ წყობილებას მონარქიულისაგან გამოჰყოფდა, მაგრამ, როგორც პირველყოფილ-თემურ, ისე მეფურ(კლასობრივ) საზოგადოებაში ფეოდალიზმი მისთვის ერთადერთი სოციალური და პოლიტიკური სისტემა იყო.

XIX საუკუნეში ფეოდალიზმის ამგვარი გაგება თითქმის ჩვეულებრივი ამბავი იყო და ამ მხრივ გამონაკლისს არც ს. ბარათაშვილი შეადგენდა. მას მიაჩნდა, რომ ქართლოსმა პირველმა დაანაწილა მიწები კერძო მფლობელობაში „მის შთამომავალთა შორის“ და „ეს უფლება იყო ქართველი ტომის ფეოდალური ცხოვრების ბუნებრივი შედეგი“ (რვ. 1, გვ. 48).

---

4 ს. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, რვ. 2. გვ. 3—4.

5 იქვე, რვ. 1, გვ. 6.

6 გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 203—247.

ამრიგად, ფეოდალიზმი მიწაზე კერძო საკუთრებას გულისხმობს, იგი უფლებრივად მემკვიდრეობითია (მამიდან შვილზე გადადის) და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. მაგრამ ნამდვილი, რეალური ფეოდალიზმი აღმოცენდა საქართველოში სახელმწიფოებრიობის დაარსებასთან ერთად და მასთან მჭიდრო კავშირში. ფარნავაზმა იურიდიულად დაამტკიცა ეს უფლება და დაწესდა, რომ მიწა იმთავითვე მფლობელობაშია, როგორც კერძო, მემკვიდრეობითი, ნათესაობრივი, საკუთრება. იგი ეკუთვნის მხოლოდ ოთხ ფენას: მთავართ ანუ თავადებს, აზნაურებს ანუ რაინდთა თანასწორთ, მოქალაქეთ და გლეხობას. აქ იგი ვახუშტის თხზულებით სარგებლობდა და მიუთითებდა კიდეც მის ნაშრომზე. ამასთან, ანალოგიური მასალა მოაქვს სტრაბონიდან და წერს, რომ „ამ ქვეყანაში (იბერიაში — ა. ბ.) მართლა ყოფილა ოთხი წოდება“ (გვ. 51).

სტრაბონთან სულ სხვა წოდებრივი ნომენკლატურაა წარმოდგენილი, ვიდრე ეს ს. ბარათაშვილს აქვს გადმოცემული, მაგრამ მთავარი აქ ისაა, რომ მას უწყვეტ ჯაჭვად ესახება ფეოდალური ურთიერთობის განვითარება საქართველოში და ქართლოსის ჟამინდელ, მისგან მომდინარე ინსტიტუტად განიხილავს, თუმცა საუკუნეების მანძილზე თანდათან დახვეწილ, დასრულებულ ფორმად აღიარებს მას. საქართველოს ისტორიაში იგი ორ მუდმივ მოქმედ ფაქტორს გამოყოფს, კერძოდ, შინაგან და გარეგან ფაქტორებს, რომლებიც თავის მხრივ ქართველობას სხვა ხალხისაგან განასხვავებს. ესაა მიწის ნიადაგის სპეციფიურობა და ქართველთა ენობრივი ერთიანობა. ხოლო გარეგან ფაქტორთა შორის, ავტორის აზრით, აღსანიშნავია ხაზართა (სკვითთა) შემოსევა, რომელსაც ძვ. წ. VII ს-ში ჰქონდა ადგილი.

„საზოგადოდ ყველა უძველესი ხალხები — აღნიშნავდა ს. ბარათაშვილი — წარსული დროის მიხედვით კი არ ეწყობოდნენ, არამედ ისე, როგორც შინაგანი ანუ გარეგანი მოვლენა და გარემოება უჩვენებდა მათ. უმთავრესი გარემოებანი, რომელთაც გავლენა ჰქონდათ ქართველი ხალხის პირველდაწყებით ცხოვრებაზე, შემდეგნი იყვნენ. პირველი — საქართველოს მიწის ნიადაგი: რადგან ეს ნიადაგი ხეობებით დასერილ მთიან ადგილს წარმოადგენს, ამიტომ თავიდანვე ყოფდა ხალხს რამდენიმე ნაწილად. ქალაქების და სოფლების მოსაშენებლად მთებს და მთების ტყიან მწვერვალებს ირჩევდნენ, რადგან ამგვარ ადგილებში მათი ოჯახები და ავლა-დიდება უფრო უშიშარ მდგომარეობაში იყო. აი ეს ადგილები ბადებდა ხალხში თავისუფლების სურვილს და უნერგავდა მას გულში მეურნეობასა და გულადობას. ამავე დროს ამ მთების ძირში გადაშლილი მშვენიერი მინდვრები მცხოვრებთ მიწის სამუშაოდ იზიდავდა. მეორე გარემოება იყო — ხალხის საერთო ენა და თვისტომობა, რის წყალობითაც ერთტომობა გამაგრებული იყო“ (გვ. 13—14).

მოტანილი მოსაზრება წააგავს შეხედულებას, რომელიც ჯერ კიდევ 1844 წელს გამოთქვა პ. იოსელიანმა[7]. სამწუხაროდ, ს. ბარათაშვილი ამ შემთხვევაში არ იმოწმებს გამოყენებულ ლიტერატურას. რაც შეეხება ნიადაგის მნიშვნელობას ხალხის ეკონომიური განვითარების საქმეში, აქ ჩვენი ავტორის შეხედულება არსებითად ემყარება ცნობილი ფრანგი განმანათლებლის შარლ მონტესკიეს თეორიას. ს. ბარათაშვილი იცნობს ფრანგი სოციოლოგის განთქმულ ნაშრომს „კანონთა შესახებ“ და სამგზის იმოწმებს კიდეც მას ფრანგულ

[7] П. Иоселиани, Различные наименования грузинов, ЖМВД, 1844, № 6, გვ. 115—143.

ენაზე (რვ. 1, გვ. 44—45). როგორც ვხედავთ, ჩვენი ისტორიკოსის მიერ წამოყენებული იდეა ქართველ ტომთა განვითარებაში გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობაზე, ფრანგული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიიდან მომდინარეობს.

ამავე ფრანგული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიიდან იღებს სათავეს ს. ბარათაშვილის მეორე იდეა, ხალხის ენობრივი ერთიანობის შესახებ. ამითვე აიხსნება, რომ ქართველ ტომთა ეთნიკური ვინაობის საკითხში ჩვენი ავტორი იზიარებდა ფრანგი მეცნიერის სენ-მარტენის მოსაზრებას ქართველთა ინდოკელტური (ინდოევროპული) წარმოშობის თაობაზე (გვ. 12).

აღსანიშნავია აგრეთვე ს. ბარათაშვილის წერილი —„Краткое обозрение главнейших причин падения Грузинского царства“[8]. ავტორი მიზნად ისახავს, გამოიკვლიოს ის ძირითადი მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს საქართველოს სამეფოს დაცემა ისტორიულად. აქ ხაზგასმულია ორი ფაქტორის როლი: საგარეოსი და შინაგანისა. საგარეო ფაქტორი საქართველოს ისტორიაში თითქმის მუდმივად მოქმედი იყო და მისი უარყოფა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, — აღნიშნავს ავტორი. მაგრამ ჩვენი ქვეყნის დაცემის მთავარი მიზეზი მაინც სამეფოს შინაგან დაშლილობაშია საძიებელი. ამ თეზისის დასამტკიცებლად იგი მიმართავს საქართველოს ისტორიის ფაქტებს და განსაკუთრებით ჩერდება XII—XVIII სს. ისტორიულ მოვლენებზე.

თამარის მმართველობა საქართველოს ძლიერების უკანასკნელი საფეხურია, თუმცა არა ყველა სფეროში. იმ ხანებში ჩვენში დიდად განვითარებული იყო პოეზია, მაგრამ ცნობილი არ იყო მათემატიკა და ზუსტი მეცნიერებანი; მაშინ განთქმული იყო სამხედრო სიმამაცე, თუმცა, ავტორის აზრით, ნაკლები ყურადღება ექცეოდა მანუფაქტურის, მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას. რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო თანამედროვეთათვის სამეფოს მოჩვენებითი დიდების ფონზე დაცემის დასაწყისის შემჩნევა. ქვეყნის სამხედრო დაძაბუნება მონღოლებთან პირველსავე შეტაკებაში გამოვლინდა.

მონღოლებს მოჰყვა მძვინვარე თემურ-ლენგის 7-გზისი ლაშქრობა საქართველოში და ქვეყნის ბუნებრივ საშუალებებს რომ არ ეშველა (ხალხი მთებსა და ხეობებში დაიხიზნა) ქართველობა სავსებით ამოწყდებოდა. ამას მოსდევს ალექსანდრე I-ის მეფობიდან გადადგომის (1442 წ.) შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს სამ სამეფოდ დაყოფა, რამაც ქვეყნის გაერთიანების მაგიერ მისი საბოლოო დაშლა გამოიწვია. ამრიგად, ქართველი ხალხი ისტორიულად შეკავშირებული, ერთი წარმოშობითა და საერთო ინტერესებით, აღარ არსებობდა.

საქართველოს დაყოფას სამ სამეფოდ საზოგადოებრივი თვალსაზრისით ეკონომიური დაცემაც მოჰყვა. სახელმწიფოს შემოსავალი ძლივს აუდიოდა მთავრობის, მებატონეთა და ჯარის გამოკვებას. მისი მოგება ერთ მეოთხედამდე დაეცა, მისი სამი მეოთხედი კი სამღვდელოებას მიჰქონდა, რომელსაც საჭიროდ არ მიაჩნდა დახმარებოდა სახელმწიფოს თუნდაც ომიანობის ჟამს.

ასეთი იყო სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ვითარება საქართველოში იმ დროს, როდესაც სამეფო ტახტზე ერეკლე II ავიდა. მაგრამ მისი კეთილშობილი პოლიტიკა (სახელმწიფო რეფორმები, სამთამადნო წარმოების

---

[8] გაზ. „Кавказ“, № 10, 1818, გვ. 39—40.

წამოწყება, ქართლ-კახეთის გაერთიანება), მიმართული საქართველოს სახელმწიფოს დაცემის წინააღმდეგ, თავის მიზანს ვერ აღწევდა. საშინაო არეულობისა და აღა-მაჰმად-ხანის ლაშქართან მძიმე დამარცხების გამო საქართველოს სამეფო დაეცა.

ს. ბარათაშვილი შედარებით მაღალი საფეხურია XIX ს-ის ქართული ისტორიოგრაფიისა. მას ახასიათებს წყაროზე ზუსტი მითითება, გამოყენებული ლიტერატურის დამოწმება (მეტწილად), ტექსტიდან ამონაწერთა გამოყოფა, წყაროთა მონაცემების ურთიერთშეჯერება და ანალიზი, „ქართლის ცხოვრების“ ტრადიციული სქემის დარღვევა და საქართველოს ისტორიის მსოფლიო ისტორიასთან დაახლოება-დაკავშირება. მაგრამ, ამასთან ერთად, მას ახასიათებს თითქმის აბსოლუტური იგნორირება ხალხის შინაგანი, სოციალურ-ეკონომიური ისტორიისა. მართალია, ჩვენი ავტორი არ უარყოფდა ხალხის შინაგანი ისტორიის შესწავლის მნიშვნელობას, მაგრამ, როდესაც იგი კონკრეტულად ეხება ქართველი ხალხის წარსულის კვლევა-ძიებას, ივიწყებს თავის დაპირებას და ძირითადად პოლიტიკური ისტორიის საკითხებით იფარგლება. ს. ბარათაშვილის „საქართველოს ისტორია“ 400-მდე გვერდს შეიცავს, მაგრამ აქედან მხოლოდ რამდენიმე გვერდი ეთმობა შინაგანი ისტორიის საკითხებს. ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენია ჟურნალ „Отечественные записки“-ს რეცენზენტს, რომელიც მისი პირველი რვეულის გამო წერდა: Произведение это... не может не интересовать нас, русских, а потому, пожелав г. Баратову успеха в предпринятом им труде, считаем своею обязанностью ему напомнить, что сочинение его приобретет еще большую значительность и важность, если в последующих тетрадях будет обращено внимание на внутреннюю жизнь страны (ხაზი ჩვენია—ა. ბ.), совершенно упущенную из виду в первом выпуске“[9].

ს. ბარათაშვილი, ერთი მხრით მიუთითებდა, რომ ხალხთა ისტორიაში გადამწყვეტ ფაქტორს მიწის ნიადაგი (გეოგრაფიული გარემო) და სისხლით ნათესაობა (ფიზიოლოგია) წარმოადგენდა, მაგრამ, მეორე მხრით, მას მიაჩნდა, რომ „ყველაფერი ქვეყანაზე განგების ნებით მოხდება ხოლმე და ეს გზა გამოიხატება ბუნების კანონებით. ამ კანონების ძალით ყველაფერი, როგორც ფიზიკური, ისე მორალურიც, ფრიად შესამჩნევ სიდიდის იქნება ის და კაცის გონებისათვის წარმოუდგენელი, თუ ბარბაროსობის შესადარი უუმცირესი რამე, ყველაფერი იცვლება. პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ხალხთა დაწესებულებანიც არ არიან დაფარულნი ამ საერთო წესისაგან“ (რვ. 2, გვ. 8). მაშასადამე, ისტორიული განვითარების დედაბოძია ე. წ. პროვიდენციალიზმი. იგია უზენაესი განგება, რომელიც წარმართავს მსოფლიო ისტორიის მსვლელობას, კაცობრიობის დასაბამიდან დასასრულამდე წინასწარ განსაზღვრული თვალსაზრისით. ამასთან, ეს პროცესი განვითარებასაც ცნობს, იგი დიალექტიკის ელემენტებს შეიცავს — „ყველაფერი იცვლება“; იცვლის სახეს საკუთრივ საზოგადოებაც. ასე, მაგალითად, ქართლოსის დროის ქართველთა საზოგადოებრივი წყობილება, მართალია, ფეოდალური იყო, მაგრამ ერს ჯერ კიდევ არ შეადგენდა, მაშინ როდესაც, განვითარების შედეგად, ფარნავაზის სახელმწიფო მონარქიულია და ხალხი ერად ჩამოყალიბდა. ქართლოსის შთამომავალ-

[9] Отечественные записки, т. CLXII (162), № 10, 1865, Отдел: Литературная летопись“, გვ. 258.

თა სოციალური წყობა, ჩვენი ავტორის აზრით, ფეოდალურია (რვ. 1, გვ. 13), მაგრამ ფეოდალიზმის წიაღში დაშვებულია გვაროვნული წყობილების არსებობა ვიდრე ალექსანდრე მაკედონელის აზიაში გამოჩენამდე. ამ ხანაში ქართველ ტომებში ადგილი აქვს ტერიტორიულ-გეოგრაფიულ კარჩაკეტილობას, დანაწილებას, იზოლაციას, მამასახლისობას, თვისტომობასა და ერთტომობას (რვ. 1, გვ. 14). ს. ბარათაშვილის აზრით, გვაროვნული წყობილება გაგრძელდა იმ დრომდე, ვიდრე „ძლიერმა და განუწყვეტელმა გარეგანმა ომებმა ხალხს არ დაანახვა, რომ საჭირო იყო უმეტესად შეკავშირება და შეერთება“ (რვ. 1, გვ. 20).

ამრიგად, გვაროვნული წყობილების წიაღში დაშვებულია ფეოდალური ურთიერთობის არსებობაც. ფეოდალიზმი თავისთავად ფეოდალთა კლასის არსებობას გულისხმობს. ამიტომ, ს. ბარათაშვილის აზრით, ფეოდალურ-გვაროვნული წყობილების დროს, ცალ-ცალკე მცხოვრებ ქართველ ტომთა შორის გარკვეული მნიშვნელობით სოციალურ უთანასწორობას აქვს ადგილი.

საქართველოში სახელმწიფოს დაარსებასთან ერთად (ძვ. წ. III ს-ის დამდეგს), იმთავითვე იგულისხმება ქართველი ხალხის ეროვნებად ჩამოყალიბების პროცესის დასასრულიც. ფარნავაზი მოწოდებულია ხალხის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. იგი თავის სახელმწიფოს რვა თუ ცხრა ნაწილად ჰყოფს, რომელთა სათავეში ერისთავები დგანან. ეს უკანასკნელნი ფაქტიური მეფეები არიან საერისთავოებში. ერისთავობა მემკვიდრეობითია. მემკვიდრეობის ეს უფლება, ს. ბარათაშვილის სიტყვით, „ქართველთ ტომის ფეოდალური ცხოვრების ბუნებრივი შედეგი იყო“ (რვ. 1, გვ. 48). „ეს ცხოვრება დაიწყო ქართლოსის სიკვდილის შემდეგ, მის შთამომავალთა შორის მიწების დანაწილების დროიდან, და რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მაგრად მოიდგა ფეხი მიწის ნიადაგის სიკეთის მეოხებით. რაკი ფარნავაზმა დაამტკიცა ეს უფლება, საქართველოში დაიბადა ჯერ მიწის მფლობელობის, როგორც კერძო ნათესაობრივი საკუთრების, უფლება და შემდეგ აზრი იმ ოთხ სახალხო წოდების დაფუძნების შესახებ, რომელიც არსებობდა განუწყვეტლივ, ვიდრე საქართველო თავისუფალ სამეფოს შეადგენდა. ძველ ხალხებს შორის მიწის კერძო მფლობელობის უფლება ძალიან იშვიათი მოვლენა იყო; ფარნავაზმა ალბათ იმ რწმუნებით შემოიღო ეს უფლება, რომ პატრიოტიზმის გარდა იმაში არსებობს აგრეთვე მატერიალური ანგარიშიც და ამიტომ ქვეშევრდომთ უმეტესად უძლიერებს იგი მამულის დაცვის ენერგიას“ (რვ. 1, გვ. 48—49).

ამრიგად, ს. ბარათაშვილის მიხედვით, საქართველოში მემკვიდრეობის უფლება ქართლოსის სიკვდილის შემდეგ ყოფილა დამყარებული. ფარნავაზმა ეს უფლება კანონმდებლობით დააწესა და ერისთავებს გადასცა მიწა კერძო მფლობელობაში. მიწა ქართული ნიადაგის განსაკუთრებული ნაყოფიერების მეოხებით ფეოდალთა გამდიდრების წყაროდ იქცა. აქედან გამომდინარეობს, რომ ს. ბარათაშვილს, როგორც თავად-აზნაურობის აშკარა დამცველს, უდაოდ მიუჩნევია კერძო საკუთრების ინსტიტუტის იმთავითვე არსებობის იდეა. მან ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება მიწის, როგორც პრივილეგირებული წოდების კერძო საკუთრების საკითხს. იგი იზიარებდა იმ შეხედულებას, თითქოს მიწის კერძო მფლობელობა ღვთის მიერ არის დაკანონებული. ამით, ჩვენი ავტორი, არაპირდაპირი გზით მხარს უჭერდა გაღატაკების გზაზე დამდგარი ქართველი თავად-აზნაურობის გააფთ-

რებულ ბრძოლას თერგდალეულებთან, გლეხთა უმიწოდ განთავისუფლების თაობაზე. ამდენად, ქართული საზოგადოებრივი აზრის ამ მწვავე წინააღმდეგობამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ს. ბარათაშვილის შემოქმედებაშიც.

როდესაც ვაჯამებთ საქართველოს ძველი ისტორიის დარგში ს. ბარათაშვილის მიერ მოპოვებულ შედეგებს, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ მისი დიდი ორიგინალობა, თავისებურება სხვა მკვლევრებთან შედარებით. ისტორიული კვლევა-ძიების დროს ს. ბარათაშვილმა იმჟამად მის ხელთ არსებული ყველა მასალა გამოიყენა („ქართლის ცხოვრება", ბერძენ-რომაელ-ბიზანტიელ-სომეხ ისტორიკოსთა ცნობები, მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოები). ამ რიგის წყაროთა მონაცემების ურთიერთშეჯერება, მათში წინააღმდეგობის შემცველ შეხედულებათა გამოვლენა და ამის საფუძველზე ისტორიული რეალობის დადგენა — აი, ძირითადი დამახასიათებელი ელემენტები ს. ბარათაშვილის ისტორიული შემოქმედებისა. იგი შერჩა ფეოდალური ისტორიოგრაფიის დონეს, თუმცა ავლენს ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელ ელემენტებსაც. ამდენად, ძნელი გასაზიარებელია პროფ. გ. ნათაძის თეზისი, თითქოს ს. ბარათაშვილი ფეოდალურ-ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ისტორიოგრაფიის წარმომადგენელია[10].

სულხან ბარათაშვილი მოაზროვნე ისტორიკოსია, ფართოდ განათლებული, საკმაოდ ორიგინალური იდეებისა და თეორიების მქონე მკვლევარი. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში ს. ბარათაშვილისათვის გაგზავნილ პირად წერილში დ. ბაქრაძე წერდა: „თქვენს ისტორიულ სტატიებს საქართველოზე ყოველთვის სიამოვნებით ვკითხულობ ხოლმე... იმედი არა მქონდა, თუ ჩვენთაგანი, საქართველოს შვილთაგანი, აწინდელს დროში ასეთს შრომას დაუდებდა თავსა და ან თუ ვინმე ასე მომზადებული იქნებოდა... ვავკვირდი, თქვენს უკანასკნელს შრომაში რომ ასეთი ვრცელი წყაროების ცოდნა და სვინდისიანი შემუშავება ვპოვე"[11].

დ. ბაქრაძის ეს საგულისხმო სიტყვები შესანიშნავად გამოხატავენ ჩვენი ისტორიკოსისადმი დიდ სიყვარულსა და პატივისცემას. ქართველი ხალხი ყოველთვის მადლიერების გრძნობით მოიგონებს ჩვენი სამშობლოს ისტორიული წარსულის აღდგენისათვის დამაშვრალ მკვლევარს, ვისი დევიზიც იყო უანგარო, გულწრფელი პატრიოტიზმი.

არჩილ ბარამიძე

---

[10] Г. Натадзе, Сулхан Баратов как историк Грузии, Тб., 1934, გვ. 103—104.

[11] თ. სახოკია, თავადი სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილი, გვ. 38.

გიორგი ლომთათიძის ხსოვნას

ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ, განსაკუთრებით არქეოლოგიამ დიდი დანაკლისი განიცადა. 1971 წლის 23 ოქტომბერს 56 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ქართული კულტურის ისტორიის შთაგონებული მკვლევარი, ღრმად ერუდირებული მეცნიერი, გამოჩენილი არქეოლოგი გიორგი (გოგი) ალექსანდრეს ძე ლომთათიძე. ჩვენს რიგებს უდროოდ მოსწყდა ქართველ არქეოლოგთა უფროსი თაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ვისი ცხოვრების უმაღლესი მიზანი და შინაარსი მშობლიური ქვეყნის ისტორიის კვლევა-ძიება იყო.



გ. ლომთათიძე დაიბადა დაბა ცხინვალში 1914 წლის 26 ნოემბერს ცნობილი პედაგოგისა და ინტელიგენტის ალექსანდრე ლომთათიძის ოჯახში. 1931 წელს იგი შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს 1936 წელს. 1938 წელს შემოდგომაზე აბარებს შესასვლელ გამოცდებს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ყოფ. კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის) ასპირანტურაში და წარმატებით ეუფლება არქეოლოგიის საფუძვლებს პროფ. გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით. აქედან მოკიდებული სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გ. ლომთათიძე მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითსა და საორგანიზაციო საქმიანობასთან. აქ ჩამოყალიბდა იგი როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი მკვლევარი და ფართოდ განათლებული არქეოლოგი, ვინც სანაქებო ენერგიით უაღრესი კეთილსინდისიერებითა და მაღალმოქალაქეობრივი შეგნებით ემსახურა თავის სანუკვარ საქმეს 30-ზე მეტი წლის განმავლობაში, როგორც რიგითი მეცნიერ-თანამშრომელი. ერთხანს სწავლული მდივანიც, ხოლო უკანასკნელ წლებში როგორც შუასაუკუნეთა არქეოლოგიის განყოფილების დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

ფართო იყო გ. ლომთათიძის სამეცნიერო მუშაობის პრობლემატიკა. იგი მოიცავდა საქართველოს ბრინჯაოს ხანის, ანტიკური და ფეოდალური ხანის კულტურის ისტორიის საკითხებს. ამასთანავე როგორც თავის საკუთარ, ასევე მისი ხელმძღვანელობით მომუშავე არქეოლოგთა კონკრეტულ საკვლევაძიებო თემატიკაში ნაქალაქარებისა და წარმოების ცენტრების თუ ცალკეული კერების შესწავლა იყო წინა პლანზე წამოწეული. გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით ან უშუალო მონაწილეობით წლების მანძილზე ითხრებოდა და ისწავლებოდა ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები შუასაუკუნეთა ქართული კულტურისა, როგორიცაა ვახტანგ გორგასლის ნაშენი უჯარმის ციხე-ქალაქი (საგარეჯოს რ.), ნადარბაზევი (რუსუდან დედოფლის საზაფხულო სამყოფელი თეთრიწყაროს რაიონში), ძველი თბილისის „განჯის კარი“ (აწინდელ 900 არაგველთა ბაღის ტერიტორიაზე), თბილისის დედაციხე (ანუ ყოფ. ნარიყალა), მრავალფეროვანი ძეგლები ურბნისის ნაქალაქარსა თუ კუხეთის რუსთავში. (სწორედ რუსთავში 1965 წელს შეწყვეტილი არქეოლოგი-

ური კვლევა-ძიების აღდგენა-გაგრძელების საბეიროების დასაბუთებას ეხებოდა გარდაცვალების წინა დღეებში დაწყებული, აწ დაუმთავრებელი მისი მოხსენებითი ბარათი). ყველა ამ პუნქტში წარმოებული კვლევა-ძიების შედეგებს განსვენებულმა უძღვნა მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული, ყოველმხრივ დასაბუთებული და უხვად ილუსტრირებული ნაშრომები (ზოგი საკუთრივ, ზოგიც კოლეგებთან ერთად), რომელთაც საქართველოს შუასაუკუნეთა ისტორიის ვერც ერთი მკვლეელი გვერდს ვერ აუვლის. განსვენებულმა და მის გარშემო შემოკრებილმა არქეოლოგთა კოლექტივმა უკანასკნელ ხანებში ფრიად ნაყოფიერი და შრომატევადი სამუშაო შეასრულეს დღემდე თვალსმფარებული საცხოვრებელი, სამეურნეო და საკულტო ხასიათის კომპლექსების გამომზეურებაზე ვარძიაში, ადრეფეოდალური ხანის ფენების გამოსაელინებლად თელავსა და ვარდციხეში, დიდი ფეოდალის მეურნეობისა და კარმიდამოს შესასწავლად კვეტერაში (თიანეთი), ძველი ნამოსახლარებისა და სამაროვნების გათხრისას ყალეთში, უაღრესად საინტერესო საფორტიფიკაციო ნაგებობათა შესწავლისას ხორნაბუჯ-თამარის ციხეზე (წითელწყაროს რ.), დმანისის ნაქალაქარის შემდგომ შესწავლისას, დაბოლოს კულტურული ფენების შემოწმებისას ჟინვალის მიდამოებში, რაც მცხეთა-არმაზის პიტიახშთა განსასვენებლის ანალოგიური ბრწყინვალე სამარხეული ინვენტარის აღმოჩენით დაგვირგვინდა.

საქართველოს შუასაუკუნეთა ქალაქებისა, სოფლების და ცალკეული საწარმოო კერების არქეოლოგიური შესწავლილობა გ. ლომთათიძემ ორგზის შეაჯამა: პირველად 1956 წ. ნაშრომში „Некоторые итоги археологических раскопок памятников феодальной Грузии (Советская археология, XXVII,1957), ხოლო მეორედ1960 წელს (შ. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავი იუბილესათვის). ეს მეორე ნაშრომი სახელწოდებით „ფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და საწარმოო კერათა ისტორიისათვის“ წარმოადგენს შესავალ წერილს კრებულისა „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, I, 1969. ავტორი ამ წერილს „სქემატურს“ უწოდებს, თუმცა მასში საკვლევი პრობლემის ირგვლივ 30-წლიანი (1936—1966) მუშაობის საკმაოდ სრული სურათია მოცემული და მომავალ კვლევა-ძიებათა ამოცანებიც არის დასახული. აღნიშნულ ნაშრომთა ახლო გაცნობა ადასტურებს, რომ შუასაუკუნეთა საქართველოს ნივთიერი და სულიერი კულტურის შესწავლის საქმეში დღეისათვის საკმაოდ ბევრია გაკეთებული იმ პროგრამიდან, რაც თავის დროზე ქართული კულტურის დიდმა მოჟირნახულეებმა — ივ. ჯავახიშვილმა, გ. ჩუბინაშვილმა, ს. ჯანაშიამ, ნ. ბერძენიშვილმა დასახეს. მაგრამ გ. ლომთათიძემ სამწუხაროდ თან გაიყოლა როგორც განუხორციელებელი ოცნება, მრავალგზის გაცხადებული სურვილი და დაწვრილებით მოფიქრებული გეგმა საუკუნეობრივი საფარი მოეხსნა მიწის გულისთვის თმოგვში, წუნდახა და სამშვილდეში, საიდანაც იგი ჩვენი ისტორიის ბევრი მჭეერმეტყველი ფაქტის ამომზეურებას ელოდა. არ რჩებოდა განსვენებულს უყურადღებოდ აგრეთვე ქვეყნის გარეთ დარჩენილი ქართული კულტურის ძეგლები (თურქეთში, აზერბაიჯანში, დაღესტანში, ჩრდილო-ოსეთში, ჩრდილო კავკასიაში), რომელთა სისტემატური შესწავლა მის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს შეადგენდა.

უაღრესად დიდი ამაგი დასდო გ. ლომთათიძემ საქართველოს უძველესი დედაქალაქის — მცხეთის ისტორიული წარსულის შესწავლას. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, 23 წლის ჭაბუკი, იგი ერთი პირველთაგანი იყო, დიდი გატაცებითა და ინტერესით რომ ჩაერთო ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას თაოსნობით დაფუძნებული „მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის“ მუშაობაში, რასაც იგი 1938 წლიდან მოკიდებული ესოდენი წარმატებით ეწეოდა. განსვენებულმა სპეციალური წერილი უძღვნა ხსენებულ ექსპედიციას არსებობის 30 წლის თავზე („ძეგლის მეგობარი“, № 15, 1967), სადაც ამ უკანასკნელის ღრმა შინაარსიანი ისტორია ერთობ სხარტად, ლაკონიურად, მეტად მიმზიდველად გადმოსცა. იგი იყო პირველი და უახლოესი მონაწილე მცხეთის ექსპედიციის ბრწყინვალე აღმოჩენებისა არმაზისხევში, ბაგინეთსა და სამთავროში. რიგი წლების მანძილზე თვით ხელმძღვანელობდა ფრიად შედეგიან გათხრებს, არმაზისხევში, მარტაზისხევში და სხვაგანაც. მცხეთის უძველეს ძეგლებს მიუძღვნა მან თავისი პირველი დისერტაცია, რომელიც ბრწყინვალედ დაიცვა 1944 წელს. მასვე ეკუთვნის პირველი მიმოხილვითი შემაჯამებელი ნაშრომები, რომლებიც თავისი დროისათვის სრულ წარმოდგენას უქმნიდა ფართო საზოგადოებრიობას მცხეთაში წარმოებულ კვლევა-ძიებათა შედეგებზე. ესენია: „არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში“, თბილისი, 1944 და „Археологические раскопки в древнегрузинской столице Мцхета“, Тб., 1955 г.

თავის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში გ. ლომთათიძემ უფრო ფართო ადგილი დაუ-

ეძო საქართველოსა და კერძოდ მცხეთის გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ძეგლთა სისტემატიზაციასა და შესწავლას. სწორედ ამ ძეგლთა განხილვის ფონზე აქვს გაშლილი მკვლევარს ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიური მდგომაოეობისა და კულტურული იერის საერთო სურათი. ეს ნაშრომი ავტორის ხანგრძლივი, ფრიად სერიოზული და ნაყოფიერი კვლევა-ძიების შედეგია. მას გამოუქვეყნებელი დარჩა გამოკვლევა, რომელშიაც მცხეთის რკინიგზის სადგურთან 1951 წ. ივნისში მის მიერვე გათხრილი I საუკუნის აკლდამა და მისი მდიდრული სამარხეული ინვენტარია განხილული. გ. ლომთათიძე თანაავტორია წიგნისა „არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, 1937—1940 წწ. განათხარის მიხედვით", სერია: „მცხეთა". არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. I, თბილისი, 1955 წ., მასვე ეკუთვნის ამ წიგნის რუსული თარგმანიც, რომელიც შევსებულ-შესწორებული სახით 1956 წ. გამოვიდა თბილისშიც. ამ წიგნში ფართოდ არის განხილული მცხეთა-არმაზის ერისთავთა განსასვენებელში გ. ლომთათიძის უახლოესი მონაწილეობით გათხრილი საცხოვრებელი, სამეურნეო და საკულტო ხასიათის ნაგებობანი, აქვე აღმოჩენილი მდიდრული სამარხეული ინვენტარი და დიდი კულტურულ-ისტორიული ღირებულების ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც ესოდენ ავსებენ ჩვენი ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის საგანძურს. გ. ლომთათიძემ ჯერ კიდევ 1952 წელს დაწერა და გამოაქვეყნა საქართველოს არქეოლოგიის ნარკვევები „წინაპართა ნაკვალევის" სახელწოდებით. მასვე ეკუთვნის ბევრი საკურნალ-გაზეთო წერილი, სტატია თუ საუბარი, რაზედაც აღიზარდა ქართველ არქეოლოგთა ახალგაზრდა თაობა. იგი სისტემატურად უკითხავდა ლექციებს სტუდენტ-ახალგაზრდობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში („მახლობელი აღმოსავლეთის არქეოლოგია") და თბილისის სამხატვრო აკადემიაში („არქეოლოგიის საფუძვლების მოკლე კურსი"). თვით იყო თანაავტორი უნივერსიტეტის მიერ გამოცემული „საქართველოს არქეოლოგიის" დამხმარე სახელმძღვანელოსი. იგი ზრდიდა და ასწავლიდა ასპირანტებს და უმცროს მეცნიერ თანამშრომლებს, რომელთა უმრავლესობა კარგახანია დამოუკიდებელ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა. გ. ლომთათიძის სამეცნიერო საქმიანობაში დიდი ადგილი ეჭირა აგრეთვე თვით არქეოლოგიური კვლევა-ძიების ისტორიას და იმ მოღვაწეთა დამსახურების ჯეროვან შეფასებას, რომელთაც ჩვენი წარსულის შესწავლის საქმეში გარკვეული კვალი დატოვეს; ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის შემეწეობა, რაც განსვენებულმა და მისმა მეუღლემ ნ. ღოღობერიძემ გაუწიეს ქართული კულტურის ისტორიის დიდ მთამაგეს. სახელოვან მეცნიერს აკად. ექვთიმე თაყაიშვილს თავის მრავალრიცხოვან ნაწარმოებთა სისტემატიზაციაში, რედაქტირებასა და გამოქვეყნებაში. გ. ლომთათიძემ სათანადო მიუზღო საქართველოს ისტორიისა და კულტურის გამოჩენილ მკვლევარებს: ე. თაყაიშვილს, ნ. მარს, ი. ჯავახიშვილს, ს. ჯანაშიას, გ. ნიორაძეს, ლ. მუსხელიშვილს, ი. გძელიშვილს და ბევრს სხვასაც. ფართოდ ქართულსა და რუსულ პრესაში არაერთი უაღრესად საინტერესო წერილი, მოგონება, ბიოგრაფიული ნარკვევი ან ნეკროლოგი გამოაქვეყნა. გ. ლომთათიძე იყო თავის მშობლიურ მიწა-წყალზე უსაზღვროდ შეყვარებული, გულმხურვალე მოქალაქე, პატრიოტი, თავისი ხალხის დიდი ეროვნული მემკვიდრეობის ერთგული დამცველი, მის ღირსებათა და საუკეთესო თვისებათა, მის კულტურულ მონაპოვართა მგზნებარე პროპაგანდისტი. მისთვის, ვითარცა ჭეშმარიტი მეცნიერისათვის, ერთნაირი ღირებულებისა იყო ბრინჯაოს რომელიმე ბოლოკვეთილი მახვილი, ცინცხალი ქართული ხალხური სახეებით შემკული თიხის ჭურჭელი თუ ნაირფერი თელებით მოოქვილი ოქროს ჯიღა, გულსაკიდი, აგრაფი თუ დიადემა. მისთვის თანაბრად ძვირფასი იყო შუასაუკუნეთა ბირქუში კედელ-ქონგურები თუ ნაპოფლარ-ნაქალაქარის კულტურულ ფენაში ნაპოვნი ქვის როდინი, უბრალო რკინის ცული ან დაუანგული ლურსმანი, ძველი ფულების განძი, ვერცხლის და მინის ყელყარყარა ჭურჭელი თუ უნაზესი ფაიანსის ნატეხი. ყველაფერი ეს მისთვის იყო უძვირფასესი რელიქვია, რაშიაც გამოსჭვივოდა ქართველი კაცის საუკუნოებრივი ცოდნა და გამოცდილება, მისი მუხლჩაუკეცავი შრომა და რუდუნება, მისი გმირული შემართება, მისი მხატვრული ალღო და ხელის მშვენიერება. ყოველივე ეს კარგად ესმოდა გ. ლომთათიძეს, რომელმაც საამისოდ ჩინებულად გამოიყენა არქეოლოგის ნიჩაბიცა და კალამიც. ქართველი არქეოლოგები მადლიერი რჩებიან გ. ლომთათიძისა არქეოლოგის ნიჩბისა და კალმის მარჯვედ გამოყენებისათვის, კალმისა, რომლის მონასმი დიდხანს დარჩება საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის მატიანეში. და თუ „ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყველი გამომაჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოდ", მაშინ მისი მაღალი შუბლი მანათობელ შუქურად უნდა დაადგეს ქართველ არქეოლოგთა ახალგაზრდა თაობას.

ალ. კალანდაძე